

თავი ობ

სიტყუად ესე: „მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მონაფეთა თვსთა და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდეს მნიგნობარნი და ფარისეველნი. ყოველსა რავდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქვან და არა ყვიან“ (23,1-3).

ოდეს მნიგნობართა მათ და ფარისეველთა პირნი დაუყვნა და სირცხვლეულნი წარგზავნა და წინაღწარმეტყუელი ქადაგად უფლებისა მისისა მოიყვანა, მაშინ კუალად ერსა მას ასწავებდა აღსრულებად სწავლათა მათ შჯულისათა, რაათა ვერვინ თქუას, თუ წინააღმდგომ იყო შჯულისა. რამეთუ ესოდენი კრძალულება განუწესა მცნებათა მათ შჯულისათა, ვიდრელა დრკუთა მათ და ბილნთა მოძღუართა მათთა მორჩილობად ამცნო.

„რავდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“. ჭეშმარიტად ბოროტ იყვნეს საქმენი მათნი და ყოველივე მოქალაქობად მათი განხრწნილი ვნებათა შინა. და უფროდსად ესე იყო მიზეზ ურწმუნოებისა მათისა: ბოროტნი საქმენი და შური და ვეცხლისმოყუარება. გარნა ამას ყოველსა ზედა უბრძანავე ერსა არა შეურაცხ-ყოფად მოძღურებისა მათისად.

რამეთუ კეთილ არს საქმე ესე, რაათა მოძღუართა არა შეურაცხ-ჰყოფდეს ერი, არცა მღდელთა ზედალუდგებოდის. და ამისთვის ესრეთ ბრძანა უფალმან, და არა ხოლო თუ ბრძანა, არამედ თავად მანცა აღასრულა.

რამეთუ ესრეთლა განფრდილ იყვნეს ცოდვათა შინა, და არავე განიოტნა პატივისა მისგან მღდელობისა, რაათა მათ უმეტესი მიიღონ საშჯელი, არა თუ მოიქცენ, და მონაფეთა არაოდეს ჰქონდის მიზეზი ურჩებისად.

რაათა ვერვის სადა ჳელ-ენიფებოდის თქუმად, თუ: მოძღუარი ჩემი ცოდვილი არს, და ამისთვის მე უდებ ვარ. ამისთვის წინაფთვე ესე მიზეზი მოულო მონაფეთა უფალმან. და ესევითართა მათთვის უკეთურთა და სრულიად წარწყმედილთა მოძღუართა, რომელთათვს წამა, ვითარმედ: არარას იქმან მცნებასა შჯულისასა, მათთვის ეტყვსვე ერსა, ვითარმედ: „ყოველსა რავდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“, არამედ სიტყუათა ისმენდით, რამეთუ არა თვსსა იტყვან, არამედ რად-იგი ღმერთმან მოსეს მიერ განანესა. და იხილე, რაბამითა პატივითა პატივ-სცემს მოსეს, რაათა გამოაჩინოს ერთობად ძუელისა და ახლისა შჯულისად, რამეთუ დაჯდომისათვს ხოლო საყდარსა მოსესსა შერაცხილ-ყვნა მნიგნობარნი იგი და ფარისეველნი, რომელთა თანა კეთილი არცა ერთი იპოებოდა, და უბრძანა ერსა მორჩილობად მათი.

ხოლო ოდეს გესმას, თუ: „ყოველსა რავდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ“, გულისჳმა-ყავ, ვითარმედ „ყოველსა“ კეთილსა იტყვს

და სარგებელსა სულისასა და რავდენსა თავადი განანესებდა; არა თუ ამას იტყვს, თუ: უმჯულოებასა თუ რასმე გეტყოდინ, ისმენდით. ნუ იყოფინ! ანუ რავდენი თავადმან დაჰჰსნა, ჭამადთათს და შესანირაფთა და ესევი-თარისა რადსმე. რამეთუ რომელი დაჰჰსნა, ვითარმცა ეტყოდა, თუ: ერჩი-დით მას ესევითარსა ზედა? არამედ ყოველსავე, რომელსა გეტყოდინო განშორებისათს ცოდვისაგან და კეთილისა საქმისათს, დაღაცათუ იგინი არა იქმან, თქუენ იქმოდეთ.

თქუას ვინმე, ვითარმედ: უკუეთუ ეგრეთ არს, რად არა თქუა, თუ: რავდენსა მონაფენი ჩემნი გეტყოდინ, იქმოდეთ, არამედ მნიგნობარნი და ფარისეველნი აჰსენნა? ერთად, რამეთუ არა იყო ჟამი პირველ ჯუარ-ცუმისა ამის პირისა შემოღებად; და მეორედ ამისთს, რამეთუ ეგულებო-და ძლიერად მხილება მათი, რადთა ვერვინ თქუას უგუნურთაგანმან, თუ პატივისა მათისა მიღებად სწადის, ანუ თუ შურს მათი წინამძღურობად და ამისთს ესრეთ შეასმენს.

პირველად უკუე ესე იჰჰ განაქარვა და ამცნო ერსა, ვითარმედ: დაღაცათუ საქმენი მათნი ბოროტ არიან, გარნა უკუეთუ კეთილსა რას გეტყო-დინ, ნუ ურჩ ექმნებით; და მერმე იწყო მხილებად.

ხოლო რადსათს ესრეთ მრავალი მხილება და გრძელი წარმოთქუა მათთს? რადთა ესმას ერსა მას და არა ჰბაძვიდენ საქმეთა მათ ესევი-თართა; ვითარცა დაწყებასავე თქუა, ვითარმედ: „საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“. ესრეთ უკუე პატივიცა იგი მათი შეურაცხება იყო, რამეთუ რადმცა იყო უსანყალობელეს მოძღურისა მის, რომლისა საქმეთა არაბაძვად თა-ნაედვას მონაფეთა? ამისთს ესოდენი იგი ბრალობად და მხილება მათი წარმოთქუა. და კუალად, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ პირველიცა იგი ურწმუნობად და შემდგომიცა იგი განდგომილება და კადნიერება ჯუარ-ცუმისად მათისა მის უმადლოებისა და უკეთურებისაგან იყო და საქმეთა მათთაგან ბოროტთა. ან იხილე, ვინად იწყებს მხილებასა მათსა და სადა აღვალს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამეთუ თქვან და არა ყვიანო“ (23,3).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ყოველივე უკუე გარდამავალი შჯულისად სასჯელისა ღირს არს, ხოლო უფროდსად, რომელსა ჰქონდის პატივი მოძღურებისად: ერთად, გარდასლვისათს მეგრ შჯულისა; მეორედ, რამეთუ თანაედვა სხუათა განმარტებად, ხოლო იგი სახე ბოროტის ექმნების და უმეტესისა სასჯელისა თანამდებ არს. ისმინეთ უკუე სხუადცა ბრალობად მათისა მის ვერაგობისად:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „შეკრიან ტვრთი მძიმე და ძნიად სატვრთავი და დას-დვიან მჭართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძრვად იგი“ (23,4).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ორკერძო არს აქა ბრალი: უწყალოდ დამძიმებად სხუათა და ურიდად უდებებად თავთა თვსთაჲ. ხოლო სულიერსა წინამძღუარსა წინააღმდეგომი ამის საქმისაჲ უვმს ქმნად, რადთა თავისა თვსისათვს ფიცხელი და უწყალოდ მსაჯული იყოს, ხოლო სხუათა მიმართ – მშუდ და მოწყალე. გარნა იგინი არა ესრეთ იყვნეს. ამისთვს არა თქუა, თუ: ვერ ძალ-უც, არამედ: არა უნებნო არცა თუ თითითა შეძრვად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: **„და ყოველსა საქმესა მათსა იქმედ საჩუენებელად კაცთა; განივრციან საცონი მათნი და განიდიდნიან ფესუნი სამოსლისა მათისანი“ (23,5).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ზემოთქუმულნი იგი უწყალოებასა და უღმობელოებასა მათსა გამოაჩინებენ და ფრიადსა დაწსნილებასა, ხოლო ან ზუაობასა და ამპარტავანებასა მათსა ამხილებს. ამან განაშორნა იგინი ღმრთისაგან და ყვნა მონა სოფლისა და კაცთა, უფროდსლა ვთქუა, თუ მონა ეშმაკთა. ხოლო ამხილა რად ზუაობად მათი, გამოაჩინებს, ვითარმედ არა თუ დიდთა რადმე საქმეთა ზედა ზუაობდეს, არამედ უნდოთა და მცირეთა.

„განივრციანო საცონი მათნი და განადიდნიან ფესუნი სამოსლისა მათისანი“. ხოლო რად არიან საცონი იგი და ფესუნი?

ვინადთგან ზემოდთვე ჰურიანი უმაღლონი იყვნეს და მარადის დაივიწყებდეს ქველისმოქმედებათა ღმრთისათა, ამისთვს ბრძანა ღმერთმან, რადთა მცირესა გრაგნილსა ქარტასა ზედა დასწერდენ დიდ-დიდთა მათ საკვრველებათა ღმრთისათა, რომელნი ქმნა მათ ზედა, და გამოაბმიდენ ჯელთა მათთა მოსაწსენებელად მათდა; და მას წერილსა ეწოდებოდა საცო.

და კუალად ფესვცა იგი მოსაწსენებელივე იყო, ვითარცა მრავალნი მოვიწყენი იქმან, ფესუსა მოიბმენ თითთა მოსაწსენებელად საქმისა რადსამე. ეგრეთვე ჰურიათა, ვითარცა ყრმათა მოვიწყეთა, უბრძანა ღმერთმან ფესუსა მენამულისა ქუექუმოსა სამოსლისასა გამოკერებად, რადთა ხედვიდენ მას და მოიწსენებდენ მცნებათა ღმრთისათა; და ეწოდებოდა მას ფესუედი.

ან უკუე მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი ზუაობისათვს განავრციან და შეამკვიან საცონი იგი და განადიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი; მცნებათა ღმრთისათა არა მოიწსენებდიან, რომელთათვს მოსაწსენებელად იგი განწესებულ იყო, და საცოთა მათ და ფესუთათვს ზუაობდიან. ზ ფრიადი იგი უგუხურებად მათი!

ჰურიანო, ცოფნო და ბრმანო, არა თუ განდიდებასა საცოთა მათ და ფესუთასა ეძიებს ღმერთი, არამედ წსენებასა სასწაულთა და მცნებათა მისთასა. უკუეთუ მარხვისათვს და ლოცვისა და ქველისსაქმისა, რომელესე შრომანი არიან ჩუენნი, ზუაობად არა ჯერ-არს, შენ საცოთათვს და ფესუთა რასა ჰზუაობ, რომელნი-იგი უფროდსად უდებებასა და უმაღლოებასა შენსა წამებენ? ისმინეთ უკუე სხუადცა უძკრესი ზუაობად მათი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „უყუარს ზემოჯდომად სერსა ზედა და პირველდაჯდომად შესაკრებელთა შორის და მოკითხვად უბანთა ზედა, და რადთა ხადოდინ კაცნი: რაბი! რაბი!“ (23,6-7).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესევეითარნი ესე ზუაობანი დაღაცათუ ვიეთმე მცირედ და უნდოდ შეურაცხიენ, არამედ მრავლისა ბოროტისა მშობელ არიან და მიზეზ, და მრავალნი შფოთნი ამათგან იქმნებიან ქალაქთა შინა და ეკლესიათა, რომელნიცა მოვიწესენ რად, ცრემლად ავიძრვი, თუ რომლისაღა ცუდისა საქმისათეს ესევეითარნი უნესობანი იქმნებიან; რომელთა არცა თუ ჯერ-მიჩნს აღრაცხვად, გარნა დაღაცათუ მე დავიდუმო, მრავალთა მიერ საცნაურ არიან.

ან იხილეთ მათი იგი ვერაგობად: სიტყვთ მოძღუარნი იყვენეს სათნოებისანი რეცა, და საქმით სახენი იყვენეს ყოვლისა ზუაობისა და ამპარტავანებისანი.

ამისთეს უფალმან სხუანი იგი ცთომანი მათნი ამხილნა ხოლო და თანანარჰვდა. ხოლო მო-რად-ვიდა მთავრობისმოყუარებისა მათისა წესენებად, რომელ-ესე ყოველთა ბოროტთა მიზეზი არს, განგუაკრძალებს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი – ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ“ (23,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჭეშმარიტად ძმანი ვართ ყოველნი და არარად ვის აქუს ბუნებით უმეტესი მეორისა, გარნა თუ ღმრთისა მიერ აქუნდეს რადმე მადლი, ხოლო ბუნებით ყოველნი სწორ ვართ. ამისთეს პავლე იტყოდა: „რად არს პავლე? ანუ რად არს აპოლო? ანუ რად არს კეფა? მსახურნი არიან“. არა თქუა, თუ: მოძღუარნი არიან, არამედ მსახურნიო, „რომელთაგან თქუენ გრწმენა“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და მამით ნუვის ჰხადით თქუენ ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამად თქუენი, რომელი არს ცათა შინა“ (23,9).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე თქუა, არა თუ რადთა არავის ვჰრქუათ: მამაო, არამედ რადთა გულისწმა-ვყოთ, თუ ვინ არს ჭეშმარიტი იგი მამად. რამეთუ ვითარცა მოძღუარ ერქუმის მრავალთა, არამედ ჭეშმარიტი მოძღუარი ქრისტე არს, ეგრეთვე დაღაცათუ ერქუმის კაცთაცა მამად, არამედ ჭეშმარიტი მამად არავინ არს, გარნა ღმერთი, რამეთუ იგი არს მიზეზი ყოველთა მოძღუართა და მამათად. და კუალად იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ნუცა გერქუმინ თქუენ წინამძღუარ, რამეთუ ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე“ (23,10).

¹ 1 კორ. 3,5.

თარგმანი: ვითარცა ზემო თქუა: „ვითარ გგონიეს თქუენ ქრისტესთვის?“¹ და არა თქუა, თუ: ვითარ გგონიეს ჩემთვის? ეგრეთვე აქა იტყვს, ვითარმედ: „ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე“, და არა თქუა, თუ: მე ვარ. რამეთუ საქმენი ქადაგებდეს, ვითარმედ იგი არს, და სიტყუად არა საწმარ იყო, უფროესად მონაფეთა მიმართ, რომელნი თვსითა პირითა წამებდეს, ვითარმედ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოვლისა“. ²

ხოლო ესეცა ვთქუა ამას ადგილსა: რა-მე ყონ ანუ რაე მოგვგონ მათ, რომელნი ჰპოებენ წერილთა შინა მამისათვს, ვითარმედ: „ერთ არს ღმერთი“; და „უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“, ³ ანუ სხუად რა-მე ესევითარი, და მოიღებენ სიტყუათა მათ წამებად დაკნინებისათვს მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისა? იტყოდინლა: არა წინამძღუარ არს მამად? ჰე, ჭეშმარიტად, და ვინმცა იკადრა ამისა უარ-ყოფად. ხოლო ან ესერა თქუა უფალმან, ვითარმედ: „ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე“.

ან უკუე, ვითარცა სიტყუად ესე, თუ: „ერთი არს წინამძღუარი თქუენი – ქრისტე“, არა განიყვანებს მამასა წინამძღურობისაგან, ეგრეთვე, ოდეს თქუას წერილმან მამისათვს, თუ: ერთ არს ღმერთი, გინა თუ უფალი, ანუ მოძღუარი, არა განიყვანებს ძესა პატივისა მისგან. რამეთუ „ერთი“ რაე გესმას, განმყოფელად კაცთაგან და სხუათა ყოველთავე დაბადებულთაგან გულისწმა-ყავ. ხოლო მამად და ძე და სული წმიდად ყოვლითავე პატივითა და დიდებითა და მეუფებითა ერთ არიან და განუყოფელ. ხოლო შემდგომი ესე სიტყუად ვისმინოთ:

სახარებად: „უდიდესი თქუენი იყოს თქუენდა მსახურ. რამეთუ რომელმან აღიმალლოს თავი თვსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, ამალდეს“ (23,11-12).

თარგმანი: ვინათგან ამცნო კრძალვად ზუაობისაგან და განშორებად თავთა თვსთად ამპარტავანებისაგან, ან კუალად ასწავებს, თუ ვითარსახედ იყოს კრძალვად და განშორებად ბოროტისა მის ვნებისაგან. ამისთვს ბრძანებს, ვითარმედ: „უდიდესი თქუენი იყოს თქუენდა მსახურ“, და ნუმცა რად შეურაცხიეს უდიდესობად იგი.

რამეთუ ყოველმან „რომელმან აღიმალლოს თავი თვსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, ამალდეს“. და ნანდკლვე არარად არს სწორ სიმდაბლისა. ამისთვს ზედასზედა აღუწსენებს ამას სათნობასა. რამეთუ პირველ მთასა ზედა დანყება მოძღურებისა მის კეთილისად ამისგან ქმნა, რაჟამს ეტყოდა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად“. ⁴ და კუალად, ოდეს ყრმანი იგი შორის წარ-

¹ მათ. 22,42.

² მათ. 16,16.

³ 2 სჯ. 6,4.

⁴ მათ. 5,3.

მოადგინა და თქვა: „უკუეთუ არა იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა“,¹ სიმდაბლესა ქადაგებდა. და ან კუალად სრულიად აღმოჰფხურის ძირსა მას ზუაობისასა და დაჰნერგავს სიმდაბლესა: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდესო“.

ხედავა, ვითარ სრულიად განგუაშორებს ზუაობისაგან? არა ხოლო თუ მთავრობისა და წინამძღურობისა სიყუარულსა განაგდებს, არამედ ყოველთა უდარეს ყოფად გვბრძანებს, რაფთა ესრეთ მივემთხვნეთ ჭეშმარიტსა მას სიმაღლესა. ან უკუეთუ წინამძღურობად და უზუცესობად გუნადის, სიმდაბლე და შეურაცხებად შევიტყობთ, რამეთუ ყოველმან „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს“.

სწავლად ობ

სიმდაბლისათვის და ცხორებისათვის მონაზონთაჲსა

სადა-მე უკუე ვპოოთ სახე ჭეშმარიტისა მის სიმდაბლისად? გნებავსა, რაფთა კუალად წარვიდეთ ქალაქსა სათნოებისასა, საყოფელსა წმიდათა მათ მონაზონთასა, რომელნი ზემო ვაჯსენენ? მათა და ქუაბთა ვიტყვ და ჯურელთა ქუეყანისათა, სადა იგინი მკვდრ არიან. მუნ ვიხილოთ სიმაღლე სიმდაბლისად სიტყვსაებრ უფლისა. რამეთუ კაცნი სახელოანნი პატივთა შინა სოფლიოთა, სხუანი სიმდიდრესა შინა ფრიადსა აღზრდილნი, უარყვეს ყოველივე იგი და შეკრებულ არიან უდაბნოსა მას, განშიშულებულნი ყოველისავე ფუფუნებისაგან: სამოსელთა წილ ბრწყინვალეთა ძაძად და ხალენები და თხისა ტყავები შეუმოსიეს, ტაძართა წილ ოქროქანდაკებულთა ქუაბნი და ტალავარნი უნდონი გამოურჩევიან, მრავალთა მსახურთა და მონათა წილ თავნი თვისნი სხუათადა დაუმონებიან და ყოვლით კერძო ყოველივე წესი და სახე ზუაობისა და სიმაღლისად სიმდაბლედ და შეურაცხებად შეუცვალელებიეს. იგინი აგზებენ ცეცხლსა, იგინი კრებენ შესასა, იგინი მზარაულობენ, იგინი ჰმსახურებენ მომავალთა, იგინი ჰბანენ ფერჯთა უცხოთასა. არა ისმის მუნ ჯმად დრტვნვისა ანუ ლაღვისად, არავის ეწოდების დიდ მათ შორის, არამედ ყოველნი სიმდაბლესა აღირჩევენ და უდარესობასა სხუათასა. არავინ უბრძანებს მოყუასსა ჯელმნიფებით, არამედ ყოველნი ისწრაფიან მსახურებად. ერთი ტაბლად არს ყოველთად, სწორი ჭამადი, სწორი სამოსელი, სწორი საყოფელი, და დიდ მათ შორის იგი შერაცხილ არს, რომელი უდარესთა საქმეთა აღირჩევედეს. არა ითქუმის მათ შორის ჩემი და შენი, არამედ სრულიად ოტებულ არს მათგან ესე სიტყუად, მიზეზი ბევრეულთა ბრძოლათად. და რად გიკვრს, თუ ერთი ტაბლად არს ყოველთად და ერთი ჭამადი და ერთი საყოფელი? უფროჲსად ესე

¹ მათ. 18,3.

გიკვრდინ, რომელ სული მათი ერთ არს. არა ბუნებითა ვიტყვ, რამეთუ ესე ყოველთა კაცთა შორის არს, არამედ წესითა მით სიყუარულისადათა. არა არს მუნ სიმდიდრე და სილატაკე, დიდება და შეურაცხება. ვინაფთაგან უკუე ესე ყოველი ესრეთ არს, ამისთვის არა იპოვების მათ შორის ზუაობად და სიმაღლე, არამედ – ყოველივე სიმდაბლე. არიან უდიდესნი და უმცირესნი წესითა მით სათნოებისადათა, არამედ, ვითარცა ვთქუ, არავინ მათ შორის ხედავს ამას, არამედ რაოდენცა მაღალ იყოს სათნოებითა, უდარეს ყოველთასა აქუს თავი თვისი. და სიქადულ მათდა არს შეურაცხებად საქმით და სიტყვით, და სიხარულით თანაერევიან გლახაკთა და მწუხარეთა, და ტაბლად მათი ესევეთართა პურისმტეთაგან აღსავსე არს. ამისთვის ღირს არიან ზეცისა სავანეთა. რომელიმე ჰკურნებს წყლულებასა გონჯთასა, სხუად აღიქუამს წვივშემუსრვილთა, სხუად წინაუძღვს ბრმასა. ამის ყოველისაგან შემოუკრებების მათ სათნოებად სიმდაბლისად, რამეთუ ყოველსავე საქმესა მათსა აღმაორძინებელად სიმდაბლისა იქმან. და ვითარცა-ესე ჩუენ შორის მოსწრაფებად არს, თუ რომელი მიემთხვოს უმეტესსა პატივსა, ეგრეთვე მათ შორის მოსწრაფებად არს სიმდაბლისათვის, და უჭდებიან ურთიერთას, რომელმან უმეტესი მსახურება და შეურაცხებისა თავს-დებად აჩუენოს. ამისთვისცა ადვილად მოიგებენ სიმდაბლესა, რამეთუ ყოველნი საქმენი მათნი მდაბალ არიან: რომელსამე სათხროლი აქუს და ქუეყანასა თხრის, რომელიმე ნერგსა ასხამს და რწყავს ბოსტანსა, სხუად უძღურთა ჰმსახურებს, სხუად სფვრიდსა კერავს, სხუად ქსოვს ძაძასა ანუ სხუასა რას-მე ესევეთარსა იქმს, და ცხორებად მათი არს გლახაკობით, შიმშილითა და სიშიშულითა. ვითარ უკუე პოოს ესევეთართა მათ შორის ზუაობამან ადგილი? ნუ იყოფინ! არა არს კუალი მისი მათ შორის, რამეთუ საყოფელი მათი უდაბნოდ არს, და საქმენი მათნი – სიმდაბლისა მომგებელ. რამეთუ ჩუენ ადგილნიცა და საქმენი და საყოფელნი – ყოველნივე ზუაობად მიგვზიდავს, გარნა არავე გუაქუს ამისგან მიზეზი განმამართლებელად ზუაობისა ჩვენისა; რამეთუ აბრაჰამ შორის ქანანელთა იყო და შეერაცხა თავი თვისი მინად და ნაცრად;¹ და დავით მეფობასა შინა იყო და იტყოდა: „მატლ ვარ და არა კაც“;² და პავლე ყოველისავე სოფლისა მოძღუარი იყო და იტყოდა: „მე ვარ ნარჩევი მოციქულთა, რომელი არა ღირს ვარ წოდებად მოციქულად“.³

ან უკუე რად-მე ვყოთ ჩუენ, რომელნი არცა ძუელთა სახეთა სათნოებისათა ვჰბაძავთ, არცა ახალთა ვეშურებით? აღმოიკითხენ, კაცო, წერილი და მიიღენ სახენი სიმდაბლისანი ყოველთაგან წმიდათა. უკუეთუ არა უწყით წერილი, არცა გასმიეს წიგნთაგან სათნოებანი პირველთა მათ წმიდათანი, ესე მეზრ ბრალობადვე არს შენი, რომელ ეკლესიად დღითი-დღე განღებულ არს, და შენ არა შეხუალ სმენად კეთილთა მათ

¹ დაბ. 18,27.

² ფსალმ. 21,7.

³ 1 კორ. 15,9.

თხრობათა. თვნიერ დაღაცათუ პირველთა წმიდათა საქმენი არა გასმიენ, ცხოვლნი ესე და აწვე სოფელსა შინა მყოფნი იხილენ. უკუეთუ არა გაქუს წინამძღუარი, მოედ, შემომიდეგ მე, და მიგიყვანო სავანესა მათ წმიდათასა. მივედ მუნ და ისწავე კეთილი. სანთელნი არიან იგინი, განმანათლებელნი სოფლისანი, ზღუდენი არიან მორწმუნეთანი. ამისთვის განვიდეს უდაბნოდ, რადთა ჩუენცა გუასწაონ ამბოხებათაგან განშორებად. რამეთუ მათ, ვითარცა ძლიერთა, არაფე ევნებოდა ლელვათაგან სოფლისათა, ხოლო შენ, უძღურსა მაგას გონებითა, უფროსად გიწმს მყუდროებად, განშორებად სოფლისაგან, რადთა არა დაინთქა ლელვათა შინა მისთა. ნუ გცონის უკუე ზედადსზედა მისლვად ნეტართა მათ მიმართ, რადთა ლოცვითა და სწავლითა მათითა ბილწებანი ცოდვისანი განიბანენ და მერმე ჰეთუ სადა შეუძლო თანამოსაგრე მათდა ყოფად, რადთა ესეცა ცხორებად კეთილად აღასრულო და ზეცისა სასუფეველსა მკჳდრ-ყოფად ღირს იქმნე ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნიისამდე, ამენ.

თავი ობ

სიტყუად ესე: **„ვად თქუნდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთვის მიიღოთ უდიდესი სასჯელი“** (23,13).

ნაცროვანებისა მათისა გარდამატებულებასა ამხილებს. და უძკრესი ესე იყო, რომელ არა თუ მდიდართაგან მოჰრენდეს ნივთსა მუცელთა მათთა აღვსებისასა, არამედ ობოლთაგან და ქურივთა, რომელთა უმეტესად ჯელის-აპყრობად თანაედვა. და სახე ესე ანგაჰრებისა მათისად ვითარ ბოროტ არს, ისმინეთ!

„მიზეზითაო განგრძობილად ილოცვიდით. ამისთვის მიიღოთ უდიდესი სასჯელი“. რამეთუ ყოველივე მოქმედი ბოროტისად ღირს სატანჯველისა არს, ხოლო რომელმან მიზეზად ბოროტის-ყოფისა თვისისა წესი და სახე ღმრთისმსახურებისად მოიღოს, ფრიად უძკრესი სასჯელი მიიღოს მან, ვითარცა უშჯულონი იგი იქმოდეს. ამისთვის განაქიქებს უფალი უკურნებელსა მას უკეთურებასა მათსა, რადთა განაკრძალოს ერი იგი საქმეთა მათთაგან, რადთა არა პატივისა მისთვის მათისა ბაძვად საქმეთა მათთა მოვიდენ. ვინაფთვან ზემო თქუა, ვითარმედ: „საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ“,¹ ამისთვის ან აწსენებს საქმეთა მათთა, რადთა ცნან, ვითარმედ ამათ ესევითართა საქმეთა იტყოდა არა ბაძვად.

სახარებად: **„ვად თქუნდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ დაჯაშთ სასუფეველი ცათად წინაშე კაცთა; თქუნ შეარა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად“** (23,14).

თარგმანი: ესეცა დიდი ბრალობად არს, უკუეთუ ვის სახე და წესი წინამძღურობისად აქუნდეს და არა სარგებელ ეყოფოდის კაცთა. ხოლო უკუეთუ ავნებდესცა და აყენებდეს შესლვად ცხორებასა, რად-მე იყოს ნუგეშინის-ცემად მისი? ესრეთ იყვნეს უღმრთონი იგი; ოდეს უბრძანებდინ, ესოდენ დაამძიმინ ტვრთი სხუათა ზედა, რომელ ყოვლადვე ვერ უძლის ტვრთვად, ხოლო ოდეს მათ უწმნ კეთილისა რადსმე ყოფად, ესოდენ წინააღმდეგომსა იქმოდინ, ვიდრელა სახე ბოროტისა ექმნიან ყოველთა. ესენი არიან ქუმმარიტად უსჯულონი, რომელთა საქმედ ეპყრა სხუათა წარწყმედად. რამეთუ საქმე მოძღურისა და წინამძღურისად არს მოძიებად და ცხორებად წარწყმედულთად, ხოლო წარწყმედად ცხორებად მიმავალთად საქმე არს უშჯულოთად. არამედ ისმინეთ კუალად სხუადცა უძკრესი ბრალობად მათი:

¹ მათ. 23,3.

სახარებად: **„ვამ თქუნდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჴმელსა, რადთა ჴყოთ ერთი ვინმე მნირი; და რაჟამს არნ, ჴყვით იგი ნაშობ გეჴენიისა ორ წილ თქუნსა“** (23,15).

ყოველმან რომელმან შრომით რადმე მოიგის, ჴრიდებნ წარწყმედასა შრომით მოგებულისასა, ხოლო იგინი არცა თუ შრომით მოპოვნებულთა მათ ჴრიდებდეს. ამით სიტყვათა ორსა ბრალობასა მათსა გამოაჩინებს: ერთად, ფრიად უჴმარობასა და ვერაგობასა, მოქცევად ვითმე წარმართობისაგან, და ვითარმედ ფრიადითა შრომითა ძლით ერთი ვინმე ანუ ორი მოიგიან; რამეთუ მნირ მათ ენოდებოდა, რომელნი წარმართთაგან ჴურიობად მოიქციან. და მეორე ბრალი მათი, რამეთუ რომელიცა სადმე მოიგიან მნირი, არა მცველ იქმნიან ცხორებისა მისისა და მასწავლელ უმჯობესისა, არამედ განმცემელ და მიზეზ წარწყმედისა და სახე ბოროტისა თვსთა საქმეთაგან; რამეთუ ოდეს მონაფე ხედვიდეს მოძღუარსა ბოროტისა მოქმედად, უძკრეს იქმნების. რამეთუ ოდეს მოძღუარი კეთილ იყოს და სათნოებათა მოქმედ, მონაფეცა ჴბაძავნ სადმე; ხოლო ოდეს მოძღუარი ბოროტსა იქმოდის, მონაფე უძკრესლა იქმნების სიადვილისა მისთვს უკეთურებისა. „ჴყვით იგი ნაშობ გეჴენიისა“. – ესე იგი არს, ყოვლითურთ ნაწილ გეჴენიისაო ორ წილ თქუნსა; რადთა უჩუენოს, ვითარმედ იგინიცა ნაწილნი არიან გეჴენიისანი და მოძღუარნი ბოროტისანი, რომელნი-იგი ყოვლით კერძო წარწყმედისა მასწავლელ იყვნეს და არა ცხორებისა.

სახარებად: **„ვამ თქუნდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი ათეულსა მოიღებთ პიტნაკისა და ცერეცოფასასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისა: სამართალი და წყალობად და სარწმუნოებად. ესე ჯერ-არს საქმედ და იგი არა დატევებად“** (23,23).

თარგმანი: და ესეცა მათისა მის ფრიადისა უგუზურებისა საქმე იყო, რომელ უდიდესთა მცნებათათვს არარად აქუნდა ზრუნვაჲ, და უდარესთა, არა ფრიად საძიებელთა, გამოინულილვიდეს; და კუალად უწესობასაცა მათსა გამოაჩინებს. რამეთუ ზემო თქუა, ვითარმედ: „შეკრიან ტვრთი მძიმე და დასდვიან მწართა ზედა კაცთასა“,¹ ხოლო ან იტყვს, ვითარცა-ესე გესმა. რამეთუ ესრეთ ფრიად იყო უწესობაჲ მათი, რომელ ოდესმე ზომისა უმეტესი სიმძიმე დასდვიან, რომელთა მიმართ აქუნ შური რადმე ანუ მტერობად, სხუათა ზომისა უმეტესად აღუსუბუქიან, ანუ ქრთამისათვს, ანუ სიყუარულისა რადსათვსმე და თუალთხუვისა ჴორციელისა, რამეთუ იყვნეს იგინი ყოვლითურთ ჴორც, და არარად იპოებოდა მათ თანა სულიერი.

¹ მათ. 23,4.

„ესე ჯერ-არს საქმედ და იგი არა დატევებადო“. რამეთუ ათეულისა მიცემაჲ მცირეთაცა საქმეთაგან არავე დააყენა, ვინაჲთგან ესეცა მოწყალეებისავე სახე იყო, გარნა უაღრესთა მათ საქმეთა უმეტესი ჯერ-არს მოსწრაფებაჲ და შეკრძალვაჲ.

„სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ“. რამეთუ ესე არიან განმწმედელნი სულისანი და სხუათა სათნოებათა აღმორძინებელნი. სამართალი მოიყვანებს კაცსა გულისწმის-ყოფად და ლმობიერებად მოყუისსა მიმართ, რაჲთა არა იყოს იგი ტვრთთა მიძიმეთა დამდებელ და შეუნდობელ უმრწმემესთა მიმართ. ამის წესისაგან იშვების წყალობაჲ და კაცთმოყუარებაჲ. და ვიყვნეთ რაჲ სხუათა მიმართ მოწყალე და კაცთმოყუარე, და მწუხარეთა თანა გუელმოდის და სიხარულსა ზედა და წარმატებასა მოყუისისასა გვხაროდის, ვხადით ჩუენ ზედა წყალობასა და კაცთმოყუარებასა ღმრთისასა და ვიპოვებით აღმასრულებელ მცნებასა მას სიყუარულისასა, რომელი-იგი თავ არს ყოველთავე მცნებათა შჯულისათა. ამას ყოველსა ზედა საჭმარ არს სარწმუნოებაჲ, საფუძველი იგი და სართული სათნოებათაჲ, რომლისა მიერ ყოველივე კეთილი დაემტკიცების. და ყოვლითურთ დიდ არს ქებაჲ, და გამოუთქუმელ არს სარგებელი სამთა ამათ საქმეთაჲ. ამისთვისცა ვითარცა დიდნი და მოსაგებელად სათანადონი ავსენნა უფალმან „სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ“, რომელთაგან უბადრუკნი იგი ცარიელ იყვნეს და ათეულისათჳს ცერეცოვსა და ძირაკისა და პიტნაკისასა მოსწრაფებასა აჩუენებდეს. ამისთვის ეტყჳს უფალი, ვითარმედ: „ესე ჯერ-არს საქმედ და იგი არავე დატევებად“. ათეულისა მისთვის უკუე არა ბრძანა, თუ ქმნად არა ჯერ-არს, რამეთუ არა ჟამი იყო წუთერთ მცნებათა მათ შჯულისათა დავსნად. ხოლო ოდეს შემოიღოს სიტყუაჲ განწმედათა მათთვის და განბანათა ჯორციელთა, რომელთა ჰურიანი იზმნიდეს და არა გულისწმა-ჰყოფდეს, სრულიად დაჰვსნის წესსა მას. ამისთვის თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა და აქლემსა შთანსთქამთ! ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რომელნი გასწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პაროფსიდისასა, და შინაგანი სავსე არს ნატაცებითა და არანმიდებითა. ფარისეველნო ბრმანო, განწმიდეთ პირველად შინაგანი სასუმელისაჲ, რაჲთა იყოს გარეშეცა იგი წმიდაჲ“ (23,24-26).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ენება გამოჩინებად, ვითარმედ არარაჲ სავნებელ არს ყოვლადვე, არცა საბრალობელ უგულებელს-ყოფად ჯორციელთა განბანათა და მენმინდურობათაჲ, ხოლო სულიერთა ბინთა არაგანწმედაჲ დიდისა სასჯელისა ღირს არს, და სათნოებათა არამოგებაჲ დიდად საბრალობელ არს. ამისთვის ბურნაკად უწოდა განბანათა მათ ჯორციელთა, რომელსა ჩუეულ იყვნეს ჰურიანი, ვითარცა იტყჳს მარკოზ მახარებელი, ვითარმედ:

„უკუეთუ არა იდაყვთგან დაიბანიან, არა ქამიან“.¹ და სხუად მრავალ არს, რომელ მოელო მოძღურებაჲ ხუცესთაგან: „განრცხად სასუმლებისაჲ და სტომანებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ“;² ესე ყოველი უნდო იყო და არარად, ამისთვის ბურნაკად უწოდა.

ხოლო ბილწებათა მათ ცოდვისათა, რომელნი სულსა შეაგინებდეს, აქლემად სახელ-სდვა, რამეთუ დიდ იყო სავნებელი მათი. ამისთვის თქუა: „რომელნი დასწურავთ ბურნაკსა და აქლემსა შთანსთქამთ“. რამეთუ მცირენი იგი მცნებანი დიდთათვის განწესებულ არიანო, ხოლო ვინაფთგან დიდნი იგი შეურაცხ-გიყოფიან, „სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ“ და მსგავსნი ამათნი, ცუდ არს და ამაო არასათანადოთა მათ ძიებაჲ. ხოლო ამათ სიჭყუათა მიერ ესრეთ მოასწავებს, ვითარმედ პირველ მისისა განკაცებისაცა არა დიდად საძიებელ იყვნეს ესე საქმენი, არამედ „სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ“ და სიყუარული და სხუანი იგი დიდნი მცნებანი შჯულისანი იყვნეს თანანარუვალ და საძიებელ. ვინაფთგან უკუე მაშინვე არა დიდად საძიებელ იყვნეს, რავდენ უფროსად ან, გამოჩნდა რად ბრწყინვალედ მადლი ღმრთისაჲ და განწესნეს მოძღურებანი მაღალნი, სრულიად ცუდ იქმნეს და უწმარ ესევეთარნი იგი ჳორციელნი საქმენი.

ამისთვის წინამძღურად ბრმად უწოდა მათ, რამეთუ რომელთა-იგი უძლოდეს, საკრძალავთაგან არა აკრძალებდეს და ცუდთა საქმეთათვის დიდსა კრძალულებასა აჩუენებდეს. და ნანდვლვე ესე საქმე არს ბრმათა წინამძღუართად. უკუეთუ ბრმად ბრმასა უძლოდის, სადა ვაკე არნ და წრფელ, ჳგონებნ, თუ წნარცჳ არს, და გარენარჯდის და მივიდის, სადა მთხრებლი არნ ანუ მღვმე, და ჳგონებნ, თუ ველი არს უცთომელი, და ორნივე შთავარდიან წარსანყმედელად. ესრეთ იქმოდის წინამძღუარნი იგი ჳურიათანი, არად სავნებელთა საქმეთა ზედა კრძალულებასა აჩუენებდეს და დიდთა ცოდვათა ურიდად ერეოდეს.

ამისთვის იტყვს უფალი: „განწმიდეთ შინაგანი იგი სასუმელისაჲ, რადთა გარეშეცა წმიდა იყოს“. არა თუ სასუმელისათვის იტყვს და ჳაროფსიდისა, რამეთუ მათი განწმედაჲ გინა არაგანწმედაჲ არარად შეერაცხა უფალსა, არამედ სულისათვის იტყვს და ჳორცთა, შინაგანად უწესს სულსა და გარეშედ ჳორცთა. ნუ ჳორცთა განბანასა იხარკებთო, ვითარმცა რადმე თანანადები იყო ესე, არამედ სულნი თქუენნი განწმიდენით ყოვლისაგანვე ცოდვისა, და ესრეთ იყვნენ ჳორცნიცა წმიდა ბილწებისა მისგან ცოდვისა. ხოლო ან თქუენ წინააღმდგომსა იქმთ: სულნი თქუენნი სავსე არიან ყოვლითა ბილწებითა და არანმადებითა, და სრულიად უდებ-გიყოფიან, ხოლო განბანასა ჳორცთასა მოსწრაფე ხართ და ჳგონებთ, თუ კეთილსა რასმე იქმთ, და მოქადულ ხართ ცუდსა ზედა და უსარგებლოსა.

¹ მარკ. 7,3.

² მარკ. 7,4.

სახარება: „გაა თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ კაცთა წინაშე შუენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძუალებითა მკუდართათა და ყოვლითა არანმიდებითა. ეგრეთცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა მართალ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და უშჯულოებითა“ (23,27-28).

თარგმანი: ყოვლით კერძო გამოაჩინა მაჩუენებლობისა და კაცთმონეობისა მათისა ვნებად და შინაგანი იგი ორგულებად და ბილწებად მათი და ყოვლითურთ წარწყმედულობად, რამეთუ ამისთვის არა ჰრწმენა მისი, ვინაფთგან სავსე იყვნეს ორგულებითა და ყოვლითავე უშჯულოებითა. ხოლო ამას ესევეთარსა სიბოროტესა და საძაგელებასა მათსა არა ქრისტე ოდენ, არამედ წინაფსწარმეტყუელნიცა გამოაჩინებენ. რამეთუ დავით „სამარე ზელეზულად“¹ უწოდა მათ, რომლისა სიმყრალე და სიხენეშე განცხადებულად ჩანნ; და ესაია დანყებასა მეზრ წინაფსწარმეტყუელებისა თვისისასა უწოდა მათ ნათესავად ცოდვილად და ერად, სავსედ უშჯულოებითა, თესლად ბოროტად, შვილად უკეთურებისად;² ეგრეთვე შჯულისმდებელი მოსე ნაშობად ბილწებისა სახელ-სდებს, ნათესავად დრკუდ და გულარძნილად და ერად ცოფად და განდრეკილად, წარწყმედისა მზრახვალად, რომელთა თანა არა არს მეცნიერება.³ და თითოეული წინაფსწარმეტყუელი შემსგავსებულთა სახელთა უკეთურებისა მათისათა მოიპოებდეს. რომელსაცა ჰნებავს მრავალფერთა მათ სახელთა სიცბილისა მათისათა სწავლად, აღმოიკითხენ წიგნი იგი საწინაფსწარმეტყუელონი და ისწაოს. ეგრეთვე უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე სამართლად უწოდა მათ საფლავად განგოზილად, სავსედ ყოვლითავე არანმიდებითა და უშჯულოებითა.

სწავლად ობ

ბრალობად მათი, რომელნი გუამთა თვსთა ამკობენ და სულსა უგულებელს-ჰყოფენ; და რადთა არა განვიცდიდეთ ქმნულკეთილობასა პირთასა

ხოლო აწცა მრავალნი კაცნი არიან, რომელნი გარეშე იმკვებიან, ხოლო შინაგან სავსე არიან ყოვლითავე უშჯულოებითა. რამეთუ ჩუენ შორისცა ფრიადი ზრუნვად არს, ფრიადი მოსწრაფებად სინმიდისათვს სამოსელთაფსა, ბანისათვს პირისა და ყოვლისავე გუამისა, შუენიერებისათვს სამოსელთაფსა, ბრწყინვალებისათვს სახლთაფსა და ყოვლისათვსვე ჳორციელისა საქმისა, ხოლო სულისათვს არცა ერთი არს ზრუნვად და საურა-

¹ ფსალმ. 5,10. ² ესაია 1,4. ³ 2 სჯ. 32, 5-6.

ვი. არამედ უკუეთუმცა ვინ განაპო კაცად-კაცადისა ჩუენისა გონებად და გამოაცხადამცა დაფარულნი გულისანი, მრავალიმცა პოვა სულმყრალობად და მატლი და ნუთხი ფრიადი, – გულისთქუმათა მათ ვიტყვ ბოროტთა, რომელნი-იგი უსაძაგელეს მატლისა არიან, და სხუათა მათ ვნებათა – უპატიოებისა და ბილნებისათა.

ბოროტ იყო ჰურიათათსცა ესრეთ ყოფად, ამისთსცა აყუედრებს უფალი და უნესს საფლავად განგოზილად, შინაგან სავსედ ყოვლითა არანმიდებითა. ხოლო ფრიად უძკრეს არს და უმძიმეს ჩუენი ესე, რომელნი ღირსქმნილ ვართ ტაძარ ღმრთისა ყოფად, უკუეთუ ვიქმნეთ კუალად სამარე ზეღებულ ანუ საფლავებ განგოზილ და სავსე ყოვლითავე არანმიდებითა. ჰ დიდი ესე განსაცდელი! უკუეთუ სადა-იგი ქრისტე დაემკვდრა და სული წმიდად მოვიდა და საიდუმლონი ღმრთისანი აღესრულნეს, იქმნას მერმელა ესევეთარი იგი სამარე სავსე არანმიდებითა და სულმყრალობითა, რაოდენისა უბადრუკებისა ღირს არს საქმე ესე, რაოდენისა გლოვისა და გოდებისა, ოდეს ასონი იგი ქრისტესნი იქმნენ საფლავ დაყროლებულ?!

ისმინეთ, რასა იტყვს მოციქული: „თქუენ ხართო ჯორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანნი“.¹ გულისწმა-ყავ, კაცო, დღე იგი მეორედ შობისად, ვითართა კეთილთა ღირს იქმენ, ვითართა სამკაულითა შეიმკვე, ვითარ ტაძარ ღმრთისა იქმენ, არა ოქროთა განგლეხილ და მარგალიტითა მოსხმულ, არამედ სულითა წმიდითა განბრწყინებულ. ან უკუე ეკრძალე თავსა შენსა, რადთა არა იქმნე კუალად ქუაბ ავაზაკთა და საფლავ, სავსე არანმიდებითა. გულისწმა-ყავ, ვითარმედ პალატსა შინა სამეუფოსა აკალდამად არა ეშენების. ეგრეთვე შენ, იყო თუ საფლავ განგოზილ და სამარე ზეღებულ, ზეცისა იერუსალჴმსა ვერ შეხუალ, და უფროხად ვთქუა, ვითარმედ აქაცა საძაგელ იქმნები ყოველთა შორის. უკუეთუმცა ვის ეტკრთა გუამი მკუდრისა დაყროლებულისად და მიმოვიდოდა, არამცა ყოველნი ივლტოდესა მისგან? ეგრეთ არიან, რომელთა სულნი ცოდვათაგან მკუდარ არიან და უშჯულოებათაგან დაყროლებულ. ვინმცა შეინყალა ესევეთარი იგი? უკუეთუ მან თვთ არა შეინყალოს თავი თვისი, სხუამან ვითარ შეინყალოს იგი? მითხარლა, კაცო, უკუეთუმცა ვინ ადგილსა სერობისა და სიხარულისა შენისასა დაჰფლა გუამი მკუდრისად, არამცა გიძნდა საქმე იგი? ხოლო ან შენ სულსა ცოდვითა მომკუდარსა დასდებ გუამსა შინა, სადა-იგი ქრისტემან სავანე-ყო თანა მამით და სულით წმიდითურთ, და არა გეშინისა, ნუუკუე ელვანი და მეხის-ტეხანი მოინინენ შენ ზედა ზეცით? ანუ ვითარ იკადრო ტაძრად ღმრთისა შესლვად, არა თუ განინმიდო თავი შენი ესევეთარისა ბილნებისაგან ცრემლითა მით სინანულისადათა?

¹ 1 კორ. 12, 27.

ჰბაძევედ, კაცო, მეძავსა მას, რომელმან სცხო ნელსაცხებელი ფერჯთა ქრისტესთა და სახლი იგი აღავსო სურნელებითა. და ნუ უფროდსად წინააღმდეგომსა იქმ, რადთამცა აღავსე სახლი ღმრთისად სულმყრალობითა. ნუ ამას ხედავ, თუ შენ არა იყნოსებ სულმყრალობასა მას; ესე უფროდსად უძკრეს არს, რომელ სრულიად საცნობელნი შენნი დაყოფილ არიან. განიფრთხვე და გულისჯმა-ყავ სენი იგი ბოროტი ცოდვისად და განკურნე თავი შენი, ვიდრელა ჟამი არს კურნებისად. არა გესმისა, რასა ჰგალობ დღითი-დღე? „ნარემართენ ლოცვაჲ ჩემი, ვითარცა საკუმეველი, შენ წინაშე“.¹ ან უკუეთუ საკუმეველისა წილ კუამლი სულმყრალობისად აღვიდოდის შენგან და საქმეთა შენთაგან, ვითარმცა არა საშჯელსა მძიმესა ღირს იქმენ? რად არს კუამლი იგი სულმყრალობისად? მრავალნი მოვლენ ეკლესიად და ლმობიერად ლოცვისა წილ და ვედრებისა განიცდიან ქმნილკეთილობასა დედათასა და სახნიერობასა ყრმათასა; რად არს უკუე, არა გიკვრსა, ვითარ არა ცეცხლი მოივლინების ზეცით, ანუ განელების ქუეყანად და დაანთქამს ესევეთართა მათ?

ჭეშმარიტად ესე საქმენი ღირს არიან ცეცხლისა და წუმნუბისა და მწარისა მის გეჰენისა, გარნა ღმერთი სულგრძელ არს და მრავალმონყალე და არა მოავლენს რისხვასა, არამედ დრო-გუცემს და მიგკნოდს სინანულად. რასა იქმ, ჰ კაცო, შუენიერებასა დედათასა განიცდია ტაძარსა შინა ღმრთისასა და არა სძრნი, არცა გეშინის? ურაკპარაკად შეგირაცხიესა ეკლესიად და უბანთაებრ უნესობისა ადგილად? რამეთუ უბანთა ზედა გრცხუენინ გლისპად ხედვაჲ დედათად, ხოლო ტაძარსა შინა ღმრთისასა, სადა-იგი ამის მეზრ საქმისათჳს გამცნებს უფალი, ვითარმედ: „რომელმან მიხედა დედაკაცსა გულისთქუმად მას, მუნვე იმრუშა გულსა შინა თჳსსა“;² არა შეიკდიმებ სიძვად და მრუშებად თუალითა და გულითა? არცა შეედების ძრწოლად ძუალთა შენთა ესევეთარისა მედგრობისათჳს?

ამას ესევეთარსა საქმესა თეატრონნი გასწავლიან თქუენ, წყარონი იგი წარწყმედისანი, წამალნი იგი მაკუდინებელნი. ამისთჳს ეტყჳს წინააღმართმეტყუელი ესევეთართა მათ, ვითარმედ: „არა არიან თუალნი შენნი კეთილ, არცა გული შენი – წრფელ“.³ უმჯობეს იყო ესევეთართა მათთჳს, თუმცა ბრმა იყვნეს, ვიდრელა ესრეთ თუალთა მიერ წარწყმედაჲ სულთა თჳსთად. არა გესმისა, ვითარმედ მოციქულთა ზე ზოგად იყვნეს მამანი და დედანი, და ყოვლადვე გულისსიტყუაჲცა ვნებული არავის მოუჭდებოდა? იყვნესო ქორსა მას შეკრებულ მამანი და დედანი,⁴ და ესოდენი სინმიდე იყო მათ შორის, ვიდრელა სული წმიდაჲ დიდებითა და ძლიერებითა დიდითა მოვიდა მათ ზედა. და დედათაცა დიდი სიმჯნე აჩუენეს, და მრავალთა მადლი მოციქულეებისად მიიღეს, და მამანიცა მალალსა მას საზომსა სინმიდისასა მინვენულ იყვნეს.

¹ ფსალმ. 140,2.

² მათ. 5,28.

³ იერ. 22,17.

⁴ შდრ. საქმე 1,14.

ხოლო ან ჩუენ უბადრუკთა ამათგან და სანყალობელთა ყოველივე ესე ნარწყმდა, რამეთუ მამანი უძკრეს იქმნეს ცხენთა მდრანჯობელთა, და დედათა წესი პატროსნებისად შეცვალეს სახედ მეძავთა. ამისთვის ვიქმნენით ყოველნი საფლავ, სავსე ძუალებითა მკუდართაჲთა, და ყოვლითა არანმადებითა გარეშევიმკვებით, რაჲთა სათნო-ვეყოფოდით კაცთა, ხოლო შინაგან სავსე ვართ ყოვლითა ბოროტითა ცოდვისაჲთა, რომლისაგან აღვალს სულმყარალობაჲ შემაურვებელი, რომელი განიოტებს ჩუენგან სულსა წმიდასა.

ამისთვის გევედრები, საყუარელნო, დავსცხრეთ ესევითართა ამათ ვნებათაგან და ნუ აღვიტყინებთ თავთა ჩუენთათჳს უმეტესად ცეცხლსა მას გეჰენისასა; აღვიხილნეთ თუალნი გონებისანი და განვიწმიდნეთ სულნი ჩუენნი სინანულითა და კეთილისა საქმითა, რაჲთა სანუთროდცა ესე ცხოვრებაჲ სინმინდით აღვასრულოთ და საუკუნოთა მათ კეთილთა ღირს ვიქმნეთ მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ოდ

სიტყუად ესე: **„ვად თქუნდა, მნიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაღსწარმეტყუელთასა და შეამკობთ მოსაწსენებელსა მართალთასა და სთქვთ: უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაღსწარმეტყუელთასა“** (23,29-30).

თარგმანი: არა თუ ამისთვის არს ვად მათდა, რომელ აღაშენებენ საფლავებსა წინაღსწარმეტყუელთასა და შეამკობენ მოსაწსენებელსა მათსა, ანუ რომელ აბრალებენ მკლველთა მათთა, არამედ ამისთვის არს ვად მათდაო, რომელ საქმეთა მათ და სიტყუათა ესევეითართა მიერ იჩემებენ ბრალობასა მამათა მათთასა, და იგინი უძკრესსა მათთასა იქმან. და რადთა სცნათ, ვითარმედ იჩემებდეს სიტყუათა მათ და არა ჭეშმარიტებით იტყოდეს, ისმინეთ ლუკასი, ვითარ იტყვს: „ენამებით სადმე და თანასათნო-ეყოფითო საქმესა მამათა თქუნთასა, რამეთუ მათ მოსწყდნეს წინაღსწარმეტყუელნი, და თქუნ საფლავთა მათთა აშენებთ“.¹ – გამოაჩინებს უკუე და განაქიქებს გონებათა მათთა, თუ ვითარითა გულისსიტყვთა აშენებდეს: არა პატივისათვისო წინაღსწარმეტყუელთადასა, არამედ საცნაურ-ყოფად მოკლვისა მათისა. ნუუკუე სიგრძესა ჟამისასა უცნაურ იქმნენ საფლავნი მათნი, და დაივიწყოს ბოროტისა მის კადნიერებისა მათისა მხილებად. ესრეთ აშენებდეს საფლავთა მათ, ვითარცა საძღველთა რათმე, და იქადოდეს საქმესა მას ზედა – წინაღსწარმეტყუელთა კლვისასა. ესრეთ უკუე იტყვს უფალი, ვითარმედ: აწინდელნი ესე საქმენი თქუნნი გამოაჩინებენ, თუ ვითარითა გულისსიტყვთა იტყვთ სიტყუათა მაგათ: **„უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაღსწარმეტყუელთასა. სწამებთ სადმე თავით თვსით, ვითარმედ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაღსწარმეტყუელთანი“** (23,30-31).

რად ცოდვად აქუს შვილსა კაცისმკლველისასა? უკუეთუ გონებითა არა თანაზიარ იყოს მისა, ჭეშმარიტად არარად. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა თუ მკლველობისა მისთვის მამათა მათთადასა აბრალებს, არამედ რომელ უკეთურებითა თვსნი და მახლობელნი მათნი იყვნეს; და ესე ისწავე შემდგომისა ამის სიტყვსაგან, რამეთუ იტყვს:

სახარებად: **„და აწ თქუნცა აღავსეთ სანყაული მამათა თქუნთაჲ. გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სასჯელსა გეჰენისასა?“** (23,32-33).

¹ ლუკ. 11,48.

თარგმანი: ვითარცა ნაშობნი იგი იქედნეთანი წამლითა მით გესლიანითა მსგავს არიან მშობელთა მათთა, ეგრეთვე თქუენ მკლველობითა და მესისხლეობითა მსგავს ხართ მამათა თქუენტა. რამეთუ იგი თავადი მხედველი იყო გონებათაჲ, ამისთვის დაფარულნი მათნი და უცნაურნი მრავალთაგან გამოაცხადნა, რაჲ-იგი ეგულეობდა ყოფად. ვინაჲთგან თქუა, ვითარმედ: „სწამებთ სადმე თავთა თქსთათჳს, ვითარმედ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაჲსწარმეტყუელთანი“, რაჲთა აჩუენოს, ვითარმედ არა წორციელისა თქსებისათჳს იტყჳს, არამედ მსგავსებისა მისთვის უკეთურებისა; და რაჲთა გამოაცხადოს, ვითარმედ ტყუილ იყო სიტყუაჲ მათი, რომელსა იტყოდეს, თუ: „არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაჲსწარმეტყუელთაჲსა“, ამისთვის შესძინა სიტყუაჲ იგი: „და ან თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენტაჲ“. არა თუ უბრძანებს ამას ყოფად, არამედ წინაჲთვე იტყჳს ყოფადსა მას; ესე იყო მისი იგი ჯუარ-ცუმად.

ესე აკლდა საწყაულსა მას ჰურიათა უშჯულოებისასა, და აღავსეს იგი ნათესავმან მან ბოროტმან, შვილთა მათ უშჯულოებისათა. საცნაურ არს უკუე სიცრუე ტყუილისა მის მათისაჲ, რომელ იტყოდეს, ვითარმედ: „უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენტასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაჲსწარმეტყუელთასა“. რამეთუ რომელთა მეუფესა არა ჰრიდეს, არცა შეიკდიმეს, ვითარმცა ჰრიდეს მონათა? ამისთვის იტყჳს: „გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ სატანჯველსა გეჰენისასა?“ რომელნი-ეგე ესევითართა ბოროტთა მოქმედნიცა ხართ და ტყუილით იჩემებთ დაფარვასა უშჯულოებისა თქუენისასა. მერ-მე კუალად ამხილებს და ეტყჳს:

სახარებაჲ: „ამისთვის აჰა ესერა მე მოგავლინნე თქუენდა წინაჲსწარმეტყუელნი, ბრძენნი და მნიგნობარნი, და მათგანნი მოსწყვდნეთ და ჯუარს-აცუნეთ და მათგანნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქუენტა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად“ (23,34).

თარგმანი: რაჲთა ვერ თქუან, ვითარმედ: დალაცათუ ქრისტე ჯუარს-ვაცვთ, არამედ წინაჲსწარმეტყუელთა ზე თუმცა ვიყვენით, არამცა თანაზიარ ვიქმნენით სისხლთა მათთა, ამისთვის ეტყჳს უფალი, ვითარმედ: „აჰა ესერა სხუანიცა მოგივლინნე წინაჲსწარმეტყუელნი, ბრძენნი და მნიგნობარნი“. ესენი იყვნეს წმიდანი მოციქულნი, სავსენი მადლითა წინაჲსწარმეტყუელებისა და ნიშებისა და სასწაულებისაჲთა, რომელნი-იგი მოსწყვდნეს და სდევნიდეს: იაკობ, ძე ზებედესი, მოკლეს მახვლითა, წელითა ჰეროდესითა; იაკობ, ძმაჲ უფლისაჲ, განტკუნეს ტაძარსა შინა; სტეფანეს ქვაჲ დაჰკრიბეს; პეტრე შეკრეს ჯაჭვთა მრჩობლითა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: სათნოებისათჳს ჰურიათაჲსა ქმნა ესე ბოროტმან ჰეროდე და შესუა იგი საპყრობილედ და მისცა ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა ცვად. ესე ედვა გულსა, ვითარმედ დღეთა მათ შემდგომად ზატიკობისათა აღმოჰ-

გუაროს იგი და მისცეს ჴელთა ერისათა, რამეთუ წადიერ იყვნეს მოკლვად მისა და წყურიელ იყვნეს სისხლისა მისისა დათხევად.¹ კუალად პავლესტს დიდი მოსწრაფება დადვეს მოკლვად და შეჩუენებულ-ყვნეს თავნი თჳსნი არარაჲსა გემოჲს-ხილვად, ვიდრემდე მოკლან იგი.² და ყოვლით კერძო გამოაჩინნეს თავნი თჳსნი, ვითარმედ ნაშობნი არიან მკლველთა წინაჲსწარმეტყუელთანი და მიმსგავსებულნი გონებათა მათთა, უფროჲსლა ფრიად უძკრესნი და უბოროტესნი მათსა.

რამეთუ ამათ ქმნეს თავი იგი და აღსასრული ყოველთა ბოროტთაჲ. მამათა მათთა მონანი იგი მოვლინებულნი მოღებად ნაყოფისა მისგან ვენაჴისა მოსწყდნეს, ხოლო ამათ ძე იგი მხოლოდშობილი, უფალი და მეუფე ყოველთაჲ, მოკლეს, და მონანი იგი, ქორწილად მწოდებულნი, აგინნეს და მოსწყდნეს. ამისთჳსცა ეტყჳს უფალი: „გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერნეთ საშჯელსა მას გეჴენისასა?“ ამათ სიტყუათა მიერ ქადაგებაჲცა იგი იოვანესი მოაჴსენა, რომელმანცა ესრეთ უწოდა მათ, და სასჯელი იგი მერმისაჲ მის საუკუნოჲსაჲ წინაუყო. არამედ არცა სასჯელისა მის საუკუნოჲსა სიტყუაჲ, არცა გეჴენისა ჴსენებაჲ შეერაცხა მათ საშინელად, არამედ იყვნეს იგინი გულფიცხელ და უშიშ. ამისთჳსცა შემსგავსებულად უკეთურებისა მათისა ესმა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რათა მოიწიოსო თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, სისხლითგან აბელის მართლისაჲთ ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარაქიაჲსა, რომელი მოჴკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა. ამენ გეტყჳ თქუენ: მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა“ (23,35-36).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინაჲთგან უძკრეს ყოველთა სცოდეთ და არა შეიკდიმეთ პირველქმნულთა მათგან, ამისთჳს თქუენცა უძკრესი შეგემთხვოსო. არა გასმიესა, რასა იტყჳს ლამექ? ვითარმედ: „შკდგზის შური იძია კანისგან, ხოლო ლამექისგან – სამეოცდაათ შკდგზის“.³ რაჲსათჳს-მე? არა თუ მან ძმაჲ მოკლა, არამედ ამისთჳს, რომელ პირქმნულისა მისგან სახისა არა შეშინდა. და ესე არს, რომელსა იტყჳს ლმერთი წინაჲსწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „მივაგნეო ცოდვანი მამათანი შვილთა ზედა მესამედ და მეოთხედ ნათესავად მოძულეთა ჩემთა“.⁴ არა თუ რომელ-იგი სხუათა ცოდეს, მისთჳს სხუათამცა მიჴჴადა სასჯელი. ნუ იყოფინ! არამედ რომელთა-იგი იხილნეს მრავალნი ცოდვათათჳს ტანჯულნი და არა შეიკდიმეს, არამედ მათვე საქმეთა მოქმედ იქმნეს, ღირს არიან მათისა მის სასჯელისა და უძკრესისაცა მიღებად. ეგრეთვე ამათ ვინაჲთგან იცოდეს, თუ აბელისითგან ვიდრე აქამომდე რაოდენნი რისხვანი მოიწინეს კაცისმკლველთა ზედა, და თჳსითა პირითა წამებდეს: „უკუეთუმცა ვიყვენითო დღეთა მათ მამათა ჩუ-

¹ საქმე 12,3-4.

² საქმე 23,12.

³ დაბ. 4,24.

⁴ გამ. 20,5.

ენტა, არამცა ვიყვებითო მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაღსწარმეტყუელთადასა“; და მერმე იქმნეს იგინი მკლველ უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა და სხუათა მათ მოციქულთა და მართალთა მომწყუდედელ, სამართლად სწორი სასჯელისა პირველითგანთა სისხლის დათხევათათა მოინიოს მათ ზედა.

და იხილე, ვითარ ჯეროანსა ადგილსა აწსენა აბელი, რაფთა უჩუენოს, ვითარცა იგი შურით მოიკლა, ეგრეთვე ესენი შურითა ეძიებდეს მოკლვად უფლისა. ჰ უღმრთონო, რაფ-მე სთქუათ, რამეთუ მიღებულ არს თქუენგან ყოველივე სიტყუაჲ? არა გასმიოდაა, რაფ-იგი შეემთხვა კაენს? ნუუკუე დაიდუმაა ღმერთმან? ნუ იყოფინ! არა ისწავეთა, რაფ-იგი შეემთხვა მამათა თქუენტა მოწყუედისათჳს წინაღსწარმეტყუელთადასა? ვითარ უკუე არა შეშინდით, ვითარ არა შეიკდიმეთ? არამედ ნაკლულევანებაჲ საწყაულისა მის უმჯულოებისა მათისაჲ აღავსეთ და გარდაჰრიეთ; ამისთჳს თანამდეზ ხართ სასჯელისა მის უწყალოდასა.

ხოლო რომელსა ზაქარიას იტყჳს აქა? რომელნიმე იტყჳან, ვითარმედ იოვანეს მამასა იტყჳს; სხუანი იტყჳან, ვითარმედ მეორისა მის წინაღსწარმეტყუელისა ზაქარიასთჳს არს სიტყუაჲ ესე; სხუანი იტყჳან, ვითარმედ მღდელთმოძღურისა მისთჳს იტყჳს, რომელსა ორი ეწოდა სახელი: ზაქარია და იოდაე; რამეთუ ესე სამნივე მოკლნეს მათ. ხოლო უმეტესად ვჰგონებ, თუ მამასა მას წინამორბედისასა იტყჳს უფალი. და გულისწამა-ყავთ ორკეცი იგი კადნიერებაჲ მათი: არა თუ მოჰკლვიდეს ხოლო წმიდათა, არამედ არცა თუ ტაძარსა მას შინა ღმრთისასა და წინაშე საკურთხეველისა მის წმიდისა ჰრიდებდეს სისხლთა მათთა დათხევად.

ამათ სიტყუათა მიერ მათცა შეაშინებს და აუწყებს, რამეთუ: ვითარცა-იგი პირველთა მათ სისხლთა დათხევანი არა დაშთეს უშურისგებოდ, ეგრეთვე ამათ ზედა უფიცხესი შურის-გებაჲ არს. და მოციქულთაცა ნუგეშინის-სცემს, რაფთა უჩუენოს, ვითარმედ პირველთა მათცა მართალთა ეგრეთვე შეემთხვა. ამისთჳს წინაღსწარმეტყუელად და ბრძნად და მწიგნობრად სახელ-სდვა მათ, რამეთუ ყოველითა კეთილითა შემკულნი იყვნეს: „აჰა ესერა მოგივლინნეო წინაღსწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყდნეთ და ჯუარს-აცუნეთ“.

ჰ კაცთმოყუარებაჲ იგი ღმრთისაჲ მიუთხრობელი! წინაფთვე იცოდა, ვითარმედ არარაჲ სარგებელ ეყოფის მათ, არამედ უფროსად მივლინებულთა მათ მოსწყუედენ, და არავე უდებ-ყო ჩუენებაჲ თჳსი იგი სახიერებაჲ, რაფთა ყოველივე მიზეზი და ყოველი სიტყუაჲ მიელოს მათ. ამისთჳს, ვინაფთგან არა შეიკდიმეს, არამედ წინაღსწარმეტყუელნი მოსწყდნეს და უფალი ჯუარს-აცუეს და მოციქულნი მოკლნეს, ყოველთავე ბოროტთა სასჯელი მიეწადოს მათ სამართლად, რამეთუ პირველქმნულთა მათგან არა შეშინდეს, არამედ უძკრეს იქმნეს. დაამტკიცა უკუე უფალმან და თქუა: „ამენ გეტყჳ თქუენ: მოინიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა“. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: თავთა ზედა თქუენტა მოიქცეს ყოველი

ესე ბოროტი, და ძლიერი მიგეჯადოს შურის-გებად, შემსგავსებულად უშ-
ჯულოებისა თქუენისა.

მერმე ქალაქისა მის მიმართ მიაქცია სიტყუად თვისი, რადთა მოქალაქე-
თა ესმას და შეიგონონ; რამეთუ იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**იერუსალჴმ, იერუსალჴმ, რომელმან მოსწყვდენ წი-
ნაღსწარმეტყუელნი და ქვად დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა! რადენ-
გზის ვინებე შეკრებად შვილთა შენთად, ვითარცა შეიკრიბნის მფრინველმან
მართუენი თვისნი ქუეშე ფრთეთა, და არა ინებეთ!**“ (23,37).

თ ა რ გ მ ა ნ ი: უჩუენებს ჭეშმარიტსა მას განმართლებასა თავისა თვისი-
სასა, ვითარ ყოვლით კერძო ენება წყალობად ქალაქისა მის და მკვდრთა
მისთად, ვიდრელა ესოდენტა წინაღსწარმეტყუელთა კლვასა ზედაცა არა
ინება სრულიად გარემიქცევად წყალობისა თვისისად, არამედ მარადის ილუ-
ნიდა მათ და განბნეულებასა მათსა შეჰკრებდა. ხოლო მათ არა ინებეს,
არამედ კუალად ცოდვითა თვისითა განაბნევდეს თავთა თვისთა. და მო-
ილებს სახედ მოწყალებისა თვისისა მფრინველთა სიყუარულსა მართუეთა
მიმართ, რამეთუ დიდ არს სიყუარული მათი, და მარადის წინაღსწარმეტ-
ყუელნი სახესა ამას მოილებენ, ვითარცა მოსე იტყვს და დავით და სხუანი
მრავალნი. ისმინეთ უკუე შემდგომიცა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**... და არა ინებეთ! აჰა ესერა დაუტევებთ თქუენ
სახლსა თქუენსა ოჯრად**“ (23,37-38).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ვითარმედ შიშუელ იქმნების შესაკრებელი
თქუენი შენვენისაგან ჩემისა; რამეთუ ესე არს სრულიადი იგი ოჯრებად.
რამეთუ იგი თავადი არს, რომელი პირველითგან ჰფარვიდა და კეთილსა
უყოფდა მათ, ხოლო ვინაათგან დაუტევენა, ყოველი ოჯრებად და სრულიადი
წარწყმედად მოიწია მათ ზედა, და ყოველივე პატიოსნებად მათი უპატიოებ-
ად გარდაიქცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერით-
გან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათ**“
(23,39).

თ ა რ გ მ ა ნ ი: დიდებულსა მას დღესა მეორედ მოსლვისა მისისასა
იტყვს, ვითარმედ: მოვედო სიმდაბლით და სიმშვიდით, და არა შემინყნარეთ
მე, არცა ესოდენტა ამათ საკვრველებათად გრწმენა, არამედ გეგულების
ჩემი ჯუარ-ცუმად და მოციქულთა ჩემთა მოწყუედად და არა ინებეთ ცხო-
რებად თქუენი. ან უკუე სახლი თქუენი ოჯერ იქმნას, და თქუენ – ტყუე
და განბნეულ ყოველსა ქუეყანასა, ხოლო ჩემდა ხილვად არღარა ღირს
იქმნათ, ვიდრე უკუანაღსკნელსა მას დღესა მეორედ მოსლვისასა, ოდეს მი-
ხილოთ საშინელად მომავალი. ძრწოლად შეგედვას და აღმიაროთ მაშინ,

არამედ არარას გერგოს აღსაარებად იგი, რამეთუ მას ჟამსა არა არს სარგებელი სინანულისად.

ხოლო რომელ თქუა, თუ „ამიერიტგან“, არა მის ჟამისათჳს თქუა, ოდეს ამათ სიტყუათა იტყოდა, არამედ ჟამითგან ჯუარ-ცუმისა მისისა, რადთა ცნან, ვითარმედ იგი არს ძე ღმრთისად, თანასწორი მამისად, და იგი არს, რომელი წინაფსნარმეტყუელთა მიერ იტყოდა, რამეთუ ესევე სიტყუად წინაფთვე დავით ქადაგა: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათა“.¹ ამათ სიტყუათა მიერ აღდგომად მოასწავა და მეორედ მოსლვად, და ვითარმედ მაშინ ყოველთა თაყუანი-სცენ მას, და ყოველი მუჯლი მოდრკეს.

არქუთ ურწმუნოთა ჰურიათა, უკუეთუ არა აღესრულნესა ყოველნი სიტყუანი უფლისანი? თქუა, ვითარმედ: „მოგივლინნე წინაფსნარმეტყუელნი და ბრძენნი, და მოსწყდნეთ იგინი. და დაეტეოს სახლი თქუენი ოჯრად, და შეგემთხზნენ ჭირნი და ბოროტნი ურიცხუნი“. არა აღესრულაა ესე ყოველი? ჰე, ჭეშმარიტად, და ვერ გუაცოლობენ. ან უკუე ვითარცა ესე ყოველი აღესრულა, ეგრეთვე მეორედ მოსლვად მისი აღესრულების, და ყოველთავე ადიდონ იგი და თაყუანის-სცენ. არამედ მაშინ არცა ურწმუნოთა სარწმუნოებად მოსლვად ერგების, არცა უნანელთა – სინანული.

სწავლად ოდ

რადთა ვისწრაფოთ აქავე კურნებად წყლულებათა სულთა ჩუენთასა

ამისთჳს გევედრები, საყუარელნო, ვიდრე ჟამილა გუაქუს, ვიქმოდით კეთილსა, რამეთუ არცა მენავეთმოძღუარსა, უკუეთუ უდებებითა თჳსითა დაანთქას ნავი თჳსი, არცა მკურნალსა, ვინაფთგან მოკუდეს სნეული, ჴელენიფების რადსამე ქმნად სარგებელისა, არამედ კაცად-კაცადსა პირველ აღსრულებისა საქმეთა მათ უჴმს ღონის-ძიებად რადმე, რადთა არა შთავარდეს დანთქმასა და სირცხვლსა. ეგრეთვე ჩუენ, ვიდრემდე სოფელსა ამას შინა ვართ, ვილუანოთ განკურნებად წყლულებათა მათ და სენთა სულთა ჩუენთასა და განვაგდოთ ჩუენგან ყოველი ბინი და ყოველი ნაოჭი ცოდვისად, რადთა მრთელნი და შუენიერნი სულითა წარვიდეთ ამიერ და არა უსარგებლოდ ვინანდეთ შემდგომად სიკუდილისა, რამეთუ არა არს მაშინ აღსაარებად და სინანული.

ჴ საკვრველი, რომელ ჴორცთა ჩუენთა ესრეთ მოსწრაფებით და ხარკებით ვჴკურნებთ, უკუეთუ რადმე გუელმოდის (და რად ვიტყვ ჩუენთა გუამთა? გარნა მონად თუ გუყვეს და ვიხილოთ იგი სნეულად, ყოველსავე ღონესა ვაჩუენებთ განკურნებად, რადთა მსახურებად მისი არა დაგუჭირ-

¹ ფსალმ. 117,26.

დეს), და სულნი ჩუენნი ესოდენთა სენთაგან ცოდვისათა შეპყრობილ არიან, და ყოვლადვე არა ვილუნით, არცა წამალსა დავსდებთ, არცა მკურნალთა ვევედრებით, არცა საფასესა წარვაგებთ, არამედ ვითარმცა მბრძოლი ვინმე და მტერი ჩუენი მდებარე იყო, ესრეთ თანაწარვჭდებით და უდებგკყოფიან სულნი ჩუენნი.

ილუანე, კაცო, უფროდს ყოვლისა სული შენი. არა თუ ვიტყვ, რაათა მონანი ანუ მოყუასნი უდებ-ვეყნეთ. ნუ იყოფინ! არამედ ამას ვიტყვ: აჩუენე სულისაცა შენისა კურნებად და ნუ უდებ-ჰყოფ მას. მოიძიენ მკურნალნი, უჩუენე სენი შენი ჰავლეს, მოუნოდე მათეს, ევედრე იოვანეს, ისმინე მათგან, თუ რაა წამალი საჭმარ არს შენდა. უეჭუელად გითხრან და არა დაგიფარონ, რამეთუ არა მომკუდარ არიან, არამედ ცხოელ არიან და დლითი-დღე გუეტყვან; არა ეძიებენ საფასეთა, არამედ უსასყიდლოდ ჰკურნებენ, რომელთაცა მიიღონ კურნებად მათი; და წამალთათვცა, რომელთა მოგცემენ, არა გიჭმს წარსაგებელი თვნიერ ხოლო მონყალეებისა. რამეთუ სხუათა ყოველთაგან ჯორციელიცა მეზრ სარგებელი მოგცემის: ოდეს სინმინდესა გასწავლიდენ, ცუდთა და ამაოთა წარსაგებელთაგან გიჭსნიან, ოდეს მთრვალობისაგან განშორებასა გიბრძანებდენ, უფროდსად განგამდიდრებენ. იხილეა ველოვნებად კურნებისა მათისა? არა ხოლო თუ უსასყიდლო არს, არამედ განმამდიდრებელცა. დაადგერ მათ თანა და ისწავე ყოველთა მათ სენთა შენთა ბუნებადცა და კურნებადცა. უკუეთუ საჭმართმოყუარებითა სნეულ ხარ და ანგაჰრებითა, ისმინე სიტყუად მკურნალისა მის, რასა გეტყვს: „რომელთა ჰნებავსო სიმდიდრე, შთავარდებიან განსაცდელსა და გულისთქუმათა მავნებელთა, რომელნი დაანთქმენ კაცსა წარსანყმედელად“;¹ და კუალად იტყვს: „უფალი ახლოს არს, ნურას იურვით“;² და „ძირი ყოველთა ბოროტთა არს ვეცხლისმოყუარებად“.³

გნებავსა ხილვად სხუად მკურნალი? ისმინე მისიცა განწესებად: „ვერ ველ-გენიფებისო მონებად ღმრთისა და მამონადას“;⁴ და კუალად გასწავლის სახესა სიმრთელისასა და იტყვს: „ნუ იუნჯებთო ქუეყანასა ზედა, სადა მლილმან და მჭამელმან განრყუნის, და მპარავთა დათხარიან და განიპარიან“.⁵ ხოლო ამას ყოველსა თანა გიჩუენებს სახესაცა, რაათა იხილნენ სნებისა მის ბოროტნი, და წინაგყოფს მდიდარსა მას, რომელი წადიერ იყო მიმთხუევად ცხოვრებისა და სიმრთელისა და ვერ უძლო მიმთხუევად ანგაჰრებისაგან მისისა.⁶ და კუალად ამას თანა სხუად მახარებელი გიჩუენებს მეორესა მას მდიდარსა, რომელი ინუებოდა ცეცხლსა შინა და არცა თუ ნუეთისა ერთისა წყლისა უფალ იყო.⁷

კუალად იტყვს სახიერი იგი მკურნალი, ვითარმედ: „შეუძლებელი კაცთაგან ღმრთისაგან შესაძლებელ არს“;⁸ რაათა სცნა, ვითარმედ და-

¹ 1 ტიმ. 6,9. ² ფილიპ. 4,5-6. ³ 1 ტიმ. 6,10. ⁴ მათ. 6,24. ⁵ მათ. 6,19. ⁶ მათ. 19,16-22. ⁷ ლუკ. 16,24. ⁸ ლუკ. 18,27.

ლაცათუ მდიდარ იყო, ძალ-უც მკურნალსა მას კურნებად შენი, რამეთუ არა სიმდიდრე განაგდო წესისა მისგან, არამედ მონებად საფასეთად და ტრფიალებად ანგაჰრებისად; რამეთუ მდიდარსა უკუეთუ სიმდიდრე თვისი ზიარად აქუნდეს გლახაკთათს, ძალ-უც შესლვად ცხორებასა, და რადთა უმეტესისა მოგებად ექსორია-ყოს გულისაგან თვისისა, ვითარცა იყო ნეტარი იობ და დიდი აბრაჰამ, ისაკ და იაკობ და მსგავსნი მათნი, რომელნი სიმდიდრესაცა შინა სათნო-ეყვნეს ღმერთსა. მოიგე სხუადცა მკურნალი და უფროესლა სახე კურნებისად; იხილე მეზუერე ესე, რომელი შეპყრობილ იყო სენითა მით ანგაჰრებისათა და ადრე მიემთხვა კურნებასა და იქმნა უპოვარ, რამეთუ ერჩდა შჯულსა მას მკურნალისასა, რომელი მოვიდა უძღურებათა ჩუენთა ტვრთვად და სნეულებათა აღებად, რადთა ჩუენ ვისნაოთ სასოებისა არანარკუეთად. იხილე სხუადცა მეზუერეთა მთავარი, რომელმან აღუთქუა ზოგი ნაქონებისა მისისად მიცემად გლახაკთა, და უკუეთუ ვისმე ცილი დასდვა, მიგებად ოთხი წილი, შესლვასა მას უფლისასა სახედ მისა.¹

ხოლო შენ, უკუეთუ შეინუები გულისთქუმითა მრავალთა საფასეთადთა, ისმინე სხუადცა წამალი, მოცემული უფლისა მიერ: „ყოველმან, რომელმან დაუტეოსო სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამად, ანუ დედად, ანუ ცოლი, ანუ შვილი, ანუ ქუეყანად სახელისა ჩემისათს, ასი წილი მიიღოს და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროს“.²

ვინადთგან ესევითარნი აღთქუმანი მოცემულ არიან ჩუენდა, რადსათს უდებ ვართ, ძმანო, რადსათს დაწსნილ ვართ? არა ვხედავთა პავლეს, ვითარ იქადოდა ჭირთა შინა და ნაკლულევანებათა, არა თუ განსუენებათა და სიმდიდრეთა? და ყოველსავე მწედარსა, ოდეს იბრძოდის და გკრგკნოსან იქმნებოდის, მაშინ უხარინ, არა თუ ოდეს მოცალედ არნ და უდებად. ეგრეთვე ვაჭარმან პოის რად სიმდიდრე ვაჭრობისაგან, არლარასადა სნადინ შინა ჯდომად, არამედ ზღვთ და ჴმელით ვალნ და ვაჭრობასა მოირენნ. ან უკუე ჩუენცა თუ ვიხილოთ გემოდ ნაყოფთა მათ სულიერთად, ვითარცა ჯერ-არს, მიერითგან არარად შევჰრაცხოთ სანუთროდ ესე ყოველი, რაჟამს შეპყრობილ ვიქმნეთ სურვილითა სასუფეველისადთა, ვითარცა მთრვალობითა კეთილითა.

ჴე, ძმანო, განვიცადოთ და ვიხილოთ გემოდ მის სიტკობებისად, რადთა სიმნარე ესე სანუთროდსად განვადგოთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდებად თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ლუკ. 19,8.

² მათ. 19,29.

თაზი ოე

სიტყუად ესე: „და გამოვიდა იესუ ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუწდეს მას მოწაფენი მისნი და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: ხედავთ სამე ამას ყოველსა? ამენ გეტყვ თქუნენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, ვიდრემდე ყოველი დაირლუეს“ (24,1-2).

ვინაფთგან ზემო თქუა უფალმან ჰურიათა მიმართ, ვითარმედ: „და-ეტეოს სახლი თქუენი ოვრად“,¹ და სხუანი იგი მრავალნი ძნელოვანნი მონვენადნი მათ ზედა აუნყნა, ესმა ესე ყოველი მონაფეთა და უკვრდა. ამისთჳს მოუწდეს მას და უჩუენებდეს შენებასა მის ტაძრისასა, ვითარცა განკვრეებით, უკუეთუ ნანდკლვე ესოდენი შუენიერებაჲ და ჴელოვნება-ნი იგი ნაქმართანი და ნივთნი იგი დიდფასისანი ოვრებად მიეცნენ. ხოლო უფალმან განცხადებულად ჰრქუა მათ, ვითარმედ: „ხედავთ სამე ამას ყოველსა“ და გიკვრს? „ამენ გეტყვ თქუნენ: არა დაშთეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, ვიდრემდე ყოველი დაირლუეს“.

ნუუკუე თქუას ვინმე, ვითარმედ: იპოებიან ანცა ადგილნი მის ტაძრისანი, არა სრულიად დარლუეულნი; ვითარ უკუე იტყვსო, თუ: „არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა“? და რაჲ არს ესე? ამისგან სიტყუად მისი არა დავარდების, რამეთუ მას ადგილსა, სადა მაშინ უფალი დგა და ესე სიტყუად თქუა, არა დაშთომილ არს ქვაჲ ქვასა ზედა ვიდრე საფუძველადმდე; ხოლო სხუათა ადგილთა დაღაცათუ მცირედი რაჲმე ჩანს კედლები, არამედ იგიცა დარლუევად არს. ვინაფთგან სრულიადი ოვრებაჲ მისი იქმნა, რომელიმცა უგუნური იჭუეულ იყო სიტყვსა მისთჳს?

და კუალად ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ: ამისთჳს ჩანს ადგილი ტაძრისაჲ მის და კნინოდენი შენებული – სამხილებელად ჰურიათა უკეთურებისა და საკდემელად მათისა მის გარდამატებულისა გულფიცხელობისა. უკუეთუ არა, ვინმცა უმეცარ იყო დარლუეულისა მისგან, ვითარმედ დაშთომილიცა იგი სრულიად დარლუევად არს.

სახარებაჲ: „და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუწდეს მას მოწაფენი თჳსაგან და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ არს სასწაული შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ?“ (24,3).

თარგმანი: ამისთჳს თჳსაგან მოუწდეს, რამეთუ საქმეთათჳს დიდ-თა ჰკითხვიდეს, რამეთუ სურვიელ იყვნეს სწავლად დღესა მას მოსლვისა მისისასა, რაჲთა ღირს იქმნესმცა ხილვად დიდებასა მას გამოუთქუმელ-

¹ მათ. 23,38.

სა და მიმთხუევად კეთილთა მათ დაუსრულებელთა. და იყო კითხვად მათი ორისა საქმისათვის: „მიტხარ ჩუენ, ოდეს იყოსო ესე?“ რომელი „ესე“? – დარღუევად იგი მის ტაძრისად. ვითარმცა ეტყოდეს, თუ: გუაუნყე, რომელი-ესე ან სთქუ, ვითარმედ: „არა დაშთეს აქა ქვად ქვასა ზედა, ვიდრემდე ყოველი დაირღუეს“, ოდეს ყოფად არს ესე საქმე? და კუალად თქუეს: „რად არს სასნაული შენისა მის მოსლვისად და აღსასრული ამის სოფლისად?“ ერთად, დარღუევად ამის ტაძრისად და მოოვრებად იერუსალჴმისად ოდეს იყოსო, და მეორედ, რად სასნაული ვიცოდითო შენისა მის კუალად მოსლვისად და აღსასრული ამის სოფლისად. ხოლო ლუკა მახარებელი ერთსა ოდენ იტყვს საქმესა კითხვად – დარღუევისა მისთვის იერუსალჴმისა, რამეთუ ჰგონებდეს მაშინვე ყოფად მოსლვისა მისისა. და კუალად მარკოზ იტყვს, ვითარმედ სიტყუასა ამას პეტრე და იოვანე ინყეს კითხვად, ვითარცა უმეტესისა კადნიერებისა ღირსქმნულთა.¹

სახარებად: „მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეკრძალენით, ნუ ვინმე გატუნნეს თქუენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ. და გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი. იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული“ (24,4-6).

თარგმანი: რამეთუ ესმოდეს განსაცდელნი იგი იერუსალჴმისა ზედა და მონენადნი და ვითარცა უცხოად რამე საქმე აქუნდა; და ჰგონებდეს, თუ მათდა ყოვლადვე არარად ძკრი შემთხუევად არს, არამედ მოკლედ მიემთხუევიან სასუფეველსა ცათასა მათ სადმე დღეთა; ამისთვის უფალი კუალად ჭირთა და განსაცდელთა შემთხუევასა აუნყებს, რათა შეურვებულ იყვნენ და ფრთხილ გონებითა, რათა არცა მაცთურთა და ცრუნი-ნაფსნარმეტყუელთაგან სცთებოდინ, არცა მონენადთა მათ განსაცდელთაგან დაივსნებოდინ. რამეთუ ორკერძო იყოსო ბრძოლად: მაცთურთაგან და მბრძოლთაგან. და ნანდვლვე ფრიადიცა იქმნა შფოთი ბრძოლათა მათგან ჰრომთაჲსა, რაჟამს მიეცა მათ ჴელმნიფებად, და მოოვრდებოდეს ქალაქნი, და აღიდრვოდეს მჴედრობანი. ხოლო სიტყუად ესე, თუ: „გესმოდინ ბრძოლანი“, ბრძოლათა მათთვის იერუსალჴმისათა თქუა, არა თუ ყოვლისა სოფლისათა, რამეთუ არა იყო მაშინ მათი სიტყუად ანუ ზრუნვად ბრძოლათათვის სოფლისათა. და ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ უკუეთუმცა ბრძოლათათვის სოფლისათა იტყოდა, არარამცა საკვრველი იყო ანუ ახალი რამე საქმე, რამეთუ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი სოფელსა შინა პირველითგანვე იყვნეს, და რად სათქუმელ იყო ანუ მოსასწავებელ ესე სიტყუად? არამედ მათ ბრძოლათა მოასწავებს, რომელნი იერუსალჴმისა ზედა მონენად იყვნეს, და ბოროტთა მათ, რომელნი შემთხუევად იყვნ-

¹ მარკ. 13,3.

ეს ჰურიათადა ზედამოსლვითა მით ჰრომთაფთა შემდგომად ჯუარ-ცუმისა უფლისა.

ხოლო რაფთა აუნყოს, ვითარმედ არა კაცობრივ არიან ბრძოლანი იგი ჰურიათა ზედა, არამედ რისხვითა მით უფლისაფთა, ამისთჳს არა ბრძოლათა მონვენასა ხოლო იტყჳს, არამედ ნყლულეებათაცა ზეგარდამოთა: სიყმილთა და ძრვათა და სრვათა, რაფთა ცნან, ვითარმედ ბრძოლანიცა მის მიერ მომავალ არიან რისხვითა მით ზეგარდამოფთა ჰურიათა ზედა. ხოლო რაფთა არა ესმოდის მონაფეთა სიმრავლე იგი და სიმძაფრე განსაცდელთაფ მათ და ჰგონებდენ, თუ ეგულეების მათისაცა ქადაგებისა დაჳსნად, ამისთჳს შესძინა თქუმადა: „იხილეთ და ნუ შესძრნუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად“. ესე იგი არს, რომელი ან გაუნყე და მიგიტხარ. არამედ მონვენამან მან განსაცდელთამან ვერ უძლოს სიტყუათა ჩემთა დაჳსნად ანუ ქადაგებისა მის შერყევად. ხოლო ვინაფთგან ესმა მონაფეთა, ვითარ-იგი ჰრქუა უფალმან ჰურიათა, ვითარმედ: „არლარა მიხილოთ მე ამიერიფთგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაფთა“,¹ და ამის გამო ჰგონებდეს, თუ დარღუევასა თანა და მოოჳრებასა იერუსალჳმისასა მეყსეულად აღსასრულიცა სოფლისაფ იქმნების, ამისთჳს ჰრქუა უფალმან, ვითარმედ: „ჯერ-არს ესე ყოფად, არამედ არლა არს აღსასრული“. და რაფთა სცნათ, ვითარმედ ესევითარი აქუნდა მათ გულისსიტყუაფ მათისა მის კითხვისაფგან, გულისჳმა-ყაფთ, რამეთუ ესრე ჰრქუეს: „მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე?“ ესე იგი არს, ოდეს იყოს მოოჳრებაფ იერუსალჳმისაფო და „რაფ არს სასნაული შენისა მის მოსლვისაფ და აღსასრული ამის სოფლისაფ?“

ხოლო თავადმან არა მათისა მის სიტყჳსა მისცა მეყსეულად ჰასუხი, არამედ რაფ-იგი ჰირველად ყოფად იყო, მიუტხრა და მოსლვაფ იგი მაცთურთაფ აუნყა და განაკრძალნა მათგან, და მერმე მოოჳრებისათჳს იერუსალჳმისა მოასნავა, და უკუანაფს თჳსისა მისთჳს დიდებულისა მეორედ მოსლვისა შემოილო სიტყუაფ. „ეკრძალენითო, ნუ ვინმე მაცთუნნეს თქუენ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ“. ესე მაცთურთა მათთჳს მწვალეებელთა და ქრისტეს წინააღმდგომთათჳს თქუა, ვითარი იყო სკმონ მოგჳ, ვითარი იყო აპიონ, ანუ ვიონ, კირინთოს, კარპოკრატე, მანენ, კუფრიკოს და სხუანი მსგავსნი მათნი მრავალნი, რომელთათჳს იტყჳს იოვანე მახარებელი, ვითარმედ: ანცა ანტექრისტენი მრავალნი არიან;² და ნეტარი ჰავლე იტყჳს, ვითარმედ: „რომელთამე კეთილი გონებაფ განიშორეს და სარწმუნოებასა შეეცოდნეს, რომელნი-იგი არიან იმენეოს და ალექსანდროს, რომელნი-იგი მივსცენ ეშმაკსა, რაფთა ისნავლნენ არა გმობად“.³ და კუალად იტყჳს: „ხოლო ბილნთა მათ და ცუდთა ჳმათა განეშორე, რო-

¹ მათ. 23,39.

² 2 იოან. 1,7.

³ 1 ტიმ. 1,19-20.

მელ-იგი არიან იმენეოს და ფილიტოს“.¹ და რადთა არა მრავალთა წარმო-
ვიტყოდი, ამათ ესევეითართა მოასწავებს უფალი ან და განაკრძალებს მათ
საცთურისა მისგან მათისა და ყოველთა მათ გინა თუ კერპთმსახურებისა,
გინა თუ წვალებისა მეტყუელთა. მერმე განსაცდელთა მათთჳს იერუსა-
ლჳმისათა ინყო სიტყუად: „გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლა-
თანი. იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ესე ყოფად, არა-
მედ არლა არს აღსასრული“.

ამათ სიტყუათა მიერ ბრძოლანი იგი ჰრომთანი მოასწავნა, ჰურიათა
მიმართ ყოფადნი, და მონაფენი განამტკიცნა და აუნყა, ვითარმედ არა
მეყსეულად მონევნად არს აღსასრული. მერმე განავრცელებს უწყებასა
ყოფადთა მათ საქმეთასა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მე-
უფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილ-ადგილ.
ესე ყოველი დასაბამი სალმოზათაჲ არს“ (24,7-8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელთა სალმოზათა დასაბამსა იტყვს? სალმოზათა
მათ მონევნადთა ჰურიასტანსა ზედა. ესე იგი არს: ოდეს მოიწოდინ მათ
ზედა რისხვითა მით ზეგარდამოფთა სალმოზანი და ძვრნი, მაშინ სასწა-
ულად მონევნადისა მის რისხვისა იყვნენ ძრვანი და სიყმილნი და სრვანი
ადგილ-ადგილ ქუეყანასა მას ჰურიასტანისასა. ესე რად იხილოთ, ცანთო,
ვითარმედ დასაბამი არს სალმოზათა მათთაჲ.

მაშინ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფებაჲ ჰრომთაჲ აღიძ-
რას ჰურიასტანსა ზედა და ეგვპტესა და სპარსეთსა და სომხითსა. რამეთუ
ესრეთცა იქმნა: პირველად სხუათა მათ ჰბრძოდეს და მერმე მიაქციეს ყო-
ველი ბრძოლად ჰურიასტანსა ზედა. ხოლო ისმინეთ შემდგომიცა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა და მოგწყდნენ თქუენ,
და იყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემი-
სათჳს. და მაშინ დაბრკოლდებოდინ მრავალნი და ურთიერთას შინაგან-
სცემდენ. და მრავალნი ცრუნინაჲსწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნებ-
დენ მრავალთა. და განმრავლებითა უშჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარუ-
ლი მრავალთაჲ. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“
(24,9-13).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჯეროანსა ჟამსა შემოილო სიტყუად, მაუნყებელი ჭირთა
მათ მოციქულთა ზედა მონევნადთა. პირველად თქუა ზოგადი იგი გან-
საცდელი ჰურიათაჲ; მერმე ან იტყვს ბრძოლასა მას, რომელი მოციქულთა
ზედა ყოფად იყო ყოველისა სოფლისაგან, ჰურიათა მიერცა და წარმართთა;
ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მონევნად არს ჰურიათაცა ზედა ბრძოლად
და განსაცდელი, და თქუენ ზედაცა მოსლვად არიან მრავალნი ჭირნი და

¹ 2 ტიმ. 2, 16-17.

ინროებანი. არამედ ნუ ჰგონებთ, თუ ორივე ესე ერთისა მიზეზისაგან ყოფად არს. ნუ იყოფინ! რამეთუ მათ ზედა მონვენად არს ყოველი, რომელ ვთქუ, რისხვისაგან ზეგარდამოხსა, მომასწავებელად საუკუნოდა მის სასჯელისა, რომელი მიელის მათ. ხოლო თქუენ ზედა მოსლვად არიან ბრძოლანი მაცთურთაგან და ცრუნინაძსწარმეტყუელთა, ჰურიათაგან და წარმართთა, მეფეთაგან და მთავართა უშჯულოთა უმეტესისა განბრწყინვებისათჳს თქუენისა და გამოჩინებად ახოვნებისა თქუენისა და განსამრავლებელად სასყიდლისა თქუენისა, რამეთუ „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“ ცხორებითა მით დაუსრულებელითა, კეთილთა მათ შინა გამოუთქუმელთა სასუფეველისა ცათაჲსა. რამეთუ ზემო თქუა: „იხილეთო და ნუ შესძრუნდებით“, ხოლო აქა იტყჳს: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“. ხოლო რაჲთა არა თქუან, თუ: ვითარ უძლოთ ცხორებად ესოდენთა მათ ჭირთა შინა, ოდეს ყოველთაგან მოვსწყდებოდით და ყოველთაგან მოძულებულ ვიყვნეთ, და ყოველნი განმცემელ ჩუენდა იყვნენ, და სიყუარული არასადა იყოს, არამედ განმრავლებულ იყოს უშჯულოებად, და აღდგებოდინ მაცთურნი და ცრუნინაძსწარმეტყუელნი; ესოდენსა მას შფოთსა და განსაცდელსა შინა ვითარ წარემართოს ქადაგებად ჩუენი? ამისთჳს პირველვე განამტკიცებს და ეტყჳს: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“. და კუალად შესძინა და ჰრქუა, ვითარმედ: ქადაგებაჲცა თქუენი წარემართოს, და მოძლუარ ყოვლისა სოფლისა იქმნეთ. ვითარცა ესერა კუალად იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა. და მაშინ მოიწიოს აღსასრული“ (24,14).

თ ა რ გ მ ა ნ ი : მონვენასა აღსასრულისასა ან ამას ადგილსა იერუსალჳმისა მოოჯრებისასა იტყჳს, ვითარმედ პირველად იქადაგოსო სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და მაშინ მოიწიოს იერუსალჳმისა აღსასრული. ხოლო რაჲთა სცნა, ვითარმედ პირველ მოოჯრებისა იერუსალჳმისა იქადაგა სახარებაჲ ყოველსა სოფელსა, ისმინე, ვითარ იტყჳს ნეტარი პავლე: „ყოველსა ქუეყანასა განვდაო ჳმად მათი, და კიდეთა სოფლისათა – სიტყუანი მათნი“.¹ და კუალად იტყჳს: „სახარებაჲ იგი, რომელი იქადაგა ყოველსა სოფელსა, რომელ არს ცასა ქუეშე“.² და საცნაურ არს იგი, ვითარ იერუსალჳმითგან ვიდრე ილირიკედმდე და ვიდრე სპანიადმდე რბიოდა. ხოლო ვინათგან ერთმან ესოდენი ნაწილი სოფლისაჲ მოვლო, გულისჳმა-ყავ, თუ სხუათა მოციქულთა თითოეულმან რავდენნი ქუეყანანი მოვლნეს და ქადაგებდეს სახარებასა. ხოლო რაჲ არს ესე, თუ: „საწამებელად ყოველთა წარმართთა“? ესე იგი არს, სამხილებელად და საყუედრებელად და შემწა-

¹ რომ. 10,18; ფსალმ. 18,5. ² შდრ. კოლ. 1,23.

მებელად წარმართთა მათ, რომელთა არა ჰრწმენა. რამეთუ იქადაგა სახარებად ყოველსა სოფელსა, არამედ არა ჰრწმენა ყოველთა. ამისთვის იტყვის, ვითარმედ: საწამებელად და სამხილებელად ურწმუნოთა მათ წარმართთა, რამეთუ რომელთა ჰრწმენა, იგინი შესწამებდენ ურწმუნოთა და დასჯიდენ მათ. ხოლო ამისთვის პირველად იქადაგა სახარებად, და მაშინლა მოიწია მოოწრებად იერუსალჴმისად, რადთა არა აქუნდეს ადგილი სიტყვს-გებისად ჰურიათა ყოველადვე, რამეთუ იხილეს ძალი მისი, ყოველსა სოფელსა განფენილი, და სახარებად, ყოველთა კიდეთა ქადაგებულნი, რომელ-ესე დიდი სასწაული იყო ქრისტეს ძალისად, რომელ ოცსა გინა ოცდაათსა წელსა შინა ყოველი სოფელი დაიპყრა სიტყუამან მან ჭეშმარიტებისამან, და უბადრუკთა მათ ჰურიათა, რომელნი ურწმუნოებასა შინა ეგნეს, არავე შეიგონეს. ამისთვის მოიწიოს აღსასრული იერუსალჴმისად და მოოწრდესო იგი და იყოს დასათრგუნველად წარმართთა. რამეთუ ჭეშმარიტად ამას ადგილსა აღსასრულად იერუსალჴმისა მოოწრებასა იტყვს. და ესე საცნაურ არს შემდგომისა მის სიტყვსაგანცა, რამეთუ შემოილო სიტყუად წინადასწარმეტყუელებისად დასამტკიცებელად მათისა მის მოოწრებისა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოწრებისად, თქუმული დანიელ წინადასწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა,¹ რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისწმა-ყავნ“ (24,15).

თ ა რ გ მ ა ნ ი : აღუცსენნა სიტყუანი დანიელისნი, რადთა აღმოიკითხონ წინადასწარმეტყუელებად მისი და გულისწმა-ყონ. ხოლო საძაგელად მოოწრებისა უწესს ხატსა მას ძეგლოანსა მომაოწრებელისა მის, რომელი აღჴმართა ქალაქსა მას შინა და ტაძარსა, ამისთვის მოოწრებისად სახელსდვა. და რადთა ცნან, ვითარმედ ცხორებასავე ვიეთთამე მათგანთა ყოფად არს ესე, ამისთვის ეტყვს: „რაჟამს იხილოთო საძაგელი მოოწრებისად“.

და ესეცა სასწაული არს ქრისტეს ძალისად და მათისა მის ახოვნებისად, რომელ ჟამთა მათ, რომელთა ებრაელთა მიმართ ყოველთა ტომთა ბრძოლად დაუგებელი აქუნდა, იგინი ქადაგებდეს უშიშად. ოდეს-იგი ბრძანებად კეისრისად განაჩინებდა დევნულებისა დიდისა ყოფად მათ ზედა, და მსგავს იყო საქმე მათი, ვითარმცა ზღუად აღძრულ იყო ლეღვითა სასტიკითა, და ჰაერი დაბნელებულ იყო აღმურითა ვშირითა, და ნიავექარნი სასტიკნი ეკუეთებოდეს ურთიერთას, და ყოველნივე ნავნი, ზღუასა შინა მავალნიმცა, დაიქცეოდეს, და მწეცნი მძვნვარენი, უფსკრულთაგან აღმოსრულნი, შთანთქმიდესმცა ყოველთა, რომელნიცა შთაცვვიან ზღუად, და ელვანი ქუხილითურთ მეხის-ტეხით საშინელნი ისმოდეს, და ზღვსპირნი სავსემცა იყვნეს ავაზაკთაგან კაცთმკლველთა. ესევეითარსამცა ჟამსა, ესრეთ ძნელსა და ფიცხელსა, ჰრქუამცა მეფემან კაცთა ვიეთმე, უმეცართა ზღვსათა

¹ დან. 9,27.

და ყოვლადვე უჩუველთა, შესლვად ნავად და საჭეთა ჴელ-ყოფად და მენავთმოდღურობად და ერთითა ჴუამალდითა მცირითა წინაგანწყობად ნავთა ბევრეულთა, სავსეთა მბრძოლთაგან ძლიერთა. ეგრეთ იყო მაშინ საქმე იგი მოციქულთაჲ ძნელ და შეუძლებელ კაცობრივითა გულისსიტყვთა, რამეთუ წარმართთაგან მოძულეებულ იყვნეს, ვითარცა ებრაელნი, ჴურიათაგან იდევენბოდეს, ვითარცა წინააღმდგომნი შჯულისა მათისანი, ყოველნი მთავარნი მათ ჴბრძოდეს, ყოველნი ჴელმნიფენი, ყოველნი მდიდარნი და გლახაკნი, ყოველნი ტომნი და ნათესავნი, და შფოთი იყო მიუთხრობელი, რამეთუ დიდად საძულელ იქმნა ნათესავი ებრაელთაჲ ჴრომთაგან მრავალთა მათოვს შრომათა და ბრძოლათა, რომელნი შეამთხვნეს მათ. ამისთვის ქალაქი იგი აღოვრდა და დაიწუა, და ერნი იგი ურიცხუნი მოსწყდეს ჴირითა ჴრომთა მახვლისაჲთა, და სხუანი ტყუე იქმნეს, და დევნულებჲა დიდი იყო მათ ჴედა. ხოლო ამან ყოველმან შფოთმან და განსაცდელმან დაყენებჲა ქადაგებისა მის მოციქულთაჲსა ვერ უძლო, რომელნი-იგი ტომისაგან ებრაელთაჲსა იყვნეს და შჯულსა ახალსა დაუდებდეს ჴრომთა და ბერძენთა და ყოველსა სოფელსა, და დაყენებჲა მათდა ვერვის ჴელ-ენიფებოდა, არამედ ყოველთაჲე სძლევდეს.

‡ ახალი იგი და დიდებული საკვრველი! ურიცხუნი ბევრეულნი მოსწყდნეს მაშინ და ტყუე-ყვნეს ჴრომთა ერისა მისგან ებრაელთაჲსა, და ათორმეტთა კაცთა წინა ვერ აღუდგეს, შიშუელთა და უჭურველთა, არამედ იძლინეს მათგან და დაემორჩილნეს. რაჲ-მე იყო დიდი იგი სასწაული? რამეთუ მოძღუართა ორი ესე საქმე უვმს: რაჲთა სარწმუნო იყვნენ და საყუარელ მონაფეთაგან, და სიტყუაჲ მათი მტკიცე იყოს და ჴამი მშკდობისაჲ.

ხოლო მათ ჴედა ყოველივე ესე წინააღმდგომად იქმნებოდა: არა საყუარელ იყვნეს, არამედ მოძულეებულ ყოველთაგანვე, და სიტყუაჲ მათი არა სარწმუნოდ ჩნდა. და ამას ყოველსა ჴედა ყოველი სოფელი მოიმონაფეს და წესთაგან და ჩუეულებათა გულისსათქუმელთა კაცნი მოსწყდნეს, რჩულთაგან მამულთა და საქმეთაგან სანადელთა მოდრიკნეს და ასწავეს მოძღურებჲა ძნელი და ფიცხელი: გულისთქუმათა წილ და გემოთა – მარხვად და მოღუანებჲა სინმიდისაჲ, სიმდიდრისა წილ – სიგლახაკე, ცხორებისა ამის წილ, სოფლისმოყუარეთაგან სანადელისა, – სიკუდილი შეურაცხი სატანჯველითა უწყალოთა. და ამას ყოველსა ჴედა სოფელი მათ შეუდგა და აღიარნეს იგინი ყოველთა მოძღურად და წინამძღურად ცხორებისა.

ამის ყოვლისათვის ჴამი არს თქუმად: „ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა და სასმენელ-ყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი?“¹ ებრაელნი ეგვპტეს შინა მონანი იყვნეს და საქმითა თივისა და აღიზისაჲთა განიკაფებოდეს; და მიივლინა მათა მოსე ნიშებითა და სასწაულებითა გამოყვანებჲად სახლისა მისგან კირთებისა და შეყვანებჲად ქუეყანასა მას კეთილ-

¹ ფსალმ. 105,2.

სა, და ძლით შეინყნარეს იგი და მარადლე განდგებოდეს და დრტკნვიდეს. ხოლო ესენი უცხოთესლნი იყვნეს და უქადაგებდეს ყოველსავე ჭირსა და ინროებასა, სისხლთა დათხევასა და სიკუდილსა კაცთა, შუებულთა და ფუფუნეულთა, განაშორებდეს შვილთა მშობელთაგან, მშობელთა – ნაშობთაგან, მეუღლეთა – ერთმანერთისაგან. კაცნი გლახაკნი და შეურაცხნი და უსწავლელნი და უცხოთესლნი ამას იქმოდეს; ვინმცა შევიდა სახლსა ერთსა და უძლო ამათ საქმეთა ქმნად, რომელ-ესე ქრისტემან ქალაქთა შინა და დაბათა და ყოველსა სოფელსა ქმნა პირითა მონაფეთა თვსთაფთა, განავლნა იგინი ცეცხლი და წყალი, ბრძოლათა და ამბოხებათა, ზღუასა შინა და ჳმელსა და ყოველთა ზედა მძლედ გამოაჩინნა. და უკუეთუ გნებავს სიძნელეთა მის ჟამისათა ცნობად, აღმოიკითხეთ წიგნი იოსიპოს ჰურიისა მიერ აღწერილი და გულისჳმა-ჰყოთ. ამისთვის წინაფეთე უფალი მრავალფერსა მას ბრძოლასა აუნყებს. რამეთუ იყო პირველი ბრძოლად ქრისტემტყუართად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „მრავალნი მოვიდოდინ სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ“; მეორე ბრძოლად – ჰრომთად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „გესმოდინ ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი“; მესამედ – სიყმილისა იგი განსაცდელი; მეოთხედ – სრვანი იგი და ძრვანი; მეხუთედ – „მიგცნენ თქუენო ჭირსა და მოგწყდენ“; მეექუსედ – „და იყვნეთ თქუენ მოძულე-ბულ ყოველთაგან“; მეშვდედ – „მაშინ დაბრკოლდებოდინო მრავალნი და ურთიერთას მისცემდენ“, რომელ-ესე ზოგადსა ყოველთა ბრძოლასა მოასწავებს; მერვედ – ცრუნინაფსწარმეტყუელნი; მეცხრედ – განწმობად სიყუარულისად, რომელ უძკრეს არს ყოველთა ბოროტთა. და ამას ყოველსა ზედა აღესრულა ბრძანებად ქრისტესი, რომელ თქუა, ვითარმედ: „იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისად ყოველსა სოფელსა“. დიდებად დიდად-შუენიერებასა ძლიერებისა მისისასა.

სწავლად იე

მათა მიმართ, რომელნი იტყვან, თუ შობასა კაცისასა ანუ ვარსკულავთა ქცევასა შეუდგან საქმენი სოფლისანი

სადა არიან ან ურწმუნონი? სადა არიან, რომელნი იტყვან, თუ შობასა კაცთასა ანუ ქცევასა ვარსკულავთასა შეუდგან საქმენი სოფლისანი, და ჟამთა ცუდთა შემოიღებენ ეკლესიისა წესთა დამწსნელად? ვითარ იტყვთ, უბადრუკნო, თუ ყოველნი საქმენი ქცევითა ჟამთა და ვარსკულავთათა იქმნებიან? და ამაოებასა ყოველისასავე ჰქადაგებთ. ვის სადა აწსოს, თუ სხუად ქრისტე გამოჩნდა, თვნიერ ერთისა მის ყოველთა მეუფისა? რად არა მიილო ქცევამან ჟამთამან სხუად მსგავსი საქმისად მის? და გარეშე ამისა სხუანიცა საქმენი გულისჳმა-ყვენით: გიხილავსა სხუად სოდომ-გომოროდ?

ქმნილ არსა სხუად ნყლითრლუნად? რად არა მოილო ქცევამან ჟამთამან ესევეთარი? ვიდრემდის ეკიცხევთ თავთა თვსთა ქცევითა მით ჟამთადათა და წესითა ვარსკულავთრაცხისადათა?

და ვითარ აღესრულებისო მრავალი ვარსკულავთმრაცხელთა თქმული? – მეტყვან ჩუენ გონებაცთომილნი ვინმე.

ისმინე, უგუნურო, მიზეზი ამის საქმისა: რამეთუ ოჯერ გიქმნიეს თავი შენი შეწვენისაგან ღმრთისა უკეთურებითა მაგით შენითა და განგიცემიეს ეშმაკისადა და განშორებულ ხარ ნეფსით განგებისაგან ღმრთისა, ამისთვს, ვინადაცა ჰნებავს ეშმაკსა, შესცვალეფს და მიმოდასდეფს საქმეთა შენთა, ხოლო წმიდათა ზედა ვერარას იქმს ესევეთარსა. და რად ვიტყვ წმიდათა? ვერცა თუ ჩუენ ზედა, ცოდვილთა ამათ, რომელნი შეურაცხვეჰყოფთ მას და არარად შეგკრაცხია, ვერარად ჴელ-ენიფების ქმნად, ვერცა შემძლებელ არს, დაღაცათუ მოქალაქობად ჩუენი უწესო არს და განფრდილ ცოდვითა, გარნა ვინაფთგან მადლითა ღმრთისადათა სარწმუნოებად მართალი კეთილად გკჰყრიეს, ამისთვს უზეშთაეს ვართ მძლავრებისა მის ეშმაკისა და არცა ერთი რად ჴელმწიფებად აქუს მას ვნებად ჩუენდა.

ხოლო შენ, რომლისა-ეგე თუალნი გულისანი დაბნელებულ არიან, და მიდრეკილ ხარ წესისა მისგან ქრისტიანეთადასა და იტყვ, თუ საქმენი შენივე შობისა ჟამსა და ვარსკულავთა წესსა შეუდგან, და ამით ჯერითა მიგიცემიეს ეშმაკისადა შენ ზედა უფლებად, შესცვალეფს იგი საქმეთა შენთა, ვითარცა ჰნებავს, რაფთა სრულიად გაცთუნოს და მიგილოს ცნობად შენი.

ან უკუე გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ყოვლითურთ სიტყუად ეგე შობისა და ვარსკულავთადა ცუდ არს და არარად და ყოველივე უწესობა და ტყუილ.

კუალად იტყვს ცუდადმეტყუელი იგი, ვითარმედ: უკუეთუ ცუდ არს სიტყუად იგი შობისადა და ვარსკულავთადა, ვითარ იგი ვინმე მდიდარ არს და იგი ვინმე გლახაკ? ხოლო მე ვრჴქუა მას, ვითარმედ: არა უწყი; რამეთუ ესრეთ ვთქუა ჟამისადა, რაფთა გასწაო შენ არა გამოძიებად ყოვლისავე საქმისა, არამედ უწყებად, ვითარმედ არიან მრავალნი საქმენი ჩუენგან დაფარულნი, ხოლო წინაშე ღმრთისა განცხადებულნი. ან უკუე რომლისადა საქმისა მიზეზი არა იცოდი, ნუ იტყვ, თუ ესე ცუდად და ამაოდ არს, და მიზეზსა მისსა ვარსკულავთა მიაჩემებ და არაარსთა საქმეთა მისცემ უფლებასა. უმჯობეს არს უმეცრებად კეთილი, ვიდრე მეცნიერებად ბოროტი, რამეთუ უმეცრებამან მან ადვილად ისწავის ჯეროვანი, ხოლო ბოროტისა მზრახვალმან უძნელესად დაივიწყოს ბოროტი იგი და ისწავის კეთილი. და წიგნსა შინა უწერელსა ადვილად ინერების, ხოლო ბოროტად წერილისადა კეთილად გარდაქცევადა ძნელ არს, რამეთუ პირველად აწოცადა ჯერ-არს ბოროტისა მის წერილისადა და მერმელა დაწერად კეთილისადა. და ქუეყანადა სრულიად უნაყოფოდ უაღრეს არს, ვიდრელა ეკლისა და კუროფსთავისა აღმომაცენებელი, რამეთუ მას ზედა თესვად ადვილ არს, ხოლო ეკლოანისა

მის პირველად ჯერ-არს შრომად განწმედად და აღმოფხურად ბოროტისა მის ძირისა და მერმელა – თესვად კეთილისა. ამისთვის გეტყვ: ნუ მოსწრაფე ხართ ყოვლისავე საქმისა მიზეზთა ცნობად, რამეთუ ამის ჯერისაგან მრავალნი შთავარდეს წვალებათა ბოროტთა და უკურნებელ იქმნეს. ვინ ხარ შენ, მინაჲ ეგე და ნაცარი, რომელ გნებავს, თუმცა გულისწმა-ჰყვენ სასჯელნი ღმრთისანი? არა გესმისა, რასა ლაღადებს ესაია: „ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ, ანუ ვინ თანამზრახვალ ექმნა მას?“¹ არა აღმოიკითხავა წიგნსა პავლე მოციქულისასა, ვითარ იტყვს: „ჴ სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა! ვითარ გამოუძიებელ არიან სასჯელნი მისნი, და გამოუკულებელ არიან გზანი მისნი!“²

აჴა ესერა ესე ყოველი ვთქუ, რაჲთა სცნა, ვითარმედ მრავალნი არიან საქმენი ჩუენგან დაფარულნი და ღმრთისადა საცნაურნი. ხოლო ან ესეცა ვთქუა: იტყვ, თუ: ვინაჲ არს ვინმე მდიდარ? – რომელნიმე მდიდარ არიან ნებითა და მიცემითა ღმრთისაჲთა, სხუანი კუალად მიშუებიტა მისითა მოიგებენ სიმდიდრესა, რამეთუ ესე არს მოკლე და მარტივი სიტყუაჲ. და რაჲ არს სიტყუაჲ ესეო? – იტყვს წინააღმდგომი, – მეძავთა და მემრუშეთა და მტაცებელთა ღმერთი მისცემსა სიმდიდრესა და იგი იქმსა განმდიდრებასა მათსა? არა იგი იქმს, არამედ მიუშუებს განმდიდრებად. ხოლო ფრიადი განყოფილებაჲ არს და უზომოდ სიშორე შორის ქმნისა და მიშუებისა. და თუ სთქუა, ვითარმედ: ყოვლადვე რაჲსათჴს მიუშუებს? მე გრქუა შენ, ვითარმედ: ამისთვის, რამეთუ არღა მოწვეწულ არს ჟამი განკითხვისაჲ, რაჲთამცა მიიღო კაცად-კაცადმან ღირსებისაებრ. ვინმცა იყო უძკრეს მდიდრისა მის, რომელი ნაბიჭვესაცა ტაბლისასა არა მისცემდა ლაზარეს? გარნა არავე დააყენა იძულებით სიმდიდრისაგან. ამისთვისცა უუბადრუკჴს ყოველთაჲსა იქმნა, რამეთუ არცა თუ წუეთისა ერთისა წყლისა უფალ იყო.³

და ესე მარადის ესრეთ არს: უკუეთუ იყვნენ ორნი ცოდვილნი, და ერთსა მას აღესრულოს ცხორებაჲ თჴსი სიმდიდრით და მეორესა მას სიგლახაკითა, არა სწორად იტანჯებიან მუნ, არამედ მდიდარი იგი და ფუფუნებული უძკრესად იტანჯოს, ვითარცა-იგი მდიდარსა მას შეემთხვა, რამეთუ კეთილი მისი აქავე მიეღო. ან უკუე შენცა, იხილო რაჲ კაცი უკეთური და უსახური სიმდიდრესა შინა და ბედნიერობასა, სულთ-ითქუენ მისთვის და ცრემლოდე, რამეთუ სიმდიდრე იგი აღმარძინებელ სატანჯველთა მისთა იქმნების. რამეთუ ვითარცა-იგი რომელთა მრავალი ეცოდოს და არა ენებოს სინანული, იუნჯებენ თავისა თჴსისა საუნჯესა რისხვისასა, ეგრეთვე რომელნი არა ხოლო თუ უტანჯველად დაშთენ ამას სოფელსა, არამედ შუებითცა და დიდებით აღასრულნენ დღენი თჴსნი, უმეტესსა მიეცნენ სატანჯველსა მას საუკუნესა.

¹ ესაია 40,13.

² რომ. 11,33.

³ ლუკ. 16, 19-24.

ისმინე ნეტარისა დავითისთვის, ოდეს შთავარდა ცოდვასა მას, და ამხილებდა ნათან წინადასწარმეტყუელი, ვითარ ამას საქმესა – სიმდიდრისა და დიდებისა მისისასა – უმეტესისა ბრალობისა მიზეზად მოილებდა, რომელ-იგი ესოდენთა კეთილთა ზედა ესრეთ მისცა თავი თვისი ცოდვასა და აჩუენა სახე უმადლოებისა და დაწსნილობისაჲ. ამისთვის აყუედრებდა ღმერთი და ეტყოდა: „არა მეფედ გცხება და გიწსენ შენ ჳელისაგან საულისა და მიგეც შენ ყოველი სახლი ისრაჳლისა და იუდაისი? და უკუეთუ მცირე იყო ესე შენდა, სხუაჲცამცა შეეჳმატე. და რაჲსათჳს ჳქმენ ბოროტი წინაშე ჩემსა?“¹ რამეთუ არა თუ ყოვლისავე ცოდვისა ერთი არს საშჯელი, არამედ მრავალი და ფრიად განყოფილი ჟამთაგანცა და პირთაგან და პატივთაგან და მეცნიერებისაგან და სხჳსა მრავლისა. და რაჲთა ცხად იქმნას სიტყუაჲ ესე, შემოვიღოთ შორის ერთი რაჲმე ცოდვაჲ, და იხილეთ, რაჲდენი განყოფილებჲა აქუს. და ამას არა თავით თჳსით ვიტყვოთ, არამედ საღმრთოთა წერილთაგან.

ვთქუათ სიძვისათჳს: ისიძვა ვინმე პირველ შჯულისა, – სხუაებრ იტანჯოს, და ამას მოასწავებს პავლე, ვითარმედ: „რაჲდენთაცა უშჯულოდ ცოდეს, უშჯულოდცა წარწყმდენ“², ესე იგი არს, უადვილესად; ისიძვა ვინმე შემდგომად შჯულისა, – უძკრესი შეემთხვოს, რამეთუ იტყვს: „რომელთა შჯულსა შინა შესცოდეს, შჯულითაცა იტანჯენ“³, ესე იგი არს, უძკრესად; რამეთუ ბუნებითსა მას შჯულსა თანა იყოს წერილიცა იგი შემასმენელ მათა; კუალად, ისიძვა მღდელმან ვინმე, – დიდად დასართავი აქუს სატანჯველისაჲ პატივისა მისგან. ამისთვისცა ძუელსა შჯულსა შინა უკუეთუ იპოვის დედაკაცი სიძვასა შინა, სიკუდილისა თანამდებ არნ, ხოლო ასულნი მღდელთანი იპოვნიან თუ, ცეცხლითა დაიწუვოდეს, რაჲთა საცნაურ იქმნას, თუ რაოდენი საშჯელი მიელის მღდელსა, უკუეთუ ცოდოს. უკუეთუ ასულსა უმეტესი საშჯელი მიეწადა ამისთვის, რომელ მღდელისა ასული არს, რაოდენ უმეტესად მღდელსა მოეწადოს? კუალად, განიწრწნა ვინმე იძულებით, – ესე ბრალისაგანცა და საშჯელისა წსნილ არს იძულებისა მისთვის. სხუამან მისცა თავი თვისი სიძვასა სიმდიდრესა შინა, სხუამან სიგლახაკისათჳს, – აქაცა ფრიადი განყოფილებჲა არს, ვითარცა ზემო ვთქუ დავითისთვის. ისიძვა ვინმე შემდგომად ქრისტეს მოსლვისა, – უკუეთუ უნათლავად და უნანელად მოკუდა, უძკრეს მათ ყოველთასა დაისაჯოს; სხუამან ისიძვა შემდგომად ნათლის-ღებისა, – უმეტესი სიმძიმე არს მის ზედა, რამეთუ ნათლის-ღებჲა მეორე არღარა არს, არამედ შრომითა და ცრემლითა სინანულისაჲთა უწმს განბანად ცოდვისა მის თჳსისაჲ, რომელი შეემთხვა; ისიძვა სხუამან მღდელობასა ამას შინა ახლისა შჯულისასა, – ესე არს თავი ყოველთა ბოროტთაჲ.

¹ 2 მეფ. 12,7-9.

² რომ. 2,12.

³ რომ. 2,12.

იხილეთ, როდენი განყოფილება გიჩუენე ერთისა მის ცოდვისად? და მეცნიერებისაგანცა არს განყოფილება უმეცარისაგან, რამეთუ იტყვს: „მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თვისისა და არა ყოს, იგუემოს ფრიად“. ¹ და პირველქმნულისა სახისა შემდგომად ცოდვად აღმარობინებელ არს საშჯელისა. ამისთვის იერუსალჴმსა აყუედრებს: „რავდენგზის ვინებე შეკრება შვილთა თქუენტად, და არა ინებეთო“. ² და შუებასა შინა ცოდვად უძნელეს არს, ვიდრე სიგლახაკესა, ვითარცა ლაზარესთვის წერილ არს; და ადგილისაგანცა ძნელოვან იქმნების ცოდვად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „შორის ტაძრისა მის და საკურთხეველისა“; ³ და სახისაგანცა ცოდვათადასა იქმნების სიმძიმე ცოდვისად, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „დაუკლნეს ძენი და ასულნი მათნი ეშმაკთა“. ⁴ და კუალად, ოდეს მორწმუნე უშჯულოთა მსგავსად ცოდვიდეს, უძკრეს მათსა იტანჯოს, ვითარცა ეზეკიელ იტყვს, ვითარმედ: „არცა თუ სამართლისაებრ წარმართთადასა ჰქმენ შენ და განამართლეო და შენი“. ⁵

და კუალად, ოდეს სხუათა ზედა მონვენულისა რისხვისაგან არა შეშინდეს, ესეცა მიზეზ სატანჯველისა არს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ტკროსს თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ ტკროსი და სიდონი უმოლბინეს იყოს დღესა საშჯელისასა, ვიდრე თქუენ“. ⁶

იხილეთ წესი განკითხვათა მისთად? ვითარ მათვე ცოდვათა ზედა კაცად-კაცადისა განყოფილებით იქნების საშჯელი. რამეთუ ოდეს სულგრძელ გუექმნას, და ჩუენ არა შევიგონოთ, უმეტესისა სატანჯველისა ღირს ვართ, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „სიფიცხისაებრ შენისა და უნანელობისა იუნჯებ თავისა თვისისა რისხვასა“. ⁷

ან უკუე ესე ყოველი გულისხმა-ვყოთ და ნუ დავბრკოლდებით, ნუცა შევშფოთნებით ნურარას ზედა საქმესა, ნუცა ვეძიებთ, თუ ესე რადმე რად ესრეთ იქმნა, ანუ იგი რადმე რად ესრეთ განანესა, არამედ მიუშუათ ყოველი მიუნდომელთა მათ განკითხვათა ღმრთისათა. ხოლო ჩუენ ესე ვილუანოთ, რადთა ცოდვისაგან განვეშორნეთ და სათნობად შევიკრძალოთ, რადთა ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ლუკ. 12,47. ² ლუკ. 13,34. ³ მათ. 23,35. ⁴ ფსალმ. 105,37. ⁵ შდრ. ეზეკ. 5,7; 16,55-57.

⁶ მათ. 11,21-22. ⁷ რომ. 2,5.

თაზი ოზ

სიტყუად ესე: „**მაშინ რომელი ჰურიასტანს იყოს, ივლტოდენ მთად. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ აღებად რაქსამე სახლისაგან თქსისა. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ გარეუკუნეცევი კუალად აღებად სამოსლისა თქსისა**“ (24,16-18).

პირველად თქუა ბოროტთა მათთჳს, რომელნი მონვენად იყვნეს ქალაქსა მას ზედა, მერმე წარმოთქუნა განსაცდელნი იგი, რომელ შემთხუევად იყვნეს მოციქულთადა, და ვითარ უძლეველ-ყოფად იყვნეს და ყოვლისავე სოფლისა ეგულეზობდა მოვლად ქადაგებითა მით საღმრთოთათა; ხოლო ან კუალად ბოროტთა მათ ჰურიათა ზედა მომავალთა იტყჳს, რათა საცნაურ-ყოს, ვითარმედ: ოდეს მოციქულნი ბრწყინვიდენ ყოველსავე სოფელსა მოძღურებითა საღმრთოთათა, მაშინ ჰურიანი უკუანადასკენელთა ჭირთა და ბოროტთა შინა იყვნენ.

და იხილე, ვითარ გამოაცხადებს სიძნელესა მის ბრძოლისასა და იტყჳს: „**მაშინ რომელი ჰურიასტანს იყოს, ივლტოდენ მთად**“. ესე იგი არს, ოდეს ესე ყოველი იქმნებოდის, ოდეს საძაგელი იგი მოოჯრებისა დადგეს ადგილსა წმიდასა, რომელ არიან მწედრობანი იგი უესპასიანეს და ტიტენნი, მაშინ ძლიერად ივლტოდეთ, რამეთუ არღარა არს თქუენდა სასოება ცხორებისა. ესე ამისთჳს თქუა, რამეთუ პირველცა იქმნა მათ ზედა მრავალგზის მონვენად მბრძოლთადა, და კუალად განძლიერდეს, ვითარ-იგი სენაქერიმის ზე და ანტიოხოზის ზე, რამეთუ მაშინცა მოუჭდეს მწედრობანი და დაიპყრეს ტაძარი, არამედ აღდგეს მაკაბელნი და მოაქციეს საქმე თქსი უმჯობესად.

ხოლო რათა არა ჰგონებდენ, თუ ანცა ეგრეთვე ყოფად არს, ამისთჳს ესე ვითარსა სასოებასა ყოველსავე მიუღებს და ეტყჳს, ვითარმედ: ამას ოდენ ეძიებდინ კაცად-კაცადი, რათა შიშუელი განერეს. ამისთჳს ერდოთა ზედა მდგომარესაცა არა ანუევეს გარდმოსლვად და აღებად სახლისაგან სამოსელსა თქსსა ანუ სხუასა რასმე, რათა ამით ყოვლითა სიმძაფრე იგი ჭირთად მათ მოასწავოს და დაუსრულებელობად განსაცდელთადა. ამისთჳს აგარაკსა მყოფთა ამცნებს არა მოქცევად და აღებად სამოსლისა თქსისა. რამეთუ ვინაფთგან შინა მყოფთა უჭმს სივლტოლად, გარეშეთა ვითარ ეგების ყოვლადვე შესლვადლა ქალაქად? ამისთჳს შესძინა და თქუა:

სახარებაა: „ხოლო ვად მიდგომილთა და რომელნი აწოებდენ მათ დღეთა შინა!“ (24,19).

თარგმანი: მიდგომილთა – ამისთჳს, რამეთუ ვერ ძალ-უც ადვილად სივლტოლად ტკრთითა მით მიდგომილებსადათა დამძიმებულნი; ხოლო რომელნი აწოებდენ – ამისთჳს, რომელ შეპყრობილ არიან სიყუარულითა

მით და წყალობითა შვილთა მათ მწოვართადათა, დატევებად მათა ელმის და წარყვანებად ვერ ძალ-უც, რამეთუ საფასეთა უგულებელს-ყოფად ადვილ არს, ხოლო ბუნებითა მათ საქმეთა ვერვინ თანანარჰჳდეს.

ვითარ ეგების მიდგომილისა სუბუქ-ყოფად? ანუ რომელი ანობდეს, ვითარ შეურაცხ-ყოს ნაშობი იგი თჳსი? ამისთვის ვაებად არს ორთადავე ჟამსა მას სივლტოლისა და ჭირისასა. კუალად გამოაჩინებს სიმძაფრესა მას განსაცდელისასა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ილოცევდით, რაფთა არა იყოს სივლტოლად თქუენი ზამთარსა შინა გინა შაბათსა. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისადათ ვიდრე აქამომდე, არცალა ყოფად არს“ (24,20-21).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, რამეთუ ჰურიათა მიმართ არს სიტყუად მისი, და ბოროტთა მათთვის მათ ზედა მოწვენადთა წარმოიტყვს? რამეთუ არა თუ მოციქულთა ეგულებოდა შაბათისა მარხვად, არცა მუნ ყოფად, ოდეს-იგი უესპასიანე და ტიტე ქალაქსა მას ჰბრძოდეს, რამეთუ მაშინ უმრავლესნი მოციქულთაგანნი აღსრულებულ იყვნეს, და რომელნიცა სოფელსადა შინა იყვნეს, სხუათა ქუეყანათა იქცეოდეს და არა იერუსალჳმს. ამისთვის საცნაურ არს, ვითარმედ არა მოციქულთათვის არს სიტყუად ესე, არამედ ჰურიათათვის. ხოლო რაფსათვის თქუა ზამთარი და შაბათი? ზამთარი ამისთვის, რამეთუ ძნელ არს ჟამსა ზამთრისასა სივლტოლად; და შაბათი ამისთვის, რამეთუ წესი იგი შჯულისადა არა შეუდობდა დღესა შაბათისასა სლვად. რამეთუ ვინაფთგან სივლტოლად ჯერ-არს მსწრაფლი ჟამსა მას, ხოლო ორივე ესე დამახრწეველ არს, – ზამთარიცა და შაბათიცა, – ილოცეთ, რაფთა არა ესევითარი რად შეგემთხვოს დაყენებად, არამედ დაუხრწეველად უძლოთ სივლტოლად.

ხოლო სიტყუასა ამას, რომელ იტყვს, თუ: „იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისადათ, არცალა ყოფად არს“, ნუვინ ჰგონებს, თუ უმეტეს ზომისა თქუმულ არს, ანუ თუ არა ესრეთ იქმნა ჭემმარიტად. არამედ აღმოიკითხენ იოსიპოსის მიერ აღწერილი და ცნას ჭემმარიტებად. რამეთუ ამას ვერვინ იტყვს, თუ მორწმუნე იყო კაცი იგი და ნეფსით აღაორძინა მოწვენულთა მათ ჭირთა თხრობად, რამეთუ ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ ჰურია იყო და სრულიად ჰურიადა და მოშურნე მამულთა მათ წესთა მათთადა. ისმინეთ უკუე, რასა იგი იტყვს:

„ყოველსავე თხრობასა განსაცდელთასა და ყოველსავე სიტყუასა სძლევს ბოროტთა მათ სიმრავლე, და ბრძოლად ესევითარი არა რომელსა სადავე ნათესავსა ზედა მოწვენულ არს, ვითარ-იგი ქალაქსა მას იერუსალჳმსა და ერსა მას ზედა ჰურიათასა მოინია. რამეთუ ესოდენი იყო სიყმილი, ვიდრედა დედანი შვილთა თჳსთა ჭამისათვის ურთიერთას ჰჳდებოდეს და ჯორცსა მას ზედა ნაშობთა თჳსთასა ბრძოლასა იქმოდეს, რაფთა არავინ

მისტაცოს, არამედ თვთ ჭამონ; და საშონი იგი, რომელთა შვეს, ნაშობთა მათთა საფლავ იქმნებოდეს; და სხუანი გუამებსა მკუდართასა დაყროლე-ბულსა დაჰბძარვიდეს და საზრდელად იწუმევედეს. და ყოვლით კერძო სანყალობელ და სანყინო არს განსაცდელთა მათ აღწერად და წარმოთქუმადა“.

ამას ყოველსა და სხუასა უმრავლესსა იოსიპოს წარმოიტყვს; რამეთუ მუნ იყო იგი მაშინ იერუსალჴმს, ჟამსა მას ბრძოლისასა, და აღწერნა ბოროტნი იგი მათ ზედა მონევენულნი. და იტყვს, ვითარმედ სამასი ბევრი მამაკაცი მოსწყდა ჰურიათადა მაშინ, რომელნი სიყმილითა წარწყმდეს, სხუანი ურთიერთას ბრძოლითა მოწყდეს შეყენებასა მას ქალაქისასა, და სხუანი ჰრომთა მიერ, რომელნიმე მახვლითა მოისრნეს, და რომელნიმე ცეცხლითა დაინუნეს. ხოლო ახოვანნი მათნი და წარჩინებულნი ჰრომედ წარივლინნეს უბანთა ზედა განსაქიქებელად და ცხენთა სარბიელსა შინა მწვეცთა საჭმლად მიეცნეს წინაშე ყოვლისა ერისა. ხოლო ყრმანი, რომელნი უმეტეს ათჩვდმეტისა წლისა იყვნეს, განიბნინეს მრავალთა ქალაქთა და სოფელთა მოსანყუედელად ცხენთა სარბიელსა შინა მახვლითა და მწვეცთა მიცემითა; ხოლო რომელნი უდარეს იყვნეს ათჩვდმეტისა წლისა, იგინი ოდენ მონად და ტყუედ წარიყვანნეს და განიყიდნეს უცხოთესლთა ნათესავთა შორის, და რიცხვ მათი აღვიდა ცხრა ბევრად, რომელნი მონად და ტყუედ განისყიდნეს.

ან უკუე ვჰრქუათ ჰურიათა: რადასათვს მოინია თქუენ ზედა, ჰ უბადრუკნო, ესოდენი იგი და ესევითარი ზეგარდამო რისხვად, უფიცხესი ყოველთავე რისხვათა, ოდესვე მონევენულთა არა ხოლო თუ ჰურიასტანსა ზედა, არამედ ყოველსა სოფელსა? რამეთუ არასადა ვის აწსოს ესევითარი სხუასა ნათესავსა ზედა მონევენული. არა საცნაურ არსა და ცხად, ვითარმედ კადნიერებისა მისთვს და უშჯულოებისა, რომელ აჩუენეთ მეუფესა და უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს და შემჭუალეთ იგი ჯუარსა? დალაცათუ თქუენ არა შეინამოთ, ყოველი სოფელი წამებს, და ჭეშმარიტება იგი საქმეთადა წმამაღლად ლაღადებს, რამეთუ ჭეშმარიტად არცა პირველ, არცა უკუანადასკენელ უძლოს ვინ თქუმადა, თუ მოინია სხუასა ნათესავსა ზედა ესევითარი ბოროტი. და ესე ღირსად იქმნა და სამართლად, რამეთუ არცა სადა იპოვა კაცთა ნათესავსა შორის ესრეთ უკეთურებისა და უშჯულოებისა მოქმედი, ვითარ-იგი ჰურიათა. ამისთვს უძვრესი ყოველთა შეემთხვა მათ, ვითარცა ესერა მოასწავებს უფალი და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა დ: „რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისადათ ვიდრე აქამომდე, არცადა ყოფად არს. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჯორციელი, ხოლო რჩეულთა მათთვს შემოკლდენ დღენი იგი“ (24,21-22).

თ ა რ გ მ ა ნ ი: გამოაჩინებს, ვითარმედ უძვრესთაცა ბოროტთა ღირს იყვნეს. ხოლო დღეთა მათ იტყვს ბრძოლისათა. და ესრეთ გულისწმა-ყავთ

თქუმული ესე, ვითარმედ: უკუეთუმცა უმეტესთარე დღეთა განგრძდა ბრძოლად იგი ჰრომთაჲ ჰურიათა მიმართ, ყოველივემცა ნათესავი ებრაელთაჲ ნარწყმდა; რამეთუ „ყოველი ჯორციელი“ ამას ადგილსა ჰურიათა ნათესავისათჳს თქუა, ვითარმედ უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი ბრძოლისანი, არამცა განერა ყოვლადვე ერთიცა ჯორციელი ებრაელთა ტომისაჲ. რამეთუ ესოდენ განძუნდა მათ ზედა რისხვაჲ კეისრისაჲ, რომელ არა ჰურიასტანს შინა მყოფთა ხოლო, არამედ სხუათაცა ქუეყანათა, სადაცა ტომისაგან ებრაელთაჲსა იპოვის, დევნაჲ და მონყუედაჲ ებრძანა. ხოლო ვინაჲთგან ქალაქი გამოიღეს და აურაცხელი იგი სრვაჲ ქმნეს, დააცხრვეს ბრძანებაჲ იგი სხუათა სოფელთა მყოფთა ჰურიათა მონყუედისაჲ.

ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი“. რჩეულად იტყჳს მორწმუნეთა, რამეთუ მრავალნი მოქცეულ იყვნეს ქრისტესა ერისა მისგან ჰურიათაჲსა, და მათთჳს შემოკლდეს დღენი იგი ბრძოლისანი, რაჲთა არა შეემთხვოს მათ ძკრი. და მიზეზითა მით მორწმუნეთაჲთა მრავალნი ურწმუნონიცა დაშთეს განთესულნი სხუათა სოფელთა. ხოლო უკუეთუმცა არა რჩეულთა მათთჳს შემოკლებულ იყვნეს დღენი იგი, არცა თუ ერთიმცა ჰურიათაგანი განრომილ იყო. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი“, რაჲთა არა იშიშვოდინ მოციქულნი, თუ მათ თანავემცა მოსწყდეს, არამედ ცნან, ვითარმედ უფროსლა მორწმუნეთა მიერ მათგანიცა მრავალნი დაშთებიან, არა თუმცა ესენი მათ ძლით ნარწყმდეს. ამათ ესევეითართა სიტყუათა მიერ გულისხმა-უყო, ვითარმედ ძუელისა მის შჯულისა წესნი ყოველნი დაჴსნად არიან. რამეთუ ვინაჲთგან ტაძარი და ქალაქი დაირლუევის და მოლოდებჲჲ შენებისაჲ არლარა არს, საცნაურ არს, ვითარმედ შჯულისაცა წესნი დაიჴსნებიან; გარნა ესრეთ განცხადებულად ესე არა თქუა, არამედ წინამდებართა მით სიტყუთა მოასწავა.

ხოლო თქუენ იხილეთ, ძმანო, განგებულეებაჲ იგი სულისა წმიდისაჲ, ვითარ იოვანე არარაჲ აღწერა ამისგანი, რაჲთა არავინ თქუას, თუ: იპოვა ჟამსა მას ბრძოლისასა და ამისთჳს აღწერა. რამეთუ შემდგომად ნარტყუენვისა მის იერუსალჴმისა მრავალთა ჟამთა იქცეოდა მახარებელი იოვანე სოფელსა შინა, გარნა არარაჲ აღწერა ამის პირისათჳს თქუმულთა სიტყუათაგანი, არამედ მათე და მარკოზ და ლუკა აღწერეს, რომელნი-იგი პირველ ნარტყუენვისა მის და მოოჯრებისა იერუსალჴმისა ადესრულნეს და არა ენიფნეს ხილვად საქმისა მის, რაჲთა ყოვლით კერძო ბრწყინვიდეს წინაჲსწარმეცნიერებაჲ და მოსწავებაჲ ყოფადთაჲ მათ უფლისა მიერ, რაჲთა ვერცა ერთი სიტყუაჲ აქუნდეს ურწმუნოთა თქუმად.

აქამომდე ყო სიტყუაჲ მოოჯრებისათჳს იერუსალჴმისა უფალმან და ამიერითგან იწყებს სასწაულთა მეორედ მოსლვისა თჳსისა უწყებად მოციქულთა და ყოველთა მორწმუნეთადა და იტყჳს:

სახარება: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა იქი, ნუ გრწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტემცყუვარნი და ცრუნინაჲსწარმცყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთა მათცა. აჰა ესერა წინაჲსწარ გარქუ თქუენ. უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ. რამეთუ ვითარცა ელვად რად გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვად ძისა კაცისაჲ. რამეთუ სადაცა დაეცეს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები“ (24,23-28).

თარგმანი: პირველითგანვე ორისა ამის პირისათჳს ჰკითხეს მოციქულთა: მოოწრებისათჳს იერუსალჴმისა და მეორედ მოსლვისათჳს უფლისა. რამეთუ ოდეს-იგი მოუჴდეს და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა, და თავადმან მიუგო, ვითარმედ: „ამენ გეტყჳ თქუენ, არა დაშთეს აქა ქვად ქვასა ზედა, ვიდრემდე ყოველი დაირლუეს“; მერმე, დაჯდა რად მთასა ზეთისხილისასა, მოუჴდეს მას მონაფენი და ეტყოდეს: „მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე ყოველი?“ ესე იგი არს, ოდეს იყოსო, რომელ ესე ვითარნი საქმენი იქმნესმცა, რომელ აქა ქვად ქვასა ზედა არა დაშთეს, „და რად არს სასწაული შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ?“

ხოლო უფალმან მოოწრებისა მის იერუსალჴმისა და წარწყმედისათჳს ერისა მის ჰურიათაჲსა და დარლუევისათჳს ტაძრისა მიუთხრა, რაოდენ ჯერ-იყო, და ამას ზედა დაასრულა სიტყუად იგი, ვითარმედ: „რჩეულთა მათჳს, რომელ არიან მორწმუნენი, შემოკლდენ დღენი იგი“.

ამიერითგან იწყებს მეორედ მოსლვისა თჳსისათჳს თხრობად: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა აქა არს ქრისტე, გინა იქი, ნუ გრწამნ“. ოდეს „მაშინ“? გულისჴმა-ყავ კეთილად, რამეთუ ვითარცა მრავალგზის მითქუამს, ამას ადგილსა ესე სიტყუად, თუ: „მაშინ“, არა შედგომილებასა მოასწავებს ზემოთქუმულთასა. რამეთუ სადა შედგომილებასა მოასწავებდა, თქუა: „ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსაო“.¹ ხოლო აქა არა ესრეთ, არამედ აღასრულა რად პირი იგი იერუსალჴმისა მოოწრებისაჲ, შეუდგინა და თქუა, „მაშინო“. არა თუ მაშინ, ოდეს იერუსალჴმი მოოწრდეს, არამედ ოდეს ჟამი იგი მოვიდეს, ოდეს აღესრულებოდის, რომელსა ეგულების ან თქუმად. ეგრეთვესახედ დაწყებასა სახარებისასა ქმნა მახარებელმან, რამეთუ წარმოთქუა შობად იესუჲსი ქალწულისაგან და მოსლვად მოგუთად და შთასლვად უფლისაჲ ეგჳბტედ და კუალად მიერ აღმოსლვად და სიკუდილი ჰეროდესი, და მეყსეულად დაურთო და თქუა: „მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი“.² ხოლო იგი შემდგომად ოცდაათისა წლისა მოვიდა. ამისთჳს საცნაურ არს, ვითარმედ არა თუ

¹ მათ. 24,29.

² მათ. 3,1.

მათ დღეთათვის თქუა, ოდეს უფალი ჩჩკლდა იყო, არამედ იგი თხრობად აღასრულა და მერმე თქუა: „მათ დღეთა შინაო“, ოდეს-იგი იქმნა მოსლვად იოვანესი. ეგრეთვე ამას ადგილსა ჟამსა მას, რომელი ყოფად იყო შორის იერუსალჴმისა წარტყუენვისა და ყოვლისა სოფლისა აღსასრულისა, თანანარჴჴდა და იტყვს ჟამისა მისთვის, რომელი ყოფად არს მცირედ პირველ აღსასრულისა: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქუენ: აჴა აქა არს ქრისტე, გინა იქი, ნუ გრწამნ“. პირველ ყოვლისა ამას განაკრძალებს, რამეთუ ვითარცა-იგი მოციქულთა ზე მრავალნი მაცთურნი გამოჩნდეს, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და მრავალთა აცთუნებდენ“, ¹ ეგრეთვე პირველ მეორედ მოსლვისა უფლისა მრავალნი მაცთურნი გამოჩნდებიან, უძკრესნი პირველგამოჩინებულთა მათ.

ამისთვის განაკრძალებს მორწმუნეთა და აუნყებს სახესა თვისისა მის დიდებულისა მოსლვისასა და იტყვს, ვითარმედ: არა თუ ვითარ-ესე პირველსა მას მოსლვასა ბეთლემს ვიშევ და ვიქცეოდი ერთსა ყურესა სოფლისასა, უცნაურად მრავალთაგან, ეგრეთ იქმნების მეორეცა იგი მოსლვად ჩემი, არამედ განცხადებულად ყოფად არს იგი და დიდებითა დიდითა, და არად საჯმარ არიან მაუნყებელნი, რადთამცა იტყოდეს, თუ: აქა არს ქრისტე ანუ იქი, რამეთუ „ვითარცა ელვად რად გამოჩნდის მზისაღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს ბრწყინვალედ დიდებით მოსლვად ძისა კაცისაჲ“. ამისთვის ნუ ისმენთ მათსა, რომელნი გეტყოდინ, თუ: „აჴა აქა არს ქრისტე, გინა იქი, ნუ გრწამნ მათი“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რამეთუ აღდგენ ქრისტემტყუვარნი და ცრუნინაჲსწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასნაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა ვიდრე ცთუნებადმდე, უკუეთუმცა შეუძლეს, რჩეულთაცა მათ“ (24,24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ამით სიტყვთა ანტესთვის იტყვს და მოასწავებს სხუათაცა ვიეთმე მსახურთა და თანაშემნეთა მისთა, რომლისათვის იტყვს პავლევცა მოციქული ესრეთ: „რაჴამს გამოჩნდესო კაცი იგი უშჯულოებისაჲ, შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ, მჯდომი იგი და განლაღებული ყოველთა ზედა, რომელნი სახელდებულ არიან ღმრთად გინა სამსახურებელად, ვითარმედ და-ცა-ჯდეს იგი ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოაჩინებდეს თავსა თვისსა, ვითარცა ღმერთი“. ² და მერმე იტყვს: „მაშინ გამოჩნდესო უშჯულოდ იგი, რომელი-იგი უფალმან აღვოცოს სულითა პირისა მისისაჲთა და განაქარვოს გამოჩინებითა მით მოსლვისა მისისაჲთა, რომლისა-იგი მოსლვად არს შენენითა ეშმაკისაჲთა, ყოვლითავე ძალითა და ნიშებითა ტყუვილისაჲთა და ყოვლითავე საცთურითა სიცრუვისაჲთა წარწყმედულთა მათ შორის“. ³ ამისთვის უფალი განგუაკრძალებს და იტყვს: „უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; ესერა საუნჯესა შინა არს, ნუ გრწამნ“ (24,26).

¹ მათ. 24,5.

² 2 თეს. 2,3-4.

³ 2 თეს. 2,8-10.

არა თქუა, თუ: მივედით, იხილეთ და ნუ გრწამნ, არამედ: ყოვლადვე ნუ მიეახლებითო, ნუცა მიხუალთ მისა, რამეთუ დიდ იყოს მაშინ საცთური სას-
ნაულებითა მით და ნიშებითა ტყუვილისადათა.

„უკუეთუ გრქუან თქუნ: აჰა უდაბნოსა არს, აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს“. გამოაცხადა ამით სიტყუთა, თუ ვითარი ყოფად არს მოსლვად მაცთურისად მის: ერთსა ადგილსა სადმე უცნაურად, გარეშე ნიშებისა მის ტყუვილისა და საუცრად ჩუენებულისა; და მერმე გულისხმა-გკყოფს თვს[ს]ა მას მოსლვასა, ვითარ-ძი იყოს: **„ვითარცა ელვად რად გამოჩნდის მზისაღმოსავალითო და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვად ძისა კაცისად“** (24,27).

ხოლო თუ ვითარ ჩანნ ელვად, ყოველთა მიერ საცნაურ არს. არა უჴმს მაუნყებელი, არცა ქადაგი, არამედ გამობრწყინდეს რად წამსა შინა თუალისასა, უჩუენებს ყოველთა ელვარებასა თვსსა, სახლთაცა შინა მყოფთა და საუნჯეთა შინა მსხდომარეთა. ეგრეთ იყოს დიდებული იგი მოსლვად ქრისტესი, და ფრიად უმეტეს და უბრწყინვალეს ელვასა, მეყსა შინა ყოველთა იხილონ და განკვრდენ.

და კუალად სხუასაცა მოგუცემს სახესა: **„სადა არნ მძორი, მუნცა შეკ-
რბის ორბებით“** (24,28). ამით სიტყუთა სიმრავლესა მას მოასწავებს ანგე-
ლოზთასა, მონაფეთა და ყოველთავე წმიდათასა, რომელნი შეკრებად არი-
ან წინაშე მისა, მო-რად-ვიდეს დიდებითა მით გამოუთქუმელითა. მერმე იტყვს დიდებულთა მათ და მიუთხრობელთა საკვრველებათა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: **„ხოლო მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღე-
თადასა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვსი, და
ვარსკულავნი დამოცკვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“** (24,29).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რომელთა დღეთა ჭირსა იტყვს? ანტესა და ცრუნი-
ნაღსწარმეტყუელთა მისთასა, რამეთუ დიდი ჭირი ყოფად არს მაშინ, სიმ-
რავლესა მას შინა მაცთურთასა, გარნა არა მყოვარჟამი იყოს ჭირი იგი; რა-
მეთუ უკუეთუ ბრძოლად იგი ჰურიათად რჩეულთა მათთვს შემოკლდა, არა
უმეტესადლა ესევეთარი იგი განსაცდელი შემოკლდესა რჩეულთათვსვე?
რამეთუ „მეყსეულადო შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთადასა მზე დაბ-
ნელდეს“, და შემდგომი ამისი. რაჟამს მაცთურთა მათ საცთური განეფი-
ნოს და მორწმუნენი ჭირსა შინა იყვნენ, მეყსეულად იქმნას დიდებული იგი
მოსლვად უფლისად, და საცთური იგი განქარდეს, რამეთუ დიდი შფოთი
ყოფად არს მაშინ სოფელსა შინა; ამისთვს შეამოკლებს უფალი ჟამსა მას
და განაქარვებს საცთურსა მოსლვითა თვსითა.

ხოლო უწყითა, ვითარ იქმნების მოსლვად იგი მისი დიდებული? შე-
იცვალების სახც ამის სოფლისად, რამეთუ „მზე დაბნელდების“, არა თუ
უჩინო იქმნების, არამედ იძლევის და დაიფარვის ნათლისა მისგან მოსლვი-
სა უფლისა; და „ვარსკულავნი დამოცკვენ“, რამეთუ რადლა საწმარ არი-

ან იგინი, ვინაფთვან ღამე არღარა არს; „და ძალნი ცათანი შეიძრნენ“, სამართლად და ჯეროვნად შეიძრნენ განკვრევებისაგან, იხილონ რად ესოდენი შეცვალება. რამეთუ ოდეს-იგი იქმნეს ვარსკულავნი, შეიძრნუნდეს და განკვრდეს, ვითარცა იოზსა შინა წერილ არს: „ოდეს იქმნეს ვარსკულავნი, მაქებდეს მე ჴმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნიო“¹, ეტყვის უფალი იოზსა. უკუეთუ მაშინ შეიძრნუნდეს და განკვრდეს, არა უფროდსად განკვრდენა, ოდეს ხედვიდენ შეცვალებასა ყოვლისასა? და მათ თანამონანი კაცნი განიკითხვოდინ, და ყოველივე სოფელი წარდგომილ იყოს წინაშე საშინელი-სა მის სამშჯავროდსა; და ყოველთავე, რომელნიცა ადამისითგან მუნ ჟამადმდე მეორედ მოსლვისა უფლისა იყვნეს კაცნი, მოეწადებოდის სიტყუად საქმეთა მათთაჲ. ამას ყოველსა ზედა ვითარ არა შეიძრნუნდენ და შეიძრნენ დიდითა განკვრევებითა?

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა**“ (24,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი : „სასწაული ძისა კაცისაჲ“ არს პატიოსანი და ცხოველს-მყოფელი ჯუარი, რომელი-იგი მაშინ გამოჩინებად არს; უბრწყინვალეს არს მზისთუალისა, რამეთუ იგი დაბნელდების, ხოლო ესე ბრწყინავს, ესოდენ უმეტეს იყოს ნათელსა მზისასა ბრწყინვალეობაჲ მისი. ხოლო რადსათვის გამოჩნდების სასწაული იგი ჯუარისაჲ? რადთა სრულიად სირცხვლეულ იქმნენ და პირი დაეყოს უშჯულოთა ჰურიათა, და რადთა ვიხილოთ ყოველთა კაცთა სახე იგი სიკუდილისა მისისაჲ, რომელი ჩუენთვის თავს-იდვა: წყლულებანი იგი და სიკუდილი საყუედრელი და შეურაცხი. ამისთვის ჯუარითა მოვალს ქრისტე განკითხვასა მას, რადთა დიდად განმართლდეს საშჯელი მისი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი**“ (24,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იტყებდენ უშჯულონი და ცოდვილნი, ოდეს იხილონ ჯუარი და წარდგებოდინ განკითხვად, რამეთუ არა საწმარ იყოს მაშინ შემასმენელთა ძიებაჲ და მონამეთაჲ, არამედ კაცად-კაცადი თვისი შემასმენელი და შემნამებელი იყოს. და იტყებდენ ცოდვილნი, ოდეს იხილონ, რომელ უფალმან თავს-იდვა სიკუდილი ჯუარითა, რადთამცა იგინი აცხონნა, და მათ არა ინებეს სარგებელი იგი დიდი. იტყებდენ ჰურიანი, რამეთუ ჯუარს-აცუეს, რომლისა თაყუანის-ცემად თანაედვა შიშით და ძრწოლით.

იხილეა, ვითარ გამოსახა საშინელად მეორედ მოსლვად თვისი? ვითარ განაფრთხვნა გონებანი მონაფეთანი, რადთა აქუნდეს ნუგეშინის-ცემად დიდი და იცოდინ, თუ რაოდენითა ბრწყინვალეებითა გამოჩნდების მაშინ

¹ იოზ 38,7.

სასწაული ჯუარისად, და არა სირცხვლ-უჩნდეს ჯუარ-ცუმად მისი, არცა იგლოვდენ. ვითარცა სხუასა ადგილსა იტყვს, ვითარმედ: „იხილონ, რომელსაცა უგუმირეს“.¹ ამისთვის იტყებდენ ჰურიანი, იხილონ რად, ვითარმედ ესე იგი არს, რომელსა უგუმირეს ლახურითა ჯუარსა ზედა. ხოლო ავსენა რად ჯუარი, მეყსეულად თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და იხილონ ძე კაცისად, მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა“ (24,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარმცა ეტყოდა, თუ: ვინადთგან ჯუარი ვაჰსენე, ნუ ჰგონებთ, თუ კუალადცა შესანუხებელი რადმე ყოფად არს, რამეთუ იხილონ ძე კაცისად მომავალი არა ჯუარსა ზედა, არამედ ღრუბელთა ზედა, ძალითა გამოუთქუმელითა და დიდებითა მრავლითა. ვითარსახედ ამალღდა მითით ზეთისხილთად, ეგრეთვესახედ მოვიდეს ღრუბლითა, დიდითა მით დიდებითა. ხოლო ჯუარი წინაშე უვიდოდის, რადთა იხილონ უშჯულოთა მათ და თავით თვსით დაისაჯნენ და იტყებდენ. გარნა არა აქამდინ ოდენ იქმნების ჭირი მათი, არამედ ტყებად იგი იქმნას, რადთა თვთ მათვე დასაჯნენ თავნი თვსნი. ხოლო შემდგომი ამისი ისმინეთ, რასა იტყვს უფალი, ისმინეთ ყოველთა და გულისხმა-ყავთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი თვსნი საყვრითა დიდითა და შეკრიბნეს რჩეულნი თვსნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცისადთ ვიდრე კიდემდე მათა“ (24,31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო შენ ოდეს ესე გესმას, მორწმუნეო, ვითარმედ რჩეულთა მათ შეჰკრებენ ანგელოზნი, გულისხმა-ყავ დაშთომილთა მათ ჭირი და ტანჯვა: პირველად, იხილონ რად მომავალი უფალი, იტყებდენ; მერმე, განირჩინენ რად და განემორნენ რჩეულთაგან, – ესე მეორე განსაცდელი. ხოლო დაშთომილნი იგი სატანჯველად მიეცემიან. ჰ უკუანაღსკნელი იგი წარწყმედა! და ვითარცა-იგი ზემო თქუა, ვითარმედ: „არლარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისადათ“,² ეგრეთვე აქა თქუა: „მაშინ იტყებდენო ტომნი ქუეყანისანი“, რომელთა არარად მოიგეს ნაწილი ზეცისა კეთილთად, არამედ იყვნეს ყოვლითურთ მიწა და ქუეყანისა საქმეთა დამონებულ. რამეთუ ვინადთგან წარმოუთხრა ბრძოლანი იგი ბოროტნი და ტყუეობანი, რომელნი შემთხუევად იყვნეს ჰურიათადა, რადთა ცნან, ვითარმედ აქაცა ძვრი შეემთხვოს და მუნ იტანჯნენ, ამისთვის თქუა, ვითარმედ: იტყებდენ და რჩეულთაგან განემორნენ და მიეცნენ გეჰენიასა ცეცხლისასა. ამათ სიტყუათა მიერ მოწაფეთა გულსა მხიარულ-ჰყოფს, რადთა ცნან, რაოდენთა ბოროტთაგან ივსნებიან და რაბამთა კეთილთა მიემთხუევიან.

¹ ზაქ. 12,10. ² მათ. 23,39.

ხოლო ვინაფთვან ესრეთ ცხად და ბრწყინვალე და დიდებულ არს მოსლვად მისი, რადესათჳს ანგელოზთაღა მიავლენს ნოდებად რჩეულთა მათ? ესე ამისთჳს, რადთა უმეტესად პატივ-სცეს მათ ამითცა სახითა. ხოლო პავლე იტყჳს, ვითარმედ: „ღრუბლითა აღიტაცენო“.¹ ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ოდეს-იგი საყვრსა დაეცეს და მკუდარნი აღდგენ, მაშინ რჩეულნი იგი შეკრიბნენ ანგელოზთა, ხოლო შეკრებულნი იგი ანგელოზთა მიერ აღიტაცენ ღრუბელთა. და ესე ყოველი მეცსა შინა იქმნას, ნამსა თუალისასა, რამეთუ არა თუ ცათა შინა მჯდომარე მიუწოდს მათ, არამედ „თავადი გარდამოწდეს ზეცით საყვრითა ღმრთისაფთა“,² ვითარცა მოციქული იტყჳს. ხოლო რასა მოასწავებს ჳმად იგი საყვრისად? – აღდგომასა და სიხარულსა და გამოჩინებად საკრველებისა მის მათ საქმეთაფსა და შესანუხებელად ქუედაშთომილთა მათ.

სწავლად ომ

დღისა მისთჳს საშინელისა; და ვითარმედ მრავალნი მცირედისა და უნდოფსა შრომისათჳს დააკლდებიან კეთილთა მათ საუკუნეთა

ვად ჩემდა დღისა მისთჳს საშინელისა! ჯერ-იყო ჩუენდა სიხარული, ოდესმცა შემოვიდა მის დღისა ჳსენებად, ხოლო ან ჩუენ სიმრავლისაგან ცოდვათა ჩუენთაფსა უფროფსად მწუხარე და მჭმუნვარე ვიქმნებით, ოდეს ვაჳსენოთ იგი. ანუ მე ოდენ შემემთხუევის ესე, ხოლო თქუენ მოხარულ ხართ ჳსენებითა მისითა?

ესე უწყი, ვითარმედ ოდეს სიტყუანი ესე მესმოდინ, ძრწოლად შემედების და მწარედ ვგოდებ და სიღრმეთაგან გულისათა სულთ-ვითქუამ, რამეთუ უწყი, ვითარმედ არა მაქუს ნანილი მათ თანა, რომელთა შეჳკრებენ ანგელოზნი და რომელთა ღრუბელნი აღიტაცებენ; არამედ სხუათა მათ თანაზიარ-ყოფად ვარ, რომელნი ქუემო იჳსენებიან, – სულელთა მათ თანა ქალწულთა და მონისა მის, რომელმან დაჳფლა ქანქარი უფლისა თჳსისა, და სხუათა მათ თანა ცოდვილთა.

ამისთჳს ვიგლოვ და ვცრემლოი, ოდეს მოვიჳსენო, თუ რაბამისა დიდებისაგან გამოვვარდებით ჩუენ ცოდვილნი, ვითართა კეთილთა და საშუებელთაგან საუკუნეთა და წარუვალთა, მცირედისა და უნდოფსა შრომისათჳს. რამეთუ უკუეთუმცა ჳირი დიდი გჳმდა და შჯულიმცა მძიმე დადებულ იყო, ჯერ-იყო ეგრეთცა დადებად თავთა თჳსთაფ სიკუდილად და არა გამოჳუებად დიდებისა მისგან; გარნა ვთქუა, თუ გუაქუნდა მცირედ რადმე მიზეზი, რადთამცა ვთქუთ, თუ ფრიადი იგი სიმძიმე და სიძნელე ვერ მოვითმინეთ, რამეთუ შრომად დიდ იყო, და ჟამი – გრძელ, და ტკრთი –

¹ 1 თეს. 4,17. ² 1 თეს. 4,16.

მძიმე; იყო მიზეზი ესე არარაფე, გარნა ვთქუა, თუ მცირედ რადმე სიტყუად გუეპოვებოდა.

ხოლო ან ესევეთარი სიტყუად და მიზეზი არარად გუეპოვების, და ესე არს მწარე და ძნელ; და ამას საქმესა ეგულებს უძკრეს გეჰენისა წერტად მაშინ გულთა ჩუენთად, ოდეს მცირედისა ჟამისათჳს და კნინადისა შრომი-სათჳს სასუფეველი ცათად დაგუჭირდეს და კეთილნი იგი გამოუთქუმელ-ნი და მოუგონებელნი. რამეთუ ნანდკლვე ჟამი მცირე არს და მოკლე, და შრომად – კნინოდენი და ფრიად სუბუქი, ხოლო ჩუენ დაჴსნილ ვართ და სრულიად ქუემწოლარე.

კაცო, მოლუანებაჲ შენი ქუეყანასა ზედა არს, და გკრგკნი – ცათა ში-ნა; ჭირი შენი კაცთა შორის არს, და პატივი – ღმრთისაგან; სრბად შენი ორ დლე არს, და სასყიდელი – საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა; ბრძოლად ჳორცთა ამით განჴრწნადითა არს, და ნიჭნი იგი – უჴრწნელ და წარუვალ.

ან უკუე დაღაცათუ ქრისტესთჳს არა ვინებოთ მოლუანებაჲ, თვთ თავით თჳსით იგივე შეგუემთხუევის. რამეთუ დაღაცათუ ქრისტესთჳს არა თავს-იდვა სიკუდილი, თვთ ბუნებით სიკუდილი თანაგაც. უკუეთუ ქრისტესთჳს არა დაუტევენე საფასენი, მცირედლა, და უნებლიეთ და-უტეო ყოველივე და ცარიელი განხკდე. ან უკუე სახიერი იგი უფალი მას ეძიებს შენგან, რომელსა-იგი თვნიერ ნებისაცა შენისა სიკუდილი მიგი-ღებს; მას გენუკევს ნეფსით ქმნად, რად-იგი უნებლიეთცა შემთხუევად არს შენდა.

ამას ოდენ გეტყვს, რადთა უნებელი იგი თანანადები ნეფსით ჰქმნა მისისა სიყუარულისათჳს. ჰხედავა, ვითარ ადვილ არს ღუანლი ესე, და ტკრთი ესე – სუბუქ? რომელი-იგი უეჭუელად შემთხუევად არს შენდა, იგი ნეფსით ქმენ ჩემთჳსო, – გეტყვს ტკბილი იგი და სახიერი მეუფჳ, – და კმა არს ჩემდა ესე მორჩილებაჲ. რომელ-იგი სხუასა ავასხებ საფასესა, მე მავასხე, და აღნადგინებთა ფრიადითა მოგცე; ჳორცთა მაგათ, რომელთა სხუასა დაამონებ, მე დამამონენ, და შრომად შენი არა იქმნას ცუდ, რამეთუ გძლევ შენ ფრიად ნაცვლისა გარდაჴდითა.

ან, საყუარელო, ესე სიტყუანი მეუფისანი ყურად-იხუენ და გულის-ხმა-ყავ. რად არს ესე, რომელ ყოველსა საქმესა ზედა მას პატივ-სცემ, რომელი უმეტესსა მოგცემდეს, გინა თუ სესხებაჲ იყოს, გინა თუ ვაჭრობად, გინა თუ მჴედრობად (უკუეთუ სესხებაჲ იყოს, რომელი უმეტესსა ვახჳსა მოგცემდეს, მას ავასხებ; უკუეთუ ვაჭრობად იყოს, რომლისაგან უმეტესი შეგეძინებოდის, მას ეზავები; უკუეთუ მჴედრობად იყოს, რომელიცა უხკ და კეთილადმიმნიჭებელი იყოს მეფჳ, მას შეენყნარები); ხოლო ქრისტჳ უმეტეს ყოველთასა მოგცემს კეთილთა მათ მოუგონებელთა მცირედისა და არარაფსა შრომისა წილ და უნდოფსა წარსაგებელისა წილ. არა გთნავს სესხებაჲ ესე, გინა ვაჭრობად, გინა მჴედრობად მისი. რად არს ესე სისულე-ლე? რად არს ესე უგუნურებაჲ?

კუალად გეტყვს უფალი: რადასათვს ქუე დაჰფლავ საფასესა შენსა და მინათა არნმუნებ საუნჯესა შენსა? მომეც მე ნამარხევად; არა მე სარნმუნო ვარა, ვიდრე ქუეყანად? მან მრავალგზის არცა თუ ნამარხევი იგი მოგცის, ხოლო მე ნამარხევიცა აღნადგინებითურთ მოგცე, და რომელ მე მარნმუნე, ამის ჯერისათვს დიდი კეთილი გიყო. რამეთუ რომელთაცა მე გამომირჩიონ, დიდად შევიყუარებ მათ. ან უკუე ჩემდა მომართ დადეგ ნაწილი შენი და რასაცა იქმოდი, ჩემ მიერ ქმენ, და ნეტარ იყოს შენდა. უკუეთუმცა სესხებად გნებავს, მე მავასხე; უკუეთუ შენებად გნებავს, ჩემსა ნაწილსა შინა აღაშენე, მე მოგცე ადგილი უსასყიდლოდ; უკუეთუ სამკაული გიჭმს, ჩემი მიიღე; უკუეთუ საჭურველი გიჭმს, ჩემი შეიმოსე; უკუეთუ შიშუელ ხარ, ჩემი შთაიცუ; უკუეთუ საზრდელი გიჭმს, ჩემსა ტაბლასა მოვედ; უკუეთუ სლვად გნებავს, ჩემსა გზასა ვიდოდე; უკუეთუ სამკვდრებელსა ეძიებ, მე დაგიმკვდრო; უკუეთუ მამული გნებავს, ქალაქსა მას მოიგე, რომლისა ჯელოვანი და მაშენებელი მე ვარ. რამეთუ მე რომელსაცა მოგცემ, სასყიდელსა არა ვეძიებ, არამედ უფროდსა სასყიდელი მოგცე ამისთვს მებრ, უკუეთუ ჩემი იჭმარო და სხვსა არავისი იქმნა მოქენე.

ამის სიყუარულისა უმეტესი რაჲ ეგების, კაცო? მე გექმნა მამა, მე – ძმა, მე – სიძე უხრწნელებისა, მე – სადგურ, მე – სამკაულ, მე – საფასე, მე – საფუძველ. რაჲ გენებოს, ყოველი კეთილი გეპოვოს ჩემ თანა; ნუსადა იჭირვი, მოვედ ჩემდა, მე განგისუენო; მე შენთვს მონებად მოვედ, მე შეგიყუარე, მე ასოდ ჩემდა გინოდე, მე – ძმად და დად და დედად, მე შენთვს დავგლახაკენ, შენთვს ჯუარს-ვეცუ, შენთვს სიკუდილი თავს-ვიდეგ და საფლავსა დავიდეგ, მე აღგადგინე ქუესკნელით, ზეცას შენთვს მეოხ ვარ მამისა, ქუეყანად შენთვს მოვედ მამისა მიერ შუვამდგომელად. ან უმეტესი ამისა რაჲ გიჭმს? ანუ რადასათვს მეველტი მე, რომელმან ესრეთ შეგიყუარე შენ? რად დამიტეობ მე და სოფელსა ამას ჰმონებ შრომითა და უბადრუკებითა? რადასათვს ჭურსა განჯურეტილსა შთაასხამ? რამეთუ ესრეთ არს, რომელი სოფელსა ამას ჰმონებდეს. რადასათვს ცეცხლად შთააბნეგ შრომათა შენთა? რადასათვს ჰაერთა სცემ? რადასათვს ამაოდ ჰრბი შენ?

არა ყოველისავე ჯელოვანებისა აღსასრული არსა? ჰე, ჭეშმარიტად. ან უკუე მიჩუენე შენცა შრომათა მათ და რუდუნებათა სოფლიოთა აღსასრული. გარნა ვერარად ძალ-გიც ჩუენებად, რამეთუ „ამაოებად ამაოებისად, ყოველივე ამაო არს“.¹ ხოლო უკუეთუ ჩემ თანა დასდვა ნაწილი შენი და ჩემთვს იყოს შრომად შენი, მიგცე შენ სამკვდრებელად სასუფეველი ცათად, და ჰსუფევედე ჩემ თანა საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა.

ძმანო ჩემნო საყუარელნო, არა გესმისა სიტყუანი ესე უფლისანი? ჭეშმარიტად ამას ყოველსა მეტყვს ჩუენ და ფრიად უმრავლესსა. უკუეთუ ვისმინოთ მისი, ნეტარ იყოს ჩუენდა; უკუეთუ ურჩ ვექმნეთ, ვაებად სა-

¹ ეკლ. 1,2.

უკუნოდ მოგუეცეს. ეჰა საქმე ღირსი მრავლისა ცრემლისა და გოდებისა, რომელ საძაგელებად ამის სოფლისა და გულისთქუმანი ბილნებისანი სა-წადელ არიან ჩუენდა, ვიდრელა კეთილნი იგი საუკუნენი.

განვიდეთლა, კაცო, სამაროვანად; მიჩუენე მამად შენი და დედად შენი ანუ სხუად თვსთაგანი. გულისხმა-ყავ, რამეთუ შენცა ეგრეთვე ყოფად ხარ შემდგომად მცირედისა. სადა არს, რომელი-იგი ოქროთა შემკობილ იყო და ოქროქსოვილი ემოსა, რომელი-იგი ეტლთა ზედა ოქროქანდაკებულთა აღმწედრებულ იყო, და მწედრები ათასეული წინაშე უვიდოდა, და ქადაგნი შეასხმიდეს, რომელთამე სცემდა, რომელთამე მოსწყუედდა, რომელთა-მე შეანწყუედვდა, სხუათა ანიჭებდა, სხუათა ადიდებდა და ჩნდა, ვითარცა მპყრობელი სოფლისა? შთახედენლა საფლავსა მისსა და მიჩუენე დიდებ-ბად მისი. ვერრას ვხედავ, გარნა მატლთა და წუთხსა, ძუალთა და ნაცარსა და მტუერსა. იგი ყოველივე აჩრდილი იყო და წარწდა, ზღაპარი იყო და დაივიწყა, სიზმარი იყო და საკიცხელ იქმნა. და ჰე თუმცა აქამომდე იყო სიძნელე მათი – ამოება ოდენ და დავინყება.

ხოლო უძკრესი ესე არს, რომელ დიდებად იგი და პატივი და შუებად და ბრწყინვალებად აჩრდილ იყო და განქარდა, ხოლო მის მიერ შემოსრული იგი სულთა შინა ჩუენთა ცოდვად არა აჩრდილებრ განქარდების, არცა და-ივინყების, არამედ ჩუენ თანა ჰგიეს საუკუნესა მას, და ცხად იყოს ყოველ-თა წინაშე მტაცებელობანი იგი და ანგაპრებანი, სიძვანი და მრუშებანი და სხუანი იგი ბოროტნი, ყოველივე განცხადებულად აღწერილნი წარმოდგენ წინაშე ჩუენსა. რომლითა-მე თუალითა მივხედნეთ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს? რამეთუ წარდგომად გვკმს წინაშე საყდრისა მის საშინელისა, და ყოველთავე საქმეთა ჩუენთა გამოძიებად ყოფად არს გამოწულილვით, და ესე ჭეშმარიტ არს და უეჭუელ.

ხოლო უკუეთუ ვინ ურწმუნო იქმნების მერმისა მისთვის საშჯელისა, აღმოიკითხენინ წინაღწარმეტყუელნი და ცნოს ჭეშმარიტებად სიტყვსა ამის, და გულისხმა-ყავ საქმეთაგანცა ამის სოფლისათა. მიხედენინ მათ, რომელნი აქა იტანჯებიან, რომელნიმე საპყრობილეთა შინა და დილეგ-თა წყუდიადთა შეწყუდეულნი, სხუანი მღკმეთა შინა და ორმოთა, სხუა-ნი ეშმაკისაგან იგუემებიან, სხუანი ცნობამიღებულ არიან, სხუანი სენტა-გან უკურნებელთა შეპყრობილ არიან, სხუანი სიგლახაკესა შინა სამარა-დისოსა დავრდომილ არიან, ანუ თუ სიყმილითაცა მოსწყდებიან, სხუანი გლოვათა მწარეთა შთავარდებიან სიკუდილითა საყუარელთა მათთადთა, სხუანი ტყუეობასა და მონებასა უცხოთესლთასა მიცემულ არიან. და ვინ აღრაცხნეს ბოროტნი ამის საწუთროდსანი? ან ესე ყოველნი ცოდვათათვს იტანჯებიან. დაღაცათუ არიან მრავალნი, რომელნი უმეტესისა სასყიდლი-სა მოღებად გამოიცდებიან, ვითარ-იგი იოზის ზე იქმნა, გარნა ან მათთვის არა ვიტყვ, გარნა მათ ვაწსენებ, რომელნი მისაგებელად ცოდვისა მიეცე-მიან განსაცდელთა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ უკუეთუმცა სხუათაცა

ცოდვილთა არა მიელოდა საშჯელი და სატანჯველი, არცამცა ამათ შემთხუეოდა ესევითარი აქა. რამეთუ არა ეგების ესე, თუმცა ღმერთმან ყოველთამან რომელნიმე ტანჯნა და რომელნიმე, უძკრესთა ცოდვათა მოქმედნი, უტანჯველად დაუტევნა; არამედ უეჭუელად არს მას საუკუნესა საშჯელი და სატანჯველი მათთჳს, რომელთა ცოდვანი არა აღიჯოცნენ აქავე ანუ ნეფსითითა ჭირითა და სინანულითა, ანუ უნებელთა განსაცდელთა მოწვევითა.

ან უკუე ესე ყოველი გულისხმა-ვყოთ და სინანულითა განვიბანნეთ ცოდვანი ჩუენნი, რადთა საუკუნეთა მათ სატანჯველთაგან განვერნეთ და სასუფეველსა ცათასა მკკდრ ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა დაუსაბამოფთ მამით და ყოვლადწმიდით ცხოველსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ოზ

სიტყუად ესე: „ხოლო ლელვსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაჟამს რტონი მისნი დაჩჩვან, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. ეგრეთცა თქუენ, იხილოთ ოდეს ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა“ (24,32-33).

ზემო თქუა, ვითარმედ შემდგომად ჭირისა მათ დღეთადას იქმნას მოსლვად მისი, ხოლო მათ სწადოდა, რადთა იგი მეზრდელ მოსლვისა მისისად ეუწყოს. ამისთვის იგავი ესე ლელვსად მიუთხრა, რადთა უჩუენოს, ვითარმედ მახლობელად საქმეთა მათ ყოფად არს მოსლვად მისი. ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა“.

ხოლო ამათ სიტყუათა მიერ სხუასაცა მოასწავებს, ესე იგი არს, ვითარმედ: მას დღესა მართალთათვს ზაფხული იქმნების სულიერი და დანყნარებად ტკბილი ზამთრისა წილ ამის სოფლისა, რომელი ჭეშმარიტად ზამთარი არს ფიცხელი; ხოლო ცოდვილთათვს უმეტესად მაშინ იქმნების ზამთარი და ჭირი, ვითარცა ქუემორე იტყვს, ვითარმედ: მსგავსად წყლითრლუნისა მის მეყსეულად მოიწიოს მათ ზედა დღე იგი, ჭამდენ რად და სუმიდენ და განსცხრებოდინ. იტყვს უკუე, ვითარმედ: ვითარცა-იგი ფურცელი რად გამოაქუნ ლელუსა, უეჭუელად ზაფხული მოიწიოს, ეგრეთვე ესე ყოფად არს, თვნიერ ყოვლისა იჭვსა და ცილობისა; ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა აღდგომისათვს იტყოდა და მარცუალი იფქლისადა სახედ შემოილო და თქუა: „უკუეთუ არა მარცუალი იფქლისადა დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოილოს“.¹ ეგრეთვე მსგავსად ნეტარმან პავლე მოილო იგივე სახც და თქუა: „უგუენურო, შენ რომელი დასთესი, არა ცხონდის, ვიდრე არა მოკუდის“.² ეგრეთვე აქა, უეჭუელად ყოფადისა მისთვის საქმისა ლელვს იგავად მოილო, ვითარმედ: „ეგრეთცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა“. ხოლო რადთა არა კუალად პირველსა მას გულისსიტყუასა მოვიდენ და ჰრქუან, თუ: „ოდეს იყოს ესე?“³ ამისთვის ეტყვს:

სახარებად: „ამენ გეტყვ თქუენ: არა წარვდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს. ცანი და ქუეყანადა წარვდეს, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარვდენ“ (24,34-35).

თარგმანი: რომელი „ესე ყოველი“? მითხარდა. ესე იგი არს მოოვრებად იერუსალჴმისადა, ბრძოლანი იგი და სრვანი და ძრვანი, ქრისტემტყუ-

¹ იოან. 12,24.

² 1 კორ. 15,36.

³ მათ. 24,3.

ვარნი იგი და ცრუნინაღსნარმეტყუელნი, ქადაგებად იგი სახარებისად ყოველსა სოფელსა, შფოთნი იგი და ჭირნი, რომელნი ყოფად არნ ანტეს მიერ ვიდრე მოსლვადმდე უფლისა.

ხოლო ვითარ იტყვს, თუ: „არა წარვდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს“? არა თუ მის ნათესავისათვის იტყვს, რომელი მაშინ იყო, არამედ ნათესავისათვის მორწმუნეთადას; რამეთუ ესე წეს არს წმიდათა წერილთა შინა, რადთა ნათესავსა არა ხოლო თუ ჟამთასა სახელ-სდებდეს, არამედ სარწმუნოებისაგანცა და მოქალაქობისა, ვითარცა იტყვს წინაღსნარმეტყუელი: „ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა“.¹ და კუალად იტყვს: „ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი“.² რამეთუ ვითარცა ზემო თქუა უფალმან, ვითარმედ: „ჯერ-არს ყოფად“,³ და კუალად თქუა, ვითარმედ: „იქადაგოს სახარებად ესე სასუფეველისადა ყოველსა სოფელსა“,⁴ ეგრეთვე აქა მოასწავებს, ვითარმედ უეჭუელად ყოფად არს, რად-ესე თქუა, და ეგოსვე ნათესავი მორწმუნეთად და არცა ერთისაგან ძნელოვანთა მათ საქმეთადას დაივსნას; არამედ იერუსალჴმიცა მოოწრდეს, და უმრავლესნი ჰურიათანი უჩინო იქმნენ, მონყუედილნი ფერად-ფერადითა სიკუდილითა, ხოლო ნათესავსა მას ქრისტეანეთასა ვერარად მძლე ექმნას, ვერცა დავსნას ვერცა სიყმილმან, ვერცა სრვამან, ვერცა ძრვამან, ვერცა მოოწრებამან ქალაქთამან, ვერცა ქრისტემეტყუვართა და მაცთურთა და ცრუნინაღსნარმეტყუელთა, ვერცა მიცემამან ჭირთა და ტანჯვათა, ვერცა მონყუედამან და მოძულეებამან ყოველთაგან წარმართთა, არცა სხუამან რამანვე განსაცდელმან. ამისთვის დაამტკიცა ძლიერად სიტყუად და თქუა ესე: „ცანი და ქუეყანად წარვდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარვდენ“. ესე იგი არს, ვითარმედ: ნივთთა ამათ მტკიცეთა და შეურყეველთა უადვილეს არს დავსნად და წარსლვად, ვიდრელა სიტყუათა ჩემთაგანიმცა რადმე არა აღესრულა. და ესე რომელსა ენებოს, გონიერად გულისხმა-ყავნ ყოფილი ესე, და მისგან ჰრწმენეს ყოფადიცა და იხილოს, ვითარ ენამების აღსასრული საქმეთად ჭეშმარიტებასა მას სიტყუათა მისთასა.

ავსენნა უკუე ცანი და ქუეყანად, – ერთად, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ ცისა და ქუეყანისა უპატიოსნეს არს ეკლესიად; მეორედ, რადთა გულისხმა-ყუყოს მონაფეთა, ვითარმედ თავადი არს დამბადებელი ყოვლისავე. რამეთუ ვინაფთგან აღსასრულისათვის ავსენნა და საქმე უხილავი მიუთხრა, რომელი ურწმუნო იქმნებოდა მრავალთა მიერ, ამისთვის ესრეთ მტკიცედ თქუა, რადთა გულისხმა-ყუყოს ყოველთა, ვითარმედ იგი არს შემოქმედი ცისა და ქუეყანისადა და მეუფე ყოვლისადავე; და წარუვალ არიან სიტყუანი მისნი და მტკიცე და შეურყეველ, რადთა ჰრწმენეს ყოველთა შეუორგულებელად.

¹ ფსალმ. 23,6.

² ფსალმ. 111,2.

³ მათ.24,6.

⁴ მათ. 24,14.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან**“ (24,36).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალთა მიერ საძიებელ არს სიტყუად ესე, თუ ვითარ უმეცარ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე დღესა მას და ჟამსა აღსასრულისასა. და უფროდსად მონაფენი იგი უშჯულოდსა არიოზის და ევნომიოზისნი მრავალგზის წინაგკყოფენ სიტყუასა ამას თანაშემნედ მათისა მის ცუდადმეტყუელებისა და ბოროტისა მის ზრახვისა და ესრეთ ნაჰრევენ, ვითარმედ: ვითარ თანასწორ არს ძე მამისა, ვინაფთგან თავადი წამებს, ვითარმედ: „დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან“? და მრავალსა ესევეითარსა ბირებითა ეშმაკისაფთა წარსწმასნიან.

ამისთვის, ვინაფთგან სიტყუასა ამას მოვიწინეთ, ვთქუათ მადლითა ღმრთისაფთა, რად-იგი მამათაგან გვსწავიეს. დაღაცათუ ქრისტეს-მბრძოლთა მათ ურცხვნოებად ვერ დაეჰჰსნათ (რამეთუ რომელიმცა სიტყუად იპოვა მათისა მის მედგრობისა განმკურნებელ?), არამედ მოყუარეთა უფლისათა და მართლითა მით სარწმუნოებითა შეზღუდვილთა გულსაგსე-ყოფად არა უდებ ვიქმნეთ. პირველად უკუე ამას ვიტყვ, ვითარმედ გონებასა მას მონაფეთასა გულსაგსე-ყოფად ენება, ვინაფთგან უკუე იგინი წადიერ იყვნეს ცნობად დღესა მას და ჟამსა აღსასრულისასა. ხოლო არა ჯერ-იყო ესე მრავალთა მიზეზთათვს. ამისთვის ჰრქუა, ვითარმედ: „არცა ანგელოზთა იციან“, რადთა არა ეძიებდენ იგინი ცნობად საქმეთა ანგელოზთაგან დაფარულთა; მერმე შესძინა და თქუა, ვითარმედ: „არცა ძემანო“, რადთა ესე რად ესმას, დაიდუმონ კითხვად და არა შეწუხდენ. რამეთუ უკუეთუმცა ეთქუა, თუ: არა გითხრობ, შეწუხდებოდეს, ხოლო ან ამით სიტყვთა თანანარჰჰდა გამოძიებასა მათსა.

და რადთა სცნათ, ვითარმედ ამისთვის თქუა ესე სიტყუად, იხილეთ შემდგომად აღდგომისა, ოდეს-იგი კუალად იწყეს კითხვად, ვითარმედ: „უფალო, უკუეთუ ამათ ჟამთა მოაგოა სასუფეველი ისრაჰლსა? ხოლო მან ჰრქუა მათ: არა თქუენი არს ცნობად ჟამთა და წელთაფ, რომელი-იგი მამამან დადვა თვისითა ჳელმწიფებითა“.¹ ამისთვის აჰსენა მამად, რადთა არა თქუან, თუ: შეურაცხ ვართ წინაშე უფლისა; არცა თუ ესე სათნო-იჩინა უწყებად, რამეთუ ჯერეთ სრულსა მას საზომსა არა მიწეწულ იყვნეს; ხოლო უფალსა არა ენება შეწუხებად მათი, ამისთვის მამასა მისცა მეცნიერებად იგი და საშინელ-ყო ძიებად იგი. ესე არს ერთი მიზეზი სიტყვსად მის.

მეორედ ესეცა ჯერ-არს ცნობად მორწმუნეთა მიერ, ვითარმედ მრავალსა იტყვს უფალი კაცობრივისა ბუნებისაგან, ვითარცა ოდესმე ჰრქუა სამარიტელსა მას: „მასუ მე წყალი“,² – რომელ-ესე სიტყუად არს ჳორცი-

¹ საქმე 1,6-7. ² იოან. 4,7.

ელისა საჯმრისა აღმასრულებელი, და რომელი-იგი ითხოვდა, არა კაცი იყო ლიტონი, არამედ ღმერთი შეერთებული კაცებასა. და კუალად, რომელ-იგი შეემშია, დაშურა და ცრემლოდა; და ოდესმე იტყოდა: „მამად უზეშთაეს ჩემსა არს“;¹ და კუალად იტყოდა: „არა ჳელ-მენიფების საქმედ თავით თვისით არარად“;² და კუალად იტყვს: „ველმნიფებად მოსცა მამამან საშჯელისა ყოფად“.³ და სხუად ესევეითარი მრავალი იპოვების წმიდასა სახარებასა შინა და წიგნსა მას მოციქულთასა. ამას ყოველსა თანა აღრაცხე ჯუარ-ცუმად და სიკუდილი, დაფლვად და აღდგომად და ამალღებად.

ან უკუე ამას ყოველსა არა ძნელ არს თითოეულისადაცა მადლითა ღმრთისადათა განმარტებად, გარნა მოკლედ ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ მაღალნი იგი სიტყუანი ჯერ-არიან ბუნებისა მისთვის ღმრთეებისა გულისხმის-ყოფად, და მდაბალნი – ბუნებისა მისთვის კაცობრივისა, რომელი ჩუენისა ცხოვრებისათვს შეიმოსა. ეგრეთვე უმეცრებისა ესე სიტყუად მიჩემოს თუ ვინ კაცებისა მისისა ბუნებასა, რომლისათვს იტყვს მახარებელი ლუკა: „და იესუ წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთაო“;⁴ არა ნაკლულევან იყოს ქეშმარიტებისაგან სიტყუად იგი.

და კუალად ესეცა გულისწმისსაყოფელ არს, ვითარმედ სიტყუად ესე, თუ: „არავინ“, დაღაცათუ ჩანს, თუ სხუასა ყოველსავე განარჩევს, თვნიერ მისა, რომლისათვს იტყვს, გარნა არა ესრეთ არს წმიდათა წერილთა შინა ჩუეულებად მისი; რამეთუ იტყვს: „არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი“.⁵ არა თუ მუნ თავი თვისი უფალმან გარეგან სახიერებისა დაანესა. ნუ იყოფინ! არამედ პირველი იგი მიზეზი სახიერებისა მისცა მამასა, რამეთუ ესე მრავალგზის ეთქუა, ვითარმედ ყოველივე, რადცა არს მამისად, მისი არს. ეგრეთვე სახიერებად, ვითარცა არს მამისად, ეგრეთვე ძისად არს. და კუალად იტყვს: „არავინ იცის ძე, გარნა მამამან“.⁶ არა თუ მუნ უმეცრებასა წამებს სულისა წმიდისასა. ნუ იყოფინ! არამედ მუნცა პირველი მიზეზი მეცნიერებისად მამისად წამა, რამეთუ ესე ცხად იყო, და მრავალგზის ეთქუა, ვითარმედ: „არავინ იცის ღმრთისად, გარნა სულმან ღმრთისამან“.⁷

ან უკუე ყოველივე ესევეითარი დიდებად და პატივი და სიბრძნე და სახიერებად და მეცნიერებად და სხუად ყოველივე კეთილი მამისა და ძისა და სულისა წმიდისად განუყოფელ არს. თვნიერ, ვითარცა მიზეზსა, პირველ იტყვს მამისათვს, რამეთუ ძე არს საყუარელი და პატივ-სცემს ყოველსავე ზედა დაუსაბამოსა მას მამასა. ეგრეთვე ესე სიტყუად, თუ: „არავინ იცის, გარნა მამამან“, პირველსა მიზეზსა მეცნიერებისასა ყოფილთა და ყოფადთადასა მამისა აღამალღებს და ყოვლითურთ უჩუენებს კაცთა, ვითარმედ იგი არს პირველი მიზეზი კეთილთად; და გულისხმა-გვყოფს, ვი-

¹ იოან. 14,28. ² იოან. 5,30. ³ იოან. 5,27. ⁴ ლუკ. 2,52. ⁵ მათ. 19,17. ⁶ მათ. 11,27.

⁷ 1 კორ. 2,11.

თარმედ რად-იგი მამისად არს, ყოველი ძისადცა არს და სულისა წმიდისად, თვნიერ უშობელობისა, რამეთუ მამად უშობელ არს, ძმ – პირველ საუკუნეთა შობილი დაუსაბამოდ, სული წმიდად – მამისაგან გამომავალი. ესე თვთებანი არიან გუამოვნებისანი. ხოლო სხვთა ყოველთავე ერთობად იგი და სწორებად წმიდისა სამებისად განუყოფელ არს, და ამას შჯულისა ბუნებითი გულისხმა-გვყოფს, და წმიდანი წერილნი გუასწავებენ. რამეთუ იტყვს მოციქული მხოლოდშობილისა ძისათვს ღმრთისა, ვითარმედ: „ხატი არს უხილავისა ღმრთისა“.¹ ხატი არა თუ სახისა ჴორციელისა, არამედ ღმრთეებისა და ყოველთა მათ დიდებულებისა ღმრთეებისათა, ხატი ძლიერებისად, ხატი სიბრძნისად, რამეთუ წერილ არს: „ქრისტე – ძალი და სიბრძნე ღმრთისა“.² ხოლო მეცნიერებადცა ნაწილი არს სიბრძნისად. ან უკუე ვითარ ვინ იკადროს თქუმად, თუ სიბრძნესა ღმრთისასა მეცნიერებად აკლს? ნუ იყოფინ ესე სიტყუად ყოლადვე!

ანუ ვითარ მამამან, რომლისა მიერ შექმნნა საუკუნენი, ესე მცირე ნაწილი ჟამთად – დღე იგი – არა აუნყა. დამბადებელი იგი ყოველთად, „რომლისა მიერ ყოველივე იქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი რად იქმნა“,³ მცირესა ნაწილსა მის მიერ ქმნილთასა – დღესა მას აღსასრულისასა – ვითარმცა უმეცარ იყო. ნუ იყოფინ ესე, ნუ იყოფინ! არამედ ვითარცა ყოველისავე დამბადებელმან და ყოველისა მპყრობელმან ყოველივე უწყის და ყოველსავე მეცნიერ არს. ამისთვისცა ყოველივე ყოფადი მიუთხრა მაშინ მონაფეთა და საქმენი მათ ჟამთანი აუნყნა და კართა ზედა მის დღისათა მიიყვანა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედაო“. ხოლო დღე იგი და ჟამი არა მიუთხრა განგებითა მით, რომელი მან მხოლომან უწყის, რამეთუ ეგრეთ ჯერ-იყო, რადთა განცხადებულად დღე იგი არავინ იცოდის. ხოლო სასწაულნი ყოველნი და საქმენი მათ ჟამთანი გუაუნყნა, რადთა ცნან ყოველთა, რომელნიცა გონებისა უფალ არიან, ვითარმედ არა თუ იგი უმეცარ იყო დღისა მისთვის, არამედ ჩუენთვის არა ჯერ-იყო მისი ცნობად. ამისთვის იტყვს უფალი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, ეგრეთ იყოს მოსლვად ძისა კაცისად. ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა მათ პირველ წყლით-რღუნისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრემდე შევიდა ნოვე კიდობნად, და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლითრღუნად იგი და წარილო ყოველი. ესრეთ იყოს მოსლვად ძისა კაცისად**“ (24,37-39).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე ამისთვის თქუა, რადთა გუასწაოს, ვითარმედ უცნაურად და მოულოდებელად მეყსა შინა მოვალს, და უმრავლესნი შუებასა შინა იპოვნენ, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარმედ: „დღე იგი უფლისად,

¹ 2 კორ. 4,4; კოლ. 1,15.

² 1 კორ. 1,24.

³ იოან. 1,3.

ვითარცა მპარავი ღამისად, ეგრეთ მოინიოს. რაჟამს თქუან: მშკდობად და კრძალულებად, მაშინ მეყსეულად მოინიოს მათ ზედა სრვად, ვითარცა საღმობად იგი შობადისად მიდგომილსა, და ვერ განერნენ¹.

ვითარ უკუე იტყვს უფალი, ვითარმედ: „შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთადასა“? რამეთუ უკუეთუ შუებად არს მაშინ და „მშკდობად და კრძალულებად“, ვითარცა პავლე იტყვს, ვითარ იტყვს უფალი, თუ: „შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთადასა“? უკუეთუ შუებად ყოფად არს, ვითარ იყოს ჭირი? გულისჯმა-ყავთ ესე სიტყუად.

შუებად აქუნდეს უგუნურთა და უღმობელთა. ამისთვისცა არა თქუა მოციქულმან, თუ: მშკდობად იყოს, არამედ: „რაჟამს თქუანო, თუ: მშკდობად და კრძალულებად“. მათსა მას უგუნურებასა გამოაჩინებს. ვითარცა-იგი ნოვეს ზე უგულისხმონი იგი იშუებდეს, ხოლო მართალნი მნუხარებასა შინა იყვენს, ეგრეთვე უფალი გუასნავებს და მოციქული წამებს, ვითარმედ დღეთა მათ, ოდეს ანტე მოვიდეს, ბოროტნი იგი გულისთქუმანი განმრავლდენ უშჯულოთა შორის, რომელთა წარეკუეთოს სასოვებად ცხორებისა თვისისად, და იყვენენ იგინი ნაყროვანებათა შინა, შუებათა და მთრვალობათა და სხუათა ყოველთავე ბილწებათა. ამისთვისცა სახე მოილო შემსგავსებული საქმისად მის. რამეთუ ვითარცა-იგი აღეშენებოდა რად კიდობანი ნოეს მიერ, არა ჰრწმენა უშჯულოთა მათ, არამედ ნოე უქადაგებდა მომავალსა მას რისხვასა და კიდობანსა მას იქმოდა, ხოლო იგინი, ვითარმცა არარად ბოროტი მოწვევად იყო, ეგრეთ იშუებდეს და განსცხრებოდეს, ვიდრემდის მოინია წყლითრღუნად და ყოველნი იგი მოწყვდნა. ეგრეთვე ყოფად არს დღეთა აღსასრულისათა: მოვიდეს ანტჳ და საცნურ იქმნას, ვითარმედ მცირედლა, და იქმნების მოსლვად უფლისად, და მიეცემიან ცოდვილნი სატანჯველთა საუკუნეთა, და იყვენენ მაშინ განსაცდელნი მრავალნი. ხოლო რომელნი-იგი შეპყრობილ იყვენენ მთრვალობითა მით უშჯულოვებისადათა, არა ელმოდის ყოვლადვე მომავალთა მათთვის ჭირთა, არამედ შუებასა შინა და ცოდვასა განფრდილ იყვენენ, და მეყსეულად მოინიოს მათ ზედა დღჳ იგი, „ვითარცა საღმობად შობადისად მიდგომილსა“, სიტყვსა მისებრ მოციქულისა. კეთილად უკუე ავსენა უფალმან სახჳ იგი წყლითრღუნისად, რადთა უკუეთუ ვინ ურწმუნო იყოს მომავალისა მის აღსასრულისა, ადრევე აღსრულებულისა მისგან წყლითრღუნისა ჰრწმენეს ყოფადიცა იგი.

კუალად სხუასა სახესა მოგუცემს, რადთა გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ ყოველივე უწყის მეუფემან ყოველთამან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მაშინ ორნი იყვენენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტყოს; ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი**

¹ 1 თეს. 5,2-3.

დაეტეოს. იღვძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს“ (24,40-42).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ხოლო ლუკაჲს სახარებასა ესრეთ წერილ არს: „მას ღამესა ორნი იყვნენ ცხედარსა ერთსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს“.¹ და ესე ყოველნი სახენი წარმოთქუნა – ერთად, რაჲთა ვცნათ, ვითარმედ მეცნიერ არს კეთილად დღესა მას და ჟამსა; მეორედ, რაჲთა გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ მოულოდებელად და უცნაურად მოწვენად არს დღე იგი. ამისთვის დღენიცა ნოვესნი აწსენნა, ამისთვის ცხედარსა ზედა ყოფად თქუა და ველსა სლვად და წისქულსა ფქვად; და ამით ყოვლითა მოასწავებს, ვითარმედ უზრუნველად რაჲ იყვნენ, მოინვეის; რამეთუ ცხედარსა ზედა წოლად და ველსა სლვად უზრუნველობისა სახე არს. და კუალად ამით იგავთა მიერ ამასცა გულისხმა-გკყოფს, ვითარმედ დიდებულთაგანნიცა და გლახაკთაგანნი რომელნიმე აღიტაცებიან მართალთა თანა ჰაერთა ზე შემთხუევად უფლისა, და რომელნიმე დაშთებიან ქუე, მონანიცა და უფალნი, ფლობილებით მყოფნიცა და შრომით, ორთაგანვე მოქალაქობათა. ამისთვის ცხედარსა ზედა ყოფისა მიერ და აგარაკსა სლვისა მდიდარნი და დიდებულნი მოასწავნა, და წისქულსა შინა ყოფისაგან გლახაკნი გამოასახნა, ვითარცა წერილ არს ძუელსა შინა, ვითარმედ: „მჯდომართგან საყდართა ზედა მიტყუემდე, რომელი არნ წისქულსა შინა“.² რამეთუ ვინაჲთგან ზემო ეთქუა, ვითარმედ: „ძნიად შევიდენ მდიდარნი სასუფეველსა“, ან აქა გამოაჩინებს, ვითარმედ არცა მდიდარნი ყოველნი წარწყმდებიან, არცა გლახაკნი ყოველნი ცხონდებიან, არამედ მათგანნიცა და ამათგანნიცა რომელნიმე ცხონდებიან, და რომელნიმე წარწყმდებიან. „ორნი იყვნენ ცხედარსა ერთსა“ – ესე სახე არს მდიდართა; ერთი იგი წარიტაცოს სასუფეველად, და ერთი იგი დაეტეოს ცოდვილთა თანა. „ორნი ფქვიდენ“ – ესე სახე არს გლახაკთა; ერთი წარიტაცოს ცხოვრებად, და ერთი დაეტეოს ცოდვილთა თანა. ორთავე დასთაგან, მდიდართაცა და გლახაკთა, რომელნიმე მართალთა თანა შეირაცხნენ, და რომელნიმე – ცოდვილთა.

კუალად წისქლისა მიერ მოქცევი ესე გამოსახვის საწუთროდსა ამის ცხორებისაჲ, რომელი დაუდგრომელად იქცევის და მსგავსად წისქლისა მსწრაფლ აქცევს საქმეთა ჩუენთა. „ორნი მოფქავნი“ – გულისხმა-იყოფებიან ერთსა საქმესა შინა მყოფნი ორნი კაცნი, გინა თუ მღდელობასა, გინა თუ მონაზონებასა, ანუ თუ ქალწულებასა, ანუ სხუასა რასმე ქველისსაქმესა, რომელსა მრავალნი იქმოდნიდ, გარნა არა ყოველნი ერთითა გონებითა, არამედ რომელნიმე საუკუნოდსა მის ცხორებისათვის და რომელნიმე საჩუენებელად კაცთა ანუ სხვთა რაჲთმე უჯეროდთა გულისსიტყვთა. იგინი, რომელნი საღმრთოდთა გულისსიტყვთა იქმოდეს, წარიტაც-

¹ ლუკ. 17,34.

² გამ. 11,5.

ნენ მართალთა თანა, და სხუანი იგი დაშთენ უბადრუკებით. და ყოვლი-
თურთ ამას მოასწავებს, ვითარმედ ყოვლისაგანვე დასისა და ყოვლისა-
განვე მოქალაქობისა რომელნიმე ცხორებად წარიტაცნენ, და რომელნიმე
წარწყმედასა შინა დაშთენ.

ხოლო მე ვჰგონებ, ვითარმედ ამასცა მოასწავებს, თუ მოსლვად იგი
უფლისად ღამით ყოფად არს; რამეთუ ამას გულისხმა-გვყოფს ლუკა სიტყ-
ყთა მით, რომელ თქუა: „მას ღამესა ორნი იყვნენ ცხედარსაო: ერთი იგი
წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს“. ჰხედავა, ვითარ ყოველსავე გამონუ-
ლილვით მეცნიერ არს? ამისთვის მეყსეულად შესძინა და თქუა: „იღვძებ-
დით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს“. არა
თქუა, თუ: არა ვიცი, არამედ: „არა იცითო“. რამეთუ ოდეს მახლობე-
ლად დაადგინნეს დღისა მის და ჟამისა, კუალად დააყენებს კითხვად, რა-
მეთუ ჰნებავს, რადთა მარადის მოელოდინ და ზრუნვიდენ ჟამისა მისთვის.
ამისთვის იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო ესემცა იცით: უკუეთუმცა უწყოდა სახლისა
უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოსლვად არს, იღვძებდამცა და არა
უტევა დათხრად გუერდი სახლისა მისისაჲ. ამისთვის თქუენცა იყვენით
განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდით, ძე კაცისაჲ მო-
ვიდეს“ (24,43-44).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესრეთ გვბრძანებს, რადთა მარადის სათნოებასა შინა
ვიყვენით და მარადის ვზრუნვიდით აღსასრულისათვის, რამეთუ უკუეთუმცა
იცოდეს კაცთა ჟამი სიკუდილისაჲ, უეჭუელად მას ჟამსა მოსწრაფებასამ-
ცა შინა იყვენს; გარნა არა ჰნებავს უფალსა, რადთა მას ოდენ ჟამსა ვიქმო-
დით კეთილსა, არამედ მარადის და ყოვლადვე. ამისთვის არა საცნაურ-ყო
არცა ზოგადი იგი ყოველთა აღსასრული, არცა კაცად-კაცადისაჲ, რადთა
მარადის მოველოდით და მარადის კეთილსა ვიქმოდით, რადთა ესრეთ ვი-
პოვნეთ. ამას ადგილსა განცხადებულად უფლად უწოდა თავსა თვისსა, რო-
მელ-ესე სხუასა ადგილსა არა ეთქუა ესრეთ ცხადად: „იღვძებდითო, რა-
მეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს“. და აყუედრებს
უდებთა, რომელ ესოდენიცა მღვდარებაჲ არა აქუს ცხორებისათვის სულთა
თვსთაჲსა, ვითარ-იგი სხუანი შიშისათვის მპარავთაჲსა აჩუენებენ. ხოლო
ვინაფთვან დღე იგი საშუჯელისაჲ ავსენა, მოძღუართა მიმართ მიაქცევს
სიტყუასა თვისსა და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ვინ-მე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი
დაადგინოს უფალმან თვსმან მსახურთა თვსთა ზედა მიცემად საზრდელი
ჟამსა თვისსა? ნეტარ არს მონისა მის, რომლისა მოვიდეს უფალი თვისი და
პოვოს იგი ესრეთ მოქმედი. ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ ყოველსა ზედა
მონაგებსა დაადგინოს იგი“ (24,45-47).

თ ა რ გ მ ა ნ ი: თქუთლა, შვილნო მწვალებელთანო, ნუუკუე ესეცა სიტყუა უმეცრებასა მოასწავებსა? უკუეთუ რომელ-იგი ზემო თქუა, ვითარმედ: „დღისა მისთვის არავინ უწყის“, და იტყვ, თუ: ძე უმეცარ არს დღესა მას, ან აქა რად სთქუა, რომელ-ესე იტყვს: „ვინ-მე არს მონა იგი“? ნუ-უკუე სთქუა, თუ ამასცა უმეცარ არსა? ნუ იყოფინ! ამას არცა თუ სრულიად განცკბრებულნი იტყვან. ანუ ოდეს-იგი იტყოდა ლაზარესთვის, „სადა დასდევითო“;¹ და კუალად მამისათვისცა იპოვებიან ესევეთარნი სიტყუანი, რამეთუ მან თქუა: „ადამ, სადა ხარო“;² და კუალად იტყვს: „ლაღადება სოდომისა და გომორისა განმრავლებულ არს, და ცოდვანი მათნი განმრავლებულ არიან. გარდავიდე და ვიხილო, უკუეთუ ღალადებისაებრ მათისა, რომელ მოინევის ჩემდა, ეგრეთ აღესრულებიან, უკუეთუ არა, რადთა ვცნა“;³ და სახარებასა შინა იტყვს: „რად ვყო? მივავლინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ იცის, შეიკდიმონ“.⁴

ესე ყოველნი სიტყუანი უმეცრებასა გამოსახვენ, არამედ არარას უმეცარ იყო, გარნა განგებულებითა შუენიერთა იქმოდა. ადამსა ჰრქუა: „სადა ხარ?“ რადთა მისცეს მას ადგილი გულისხმის-ყოფად ცთომისა თვისისა და აღსაარებად.

ხოლო სოდომელთათვის ესრეთ განანესა სიტყუა იგი, რადთა გუასნაოს ჩუენ არა მიცემად განჩინებისა, ვიდრე არა კეთილად ზედამივინინეთ საქმესა მას საძიებელსა. ხოლო იგავსა მას შინა სახარებისასა – რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ თანაედვა შეკდიმება ძისაგან და არა შეიკდიმეს.

ხოლო აქა თქუა: „ვინ არს მონა იგი?“ რადთა უჩუენოს, ვითარმედ მცირედნი იპოვებიან ესევეთარნი. ამისთვისცა ჰნატრის მას. და ვითარმცა ჰნატრიდა, რომელი არა უწყოდა? ჰე, ჭეშმარიტად უწყოდა. არამედ რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ ძლით იპოვების ესევეთარი, ამისთვის თქუა: „ვინ-მე არს სარწმუნო იგი მონა და ბრძენი“, და შემდგომი ამისი.

ხოლო ამას არა საფასეთათვის ოდენ ჳორციელთა იტყვს, არამედ მოძღურებისათვისცა და ძალისა და საფასისა და ყოვლისავე საქმისათვის, რომელიცა მადლი ერწმუნა კაცად-კაცადსა. ესე იგავი მთავართაცა მოეზავების და მეფეთა და მღდელთა, რამეთუ კაცად-კაცადსა, რომლისაცა ძალ-ედვას სარგებელ-ყოფად სხუათა, აღსრულებად თანააც, გინა თუ სიბრძნე ვის აქუნდეს, გინა თუ მოძღურებად, გინა თუ სიმდიდრე, გინა თუ სხუად რადმე, ყოველივემცა სარგებელად მის თანამონათა აღესრულების და ნუ საგნებელად მათა და წარსაწყმედელად თავისა თვისისა. ამისთვის ორსავე ეძიებს: სარწმუნოებასა და სიბრძნესა, რამეთუ ნანდკლვე ცოდვად უგუზურებისაგან იქმნების. და ესევეთარსა მას კეთილსა

¹ იოან. 11,34.

² დაბ. 3,9.

³ დაბ. 18,20-21.

⁴ ლუკ. 20,13.

მონასა სარწმუნოდ ამისთვის უნოდა, რამეთუ არარად მიიხუეჭა მან, არცა ცუდად და ამოდ წარაგო რწმუნებული იგი უფლისაგან, ხოლო ბრძნად – ამისთვის, რამეთუ გონიერად ცნა ადგილი და სახე ჴმარებისად მადლისა მიცემულისა მისდა, რამეთუ ორივე საჴმარ არს ჩუენდა: არამიხუეჭად სამეუფოთა საფასეთად და ჯეროვნად განგებად მათი. ხოლო ამათ ორთაგან რომელიცა ნაკლულევან იყოს, მეორეცა კელოზნ; რამეთუ უკუეთუ სარწმუნო იყოს მონად და არა იპარვიდეს, ხოლო უგუნურად წარწყმ[ედ]დეს საფასესა უფლისა თვისასა და უჯეროდ წარაგებდეს, დიდად საბრალობელ არს. კულად, უკუეთუ იცოდის კეთილად განგებად და იპარვიდეს, ბოროტ არს. ამისთვის ორივე ჯერ-არს: სიბრძნე და სარწმუნოება.

ისმინეთ, მოძღუარნო! ისმინეთ, მდიდარნო! ისმინეთ ყოველთა, რომელთა გერწმუნა ღმრთისა მიერ ნიჭი რადმე კეთილი! ისმინეთ, რასა იტყვს კეთილად განმგებელთათვის, რომელნი მოსწრაფე იყვნენ მოყუასთა სარგებელად: „ამენ გეტყვ, ვითარმედ ყოველსა ზედა მონაგებსა თვისსა დაადგინოს იგი“. რადმცა იყო სწორ ამისა პატივისა? რომელმან-მე სიტყუამან გამოაჩინოს პატივი იგი და ნეტარებად, ოდეს მეუფემან ცათამან და ქუეყანისამან კაცი დაადგინოს ყოველსა ზედა მონაგებსა მისსა? ვინ უძლოს მონაგებთა მათ საზომისა თქუმად ანუ მოგონებად? ჴქუმარიტად უკუე და სამართლად ბრძენ უნოდა მას, რამეთუ აგო მცირედითა დიდთა მათ კეთილთა მორენად და კნინოდენითა სიბრძნითა ცანი მოიყიდნა. ვინადგან უკუე წარმოთქუა პატივი და ნეტარებად სარწმუნოსა მის და ბრძნისა მონისა, იტყვს წინააღმდგომსაცა, რადთა ორკერძოვე განაკრძალოს მსმენელი სიტყუათა მისთად:

ს ა ხ რ ე ბ ა დ : „უკუეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თვისსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მისთანათა მონათა, ჴამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა, მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა, რომელსა არა ჴგონებდეს, და ჴამსა, რომელსა არა უწყოდის, და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჴენად კბილთად“ (24,48-51).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ნუუკუე თქუას ვინმე ცუდადმეტყუელთაგანმან, ვითარმედ: ჴხედავა, ვითარი გულისსიტყუად შემოვიდა უცნაურებისაგან დღისა მის? უკუეთუმცა საცნაურ იყო, არამცა ეთქუა მონასა მას, თუ: „ყოვნის უფალი ჩემი“. არამედ ესე სიტყუად, ჴ კაცო, ცუდ არს და ამო, რამეთუ არა უცნაურებისათვის დღისა მის ქმნა ესე, არამედ რომელ უკეთურ იყო მონად იგი. უკუეთუ არა, სარწმუნოსა მას მონასა და ბრძენსა რად არა შეემთხვა ესე? რამეთუ რად არს ესე, უკუეთუ ყოვნის უფალი? ჴ უბადრუკო, განალა მოელი მოსლვასა მისსა გინა თუ ადრე, გინა თუ ნელად, რადსათვის უკუე არა ჴზრუნავ თავსა შენსა? ხოლო ჩუენ ვისნა-

ვებთ, ვითარმედ არცა თუ ყოვნის მოსლვად, რამეთუ ესე სიტყუად, თუ: „ყოვნის“, არა უფლისაჲ არს, არამედ ბოროტისა მის მონისაჲ. ხოლო ის-მინე პავლესი, რასა იტყვს: „უფალი ახლოს არსო, ნუ ჰზრუნავთ“;¹ და კუალად იტყვს: „მომავალი იგი მოვიდესო და არა ყოვნოს“.² საცნაურ არს უკუე, ვითარმედ უფროსად უმეცრებაჲ იგი დღისაჲ მის და უცნაურობაჲ ფრიად სარგებელ არს მონათათს, რადთა მარადის განკრძალულ იყვენ-ენ. ამისთვის დაფარა უწყებაჲ მისი უფალმან, რადთა ყოვლადვე მღვდარე ვიყვნეთ და გუეშინოდის იგავისა მისგან ბოროტისა მის და უდებისა მონისა, რომლისათს იტყვს, ვითარმედ: „მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა ჰგონებდეს, და ჟამსა, რომელსა არა უწყოდის, და ორგან განკუეთოს იგი“. ესე იგი არს, განაგდოს ერთობისაგან საკუთარ-თა და სარწმუნოთა მონათაჲსა და ნაწილი მისი ორგულთა თანა დადვას. „მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“.

სწავლად იუ მონყალებისათს და ძმათმოყუარებისა

და ან, საყუარელნო, ჩუენცა ვეკრძალნეთ, რადთა არა შეგუემთხვოს მლევანი ესე საქმე. რამეთუ რომელთაცა ჰქონან საფასენი და არა მის-ცემენ გლახაკთა, ბოროტისა მის მონისა მობაძვე არიან. რამეთუ შენცა, კაცო, მნე ხარ მონაგებთა შენთაჲ, ვითარცა მნენი იგი ეკლესიისანი; და ვითარცა მნესა ეკლესიისასა, რომლისადა რწმუნებულ არიან საფასენი გა-მოსაზრდელად გლახაკთა, არა ჯელ-ენიფების ცუდად წარგებად, რამეთუ გლახაკთაჲ არს, ეგრეთვე არცა შენ ჯელ-გენიფების საფასეთა შენთა, გინა თუ მამული იყოს, გინა თუ ვინაჲცა, ამათა და ცუდთა საქმეთა ზედა წარ-გებად. რამეთუ რწმუნებულ არს შენდა უფლისა მიერ მიცემად შენთა თა-ნამონათა საზრდელი ჟამსა თვსსა. და რად არს „ჟამსა თვსსა“? ესე იგი არს, რომელნი ნაკლულევან იყვენენ, რომელთა შიოდის, რომელნი შიშუელ იყვენ-ენ. და ვითარცა შენ მონათა და შენთა მნეთა ამცნებ კეთილად განგებად მონაგებსა შენსა, ეგრეთვე ღმერთი შენგან ეძიებს. ამისთვის მოგცა საფა-სე, რადთა გაქუნდეს მიზეზი მოგებად სათნოვებისა ქველისსაქმითა; რადთა მოიგო სიყუარული, თავი იგი სათნოვებათაჲ; რადთა მოიგო კაცთმოყუარე-ბაჲ, რომელი-იგი საქმე არს საღმრთოჲ. და ან შენ ანგაჰრებთა შეპყრობილ ხარ, არა ხოლო თუ არა იქმ ქველისსაქმესა, არამედ ჰგუემცა გლახაკთა, აგინებ და შეურაცხ-ჰყოფ, ვითარცა იტყვს უფალი ბოროტისა მის მონი-სათს: „ინყოსო გუემად მის თანამონათა მათ“. ესე ანგაჰრთათს თქუა და მტაცებელთა, რომელნი აჭირვებენ გლახაკთა. და კუალად იტყვს: „ჭამდეს

¹ ფილიპ. 4,5-6.

² ებრ. 10,37.

და სუმიდესო მომთრვალეთა თანა“. რამეთუ შუებისმოყუარეთათჳსცა და ნაყროვანთა საშჯელი განმზადებულ არს.

კაცო, არა თუ ამისთჳს მოგეცნეს საფასენი, რაჲთა იშუებდე და ითრვე-ბოდი, არამედ რაჲთა მონყალეხასა იქმოდო. არა თუ შენი არს, რაჲ-ეგე გა-ქუს, არამედ გლახაკთაჲ რწმუნებულ არს შენდა. გინა თუ მამული გაქუს, გინა თუ შრომითა შენითა მოგებული, გლახაკთათჳს მოუცემიეს ღმერთსა, რაჲთა მისცემდე მათ საზრდელსა ჟამსა თჳსსა. უკუეთუ არა კეთილად გა-ნაგო, საშჯელი მიგეწადოს. იხილე, რაოდენითა იგავითა გამოაჩინა ესე: რამეთუ ქალწულნი იგი დაისაჯნეს, არა თუ რომელ სხუათაჲ მოიტაცეს, არამედ რომელ თჳსი არა მისცეს. ეგრეთვე რომელმან ქანქარი იგი დაჰ-ფლა ქუეყანასა და რომელნი მშიერსა თანანარჰჳდეს, ესე ყოველნი არა თუ ანგაჰრებისათჳს და სხუათაგან მოხუეჭისა დაისაჯნეს, არამედ რომელ თჳსისაგან არა მისცემდეს ქველისსაქმედ, არამედ ბოროტად წარაგეს, ვი-თარცა ამან მონამან, რომლისათჳს ან აღმოვიკითხეთ.

ვისმინოთ ნაყროვანთა და შუებისმოყუარეთა, რომელნი ტაბლათა ზე-და ბრწყინვალეთა წარვაგებთ სიმდიდრესა მას არა ჩუენსა, არამედ გლა-ხაკთათჳს ჩუენდა რწმუნებულსა, დაღაცათუ მრავლისა მისთჳს კაცთმო-ყუარებისა, ვითარცა ჩუენსა, გკბრძანებს უფალი მიცემად; გარნა არა ჩუ-ენი არს, არამედ მის მიერ ჩუენდა რწმუნებულ არს. რაჲსათჳს უკუე ესრეთ უმადლოდ გამოვაჩინებთ თავთა ჩუენთა?

გულისხმა-ვყოთ, თუ რაოდენ საწადელ იყო ჰოვნად ღონისა შენდო-ბად შემდგომად ნათლის-ღებისა მონვენულთა ცოდვათა. უკუეთუმცა არა ეთქუა, თუ: „იქმოდეთ ქველისსაქმესა, რაჲთა მიგეტვენენ ცოდ-ვანი“, ¹ რავდენნიმცა იტყოდეს: ჰე თუმცა იყო ღონე მიცემად საფასი-სა და განრომად საუკუნეთა მათგან სატანჯველთა. ხოლო ვინადთგან ესე იქადაგა, ან კუალად უდებ იქმნეს. ამას ზედა მრავალნი მეტყვან, ვითარმედ: ჰე, მივსცემ გლახაკთა, რაჲსათჳს მაყუედრებ? არამედ რაჲ არს სიტყუად, კაცო? ჯერეთ არა მიგიცემიეს არცა თუ მის ქურივისა სწორად, რომელმან ორი იგი წულილი დადვა ფასისსაცავსა, არცა თუ ზოგი მისისა მის შესანირავისაჲ, რამეთუ ნამეტნავისა შენისა ასეულსა-ცა არა მისცემ და უმეტესსა ცუდსა და ამაოთა საქმეთა ზედა იზღვევი ხადილობად და მთრვალობად და სხუათა უძკრესთა, ვითარცა მონისა მისთჳს თქუა, ვითარმედ: „ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა და სცემდეს მის თანამონათა“. ესე იგი არს, თჳსსა მას უწესოვებასა თანა მოყუსისაცა ცხორებაჲ შეურაცხ-ეყოს, რომელ-ესე დიდად განმამწარე-ბელ არს ღმერთისა. ამისთჳს ორად განკუეთასა ბრძანებს ესევეითარისა მის მონისასა. რამეთუ ვითარცა-იგი სიყუარული პატიოსან არს წინაშე მისა და სასწაულად თჳსისა მონაფებისა ურთიერთას სიყუარული განა-

¹ შდრ. მათ. 5,7; დან. 4,24; ზირ. 3,30.

ნესა, ეგრეთვე სიძულილი და ულმობელობა მოყუსისა მიმართ საძაგელ არს ღმრთისა წინაშე.

ამისთვის, საყუარელნო, ძმათმოყუარებად შევიკრძალოთ, რამეთუ ესე არს გზად ზეცად აღმყვანებელი, ესე გუყოფს მსგავს ქრისტესა, რაოდენ შესაძლებელ არს. და იხილენით, რაბამნი სათნოებანი დაშენებულ არიან ამას გზასა ზედა. და ან ესრეთ გამოვსახოთ: გულისხმა-ვყვენთ ორნი გზანი სათნოებათანი: ერთი იგი, რომელი თვსსა ოდენ კეთილსა ზრუნვიდეს და სათნოდ იქცეოდის, და მეორე, რომელი მოყუასსაცა არგებდეს.

ან ვიხილოთ, რომელი ამათ ორთა გზათაგანი ადრე მიმანევს ჩუენ თავსა სათნოებათასა. საცნაურ არს, ვითარმედ მეორესა მას, რომელი მოყუასსა არგებდეს, პავლე დიდად აქებს, ვიდრეღა მას, რომელი თავსა ოდენ თვსსა არგებდეს. ხოლო ოდეს ვთქუა, თუ პავლე აქებს, ქებად იგი ქრისტესგან გულისხმა-ყავთ, რამეთუ პირითა პავლესითა ქრისტე იტყოდა. ისმინეთ უკუე, რასა იგი იტყვს ამის ჯერისათვის: „ნუ თავისა თვისისა ეძიებნ კაცად-კაცადი, არამედ მოყუსისასა თითოეული“. ¹ და კუალად იტყვს: „კაცად-კაცადი მოყუასსა სათნო-ეყოფოდენ კეთილსა ზედა აღსაშენებელად“. ² და კუალად იტყვს: „იყვენით ურთიერთას ტკბილ, მონყალე, მიმმადლებელ, ვითარცა-იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგუმადლა ჩუენ“. ³ ჰხედავა ქებასა ამას ძმათმოყუარებისასა? და კუალად ესეცა გულისხმა-ყავთ: რომელნიმე სათნოებანი ჩუენ შორის ოდენ დაადგრებიან, და რომელნიმე სხუათა მიმართცა მიინევიან. ესე იგი არს, მარხვა და მოლუანება და ქალწულებად და მსგავსნი ამათნი მოქმედთა ხოლო მათთა სარგებელ ეყოფვის, ხოლო მონყალება და სიყუარული და სწავლა და უცხოთმოყუარება და მსგავსნი ამათნი ჩუენცა სარგებელ გუეყოფვიან და ჩუენ მიერ სხუათა მიმართცა მიინევიან, და ამისთვის უაღრეს და უპატიონეს არიან.

ისმინე უკუე, ამის ჯერისათვისცა რასა იტყვს მოციქული: „შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ჳორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არა-ვე-რად სარგებელ არს ჩემდა“. ⁴ ვთქუა სხუადცა უმეტესი სიტყუად ჭეშმარიტი: გულისხმა-ვყვენთ ორნი კაცნი: ერთი იგი იმარხვედინ და ილოცვედინ და აღსასრულსა წამებითაცა სრულ იქმენინ, ხოლო მეორემან აღშენებისათვის მოყუსისა და სარგებელისათვის მისისა დრო-ეცინ წამებასა და დიდისა მის გვრგვისაგან წუთერთ დააკლდინ. ვინ უაღრეს იქმნების ამათ ორთაგან, და რომელი უმეტესსა სასყიდელსა მიემთხუევის? არა საწმარ არს აქა ჩემდა მრავლისმეტყუელებად, რამეთუ დგას ნეტარი პავლე და განჩინებით იტყვს: „გული მეტყვს მე განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად უფროდსლა უმჯობეს; ხოლო დადგრომად ჳორცთა შინა უაღრეს თქუენთვის“. ⁵ და პატივ-სცა აღშენებასა მოყუასთასა

¹ 1 კორ. 10,24.

² რომ. 15,2.

³ ეფეს. 4,32.

⁴ 1 კორ. 13,3.

⁵ ფილიპ. 1,23-24.

უფროს ქრისტეს მიმართ მოსლვისა, რამეთუ ესე არს უმეტესად ქრისტეს თანა ყოფად – აღსრულებად ნებისა მისისაჲ. ხოლო ნებაჲ მისი არარასა ზედა არს ესრეთ განსუენებულ, ვითარ ამას, რაჲთა უმჯობესა მოყუსისასა ვიქმოდით. და ესე აუწყა პეტრეს, რაჲჲმს ჰრქუა: „პეტრე, გიყუარ მება?“¹ და სამგზისვე სიყუარულისა მისისა სასწაულად მწყსად ცხოვართა მისთად უბრძანა. ხოლო ესე არა მდდელთა მიმართ ხოლო თქუმულ არს, არამედ კაცად-კაცადისა, რომლისადაცა რწმუნებულ იყოს გინა თუ დიდი, გინა თუ მცირე სამწყსო. ნუ მცირისათჳს უგულებელს-ჰყოფ, რამეთუ მამამან ზეცათამან სათნო-იყო მცირეცა იგი სამწყსოდ. ერთიცა თუ ვის ჰყვეს მონაფჳ ანუ შვილი, ყოვლითა მოსწრაფებითა ილჳნიდინ, რაჲთა სარგებელ ეყოს მას სულიერიტა ნესიტა. ესრეთ ვიქმნეთ სათნო უფლისა და მონა სარწმუნო. უკუეთუ მოვიგოთ სიყუარული, მონყალებად, სახიერებაჲ, სიტკბოებაჲ, ამათ მიერ მარხვაჲცა ჩუენი და ლოცვაჲ შეწირულ იყოს ღმრთისა. რამეთუ ჭემმარიტად რომელსა ჰქონდეს სიყუარული და მონყალებად, ყოველნივე სათნოვებანი მის თანა არიან: არა იპარავს, არა იტაცებს, არა ცილსა სწამებს, მტერთა ულოცავს, მწყევართა აკურთხევს, მოძულეთა კეთილსა უყოფს. ვინაჲთგან უკუე გულისხმა-გყყოფიეს, ვითარმედ სიყუარული ძმათად და სარგებელი მათი სულიერი და ჳორციელი მიგკძღვს ცხოვრებად საუკუნოდ, ესე სათნოვებად შევიტკბოთ, რაჲთა სასუფეველსა ცათასა ღირს ვიქმნეთ ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ შდრ. იოან. 21,15-17.

თავი ოც

სიტყუად ესე: „მაშინ ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა“ (25,1).

კულად, საყუარელნო, შესაძრწუნებელთა იგავთა წარმოიტყვს უფალი, რომელნი-ესე გულისხმის-ყოფით ყურად-ვიხუნეთ და გონებათა შინა ჩუენთა გუაქუნდინ საჯსენებელად, რამეთუ იტყვს:

სახარებაჲ: „მაშინ ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა. ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყვნეს სულელნი, და ხუთნი – ბრძენნი. მიიხუნეს სულელთა მათ სანთელნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა სანთელთა მათ თანა. დაყოვნებასა მას მის სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. შუვაღამეს ოდენ ღალადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე შემოვალს, აღდგით და მივეგებვოდით მას. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: გუეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაშრტებიან. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ წარვედით სავაჭროსა და იყიდეთ თავისა თქუენისა. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორნილსა მას, და დაიჯშა კარი. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენცა! მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ: არა გიცნი თქუენ. იღჳძებდით უკუე თქუენცა, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი“ (25,1-13).

თარგმანი: ესეცა იგავი პირველისა მის მსგავს არს, რომელ-იგი თქუა სარწმუნოდას მისთვის მონისა და უმადლოდას. რამეთუ ოთხნი არიან შეწყობით იგავნი ესე, და ოთხნივე ერთსა პირსა გამოსახავენ თითოფერად: იგავი იგი ორთა მათ მონათაჲ, და ათთა ამათ ქალწულთაჲ, და მონათა მათ, რომელთა ქანქარნი ერწმუნნეს, და ცხოვართაჲ მათ და თიკანთაჲ. ესე ოთხნივე ერთსა სახესა გუასწავებენ: მოწყალებისათჳს, და რადთა ყოვლითა საქმითა, რომელიცა ძალ-გუედვას, სარგებელ ვეყოფოდით მოყუასთა, რამეთუ შეუძლებელ არს სხუაებრ მიმთხუევად ცხოვრებისა. არამედ სხუანი იგი იგავნი შემოკრებულად ყოველსავე სარგებელსა გამოსახვენ, რომელი ჯერ-არს ყოფად ძმათა მიმართ, ხოლო ქალწულთაჲ ესე იგავი უმეტესად მოწყალებასა მოასწავებს განყოფითა საჭმართაჲთა; და უფიცხეს პირველისა მის იგავისა ყო ესე, რამეთუ მუნ რომელი-იგი ითრეგბოდა და სცემდა მოყუასთა და ბოროტად წარმგებელი იყო, იტანჯა, ხოლო აქა

რომელი არა სარგებელ ეყოფოდის ძმათა და არა უხუებით განუყოფდეს, რომელი-რად აქუნდეს, მოასწავებს განვრდომად სასძლოჲსა მისგან, ვითარცა შეემთხვა სულელთა მათ.

ხოლო რადსათჳს იგავსა ამას შინა პირი ქალწულთად წარმოიღო და არა სხუად რადმე პირი თქუა? ესე ამისთჳს, რამეთუ პირველ დიდნი ქებანი წარმოთქუნა ქალწულებისანი, ვითარმედ: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. და არა ყოველთა დაიტიონო სიტყუად ესე“.¹ და სხუად მრავალი თქუა. და უწყოდა უფალმან, ვითარმედ დიდად აქუს კაცთა საქმე ესე, და არსმცა ჭეშმარიტად დიდ. და ჩანს, რომელ არცა ძუელსა შინა შჯულსა დიდთა მათ წმიდათა კაცთა შეუძლეს აღსრულებად, და ახალსა შინა არა დაენესა ესე საქმე შჯულად სიძნელისათჳს მისისა. არცა თქუა ღმერთმან განჩინებით, არამედ ნებასა კაცად-კაცადისასა მიუშუა და თქუა: „რომელი შემძლებელ არს დატივენად, დაიტიენო“.

ამისთჳსცა ნეტარი პავლე იტყჳს: „ხოლო ქალწულთათჳს ბრძანებად უფლისა მიერ არა მაქუსო“.² ესე იგი არს, ვაქებო ყოველსა, რომელმანცა წარჰმართოს, ხოლო რომელსა არა ენებოს, არა აღვიძულებ, არცა შჯულად დავსდებ საქმესა ამას. ვინაჲთგან უკუე დიდ არს საქმე ესე და ყოველთა მიერ საქებელ, რადთა არა ჰგონებდენ, რომელთა ქალწულებად წარჰმართონ, თუ ყოველივე წარუმართებიეს და სრულებისა საზომსა მიწვევულ არიან და სხუანი სათნოებანი უგულებელს-ყვენენ, ამისთჳს იგავსა ამას შინა პირი ქალწულთად შემოიღო, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ: ქალწულებასა დაღაცათუ სხუანიცა სათნოებანი აქუნდენ და მონყალებისაგან ცარიელ იყოს, მეძავთა თანავე და სხუათა ცოდვილთა შეირაცხვის. და ესე საშჯელი ჭეშმარიტ არს, რამეთუ მეძავი იძლია ტრფიალებითა ჳორცთაჲთა, და ესე – ტრფიალებითა საფასეთაჲთა. ხოლო არა სწორ არს ბრძოლად ჳორცთაჲ და საჰმართმოყუარებისად, არამედ ბრძოლად ჳორცთაჲ ფრიად უფიცხეს არს და უმძღავრეს. რაოდენცა უკუე მბრძოლი იგი უფიცხეს იყოს, უფრო არა საბრალობელ არს მის მიერ ძლეული? ჰე, საბრალობელ არს იგიცა, გარნა ესე უმეტესად საბრალობელ არს, რომელი უუძღურესისა მბრძოლისაგან იძლია. ამისთჳსცა სულელ უწოდა მათ, რამეთუ უმეტესი შრომად თავს-იდვეს ქალწულებისად და უდარესისა მისთჳს ყოველივე წარწყმიდეს. ხოლო სანთლად აქა იტყჳს სათნოებასა მას ქალწულებისასა და სინმიდესა მას უბინოებისასა, და ზეთად სახელ-სდებს კაცთმოყუარებასა და მონყალებასა და ჳელის-აპყრობასა ჭირვეულთასა, რომელი-იგი სულელთა მათ არა მოიგეს თანაშემწედ ქალწულებისა.

„დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს“. – კუა-ლად გამოაჩინებს, ვითარმედ მრავალი ჟამი ყოფად არს ვიდრე მოსლვად-

¹ მათ. 19,12. ² 1 კორ. 7,25.

მდე მისა, რამეთუ მოწაფენი ჰგონებდეს, თუ ახლოს სადმე არს აღსასრული. ამისთვის მრავლით კერძო გულისხმა-უყოფს, რადთა არა ესრეთ მოელოდენ მახლობელად. და კუალად ამასცა მოასწავებს, ვითარმედ ძილი არს სიკუდილი; და სიკუდილისათვის იტყვს: „მიერულაო ყოველთა და დაიძინეს“, რომელ-ესე თანანარუვალ არს.

„შუვალამეს ოდენ ლაღადებად იყო“. – კუალად გამოაჩინებს, ვითარმედ ღამით ყოფად არს აღდგომა იგი ყოველთაჲ. ხოლო „ლაღადებად“ ესე პავლეცა გამოაჩინა და თქუა: „რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და ჳმითა ანგელოზთმთავრისაჲთა და საყვრითა ღმრთისაჲთა გარდამოჳდეს ზეცით“. ¹ და რაჲ-მე იყოს „ლაღადებად“ იგი და „საყვრნი“? – ესერა უფალი გუასწავებს „ლაღადებასა“ მას, ვითარმედ: „ესერა სიძჳ მოვალს, აღდეგით და მიეგებოდეთ“.

„ხოლო აღაგნეს რაჲ სანთელნი, ეტყოდეს სულელნი იგი ბრძენთა მათ: გუეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა“. კუალად სულელ უწოდა მათ, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ არავინ არს უსულელეს და უუგუნურეს მათსა, რომელნი აქა მოიგებენ საფასეთა და მუნ შიშუველნი წარვლენ, სადა-იგი ჭემმარიტად საჳმარ არს ჩუენდა სიმდიდრე იგი, მოწყალებისა მიერ მოგებული. და არა ამით ხოლო ჯერითა სულელ უწოდა, არამედ ამისთვისცა, რომელ უჟამოდ ითხოვდეს და ესვიდეს მოღებად, ვინაჲ-იგი ღონე არა იყო, დაღაცათუ ფრიად სახიერ და მოწყალე იყვნეს ბრძენნი იგი ქალწულნი და ამით სახითა ცხონდეს. და არცა თუ ყოველსა მას ზეთსა ითხოვდეს მათგან, არამედ კნინოდენსა: „გუეცითო ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაშრტებიან“. არამედ არავე მიემთხვნეს სათხოველსა მას, და არცა სახიერებამან გონებისა ბრძენთაჲსამან, არცა სიადვილემან მის სათხოველისამან, არცა საჭირომან მან საჳმარმან დაარწმუნა მათ მიცემად ზეთისა მის. ამის პირისაგან რაჲ მოგუესწავების? ვითარმედ მას საუკუნესა უკუეთუ კეთილთა საქმეთაგან ცარიელ და შიშუელ ვიპოვნეთ, ვერვის ჳელენიფების შენვენად. არა თუ არა ჰნებავს, არამედ ვერ შემძლებელ არს, ვითარცა ესერა ქალწულთა ამათ შეემთხვა. და ნეტარმანცა აბრაჳამ ესევე მოასწავა, ეტყოდა რაჲ მდიდარსა მას, ვითარმედ: „შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს. და რომელსა უნდეს ნიაღვრვად ამიერ თქუენდა, ვერ ჳელ-ენიფების“. ² ეგრეთვე ბრძენნი იგი ქალწულნი სულელთა მათ ეტყვან: „წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა“. ვინ-მე არიან მსყიდელნი მის ზეთისანი? ესენი არიან გლახაკნი, და იგინი აქა არიან. აქავე ჯერ-არს მოგებად და არა მერმესა მას ჟამსა.

ჰხედავა, რაოდენი სარგებელი მოვალს ჩუენდა გლახაკთაგან? ან უკუე აქავე გჳჳს შეკრებად ზეთისაჲ, რადთა მაშინ ვიჳმაროთ, რამეთუ არა იგი არს ჟამი ვაჭრობისაჲ, არამედ – ესე.

¹ 1 თეს. 4,16. ² ლუკ. 16,26.

ან უკუე, კაცო, ნუ ცუდად წარაგებ საფასეთა შენთა შუებად და ზუაობად, რამეთუ ფრიად საჭმარ არს შენდა ზეთი ჟამსა მას საჭიროსა.

„წარვიდეს იგინი სყიდად“. – უსარგებლო იქმნა შრომად მათი, რამეთუ არა არს მუნ ადგილი ქველისსაქმისა და სინანულისა, ესე ყოველი ჯერ-არს აქავე მოგებად. ვითარცა-იგი მდიდარსა მას არას ერგო მუნ სინანული და ზრუნვა თვსთად, ეგრეთვე ესენი წარვიდეს რად სყიდად, მოვიდა სიძველე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა, და დაეცვა კარი, და სხუანი იგი გარე დაშთეს შემდგომად ესოდენთა შრომათა და ესოდენთა ოფლთა, შემდგომად ესოდენისა ბრძოლისა, რომელ ჰბრძოდეს ბუნებასა თვსსა და მჭურვალებასა მას ჯორცთასა მძლე ექმნეს. ამის ყოვლისა შემდგომად წარვიდეს სირცხვლეულნი და თავდადრეკილნი. და რად ერგო ქალწულებისა მისგან, ვინაფთგან სიძველე იგი ვერ იხილეს, კარი არა განელო, არამედ ესმა სიტყუად იგი საშინელი, ვითარმედ: „წარვედით, არა გიცნი თქუენ“?

ხოლო ოდეს თავადმან ესე თქუას, მიერითგან რადღა არს სასოებად, გარნა მიცემად გეჰენიად, და უფროსად თვთ მებრ ესე სიტყუად უმწარეს გეჰენისა არს. ესევე სიტყუად მოქმედთა მათცა უმჯჯულოებისათა ჰრქუა. ხოლო ესე რად აღასრულა იგავი, მეყსეულად თქუა:

ს ა ხ რ ე ბ ა დ : „იღვძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი“ (25,13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ჰხედავა, ვითარ ზედადსზედა იტყვს ამას, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ დიდად სარგებელ არს უცნაურებად იგი ჟამისა მის სიკუდილისა? სადა არიან იგინი, რომელნი მარადის დაწნილ და უდებ არიან, და ოდეს ვაბრალობდეთ, იტყვან, ვითარმედ: ჟამსა სიკუდილისა-სა დაუტეო ნაქონები ჩემი გლახაკთა? ისმენდინ ამათ სიტყუათა და გულისხმა-ჰყოფდედ, რამეთუ მრავალნი მეყსა შინა წარიტაცნეს და არცა თუ სიტყვსა თქუმად ჯელ-ენიფა.

ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ ესე იგავი მონყალებისათვს თქუმულ არს და მიცემისათვს გლახაკთადას; ხოლო მეორე ესე, შემდგომი ამისი, მათა მიმართ არს, რომელნი არცა საფასითა, არცა სიტყვითა, არცა საქმითა, არცა სხვთა რადთავე სახითა ისწრაფიან სარგებელად მოყუსისა, არამედ ყოველივე შურს და ყოველსავე მალვენ.

ხოლო რადსათვს ამას იგავსა შინა მეუფესა გამოსახავს და ზემოსა მას სიძველე თქუა? რადთა სცნა, ვითარმედ ფრიადი თვსებად და ერთობად აქუს ქრისტესა ქალწულთა მიმართ ჭეშმარიტთა, რომელთა აღიძუარცონ ყოველივე, რომელი-ესე არს ჭეშმარიტი ქალწულებად; ვითარცა იტყვს მოციქული, ვითარმედ: „უქორწინებელი იგი ზრუნავნ უფლისა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს“.¹ ამისთვს მუნ სიძველე თქუა, ხოლო აქა მეუფესა იტყვს, რამეთუ

¹ 1 კორ. 7,32.

უფალი არს ყოველთაჲ ქეშმარიტი მეუფეჴ. ხოლო ესე იგავი ლუკას თავსა სხუაებრ წერილ არს. ეგრეთ უკუე ვიტყვ, ვითარმედ სხუად არს იგი იგავი, რამეთუ მუნ ათთა მონათა თითო მნად მისცაო, და ერთისა მისგან თავისა თითოსახენი იქმნეს შრომანი: რომელმანმე ხუთად შეკეცა და რომელმანმე ათად, და ეგრეთვე სასყიდელი მიიღეს, შემსგავსებული საქმისა მის. ხოლო აქა სხუად სახედ წარმოიტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი მეუფეჴ გზასა და მოუწენს მონათა თვსთა და მისცის მათ მონაგები თვსი; და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვსისა, და წარვიდა. და მეყსეულად წარვიდა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და ქმნა მას ზედა და შესძინა სხუადღა ხუთი. ეგრეთვე რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუად ორი. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თვსისა. შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ და სიტყუად ყო მონათა მათ თანა. და წარდგა, რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, მოართუა მას სხუადღა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუად ხუთი ქანქარი შევსძინე. ჰრქუა მას უფალმან თვსმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, და მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. და მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიიღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუად ორი ქანქარი შევსძინე. ჰრქუა მას უფალმან თვსმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, და მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიიღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ. შემეშინა და წარვედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ. ჯერ-იყო დადებად შენდა ვეცხლი იგი ჩემი სავაჭროსა, და მო-მცა-ვედ და მოვილე ჩემი აღნადგინებითურთ. მოუდეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან. და მონად იგი უჭმარი განჯადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთაჲ“ (25,14-30).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ყოვლადვე ესრეთ არს განგებულებად უფლისაჲ. არა მეყსეულად მოჰვდის სიტყუასა და ეძიებს საქმესა. რამეთუ ვენაჯისა მის-

თვს იტყვს, ვითარმედ: „მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა“;¹ და ან აქა არწმუნა ქანქარი იგი, რომელ არს ტალანტი, და წარვიდაო, – რაფთა სცნა სულგრძელებად მისი. ხოლო მოსლვასა იტყვს მეორესა მას, ოდეს-იგი იქმნას აღდგომად მკუდართად და დაჯდეს უფალი განკითხვად. ხოლო აქა არა იწსენებიან მუშაკნი და ვენაწი, რამეთუ არა მთავართა მიმართ ოდენ არს, არცა ჰურიათა სიტყუად ესე, არამედ ყოველთა მიმართ იტყვს მორწმუნეთა. და რომელნიმე წარმოუდგებიან და აღიარებენ მის მიერ მიცემულსა მას მადლსა და უჩუენებენ თვს[ს]ა საქმესა და ჰმადლობენ, რამეთუ მის მიერ მიიღეს მიზეზი საქმისად მის და მისდად აღიარებენ ყოველსავე. ამისთვს უფალიცა მადლიერ არს და სახიერით უწესს, რამეთუ სახიერ ექმნეს მოყუასთა, და სარწმუნოდ სახელ-სდებს, რამეთუ ქანქარი იგი განამრავლეს, და უბრძანებს სიხარულსა მას საუკუნოსა შესლვად; ესე არს თავი ყოვლისა ნეტარებისად.

ხოლო უდებმან მან და მედგარმან მონამან ჰრქუა: „უნყოდე, რამეთუ ფიცხელ ხარ“; ამისთვს „დავჰვალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს“. ხოლო უფალმან ჰრქუა მას: „ჯერ-იყო დადებად შენდა ვეცხლი იგი ჩემი სავაჭროსა“. – ესე იგი არს: ჯერ-იყო შენდა თქუემად, სწავლად, ქადაგებად, შერჩულვად, ვედრებად, განზრახვად კეთილისა. უკუეთუ არა გისმენდეს, არა არს ესე ბრალ შენდა.

რაფცა იყო ამისა უსახიერეს? კაცნი არა ესრეთ იქმან, არამედ რომელსა მიეცეს სესხი იგი, მასვე თანააც მოჰდაცა და მიცემად უფლისა თვისისა. ხოლო ქრისტე არა ესრეთ ეძიებს, არამედ იტყვს: „შენდა ჯერ-იყო დადებად ვეცხლი იგი ჩემი სავაჭროსა, და მემცა მოვიღე იგი აღნადგინებითურთ“. აღნადგინებად სწავლისა იტყვს საქმისა აღსრულებასა. შენდა ჯერ-იყო უადვილესისა ქმნად და უძნელესისა ჩემდა დატეობად, ხოლო ვინაფთგან ესოდენ უდებ და მედგარ იქმენ, „მოუღეთ მაგას ქანქარი იგი და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი“, და შემდგომი ამისი.

რაფ არს უკუე სიტყუად ესე? ესე იგი არს, ვითარმედ: რომელსა აქუნდეს მადლი სიტყვსა და სწავლისად სარგებელად ძმათა და არა იქმოდის, მადლსა მასცა წარსწყმედს და სასყიდელსაცა. ხოლო რომელი მოსწრაფებით შურებოდის, უმეტესი ნიჭი მიიღოს მან. და არა ესე ოდენ შეემთხვა უბადრუკსა მას, რომელ ქანქარი იგი მოუღეს, არამედ ისმინეთ განჩინებად იგი, სავსე დიდითა სიმნარითა: „და მონად იგი უწმაროი განჯადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენად კბილთად“.

ჰხედავა, ვითარ არა ხოლო ანგაჰრნი და მტაცებელნი და ბოროტის-მოქმედნი, არამედ უდებნიცა და კეთილისა არამოქმედნი დაისაჯებიან?

¹მათ. 21,33.

სწავლად ოც სიყუარულისათვის და სიმშვიდისა

გულისხმა-ვეყნეთ სიტყუანი ესე, ძმანო, ვიდრელა გუაქუს ჟამი, და ვიზრუნოთ ცხოვრებად სულთა ჩუენთად. მოვიგოთ ზეთი სანთელთა მათთვის ჩუენთა, განვამრავლოთ ტალანტი იგი, მოცემული ღმრთისა მიერ. უკუეთუ უდებ და უქმ ვიყვნეთ აქა, მუნ არავინ შეგკნყალოს ჩუენ, რაოდენცა ვტიროდით.

აბრაღა თავსა თვსსა მანცა, რომელი სამოსლითა ხენეშითა შევიდა ქორნილსა მას, არამედ არას ერგო; მისცა ქანქარიცა იგი ერთი დაუკლებელად მონამან მან, არამედ და-ვე-ისაჯა; ვედრებოდეს სულელნიცა იგი ქალწულნი და ჰრეკდეს კარსა, არამედ ცუდად შურებოდეს.

ვინადგან უკუე ესე ყოველი უწყით, ნუ უდებ ვიქმნებით, არამედ ვისწრაფოთ სარგებელ-ყოფად მოყუასთა საფასითაცა და ჴელის-აპყრობითა და თანამზრუნველობითა და ყოვლითა სახითა. რამეთუ ესე არს ტალანტი და ესე არს ქანქარი – კაცად-კაცადისა ძალი, რომელიცა აქუნდეს, გინა თუ საფასე, გინა თუ სწავლა, გინა თუ შენევნა, გინა თუ რომელიცა რადმე საქმე, რომლითა აღეშენებოდის მოყუასი გინა თუ სულიერად, გინა თუ ჴორციელად. ნუვინ იტყვს, თუ: ერთი ტალანტი მაქუს და ვერარას ვიქმ. ჴელ-გენიფების, კაცო, ერთისა მისცა განმრავლება; არა უგლახაკეს ხარ ქურივისა მის, არა უსწავლელ ხარ უფროჲს პეტრეს და პავლესა, რომელნი-იგი გლახაკცა იყვნეს და უსწავლელცა, არამედ ვინადგან გულსმოდგინება აქუნდა [და] სიყუარული და ისწრაფეს სარგებელ კაცთა ყოფად, ამისთვის ცადმდე ამალდეს. რამეთუ არარად ესრეთ სათნო არს ღმრთისა, ვითარ სარგებელ ძმათა ყოფად ჩუენი. ამისთვის მოუცემიეს ჩუენდა სიტყუად და ჴელნი და ფერჴნი და ძალი გუამისად და გონებად და მეცნიერებად, რადთა ესე ყოველი ცხოვრებადცა თავთა თვსთა და მოყუასთა სარგებელად ვიჭმაროთ. არა გალობად და მადლობად ოდენ საჭმარ არს ჩუენდა პირმეტყუელობად, არამედ სწავლადცა და ნუგეშინის-ცემად ძმათა. უკუეთუ ესრეთ ვიჭმაროთ პირმეტყუელობად, მობაძავ ვიქმნებით მეუფისა, ხოლო წინააღმდეგომი თუ ამისი მოვიგოთ, მობაძავ ვიქმნებით ეშმაკისა.

იხილეთ, ვითარ ოდეს-იგი მოციქულმან პეტრე ქრისტე აღიარა, ნეტარებად მიიღო, ვითარცა მამისა მიერ ჴეცათაჲსა განათლებულმან. ხოლო ოდეს ჯუარ-ცუმისათვის თქუა: „არა იყოს ესე“,¹ შეჴრისხნა მას უფალმან ძლიერად. ან უკუე ჩუენცა მარადის ესევითართამცა სიტყუათა ვიტყვოთ, რადთა ცხად იყვნენ, ვითარმედ ქრისტეს მიერ არიან. რამეთუ არა თუ ოდეს ვთქუა, თუ: ენეა, აღდეგ და ვიდოდე,² ანუ თუ ვთქუა: ტაბითა, განიღკე,³ მაშინ ოდენმცა იყვნეს ქრისტეს სიტყუანი, არამედ უკუეთუ ბოროტისმყო-

¹ მათ. 16,22.

² შდრ. საქმე 9,34.

³ შდრ. საქმე 9,40.

ფელნი ჩემნი ვაკურთხნე, უკუეთუ მდევართა ჩემთათჳს ვილოცო, უკუეთუ ძმასა კეთილი რაჲმე ვასწავო, ქრისტეს სიტყუანი არიან ესევეთარნი ესე. უკუეთუ რაჲ ქრისტეს ჰნებაჲს, მას ვზრახვიდეთ, იყოს ენაჲ ჩუენი მისდად შერაცხილ. რაჲ-მე უკუე ჰნებაჲს მას?

ყოველივე სიტყუაჲ სიტკბოებისა და სიმშჳდისაჲ ჰნებაჲს, ვითარცა-იგი სახიერებით და სიმშჳდით ეტყოდა წინააღმდეგომთა მისთა: „უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს; უკუეთუ კეთილსა, რაჲსა მცემ მე?“¹ იხილეა სიტყუაჲ ესე სიმშჳდისაჲ? დიდებაჲ აურაცხელსა სახიერებასა მისსა! არა უბრძანა ქუეყანასა დანთქუმად ეშმაკეულისა მის ბოროტისა მონისა, არა დაწუა ცეცხლითა, არამედ ეტყოდა: „რაჲსა მცემ მე?“² საქმე, სავესე შიშითა და ძრწოლითა! და მარადის ესრეთ ტკბილ და სახიერ იყო სიტყუაჲ მისი და მარადის ასწავლიდა და უმჯობესსა შეაგონებდა.

ან უკუე შენცა თუ ესრეთ ეტყოდი მბრძოლთა შენთა სიმშჳდით და მოყუასთა – სარგებელად, მოიგო ენაჲ მობაძავი უფლისაჲ, რამეთუ თავადმან თქუა: „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოსაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს“.² ხოლო ოდეს ენაჲ შენი იქმნეს მობაძავ ქრისტეს ენისა, და პირი შენი – ღმერთშემოსილ, და გული შენი – ტაძარ სულისა წმიდისა, რაჲლამცა იყო სწორ ამის პატივისა? უკუეთუმცა იყო ენაჲ შენი ოქროსაჲ და ბაგენი შენნი მარგალიტისანი, არა-ვე-რაჲ არს ესე პატივისა ამას თანა საღმრთოსა.

ჭემარითად პატიოსან არს და საწადელ ენაჲ, რომელმან არა იცოდის გინებაჲ, არამედ – კურთხევაჲ. ხოლო უკუეთუ ვერ მოგიგიეს ჯერეთ ესე საზომი, რაჲთა მწყევართა აკურთხევედე, მოიგე წუთერთ დუმილი და ძკრსა წუ იტყუ, და მერმე წარემატო მასცა საზომსა და იქმნა საშინელ ეშმაკთა. რამეთუ იხილოს თუ მან ბოროტმან შენ თანა ენაჲ ქრისტეს მობაძავი, ივლტოდის შენგან, ვითარცა ცეცხლისაგან, რამეთუ იცნობს იგი სახესა მას სამეუფოსა, უწყის საჭურველი იგი, რომლითა იძლია (ესე არს სიმშჳდე და სახიერებაჲ), ოდეს მთასა ზედა მოუჭდა უფალსა, და უფალმან დააკუეთა იგი და განწადა; არა თუ გამოაჩინა თავი თჳსი, ვითარმედ ქრისტე არს, და ესრეთ იოტა, არამედ სიტყუთა სიმდაბლისა და სიმშჳდისაჲთა მოინადირა.

ეგრეთვე შენ იქმოდე, ძმაო, ოდეს იხილო კაცი ეშმაკისა მიმსგავსებუ-ლი, ეგრეთვე მძლე ექმნენ. მოუცემიეს უფალსა ჴელმწიფებაჲ ბაძვად მისა ძალისაებრ ჩუენისა. წუ გეშინინ ამის სიტყუსაგან, უფროსად გეშინოდენ არაბაძვად მისა, რომელი-იგი ამისთჳს მოვიდა, რაჲთა ყოვლისა სათნოებისა სახე მოგუცეს ჩუენ. მიემსგავსე მისთა სიტყუათა და იქმნე მობაძავ მისა. ესე უაღრეს არს წინაღსწარმეტყუელეებისა; რამეთუ წინაღსწარმეტყუელეებაჲ მაღლი არს ღმრთისა მიერ, ხოლო ესე ყოვლითურთ შრომათა და ოფლთა შენთაგან იქმნების. ასწავე სულსა შენსა გამოსახვად შენ შორის ენასა ქრისტეს მიმსგავსებულსა; ჴელ-ენიფების, უნდეს თუ მისი გა-

¹ იოან. 18,23.

² იერ. 15,19.

მოსახვად. და ვითარ-მე გამოისახვის იგი, რომლითა ნივთითა ანუ რომლითა წამლითა? ნივთითა და წამლითა არცა ერთითა, არამედ სათნოებითა და სიმდაბლითა. რამეთუ გინებათა მიერ და წყევათა, ძკრის-ზრახვათა და ცილფიცებათა მიერ გამოისახვის ენად ეშმაკისა. ოდეს ყოველსა ვინ მისა ზრახვიდეს, მისი ენად აქუნდეს. დიდი უკუე საშჯელი მოინიოს ჩუენ ზედა, უკუეთუ ენად იგი, რომლითა ღირს ვიქმნენით მოღებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, ვყოთ იგი მობაძავ ეშმაკისა. ხოლო უკუეთუ ყოველივე ბოროტი მოვსპოთ ჩუენგან და მარადის კეთილსა ვიტყოდით, მაშინ გამოისახვის პირსა ჩუენსა ენად ქრისტეს მობაძავი. უკუეთუ ესე ვითარი მოვიგოთ ენად, კადნიერებით ვეტყოდით ღმერთსა, დაჯდეს რად საყდართა ზედა, და ისმინოს ჩუენი. ხოლო ესე ვითარი თუ ენად არა გუაქუნდეს, არა ისმინოს ჩუენი, ვითარცა მსაჯულმან, სხკთა ენითა მზრახვალმან, არა ისმინოს უცხოთესლისა ვისმე ენად.

ვისწაოთ უკუე სიტყუად წესისაებრ მეუფისა ჩუენისა: უკუეთუ გლოასა შთაჰვარდე, ეკრძალე, რადთა არა მიდრკეს ენად შენი უწესობად, არამედ იტყოდე, ვითარცა ქრისტესგან ისწავე, რამეთუ იგიცა ცრემლოდა ლაზარესთვს; უკუეთუ შიშსა შთაჰვარდე, იგივე წესი მოიგე, ვითარცა ქრისტესგან ისწავე, რამეთუ იგიცა ოდესმე შიშსა მიეცა ჩუენთვს ბუნებითა მით კაცობრივითა; თქუ შენცა: „არა ვითარ-იგი მე მნებავსო, არამედ ვითარცა შენ გნებავს“;¹ უკუეთუ სცრემლოდი, ესრეთ მდუმრიად ცრემლოდი, ვითარცა იგი. უკუეთუ მწუხარებასა შთაჰვარდე, იგივე წესი იპყარ. ისმინე, ვითარ იტყოდა: „შენუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე“.² რამეთუ ყოველსავე ზედა სახც მოგცა, რადთა ჰბაძვიდე მას. ესრეთ თუ სცხოხნდებოდი, ნეტარ იყოს შენდა, უკუეთუ მის მიერ დადებული წესი დაიმარხო ჟამსა მწუხარებისასა, ჟამსა ურვისასა, ჟამსა გლოვისასა და ყოველსავე საქმესა შინა.

იტყვს უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გუელითა, და ჰპოვოთ განსუენებად სულთა თქუენთა“.³ უკუეთუ იქმნა მშკდ და მდაბალ, მეგობარ იყო ქრისტესა, ვითარცა წერილ არს მოსესთვს, ვითარ „იყო უმშკდეს ყოველთა კაცთა“.⁴ ამისთვს ეწოდა მსახურ და მონა ღმრთისა, და „ეიტყოდა მას ღმერთი პირისპირ, ვითარცა ვინ ეტყვნ მეგობარსა თვსსა“.⁵ უკუეთუ ესე წესი მოიგო, ამასცა სოფელსა სანატრელ იყო და საუკუნეთა მათ სატანჯველთა პირი არა იხილო, არამედ კადნიერებით წარსდგე საშინელსა მას სამშჯავროსა და ზეცისა სასუფეველსა მკვდრ იქმნა, რომელსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისად დიდებად არს თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ მათ. 26,39.

² მათ. 26,38.

³ მათ. 11,29.

⁴ რიცხ. 12,3.

⁵ გამ. 33,11.

თავი ოთ

სიტყუაჲ ესე: „რაჟამს მოვიდეს ძმ კაცისაჲ დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა თვისისათა; და შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან“ (25,31-32).

სიტყუათაჲ ამათ შუენიერთა და შესაძრწუნებელთაჲ, რომელნი მარადის გონებათა შინა ჩუენთა არიან, ვისმინოთ ან შიშით და ლმობიერებით, რომელნი-ესე აღსასრულად ყვნა სწავლისა მის თვისისა უფალმან და სამართლად ესრეთ განანესა, რამეთუ დიდად პატიოსან არს მისდა მონყალეზაჲ და ძმათმოყუარებაჲ, და ყოველსავე სახარებასა შინა მრავალგზის აწსენა იგი. ხოლო უმეტესადლა ან, და ცხადად, და არა ორი პირი ანუ ხუთი მოილო იგავად, არამედ ყოველივე სოფელი; დაღაცათუ ზემოცა იგავთა მათ მიერ არა ორსა პირსა ანუ ხუთსა მოასწავებდა, არამედ ორსა კერძსა: კეთილსა და ხენეშსა.

ხოლო ან შესაძრწუნებელად შესთხზნის სიტყუასა ამას თვისსა. ამისთვისა არა თქუა, თუ: „ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ“, არამედ განცხადებულად გვჩუენებს თავსა თვისსა და იტყვს: „რაჟამს მოვიდეს ძმ კაცისაჲ დიდებითა თვისითა“. რამეთუ ან გლახაკებით მოვიდა, შეურაცხებით და ყუედრებით, ხოლო მაშინ არა ეგრეთ, არამედ მოვიდეს „დიდებითა დიდითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა“.

ზედადსზედა აწსენებს დიდებასა, რამეთუ ახლოს იყო ჯუარ-ცუჲმად, საქმც შეურაცხად და საყუედრელად შერაცხილი. ამისთვის აღამაღლებს გონებასა მას მსმენელთასა და უჩუენებს დიდებულსა მას სამშჯავროსა და გამოუსახავს წარდგომასა ყოვლისა სოფლისასა წინაშე მისა და რომელ უსაშინელეს არს, ვითარმედ: „ყოველნი ანგელოზნი მის თანა“. იგინი წამებდენო, რავდენნი მსახურებანი აღასრულნეს, წარივლინებოდეს რაჲ მეუფისა მიერ ცხორებად კაცთა. და ყოვლითურთ შესაძრწუნებელ იყოს იგი დღც.

„და შეკრბენო წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი“. – ესე იგი არს, ყოველივე ბუნებაჲ კაცთაჲ.

„და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან“. – რამეთუ ან არა განრჩეულ არიან, არამედ ყოველნივე აღრეულად იქცევიან, ხოლო მაშინ იქმნას განრჩევაჲ დიდითა გამონულილვითა.

„და დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი – მარცხენით“ (25,33). ადგილითაცა განყვნა ურთიერთას და სახელითაცა. ხოლო მართალთა ცხოვარ უწოდა და ცოდვილთა – თიკან, რაათა უნაყოფობაჲ

მათი გამოაჩინოს და უნესოვებად და სიმქისე გონებისად, რამეთუ ესრეთ არს მსგავსებად თიკანთაჲ.

ხოლო ცხოვართაგან სარგებელიცა ფრიად არს მატყლითა და სძითა და კრავითა, და ხილვად წესიერ და კეთილ. გარნა საცხოვართა ბუნებითი არს გინა თუ ნაყოფიერებაჲ, გინა თუ უნაყოფოვებაჲ, ხოლო კაცთაჲ ნეფსითი არს, გონებისაებრ თითოეულისა. ამისთვის რომელნიმე გკრგკნოსან იქმნებიან და რომელნიმე დაიშჯებიან. გარნა ამისა პირველ სიტყუასაჲ ჰყოფს მათ თანა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „**მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი პირველ სოფლის დაბადებისა. რამეთუ მშოოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასვთ მე; უცხო ვიყავ, და შემინყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგინყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძღური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენსა ზედა ჰყავთ ერთსა ამათ მცირეთაგანსა ძმათა ჩემთა, იგი მე მიყავთ“ (25,34-40).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ეჰა რაოდენთა კეთილთა ღირს არს სახელი ესე, რომელ კურთხეულ უწოდა მათ, და კურთხეულ მამისა მიერ. და ვინაჲ ღირს იქმნეს ამას პატივისა? რაჲ იყო მიზეზი ესოდენისა ამის დიდებისაჲ? „მშოოდა, და მეცით მე ჭამადიო“, და შემდგომი ამისი. დიდი პატივი და დიდი ნეტარებაჲ მოიყიდეს ადვილითა და სუბუქითა ფასითა; ნეტარ არიან იგინი და სამგზის სანატრელ. და ისმინეთ ნეტარებაჲ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი პირველ სოფლის დაბადებისა“. არა თქუა, თუ: მიილეთ, არამედ „დაიმკვდრეთო“, ვითარცა თვისი, ვითარცა მამული, ვითარცა პირველითგან თანანადები მოცემად თქუენდა; რამეთუ ვიდრელა არა დაბადებულ იყვენით, არცა შობილ, მაშინვე განმზადებულ იყო ესე თქუენთვის, რამეთუ გიცოდენ თქუენ, რამეთუ ესევეთარნი ყოფად ხართ. ეჰა საკვრველი, რომლისა საქმისა ნაცვალად რასალა მიიღებენ! პურისა წილ და სართულისა და წყლისა, სამოსლისა წილ უნდოდას, მისლვისა წილ და ხილვისა. რამეთუ არარას მეტსა და ნამეტნავსა ეძიებს, არამედ ყოველსავე ზედა საჯმარსა ხოლო. და მრავალგზის არცა თუ საჯმარსა, რამეთუ სნეულსა უჭმს განკურნებაჲ, და პყრობილსა – თავისუფლებაჲ, არამედ სახიერი იგი ოდენ ეძიებს, რომელი ძალ-გუედვას, და უფროდსა ძალისაცა უდარესსა; და მცირედისა წილ და უნდოდას მსახურებისა წინაშე ანგელოზთა და კაცთა აკურთხევს მონყალეთა მათ და

გამომზრდელად და შემწყნარებელად თვსად სახელ-სდებს და გკრგკნო-სან-ჰყოფს გკრგკნითა მით დაუჭნობელითა და მისცემს სასუფეველსა სამ-კკდრებელად. დიდებად აურაცხელსა მას კაცთმოყუარებასა მისსა! რამეთუ ყოვლით კერძო ეძიებს მიზეზსა შეწყალებად ჩუენდა, უკუეთუ ოდენ არა სრულიად გულფიცხელ და უკეთურ ვიპოვნეთ, ვითარცა იგინი, რომელნი მარცხენით განირჩინეს და უნაყოფოებასა თიკანთასა მიემსგავსნეს.

სახარება: „მაშინ ჰრქუას მარცხენეთა მათ: ნარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვს და მსახურთა მისთა. რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე; უცხო ვიყავ, და არა შემინწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძღურ ვიყავ და საპყრობილეს, და არა მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, ანუ წყურიელი, ანუ უცხოვებასა, ანუ შიშულობასა, ანუ უძღურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ? მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ თქუენ: რავდენსა არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“ (25,41-45).

თარგმანი: ეჰა ჳმად სასტიკი და სავსე სიმწართა! ვადმე, ვადმე დღისა მისთვს და ჟამისა! რად-მე ყოფად არს? რამეთუ შეურვებულ ვარ, საყუარელნო, და შეძრწუნებულ, და ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყაროდ ცრემლთად? და ვტიროდემცა დღე და ღამე უბადრუკებასა მას მარცხენით მდგომარეთასა. ვინ თავს-იდვას სახიერისა მის და ტკბილისა პირისა გარემიქცევად, ოდეს-იგი თქუას: „ნარვედით ჩემგან, წყეულნო!“ ზემო თქუა: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო“, ხოლო ან: „ნარვედითო ჩემგან, წყეულნო!“ არღარა მამისაგან, რამეთუ არა თუ მან დაწყენა იგინი, არამედ – საქმეთა მათთა. „ნარვედით ცეცხლსა მას საუკუნესა“, რომელი-იგი განმზადებულ არს არა თქუენტვს, არამედ „ეშმაკისათვს და მსახურთა მისთა“. ოდეს-იგი სასუფეველისათვს იტყოდა, ეგრეთ თქუა: „განმზადებული თქუენტვსო პირველ სოფლის დაბადებისა“, ხოლო ცეცხლისათვს არა იტყვს ამას, არამედ „რომელი განმზადებულ არსო ეშმაკისთვს“, რამეთუ მე თქუენტვს სასუფეველი განვმზადე, ხოლო ცეცხლი – ეშმაკისათვს და მსახურთა მისთა; ვინადთგან უკუე თქუენ თავნი თვსნი ღირს ცეცხლისა ჰყვენით, თვსთა თავთა აბრალეთ. და უჩუენებს მიზეზსა: „მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადიო“, და შემდგომი ამისი, რადთა ყოვლითურთ უსიტყუელ-ყვენეს. და იგინიცა სიტყუასა ჰყოფენ უფლისა მიმართ, არამედ არა სარგებელ ეყოფვის, რამეთუ საქმჴ, ესოდენ ადვილი და მისდა ესოდენ სათნოდ, უგულებელს-ყვეს. წინადაწარმეტყუელნიცა პირველვე ამას იტყოდეს: „წყალობად მნებავსო და არა მსხუერპლი“;¹ და

¹ ოსე 6,6.

შჯულისმდებელმან ესე განაწესა, და თვთ ბუნებაჲ ამას ეძიებს, არამედ უბადრუკნი იგი ყოვლისაგანვე კეთილისა ცარიელ იპოვნეს. და არა მშვიერი ოდენ გამოუზრდელად დაუტევეს და შიშუელი – შეუმოსელად, არამედ რომელი-იგი უადვილეს იყო, არცა თუ სნეული იხილეს. და გულისხმაცავთ, ვითარ ადვილ არიან ბრძანებანი მისნი. არა თქუა, თუ: საპყრობილესა ვიყავ, და გამომიყვანეთ, და სნეულ ვიყავ, და აღმადგინეთ, არამედ: „მოხუედითო ჩემდა“. და შიმშილისათვისცა არა ძნელსა რასმე ითხოვს ანუ სანოვაგეთა სიმრავლესა, არამედ პურსა ხოლო, საჭიროსა მას და სათანადოსა საზრდელსა. და ითხოვს სახითა მვედრებელისაჲთა, რაჲთა ყოვლით კერძო მოდრიკოს გონებაჲ იგი უწყალოთაჲ სისუბუქითა მით სათხოველისაჲთა, რამეთუ პური არს, გინა წყალი; სახითა მით საწყალობელითა, რამეთუ გლახაკი არს, რომელი ითხოვს; წესითა მით ბუნებისაჲთა, რამეთუ კაცი არს მსგავსი ჩუენი; სიდიდითა მით ნაცვლისაჲთა, რამეთუ სასუფეველი არს აღთქუმულ ესევითართათვს; საშინელებითა მით სატანჯველისაჲთა, რამეთუ ცეცხლი არს უწყალოთათვს; პატიოსნებაჲ იგი მიმღებელისაჲ მის, რამეთუ ღმერთი არს, რომელი გლახაკთა მიერ მიიღებს და ესრეთ დაიმდაბლებს თავსა თვსსა ცხორებისათვს ჩუენისა; სიმართლე იგი საქმისაჲ მის, რამეთუ თვსთა მათ ნიჭთაგან მცირედსა ითხოვს. გარნა ამას ყოველსა ზედა ვეცხლისმოყუარებამან დააბნელნა გონებანი იგი ანგაჰრთანნი. ამისთვის დაისაჯნეს, რამეთუ არა მოიწსენეს სიტყუაჲ უფლისაჲ, ვითარ სხუასაცა ადგილსა ესევითართა მათ უძკრეს სოდომელთასა იტყვს შემთხუევად;¹ და აქა იტყვს: „რავდენი არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთა, მე არა მიყავთ“.

– რასა იტყვ, უფალო, ძმანი შენნი არიანა? და ვითარ მცირედ უწოდ მათ? – ჰე, ამისთვის არიან ძმა ჩემდა, რამეთუ მდაბალნი არიან და გლახაკნი და შეურაცხნი. რამეთუ ესევითართა უწეს ძმად, – იტყვს უფალი. არა თუ მონაზონთა ოდენ იტყვს და უდაბნოჲსა მკვდრთა, არამედ ყოველთავე მორწმუნეთა; გინა თუ ერისკაცი იყოს, გინა თუ მონაზონი, და ჭირვეული იყოს, თანაგუაც მისი ჴელისა აპყრობაჲ და ნუგეშინის-ცემად, რამეთუ ნათლის-ღებისა მიერ ვიქმნებით ძმა და ზიარებითა ნმიდათა საიდუმლოთაჲთა.

პირველად აკურთხნა მართალნი იგი და ქებაჲ მათი წარმოთქუა და მერმელა მარცხენეთა მიექცა, რაჲთა სრულიად უსიტყუელ იყვნენ, რამეთუ მოყუასთაცა თვსთა არა ჰბაძვიდეს. და ვითარცა-იგი სულელნი ქალწულნი ბრძენთა მათგან დაისაჯნეს, და ურწმუნოდ იგი მონაჲ – სარწმუნოჲსა მისგან, და რომელმან-იგი ქანქარი დაჰფლა – მოყუასთაგან, ეგრეთვე მარცხენენი იგი დაისაჯებიან მარჯუენეთაგან, ვითარცა-იგი იტყოდა, ვითარმედ: „კაცნი ნინეველნი და დედუფალი იგი სამხრისაჲ აღდგენ და

¹ მათ. 11,24.

დაშვიდენ ნათესავსა მას¹.¹ რამეთუ მარადის მსგავსთაგან დაიშვიდებიან მსგავსნი, ოდეს უდარეს იპოვნენ. რამეთუ მარჯუენენიცა იგი კაცნი იყვნეს მისვე ბუნებისანი. რად არა მიემსგავსნეს მათ სხუანი იგი, და უფროსად ესრეთ ადვილსა საქმესა ზედა – მიცემად პურისა, ანუ გრილისა წყლისა, ანუ სართულისა, ანუ ხილვად სნეულისა, გინა პყრობილისა და ჭირვეული-სა, რომელ-ესე თვთ ბუნებასა წყალობად მოიყვანებენ განსაცდელნი იგი ჭირვეულთანი. ხოლო ვინაფთგან ყოვლით კერძო უწყალო და ულმობელ იპოვნეს, ამისთვის მონყალენი იგი და სახიერნი გვრგვინოსან იქმნებიან, და მარცხენი იგი, უწყალონი და უსახურნი, დაიშვიდებიან, ვითარცა ესერა ვისნავეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „და წარვიდენო ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“ (25,46).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ზ უბადრუკთა მათ ცოდვილთა ჭირი და სალმობაჲ! მცირედისა და ადვილისა საქმისათვის რაჲლა შეემთხუევის! ძმანო ჩემ-ნო საყუარელნო, გულისხმა-ვყოთ, ძმანო ჩემნო, შევიგონოთ და თავთა ჩუენთა ვეკრძალნეთ, სინანულითა და მონყალებითა სატანჯველთა მათ-გან საუკუნეთა თავნი ჩუენნი ვიწსნნეთ. სახიერი იგი მზა არს წყალობად ჩუენდა, ოდენ მიზეზი მივსცეთ. რამეთუ ბევრეულნი თუ შრომანი ვქმნეთ და სათნოებანი მოვიგნეთ, შესლვაჲ იგი სასუფეველსა მადლისაგან და წყალობისა მისისა არს. რამეთუ მცირისა და უნდოხსა შრომისა წილ და კნინოდენისა ქველისსაქმისა მიანიჭებს მონათა თვსთა სასუფეველსა ცა-თასა და დიდებასა მას და პატივისა მოუგონებელსა. კურთხეულ არს სახე-ლი წმიდაჲ დიდებისა მისისაჲ და უფროსად ამაღლებულ უკუნითი უკუ-ნისამდე!

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „და იყო, რაჲამს წარასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოციქულთა თვსთა: უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა პასექი იყოს, და ძმ კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?“ (26,1-2).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კულად ჟამსა ჯეროვანსა შემოილო წსენებაჲ ვნებისა თვისისაჲ, ოდეს სასუფეველი აწსენა და თვისი იგი დიდებით მოსლვაჲ და მისაგებელი ცოდვილთაჲ. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: რად შეურეებულ ხართ წარმავალთა ამათვის ჭირთა საწუთროდსათა, ვინაფთგან ესე ვითარ-ნი კეთილნი გელიან თქუენ და დიდებაჲ საუკუნოჲ? და არა თქუა, თუ: შემ-დგომად ორისა დღისა მივეცემი, არამედ: „უწყითა, ვითარმედ შემდგომად ორისა დღისა პასექი იყოს?“ და მერმელა დაურთო, ვითარმედ: „ძმ კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად“. რათა უჩუენოს, ვითარმედ საიდუმლოჲ დიდი აღეს-რულების, და დღესასწაული მოინევის ცხორებად ყოვლისა სოფლისა. და

¹ შდრ. მათ. 12,41,42.

ვითარმედ წინადასწარ იცოდა ყოველივე, რად-იგი შემთხუევად იყო. ხოლო პასექისა მიერ პირველნიცა იგი სასწაულნი, ეგვიპტეს ქმნილნი, მოაწესენ-
ნა, რაჟამს-იგი გამოიყვანებდა ძეთა ისრაჴლისათა „ველითა მტკიცითა და
მკლავითა მალლითა“.¹

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ შეკრბეს მღდელთმოდღუარნი იგი და მოხუცე-
ბულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფაჲსა მღდელთმოდღურისასა და ზრახვა-
ყვეს, რადთა იესუ ზაკუვით შეიპყრან. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა
ამას, რადთა არა შფოთი იყოს ერსა შოვრის“ (26,3-5).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰხედავა უზომოსა ჰურიათა უწესობასა? საქმესა უშ-
ჯულოვებისასა ჴელ-ჰყოფდეს და მღდელთმოდღურისა მივიდოდეს, რადთა
მისგან მოიღონ წამებაჲ და ველმნიფებაჲ, ვინაჲ-იგი ჯერ-იყო უწესოვები-
სა დაყენებაჲ. ხოლო რადენნი იყვნეს მღდელთმოდღუარნი, რომელ იტყვს
მახარებელი, თუ: „შეკრბეს მღდელთმოდღუარნი იგი“? რამეთუ შჯული
ერთსა განანესებს მღდელთმოდღუარსა, ვითარცა მოსე იტყვს, და რაჟამს
იგი აღესრულის, სხუად დაადგინიან; ხოლო ან მრავალნი იყვნეს, რამეთუ
დაეწსნა ადრევე წესი იგი შჯულისაჲ ჰურიათა, და წელიწდეულნი იყვნ-
ეს მღდელთმოდღუარნი, ვითარცა მოასწავებს ლუკა მახარებელი. ზაქა-
რიადსთვს იტყოდა და თქუა: „შემდგომად დღითი-დღე მსახურებისა მის
აბიადსა“.² ან უკუე მათ წელიწდეულთა მღდელთმოდღუართა იტყვს მათე,
ვითარმედ: „შეკრბეს მღდელთმოდღუარნი ეზოსა მას კაიაფაჲსა“, რამეთუ
„იგი იყო მღდელთმთავარი მის წელიწდისაჲ“,³ ვითარცა იოვანე მახარებე-
ლი იტყვს და დაამტკიცებს სიტყუასა ამას, ვითარმედ წელიწდეულად მო-
ეგო მღდელთმოდღურებაჲ გარეგან წესისა მის მოსესა.

„და ზრახვა-ყვეს, რადთა იესუ ზაკუვით შეიპყრან და მოკლან“, არა-
მედ ეშინოდა ერისა მისგან. ამისთვს იტყოდეს, რადთა დღესასწაული იგი
გარდაჴდეს. რამეთუ არა უნდა ეშმაკსა ვნებისა მის დღეთა პასექისათა
ყოფად, რადთა არა ცხად იქმნას, რამეთუ ისწრაფდა დაფარულად და უც-
ნაურად ყოფად. „და იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რადთა არა შფოთი
იყოს ერსა შორის“. არა ეშინოდა ღმრთისაგან, არცა ძრწოდეს მცნებათა-
გან მისთა, არამედ მარადის კაცობრივსა ზრახვიდეს და კაცთასა ზრუნ-
ვიდეს, გარნა ეგრეთვე გულისწყრომისაგან და შურისა ბორგდეს. ამის-
თვსცა, პოვეს რად მიმცემელი იგი, არცა თუ დღესასწაულსა მას ჰრიდეს,
არამედ შეისწრაფეს მოკლვად ქრისტესა, რამეთუ ყოველსავე ვითარცა
ბრმანი იქმოდეს. დაღაცათუ უფალმან მათი იგი უკეთურებაჲ თვსად გან-
გებულებაჲ იჭმარა, არამედ არა თუ ამის გამო იგინიმცა უბრალო იყვნ-
ეს, არამედ ბევრეულთა სატანჯველთა ღირს არიან. რამეთუ ოდეს-იგი
თანამდებთაცა სიკუდილისათა ჯერ-იყო განტევებაჲ, მაშინ უღმრთოთა

¹ ფსალმ. 135,12.

² ლუკ. 1,5.

³ იოან. 11,49.

მათ უბრალოდ იგი მოკლეს, რომელმან ბევრეული კეთილი უყო მათ. კეთილად მისცა მათ პირველვე ესაია ვაება და თქუა: „ვად სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვად ბოროტი და თქუეს: შევკრათ მართალი იგი, რამეთუ განმძნელებელ ჩუენდა არს“.¹ გარნა ან ამის პირისათჳს სიტყუასა დრო-ვსცეთ, რამეთუ წინამდებარე არს ჩუენდა მრავალი თქუმად ამის ჯერისათჳს.

სწავლად ოთ

საშინელისა მისთვის საშჯელისა

ხოლო კუალად ზემონერილნი იგი სიტყუანი მოვიწესენეთ და მცირედ მათთვის სიყუარულისა თქუენისა მიმართ ვიტყოდით. გულისხმა-ვყოთ, საყუარელნი, რამეთუ ყოველთავე წარდგომაჲ გკვმს წინაშე საყდარსა ქრისტეს[ს]ა და სიტყუსა მიცემაჲ საქმეთა ჩუენთათჳს. გამოვსახოთ გონებათა ჩუენთა იგი სამშჯავროდ, ვითარმცა ან მონეწულ არს, და სიტყუსგებაჲ თანაგუაც. შევედინლა კაცად-კაცადი გონებასა თჳსსა და შემოიღენ შორის ყოველივე, რომელიცა მუნ გამოჩინებად არს. არა შეძრწუნდაა თითოეული? არა განცკბრდითა? მე მოვიწესენ და ძრწოლად შემედვა, და გული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა.

ხოლო უკუეთუ ან წესენებითა ოდენ შევძრწუნდით, რაჲ-მე ვყოთ, ოდეს ჭეშმარიტად მოიწიოს, ოდეს ყოველნივე ადამიანნი ერთად შეკრბენ, ოდეს ანგელოზნი და ანგელოზთმთავარნი განწყობილ იყვნენ, ოდეს საყვრთა მათ საშინელთა სცემდენ, და მკუდარნი აღდგებოდინ, რომელნიმე აღიტაცებოდინ, და რომელნიმე დაშთებოდინ, ოდეს წიგნი იგი მატთანთანი განეხუმოდინ, და საქმენი კაცად-კაცადისანი წარმოდგებოდინ, და მდინარე ცეცხლისაჲ დიოდის, ოდეს-იგი, ვითარცა პეტრე მოციქული იტყუს, „ცანი მძაფრად წარწდენ, და წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ, და ქუეყანაჲ და მას შინა საქმენი დაიწუნენ“?²

მაშინ მეუფე ყოველთაჲ და უფალი იესუ ქრისტე დიდებითა დიდითა დაჯდეს საყდართა მათ შესაძრწუნებელთა, და მართალნი დაადგენ მარჯუენით მისა, და სანყალობელთა ცოდვილთა მარცხენითი იგი ნაწილი ხუდეს და მერმე დაშჯილნი წარივლინენ ცეცხლად.

ვამე, ვამე, დალაცათუმცა ცეცხლად არა მიივლინებოდეს, ესე მებრ, რომელ ესოდენისა მის დიდებისა და ბრწყინვალეებისაგან განცკვენ შეურაცხად, რაჲზომ დიდი და მწარე სატანჯველი არს. უკუეთუ წარმავალისა ამის და უნდოჲსა ქუეყანისა სამეუფოთ ვინ განიდევნოს მსახურთაგანი მეფისათა ცთომისა რაჲსათჳსმე და განვარდეს თხოვად პურისა, დიდი

¹ ესაია 3,9-10. ² 2 პეტ. 3,10.

მწუხარებად და გარდამატებული ჭუვილი შეემთხუევის. უკუეთუ წარმავალისა ამის და აჩრდილებრ განქარვებადისა დიდებისაგან გამოწუებად ესრეთ შესანუხებელ არს, რაჲ-მე იყოს მაშინ ცოდვილთა ზედა? ანუ მცირედ სატანჯველად გგონიესა განვრდომად მარჯუენით მდგომარისა მისგან კურთხეულისა კრებულისა და გამოწუებად მიუთხრობელისა მისგან დიდებისა და განშორებად ზატიკობისა მისგან და შუებისა გამოუთქუმელთა მათ კეთილთა?

ხოლო ამას ყოველსა ზედა ბნელსაცა მივეცემოდით გარესკნელსა, და ღრჭენასა კბილთასა, და საკრველთა განუწსნელთა, და მატლსა დაუძინებელსა, და ცეცხლსა დაუშრეტელსა, და ჭირსა მიუთხრობელსა. რაჲ-მე ვყოთ, ოდეს ენანი ჩუენნი შეინუებოდინ, ვითარცა მდიდრისა მის, ვგოდებდეთ, და არავინ ისმენდეს, სულთ-ვითქუმიდეთ და ვიღრჭენდეთ კბილთა, და არავინ მოგუხედვიდეს, ვხედვიდეთ ყოველგნით, და ნუგეშინის-ცემაჲ არასადაჲთ იყოს?

ჴ გლახაკთა და სანყალობელთა, რომელნი ამას ჭირსა მიეცნენ. შევიდით რაჲ ოდესმე საპყრობილედ და ვიხილნით მუნ კაცნი, შეკრულნი და შებორკილნი და ბნელსა შეწყუდეულნი, შევწუხნით წყალობითა მათითა და ყოვლით კერძო განვეკრძალნით არამიცემად ესევითარსა მას ჭირსა. რაჲ-მე უკუე ვყოთ, ოდეს მიგყვანებდენ ზიდვით და ჭენებით სატანჯველთა მათ გეჴენიისათა? იგი საკრველნი არა საბლისანი არიან, არცა რკინისანი, რომლითა შეკრულ ვართ, არამედ ცეცხლისა უშრეტისანი. იგი ზედამდგომარენი არა ბუნებისა ჩუენისანი არიან, რაჲთამცა სადმე ვევედრენით და შეგვწყალნეს, არამედ ანგელოზნი არიან (რომელთა თუალთა შედგმადცა ვერ ეგებოდის ჩუენგან), განრისხებულნი ჩუენ ზედა, რომელ-იგი მიუფესა შევსცოდეთ და მცნებანი მისნი არა დავიმარხენით. არა არს მუნ, ვითარ-ესე აქა იქმნებისა პყრობილთა ზედა: და რომელნიმე ვეცხლსა მისცემენ, სხუანი საზრდელსა მოართუმენ, სხუანი სიტყვთ ნუგეშინის-სცემენ, არამედ მუნ არარაჲ ესევითარი იპოვების. დაღაცათუ ნოვე და იობ და დანიელ იხილნენ თჳსნი მათნი სატანჯველთა მათ შინა, ვერ იკადრებენ შეწენად, რამეთუ ბუნებითისაცა წყალობისა მაშინ დაწსნად იქმნების. ვინაჲთგან იპოვებიან მრავალნი მამანი მართალნი შვილთა უკეთურთანი და სხუანი შვილნი მართალნი მამათა ცოდვილთანი; ხოლო რაჲთა სიხარული იგი მართალთაჲ წმიდაჲ იყოს და შეუნუხებელ, და არა წყალობითა თჳსთა მათთაჲთა მწუხარე იყვნენ, ამისთჳს ვიტყვ, ვითარმედ: ბუნებითი იგი წყალობაჲ დაშრტების მათ შორის, და რომელთა ზედა მიუფჳ განრისხნეს, იგინიცა ჴრისხვიდენ თჳსთა მათ შვილთა, ანუ მშობელთა, გინა ძმათა.

უკუეთუ კაცნი მრავალგზის აქავე შვილთა უკეთურთა უვარ-ჴყოფენ, რაჲ საკრველ არს, უკუეთუ მართალნი მას საუკუნესა ესრეთ იქმან?

ან უკუეთუ ვისმე საქმენი კეთილნი არა ჴქონდინ, კეთილსა ნურას მოელის, დაღაცათუ ბევრეულნი ისხნენ თჳსნი და მშობელნი მართალნი, რა-

მეთუ კაცად-კაცადმან მოილოს, რად-იგი ჴორცთა შინა ექმნას, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი.

ესე მარადის გუაქუნდინ, ძმანო, გონებათა შინა ჩუენთა და ვეკრძალნეთ თავთა თვსთა. უკუეთუ ცეცხლი გულისთქუმათა ბოროტთა გმძლავრობს, კაცო, ჴსენებად საუკუნოხსა მის ცეცხლისაჲ ნინაალუდგინე, და ესე მეყსეულად დაშრტეს. უკუეთუ სიტყუასა ბოროტსა იტყოდი, მოიგონე ღრჭენად იგი კბილთად, და იქმნას შიში იგი აღვრ შენდა. უკუეთუ მოტაცებაჲ უცხოხსა მონაგებისაჲ გენებოს, ისმინე საშინელი იგი განჩინებაჲ მსაჯულისა მის მართლისაჲ, რომელსა იტყვს: „შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ბნელსა მას გარესკნელსა“,¹ და ვნებაჲ იგი ბოროტი ივლტოდის შენგან.

უკუეთუ შუეებით და მთრვალობით გარდაიჴდი დღეთა შენთა, მდიდარი იგი მოიჴსენე, რომელ ნანუეთსა ნყლისასა ეძიებდა ცეცხლსა მას შინა და ვერ მიემთხვა სათხოველსა მას, და განეყენო შენ უნესოვებისა მისგან; უკუეთუ მოცინარი ხარ და განმცხრომელი, მოიჴსენე საუკუნოდ იგი ჭირი და გლოვაჲ, და დიდად გერგოს; უკუეთუ უსახურ ხარ და უწყალო, მოიჴსენენ ქალწულნი იგი სულელნი, რომელთა სანთელნი დაშრიტეს და სასძლოხსა მისგან განვარდეს, და ადრე მოიქცე მონყალებად; უკუეთუ უდებ ხარ და მცონარ, მოიჴსენენ, რომელმან-იგი ქანქარი ქუეყანასა დაჴფლა და რად-იგი შეემთხვა, და განიღჴძო ძილისა მისგან უდებებისა; უკუეთუ შური მოყუსისაჲ გჴამს, მოიჴსენე მატლი იგი უძილი და განერე სენისა მისგან ბოროტისა. ყოველნი იგი სატანჯველნი, ცოდვილთათჴს განმზადებულნი, გონებასა შინა გუაქუნდინ და ვისწრაფოთ, საყუარელნი, არა შთავრდომად მათ შინა, რამეთუ არარად მიძიმჴ და შეუძლებელი განუნესებიეს ჩუენდა ქრისტესა. ვინაჲ უკუე ესრეთ მიძიმედ გჴჩნს მცნებათა მისთა აღსრულებაჲ? უდებებისაგან ჩუენისა და დაჴსნილობისა. ხოლო გან-თუ-ვიფრთხოთ, ყოველთა უძნელესნიცა მცნებანი ადვილად აღგჴჩნდეს.

ნუ ვხედავთ მათ, რომელნი შუეებასა შინა არიან და განცხრომასა და გულისთქუმათა ბოროტთა აღსრულებასა, არამედ იგი მოვიჴსენოთ, თუ რად არს აღსასრული მათი: აქა სიზრქჴ ჴორცთაჲ და სიმყრალჴ, და მას საუკუნესა – ცეცხლი და მატლი საუკუნოდ და სხუანი იგი სატანჯველნი. კუალად ნუ მტაცებელთა ვხედავთ, არამედ აღსასრული მათი გულისხმა-ვყოთ: აქა – ჴრუნვანი და შიშნი და ურვანი, და მუნ – საკრველნი განუჴსნელნი. ნუ დიდებისმოყუარეთა ვხედავთ, არამედ აღსასრული მათი გულისხმა-ვყოთ: აქა – მონებაჲ უზეშთაესთაჲ და კაცთმოთნებაჲ, და მუნ – სიგლახაკჴ ბოროტი და ბნელსა შინა ყოფად გარესკნელსა.

¹ მათ. 22,13.

უკუეთუ ამას ესევეთარსა ვინურთიდეთ და ესრეთ წინააღუდგებოდით ბოროტთა მათ გულისთქუმათა ჩუენთა, ადრე მძლე ვექმნათ მათ მადლითა ქრისტესითა და მოვიგოთ სურვილი წარუვალთა მათ კეთილთად.

ჰე, გევედრები, მათ კეთილთა სურვილი მოვიგოთ, რამეთუ ვსენებად მებრ მათი სახარულევან არს, ხოლო მიმთხუევად მათი რომელმან-მე ენამან გამოთქუას, ანუ რომელმან გონებამან მოიგონოს, რაჲზომ ტკბილ არს და სანადელ? ნეტარ არიან და სამგზის სანატრელ, რომელნი ღირს იქმნენ კეთილთა მათ მიმთხუევად, ვითარცა-იგი უბადრუკ არიან და სამგზის სანყალობელ, რომელნი დიდებისა მისგან საუკუნოხსა განვარდენ და სატანჯველთა მათ მიეცნენ. ხოლო ჩუენ, ძმანო, უკუეთუ გუსურის კეთილთა მათ ზიარებად, „რომელნი თუალმან არა იხილნა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჴდა, რაჲ-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“, ¹ შევიტკობთ სათნოებად და მცნებათა უფლისათა მუშაკად გამოვჩნდეთ, რაჲთა სასუფეველი ცათად დავიმკვდროთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებად, პატივი და სიმტკიცე სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ 1 კორ. 2,9.

თავი 3

სიტყუაჲ ესე: „ხოლო იესუ იყო რად ბეთანიას, სახლსა სიმონის კეთროვნისასა, მოუჭდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრითა ნელსაცხებელი მრავლისა სასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა მისსა ინაჯით-მჯდომარესა“ (26,6-7).

ესე დედაკაცი საგონებელ არს, თუ ერთი არს ყოველთავე მახარებელთა მიერ თქუმილი. გარნა არა ეგრეთ არს. ნუ იყოფინ! არამედ სამნი მახარებელნი ერთისა ამის დედაკაცისათჳს იტყჳან, ხოლო იოვანე არა ამას ავსენებს, არამედ სხუასა საკვრველსა დედაკაცსა, დასა მას ლაზარესსა. რადსათჳს ავსენა ან მახარებელმან სიმონ კეთროვანი? რადთა გამოაჩინოს, თუ ვინაჲ კადნიერ იქმნა დედაკაცი იგი მოსლვად, რამეთუ კეთრი ძუელსა შჯულსა შინა არანმიდად და საძაგელად შერაცხილ იყო. იხილა უკუე დედაკაცმან მან, ვითარ განკურნა იგი უფალმან, რამეთუ არა თუმცა განეკურნა, არამცა შესრულ იყო მისა. ესე რად იხილა დედაკაცმან, გულსავსე იქმნა, ვითარმედ რომელმან კეთრი იგი მყის განწმიდა, ძალ-უც მას სული-საცა მისისა არანმიდებათა განწმედად ადვილად. ამისთჳს იკადრა მოსლვად და შევრდომად. ხოლო სახელი ქალაქისა მისცა, ბეთანიადსაჲ, ჯეროვნად ავსენა, რადთა სცნა, ვითარმედ ნეფსით მოვიდოდა ვნებად. ამისთჳსცა რომელი-იგი პირველ ივლტოდა, ოდეს არა იყო ჟამი ვნებისაჲ, ან, ოდეს უმეტესად აღეტყინა ჰურიათა შური, მახლობელად მოვიდა იერუსალჳმსა, ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევან. ამით ცანთ, რამეთუ პირველიცა იგი წარსლვად არა სივლტოლად იყო, არამედ განგებულებაჲ. ესრეთ უკუე განძლიერდა სულითა დედაკაცი იგი და მოვიდა უფლისა. რამეთუ მრავლით ჟამითგან უნდა ესე ყოფად, არამედ შიშით ინვოდა. ვითარცა-იგი წიდოვანი ჳორციელისა სენისათჳს ეშინოდა ცხადად შევრდომად, ამასმცა ვითარ არა ეშინოდა სიმრავლისა მისთჳს ცოდვათაჲსა? ამისთჳს შემდგომად სამარიტელისა მის და ქანანელისა და წიდოვნისა და სხუათა მრავალთა ძლით იკადრა მოსლვა, რამეთუ უწყოდა სიმრავლე ცოდვათა თჳსთაჲ. და არა ცხადად მოუჭდა, არამედ სახლსა შინა. და ყოველნი ჳორციელისა კურნებისათჳს მოვიდოდეს, ხოლო ესე ოდენ სულიერთა სენთა კურნებად მოვიდა, რამეთუ ჳორციელად არარაჲ ელმოდა. ამისთჳს უმეტესად საკვრველ არს საქმე მისი. და არა მოუჭდა ვითარცა კაცსა ლიტონსა, არამედ ვითარცა უზეშთაჲს ამალღებულსა ბუნებათაგან. ამისთჳს ნელსაცხებელი დაასხა და ამბორს-უყოფდა ფერვთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა და ცრემლითა დაალტობდა და თმითა თავისა თჳსისაჲთა წარჳოცდა, და ყოველითურთ საქმესა აჩუენებდა მჯურვალისა და შეუორგულეებელისა სარწმუნოებისასა.

სახარება: „იხილეს რად მონაფეთა, განრისხნეს და თქუეს: რად-სათვს იყო წარწყმედა ნელსაცხებელისა ამის? შესაძლებელ იყო განსყი-დად ესე დიდძალის და მიცემად გლახაკთა. გულისჯმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რადსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთი-ლი ქმნა ჩემდა მომართ. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაც-ხებელი ესე ჳორცთა ჩემთა, დასაფლავად ჩემდა ყო. ამენ გეტყვ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელ-ცა-ესე ყო მაგან, საჯსენებელად მაგისა“ (26,8-13).

თარგმანი: ვინაჲ აქუნდა მათ ესევეთარი ესე გულისსიტყუაჲ? ასმიოდა სიტყუაჲ იგი მოძღურისაჲ, ვითარ ეთქუა: „წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“. ¹ და სხუად მრავალი ეთქუა მონყალებისათჳს გლახაკთაჲსა. ამის ყოველისაგან ჰგონებდეს, თუ ანცა უმეტესად სთნდეს ღმერთსა მიცემად გლახაკთაჲ. გარნა განმკითხველი იგი გულთაჲ და მხედველი იგი დაფარულთაჲ ხედვიდა გონებასა მის დედაკაცისასა და არა გარემიქცია შესანიარავი მისი, არამედ დიდითა სახიერებითა შეუნ-დო თავსაცა მისსა დასხმად ნელსაცხებელისა მის. რამეთუ მან სახიერმან ცხორებისათჳს კაცთაჲსა თავს-იდვა განკაცებაჲ და შობაჲ დედაკაცისა-გან და სძითა გამოზრდაჲ და სხუად ყოველივე ბუნებისა ჩუენისაჲ. ეგრეთვე ესეცა ან თავს-იდვა ცხორებისა მისისათჳს. რამეთუ ძუელსაცა შინა შესანიარავთა მრგულიადდასანუველთა შესწირვიდეს და ცმელსა აკუმევედეს და ზეთსა შესწირვიდეს. და ამას ყოველსა უძღურებისათჳს მათისა ღმერთი შეინირვიდა, რადთა ჟამსა თჳსსა სრული იგი შესანიარავი ასწაოს. ეგრეთვე აქა უძღურებისაებრ დედაკაცისა მის სარწმუნოებაჲ იგი მისი შეინირა და ნელსაცხებელი მიითუალა და მონაფეთა აბრალებს, რომელ-იგი შრომასა შეამთხუევდეს მას, და დაფლვასა თჳსსა აჯსენებს: „დასაფლავადო ჩემდა ყო. ამენ გეტყვ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარე-ბაჲ ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელცა-ესე ყო მაგან, საჯსე-ნებელად მაგისა“.

გულისჯმა-ყავთ ან ძალი სიტყჳსაჲ მის, რამეთუ აჰა ესერა, სადაცა მიხვდე კიდეთა ქუეყანისათა, გესმას სახარებაჲ ესე და საქმე, რომელი ქმნა დედაკაცმან მან. არცა მოქმედი იგი იყო სახელოან, არამედ დედაკა-ცი იყო მეძავი, უნდოჲ და შეურაცხი, არცა ერთა წინაშე მრავალთა იქმნა საქმე იგი, არამედ სახლსა ერთსა შინა კაცისა კეთროვნისასა, და ათორ-მეტნი ხოლო მონაფენი ხედვიდეს. ვინაჲ უკუე ესრეთ განითქუა ყოველსა სოფელსა?

არა ცხადი არსა, ვითარმედ ძალმან მის სიტყჳსამან, რომელი უფალმან ბრძანა, განჰვინა ესე კიდეთა ქუეყანისათა? და ახოვნებანი მეფეთა მრა-

¹ ოსე 6,6.

ვალთა და ძლიერთანი და საქმენი განსაკრველნი დადუმებულ არიან და დავინყებულ, რომელთა-იგი ქალაქნი აღაშენნეს და გოდლები აღჰმართეს და მბრძოლნი დაიმორჩილნეს და ერნი მრავალნი დაიმონნეს. ან არცა სახელი მათი ისმის, არცა საქმე მათი ივსენების, რომელთა-იგი არადავინყებისათჳს საქმეთა მათთაჲსა ძეგლები დიდფასები აღჰმართეს და საქმენი თჳსნი დანერნეს. არამედ ყოველივე ცუდ და ამაო იქმნა, და ყოველივე დაივიწყა. ხოლო საქმე დედაკაცისა მეძვისად, ვითარ-იგი მოილო ნელსაცხებელი და სცხო ღმერთსა მიფარულად სახლსა შინა წინაშე ათორმეტთა კაცთა, ესე ყოველსა სოფელსა იქადაგა. და ჟამნი ესოდენნი წარვდეს, და წსენებაჲ საქმისად მის არა განქარდა, არამედ სპარსთა და ჰინდოთა და გუთთა და სავრომატთა და ეთიოპელთა და რომელნი ჭალაკთა მათ ვრეტანისათა მკვდრ არიან და სხუათა ყოველთავე ტომთა ზეპირით იციან საქმე იგი, და ყოველნივე ურთიერთას მიუთხრობენ.

დიდ არს კაცთმოყუარებაჲ იგი მეუფისაჲ: დედაკაცისა ცოდვილისაჲ თავს-იდვა შეხებაჲ უხრწნელთა მათ და წმიდათა ფერვტა მისთა, ამბორსუყოფდა რად და სცხებდა ნელსაცხებელსა, და არა ხოლო თუ თავს-იდვა, არამედ მაბრალობელთაცა მისთა აბრალა და საქმე იგი საქებელ-ყო. ხოლო რადსათჳს არა ესრეთ ოდენ თქუა, ვითარმედ: „საქმე კეთილი ქმნა“, არამედ პირველად ჰრქუა: „რადსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას?“ რადთა ასწაოს მოწაფეთა არაძიებად უძლურთაგან პირველითგანვე მაღალსა და სრულსა საზომსა. რამეთუ თავადისაცა დიდად სათნო იყო მოღუანებაჲ გლახაკთად.

ამისთჳსცა, რომელსა-იგი არა აქუნდა ადგილი, რადთამცა თავი მიიდრიკა, მოღუანებისათჳს გლახაკთაჲსა გუადრუტისა ქონებაჲ განანესა. გარნა ან არა იყო ჟამი ესევითარისა მის საქმისად, რადთამცა არა დააბრკოლა სარწმუნოებაჲ უძლურისა მის დედაკაცისაჲ. ამისთჳს იტყჳს: „რადსა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას?“ რადთა სცნა, ვითარმედ მისთჳს თქუა ესე, რადთა არა დააბრკოლონ მისი იგი სარწმუნოებაჲ. და რადთა ამით ჯერითა გუასწაოს, რადთა ვიხილოთ რად ვისგანმე საქმე რადმე კეთილი, დაღაცათუ არა სრულ იყოს, შევინიროთ იგი და ვაქოთ, რადთა მცირედ-მცირედ სრულსაცა მიიწიოს. და ნუ პირველითგანვე სრულებასა ვეძიებთ, რადთა არა მცირე იგი დავახრწიოთ. რამეთუ უფლისადაცა უკუეთუმცა ეკითხა პირველ მოსლვისა დედაკაცისა მის, თუ რომელი სთნავს, რადთა მოილოს ნელსაცხებელი მრავლისა სასყიდლისაჲ და სცხოს მას, ანუ რადთა სასყიდელი იგი მისცეს გლახაკთა, უეჭუელად გლახაკთა მიცემასა უქებდა. გარნა ვინადთგან ქმნა საქმე იგი დედაკაცმან მან და ნელსაცხებელი იგი დაასხა და სარწმუნოებაჲ თჳსი აჩუენა, არღარა ჯერ-იყო მისი დაბრკოლებაჲ. ამისთჳს სახიერმან მან და ყოვლადბრძენმან აქო საქმე მისი და განაძლიერა სასოწარკუეთილი იგი გონებაჲ მისი.

ეგრეთვე შენცა, კაცო, უკუეთუ იხილო ვინმე, რომელმან შეჰმზადოს ჭურჭელი პატიოსანი საეკლესიო ანუ სხუად რაიმე სამკაული ეკლესიისა და შენიროს, ნუ ეტყვ, თუ: არა კეთილ არს საქმე ესე, არამედ წარვედ და განყიდე ეგე და მიეც გლახაკთა. ნუ იქმ ამას, რადთა არა დააბრკოლო სარწმუნოება მისი. ხოლო უკუეთუ პირველ ქმნისა გკითხოს, უბრძანე უფროსად მიცემა გლახაკთად; ვითარცა-ესე ან უფალმან ქმნა და არა-დაბრკოლებისა მისისათვის აქო დიდად საქმე მისი და ყოვლით კერძო ნუ-გეშინის-სცა მას: ერთად, რომელ ჰრქუა, ვითარმედ: „დასაფლავად ჩემდა ყო ესეო“; მეორედ, რომელ განანესა, ვითარმედ: „ყოველსა სოფელსა იქა-დაგოსო სახარებად ესე, და ითქუმოდის, რომელ-ესე ყო მაგან, საჯსენებე-ლად მაგისა“.

‡ სახიერებად მეუფისად! მეყსა შინა მრავალთა მათ ცოდვათა მისთა ჴელისწერილი ავოცნა და სახელოან ყოველსა სოფელსა ყო სინანული მი-სი; რამეთუ იხილა მას თანა სარწმუნოებად მჯურვალე და გული შემუსრვი-ლი და სინანული ჭეშმარიტი.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა: **„მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა სა-ხელი ერქუა იუდა ისკარიოტელი, მდღელთმოძღუართა და ჰრქუა: რად გნე-ბავს მოცემად, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვეცხლი. და მიერიტგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რადთა იგი მისცეს მათ“** (26,14-16).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იგი არს, ოდეს საკვრველნი ესე საქმენი აღესრულე-ბოდესო, ოდეს ესოდენ განეფინა წყალობად მისი, ვიდრე დედანიცა მეძავნი მოიქცეოდეს, ოდეს სიმრავლე იგი ცოდვათად აღიწოცებოდა, ოდეს ესმა, ვითარმედ: „იქადაგოს სახარებად ესე ყოველსა სოფელსა“;¹ მაშინ საეშმა-კოდ იგი საქმე იწუართა უბადრუკმან მან და არა შეიკდიმა. რადსათვის აჯსე-ნა მახარებელმან ქალაქი მისი? რამეთუ იყო სხუადცა იუდა – იაკობისი.

„მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი“. არა ჰრიდა ამისაცა თქუ-მად, თუ: „ათორმეტთაგანი“, არცა სირცხულ-იჩინა. ესრეთ არცა ერთსა საყუედრელთა საქმეთაგანსა ჰფარვენ მახარებელნი, არამედ ყოველსავე ჭეშმარიტებით იტყვან; რამეთუ ძალ-ედვა ესრეთ ლიტონად თქუმად, თუ: ერთი მონაფეთაგანი, რამეთუ იყვნეს სხუანიცა.

ხოლო ან განცხადებულად თქუა, „ათორმეტთაგანიო“. ესე იგი არს, რჩეულისა მისგან და პატივცემულისა კრებულისა, რომელი იყო პეტრეს თანა და იოვანესა, მან ქმნა განცემად იგი; რამეთუ ყოველსავე ზედა ჭეშ-მარიტებისა თქუმად მოსწრაფე არიან და არა დაფარვად. ამისთვის სასწა-ულთა მრავალთა თანანარჴვდებიან, ხოლო რომელ-იგი საყუედრელად და შეურაცხად ჩანან, არცა ერთსა საქმესა გინა სიტყუასა დაუტეობენ. და უფროსად ღმრთისმეტყუელი იოვანე იქმს ესრეთ და თითოეულად წარ-

¹ მათ. 24,14.

მოიტყვს შეურაცხებათა მათ და ძკრისმეტყუელებათა, რომელ-იგი ეტყო-
დეს და იქმოდეს ჰურინი.

ხოლო ან იხილეთ, რაოდენ იყო უკეთურებად იუდაესი! ვითარ თავით
თვსით მივიდა და ოცდაათის ვეცხლის დაეზავა მიცემად უფალი. † უგუ-
ლისწმოება! ვითარ ესრეთ ერთბამად დააბრმო ვეცხლისმოყუარებამან.

რავდენგზის ეხილვა, ვითარ განვლის უფალმან შორის მათსა, და ვერ
უძლიან შეპყრობად, რავდენნი სასწაულნი ეხილვნეს ღმრთეებისა მისისა-
ნი, რავდენნი ასმიოდეს სწავლანი საშინელნი, და ყოველივე იგი უგულე-
ბელს-ყო.

ხოლო უფალი ვიდრე აღსასრულადმდე სულგრძელ ექმნა და სერო-
ბასა ღირს-ყო და ფერჯთა ბანასა და დაუცხრომელად ასწავლიდა, გარნა
არარად ერგო მას. ხოლო უფალი არავე დასცხრა ჩუენებად სულგრძე-
ლებისა.

ეგრეთვე ჩუენცა ვიქმოდით, მორწმუნენო; სულგრძელებასა ვაჩუენებ-
დეთ უდებთა და ცოდვილთა, ვასწავლიდეთ, შევრჩულვიდეთ, ნუგეშინის-
ვსცემდეთ. დაღაცათუ არად ერგებოდის, ჩუენ ნუმცა დავსცხრებით. რამე-
თუ ქრისტემან იცოდა უნანელი იგი და მოუდრეკელი გული იუდაესი, არა-
მედ არავე დასცხრა ყოფად, რად-იგი მისგან ჯერ-იყო, ასწავლიდა, აბრა-
ლებდა, ამხილებდა, და არავე განცხადებულად, არამედ იგავით და რეცა
მიფარულად, და ჟამსა მას მიცემისასა ამბორის-ყოფაეცა მისი თავს-იდვა.
ხოლო მან ამის ყოვლისაგან არა ინება სარგებელი, რამეთუ ესოდენ ბო-
როტ არს ვეცხლისმოყუარებად, ვიდრელა ესევითარსა უკეთურებისა უფ-
სკრულსა შთაჰჰადა იგი.

სწავლად პ ვეცხლისმოყუარებისათვის

ისმინეთ ყოველთა ვეცხლისმოყუარეთა, რომელნი შეპყრობილ ხართ
სენითა იუდაესითა. ისმინეთ და განეკრძალენით ბოროტისა ამის ვნებისა-
გან. უკუეთუ იგი ქრისტეს თანა იყო და ესოდენნი სწავლანი მის მიერ ას-
მიოდეს და მადლი სასწაულთმოქმედებისად მიელო, და ამას ყოველსა ზედა,
ვინათგან არა ეკრძალა ვნებისა მისგან, ესევითარსა მთხრებლსა შთავარ-
და, რად-მე ვყოთ ჩუენ, უმეცართა ამათ, რომელნი მარადის ამის საწუთ-
როდსადა შემსჭულულ ვართ? იგი უბადრუკი იქცეოდა მარადის ქრისტეს
თანა, რომელსა არა აქუნდა ადგილი მიდრეკად თავისა, და ესმოდა მისგან
მარადლე, ვითარმედ: „ნუ მოიგებთ ოქროსა, გინა ვეცხლსა, ნუცა ორსა სა-
მოსელსა“,¹ და არავე შეიგონა.

¹ მათ. 10,9-10.

რამეთუ ბოროტი არს მწეცი ესე და მძკნვარე, და უკუეთუ ვინ განსცეს თავი თვისი, მყის შთაჰჴდის მას ქუესკნელთა ქუეყანისათა. ხოლო უკუეთუ ვინებოთ წინააღდგომად მისა, ადვილად იძლიოს და იოტოს. რამეთუ ბრძოლად იგი არა ბუნებითი არს, არამედ უდებებისა და დაჴსნილობისაგან ჩუენისა იქმნების. ხოლო ვინაფთაგან ეუფლოს კაცსა, სრულიად გარეგან წესთა ბუნებისათა ჰყოფს. უმეცარ-ჰყოფს მეგობართა თვისთა და ძმათა, ვითარ-იგი იუდას შეემთხვა, უარ-ყო უფალი და მეუფე და მოძღუარი და განმცემელ იქმნა სახიერისა მის. თქუას ვინმე, თუ: რად ესე ვითარი იქმნა ნოდებული იგი ქრისტეს მიერ მონაფე-ყოფად მისა? ესე ნუ გიკვრს, ძმაო, რამეთუ ნოდებად ქრისტესი არა იძულებით იქმნების, არცა აიძულებს გონებასა მათსა, რომელთა არა ენებოს სათნობაჲ. ასწავებს ყოველთა და კეთილისა გზასა უჩუენებს და ყოვლით კერძო აწუევს კეთილისა მიმართ, ხოლო რომელთა არა ენებოს, იძულებით არა იმჭირავს.

ეგრეთვე იუდას ზედა ქმნა: მოუწოდა, ასწავა, კეთილი უყო, ყოველივე ღონე ქმნა. ვინაფთაგან მან ვეცხლისმოყუარებაჲ აღირჩია, არღარა ჯერიჩინა იძულებად მისა, რამეთუ თვთმფლობელად დაუბადებებს ბუნებაჲ ჩუენი და არა აგკძულებს.

ამისთვის რომელნიმე იყვნეს მტაცებელ, ანგაჰრ და მედგარ. ინებეს მოქცევაჲ და იქმნეს ცხოვართა უმჰკდეს. სხუანი მეძავნი იყვნეს და მოიქცეს სინმინდედ. სხუანი ანგაჰრნი იყვნეს და მერმე თვისიცა მონაგები გლახაკთა განუყვეს.

ეგრეთვე კუალად წინააღმდგომიცა მრავალგზის იქმნის უდებებისაგან და დაჴსნილობისა.

ამისთვის გიეზი მონაფე იყო წინაღსწარმეტყუელისა დიდისაჲ და ვეცხლისმოყუარებითა სამარადისოჲ კეთროვნებაჲ დაიმკვდრა.¹ იუდა ქრისტეს თანა იყო და განმცემელ მისა იქმნა და თანამზრახვალ ჰურიათა ამისვე სენისაგან.

ესე ყოველთა ვნებათა უძკრეს არს, ამისგან იქმნებიან მპარავნი და ავაზაკნი და საფლავთა მჭკუერველნი, ამისგან შეიმზადებიან ბრძოლანი და კაცის-კლვანი, და რომელიცა ბოროტი მოიგონო, ამისი ნაშობი არს.

ამის ვნებისა მიერ ძლეული კაცი ყოველსავე საქმესა უჴმარ არს, გინა თუ მთავარი იყოს, გინა თუ ერისთავი.

ანგაჰრი და ვეცხლისმოყუარე ყოვლადვე უჴმარ არს და ყოველთა მიერ საძულელ. და რად ვიტყვ მთავარსა და ერისთავსა? დაღაცათუ მეფჴ იყოს ანგაჰრი და ვეცხლისმოყუარე, ყოველთა უსაწყალობელეს არს და მავნებელ არს ყოვლისა სოფლისა, ყოველთაგან მოიტაცებზ, ყოველთაგან მოიხუეჴზ.

¹ 4 მეფ. 5,20-27.

ამისთვის წერილ არს, ვითარმედ: „არარაჲ არს უძკრეს ვეცხლის- მოყუარებისა“;¹ არა იცის განძლომაჲ, არავინ უვის მოყუარე, ყოველთა უუბადრუკეს არს. ვითარცა იგი, რომელი მძლე ექმნას ვენებასა მას, სანატრელ არს, დაღაცათუ მონაჲ იყოს, სანადელ არს ყოველთა მიერ, რამეთუ სათნოებაჲ მუშაკთა თვსთა სანადელ და სანატრელ ჰყოფს ყოველთა მიერ.

ან უკუე, კაცო, ნუ მწუხარე ხარ, უკუეთუ სიგლახაკესა შინა იყო, არამედ მოიგე სიმდიდრე სათნოებისაჲ და ნეტარ იყოს შენდა. რომელი სულითა გლახაკ იყოს, დაღაცათუ ყოველი სოფელი აქუნდეს, იგი მდიდრად არა შემირაცხიეს; ეგრეთვე რომელი სულიერად მდიდარ იყოს, დაღაცათუ პურიცა არა აქუნდეს, მას არა ვიტყვ გლახაკად.

რამეთუ სული უმთავრეს არს და უპატიოსნეს ჯორცთასა, და ვერ ძალუც უდარესსა მას უაღრესისა თავისა თვისისა წესსა შეცვალებად, რაჲთამცა თვისითა სიგლახაკითა დააგლახაკა მისი იგი სიმდიდრე, ანუ თვისითა სიმდიდრითა განამდიდრამცა მისი სიგლახაკე. არამედ უფროსად უაღრესი იგი უდარესსა მას მიიზიდავს თვისისა მიმართ წესისა.

და ესე ცხად არს ჯორციელთაცა საქმეთა შინა, ვითარ უაღრესი უდარესსა თვისისა მიმართ წესისა შესცვალეზს. ამისთვისცა, უკუეთუ გულსა რაჲმე ევნის, ყოველივე გუამი უძღურებასა შთავარდის, ხოლო უკუეთუ იგი მრთელ იყოს და მხიარულ, დაღაცათუ სხუასა ასოსა ელმინ რაჲმე, ადრე მოვიდის სიმრთელედ.

ეგრეთვე ხე, უკუეთუ ძირი დაჭნეს, რაჲ სარგებელ არს რტოთა სიორძილე? და უკუეთუ ძირი უვნებელად იყოს, დაღაცათუ ფურცელი განჭმეს, არცა ერთი რაჲ სავენებელი შეემთხუევის.

ეგრევესახედ, უკუეთუ სული გლახაკ იყოს, სიმრავლე საფასეთაჲ არად სარგებელ არს, და კუალად, უკუეთუ სული მდიდარ იყოს სათნოებითა, სიგლახაკე ჯორციელი ვერარას ავენებს. ხოლო სიმდიდრე სულიერი უფროსად მაშინ იქმნების, ოდეს ჯორციელად სიგლახაკით და უპოვრებით ვცხონდებოდით.

და მაშინ ვართ ჭემმარიტად მდიდარნი, ოდეს შეურაცხ-ვყოთ სიმდიდრე, და მაშინ ვართ გლახაკ, ოდეს გუსუროდის საფასეთათვს. ხოლო ფრიად უადვილესად შეურაცხ-ვჰყოფთ საფასეთა, სიგლახაკესა შინა რაჲ ვიყვნეთ, ვიდრეღა სიმდიდრესა. რამეთუ ვითარცა მომთრვალე რაოდენ სუმიდეს, უმეტესად სწადინ ღვნოდ, ვიდრეღა რომელი არა სუამნ, ეგრეთვე საჭმართმოყუარე რაოდენ მოიგებდეს საფასეთა, უმეტესადღა სწადინ უფროსისა მოგებად.

რამეთუ არა აქუს გულისთქუმათა ესე წესი, რაჲთამცა უმეტესისა მოგებითა დაშრტეს, არამედ უფროსადღა აღეტყინებიან. ვითარცა-იგი ცეცხლმან რაოდენცა პოის ნივთი, ფრიად უმეტესად აღეტყინის, ეგრეთ-

¹ შდრ. 1 ტიმ. 6,10.

ვე საჭმართა მოყუარებამან რაოდენცა უმეტესი პოოს ოქროდ და ვეცხლი, უმეტესად განძნდების.

ამისთვის ვიტყვ, ვითარმედ: უფროდსად იგი არს გლახაკ, რომელი უმეტესისა მოგებად სურვიელ იყოს. და გულისწმა-ყვენით ორნი კაცნი: ერთი იგი იყავნ ანგაჰრ და აქუნდინ ბევრეული შანთი ოქროდსად, და მეორე იგი იყავნ უპოვარ და აქუნდინ ვითარ ათი ოდენ დრაჰკანი. ნარწყმიდეს ორთავე მონაგები იგი, ერთმან ბევრი იგი შანთი და მეორემან ათი იგი დრაჰკანი. ვინმცა უმეტეს შენუხნა? უეჭუელად უფალი ბევრისა მის შანთისაჲ. ამისთვის უმეტესად შენუხნა, რამეთუ უმეტესად უყუარდა და გული ეტყოდა უმეტესისა მოგებად. ამისთვისცა უგლახაკეს იყო მეორისა მის, რომელმან არარად შეჰრაცხა ნარწყმედაჲ ათისა მის დრაჰკნისაჲ. რამეთუ მარადის გულისთქუმაჲ ნაკლულეფანებისაგან იქმნების.

ესე ყოველი ამისთვის ვთქუ, რადთა სცნათ, ვითარმედ უკუეთუ განვიფრთხოთ გონებითა და შევიყუაროთ სათნოებაჲ, ვერარამან გუაენოს ჩუენ.

გვედრები უკუე, ყოვლითავე ძალითა ვისწრაფოთ განრომად სენისა ამისგან ვეცხლისმოყუარებისა, რადთა აქაცა მდიდარ ვიყვნეთ გონებითა და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 34

სიტყუაჲ ესე: „ხოლო პირველსა მას დღესა უცომოებისასა მოუწ-
დეს მონაფენი იესუს და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ
ჭამად პასექი ესე? ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნარვედით ქალაქად კაცისა
ვისამე და არქუთ მას: მოძღუარი ეგრე იტყვს: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ
თანა ვყო პასექი ესე მონაფითურთ ჩემით“ (26,17-18).

პირველ უცომოებისა – წინადღითსა მას პასექისასა იტყვს (რამეთუ
წეს არს მწუხრითგან აღრაცხვად დღისა მის), რაჟამს-იგი კრავისა მის დაკ-
ლვად აღესრულებოდა. რამეთუ ხუთშაბათსა დღესა მოუწდეს, და მას სა-
ხელ-სდებს პირველად დღედ უცომოებისა, ესე იგი არს, წინადღით პასე-
ქისა.

და კუალად სხუად მახარებელი იტყვს: „მოინინესო დღენი იგი
უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქად იგი დაკლვად“.¹ ესე იგი არს, ვი-
თარმედ მოინია მწუხრი იგი, ოდეს აღესრულებოდა დღესასწაული მა-
თი.

„და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, მოგიმზადოთ შენ ჭამად პასქად ესე?“

ამით საცნაურ არს, ვითარმედ არა აქუნდა თავადსა სახლი სადგუ-
რად, და არცა მონაფეთა მისთა. რამეთუ უკუეთუმცა მათ აქუნდა, მუნმცა
ევედრნეს მისლვად. გარნა არად აქუნდა, რამეთუ ყოველივე დაეტევა და
უფლისადა შედგომილ იყვნეს. ხოლო რადსათვს აღასრულებდა იგი პასქასა
მას? ესე ამისთვის, რადთა ვიდრე აღსასრულადმდე ყოველით კერძო გამო-
აჩინოს, ვითარმედ არა წინააღმდეგომ არს შჯულისა.

სახარებაჲ: „ხოლო იესუ ჰრქუა მათ: ნარვედით ქალაქად კაცისა
ვისამე და არქუთ მას: მოძღუარმან ეგრე თქუა: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ
თანა ვყო პასქად ესე მონაფითურთ ჩემით“ (26,18).

თარგმანი: კაცისა მიმართ მიავლინა უცნაურისა, რომელსა მონა-
ფენი იგი არა იცნობდეს ყოვლადვე, რადთა უმეტესად გამოჩნდეს ძალი
მადლისა მისისაჲ, და ცნან მონაფეთა, ვითარმედ შემძლებელ არს გონე-
ბათა შეცვალებად; და გულისწმა-ყონ, ვითარმედ უკუეთუმცა არა ნეფსით
მივიდოდა ვნებად, ძალ-ედვა ჯუარმცუმელთა მათ მისთა წამის-ყოფით
ოდენ განწმობად, ვითარცა ლელჳ იგი განაწმო, არამედ ნეფსით თავს-
იდებდა ყოველსავე.

და ვითარცა-იგი შევიდოდა რად იერუსალჳმდ, წარავლინნა მონაფენი
მოყვანებად კარაულისა მის და ჰრქუა: „უკუეთუ ვინმე გრქუას რად, არ-
ქუთ, ვითარმედ: უფალსა უწმან ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი“,²

¹ ლუკ. 22,7. ² მათ. 21,3.

ეგრეთვე აქა ჰრქუა: „არქუთ სახლისა უფალსაო: გეტყვს შენ მოძღუარი: შენ თანა ვყო პასქად ესე“. გინა თუ ვითარცა ლუკა იტყვს: „გეტყვს შენ მოძღუარი: სადა არს სავანე, რომელსა პასქად ესე მონაფეთა ჩემთა თანა ვჭამო?“¹ და არა ესე ხოლო არს საკვრველ, რომელ კაცმან უცნაურმან შეიწყნარა იგი, არამედ რომელ იცოდა, ვითარმედ შეწყნარებითა მისითა მტერობად თვსად აღადგენდა ყოველთა მათ მღდელთმოძღუართა და მნიგნობართა და ფარისეველთა და მთავართა ერისათა, და ყოვლადვე არარად შეჰრაცხა ესე ყოველი, რამეთუ სიტყუამან მან უფლისამან განაწურვა გონებად მისი.

ხოლო ვინაფეთგან უმეცარ იყვნეს მონაფენი კაცსა მას, ამისთვის სასწაული მისცა, ვითარმედ: „შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგვნი წყლითა ზეედგას; შეუდეგით მას სახედ, ვიდრეცა შევიდეს. და არქუთ უფალსა მის სახლისასა“.²

და არა ესე ხოლო მიუმცნო, თუ: „შენ თანა ვყო პასქად ესე“, არამედ ესეცა ჰრქუა: „ჟამი ჩემი ახლოს არსო“. ხოლო ესე თქუა, ერთად, რაფთა ზედადსზედა ჯსენებითა ინუართონ მონაფეთა საქმე იგი, და მეორედ, რაფთა ცნან მონაფეთა და კაცმან მანცა მასპინძელმან, ვითარმედ ნეფსით თვსით მივალს ვნებად. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „მონაფითურთ ჩემით“, რაფთა ჯეროვნად ყოს მან განმზადებულებად და ცნას, ვითარმედ განცხადებულად მივალს და არა მიფარულად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ვითარცა შემწუხრდა, ინაჯით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა. და ვითარცა ჭამდეს იგინი, თქუა იესუ: ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“ (26,20-21).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ზ იუდაფსი იგი უკეთურებად და სიცხარე! რამეთუ იგიცა მუნვე იყო და მივიდა ზიარებად საიდუმლოთა და ტაბლისა მის წმიდისა. დაღაცათუმცა მვეცი იყო, შე-მცა-ეკდიმა, რამეთუ ტაბლასა მას ზედა თქუა უფალმან: „ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“, რაფთა ტაბლისა მისგანცა და მხილებისა შეიკდიმოს მან. არამედ უფროფსად გამოჩნდა უკეთურებად მისი. ხოლო პირველ სერობისა მის საიდუმლოფსა ფერწნიცა დაჰბანნა.

და კუალად ან არა ამხილებს ცხადად, არამედ იტყვს: „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“, რაფთამცა მისცა მას ჟამი და ჯელმწიფებად სინანული-საფ. ამისთვის ყოველნი შეაშინა, რაფთამცა იგი მოაქცია.

„ამენ გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან“ ათორმეტთა მაგათ, რომელნი მარადის ჩემ თანა ხართ, რომელთა ფერწნი დაგბანენ, რომელთა ესოდენნი კეთილნი აღგიტქუენ, „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე. და იგინი შეწუხნეს ფრიად“.

¹ ლუკ. 22,11.

² ლუკ. 22,10-11.

და იოვანე იტყვს: „იხედვიდესო ურთიერთას მონაფენი და ვერ იცოდეს, ვისთვის იტყოდა“.¹ ხოლო მათე იტყვს: **„შენუხნესო ფრიად; და ინყო კაცად-კაცადმან სიტყუად: ნუუკუე მე ვარ, უფალო? ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა ჴელი პინაკსა, ამან მიმცეს მე“** (26,22-23).

ესე იქმნა და ვერვე დაიდასტურეს მონაფეთა. ამისთვის კუალადცა ნამუყვნა პეტრე იოვანეს, ვითარცა მისსა მას სახარებასა წერილ არს, კითხვად, თუ ვინ არს, რომლისათვის იტყვს. – „მიეყრდნა იგი მკერდსა იესუსსა და ჰრქუა მას: უფალო, ვინ არს? მიუგო იესუ და ჰრქუა: იგი არს, რომელსა მე დავანო პური და მივსცე“.²

იხილე, თუ ოდეს გამოუცხადა. ოდეს იხილნა სხუანი დიდსა მწუხარებასა შინა და ურვასა ფრიადსა, მაშინ აუნყა.

და არა მათთვის ხოლო, არამედ რადთა მიმცემელსაცა მისსა ამხილოს, რამეთუ მრავალგზის ჰრქუა მიფარულად და იგავისსახით, და არა შეიგონა მან. ამისთვის ან განცხადებულადრე ამხილებს, ნუუკუე შეიგონოს. ამისთვის შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ძჳ სამე კაცისად წარვალს, ვითარცა წერილ არს მისთვის, ხოლო ვად კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისად მიეცეს. უმჯობეს იყო მისთვის, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი“ (26,24).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე საქმენი და სიტყუანი ნუმცა ესრეთ ლიტონად აღმოიკითხვიან ჩუენ მიერ, საყუარელნო, არამედ გამოგწერნეთ ესე გონებათა შინა ჩუენთა, რადთა არლარასადა პოოს გულისწყრომამან ადგილი ჩუენ თანა. რამეთუ ვინ არს, რომელიმცა გულისწმა-ჰყოფდა სერობასა მას დიდებულსა და მიმცემელსა მას, მჯდომარესა მაცხოვრისა თანა, და ვითარ უფალი იგი და მეუფჳ ყოველთად სიმშკდით და სიტკობებით ეტყოდა, და არამცა ყოველივე რისხვად და გულისწყრომად აღმოფხურა გულისაგან თვისისა? რამეთუ იხილეთ სიმშკდით მეტყუელებად მისი:

„ძჳ სამე კაცისად წარვალსო, ვითარცა წერილ არს მისთვის“. კუალად მონაფეთაცა ნუგეშინის-სცემს ამათ სიტყუათა მიერ, რადთა ცნან, ვითარმედ არა უძლურებისაგან არს მისისა მიცემად მისი, არამედ განგებულებასა აღასრულებს ნეფსით, და მიმცემელსა მას ამხილებს, რადთა შეიგონოს და შეშინდეს. ამისთვის თქუა: „ხოლო ვად არს კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისად მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი“. ყოველივე სიტყუად სახიერისად მის სიმშკდით არს და სიტკობებით და არა რისხვით, არცა განცხადებულთა მხილებითა. ხოლო იხილეთ მისი იგი ურცხვნოდ სიტყვს-გებად, ვითარცა ესერა გუაუწყებს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „მიუგო იუდა, რომელმან მისცა იგი, და თქუა: ნუუკუე მე ვარ, მოძლუარ? ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ“ (26,25).

¹ იოან. 13,22.

² იოან. 13,25-26.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ჰ უ გ უ ნ უ რ ე ბ ა დ ი გ ი დ ა გ უ ლ ფ ი ც ხ ე ლ ო ბ ა დ! ი ც ო დ ა, რ ა დ-
ი გ ი ე გ უ ლ ე ბ ო დ ა ყ ო ფ ა დ, დ ა კ უ ა ლ ა დ ი კ ი თ ხ ვ ი დ ა: „ნ უ უ კ უ ე მ ე ვ ა რ ო?“ ა მ ი ს-
თ ვ ს მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ მ ა ნ ც ა გ ა ნ კ ვ რ ე ბ ი თ თ ქ უ ა ს ი ტ ყ უ ა დ ე ს ე. მ ი უ გ ო ს ა ხ ი ე რ მ ა ნ
მ ა ნ დ ა ტ კ ბ ი ლ მ ა ნ უ ფ ა ლ მ ა ნ დ ა ჰ რ ქ უ ა: „შ ე ნ ს თ ქ უ“. ჟ ა მ ი ი ყ ო თ ქ უ მ ა დ, ვ ი-
თ ა რ მ ე დ: ჰ ბ ი ლ ნ ო დ ა უ შ ჯ უ ლ ო ო, ა რ ა ნ მ ი დ ა ო დ ა მ ნ ი ნ კ უ ლ ე ვ ა ნ ო, ე ს ო დ ე ნ-
თ ა ჟ ა მ თ ა ი ნ უ რ თ ი ს ა ქ მ ე ს ა მ ა ს უ კ ე თ უ რ ე ბ ი ს ა ს ა; დ ა ნ ა რ ხ ვ ე დ დ ა გ ა ნ ზ რ ა ხ-
ვ ა დ ს ა ე შ მ ა კ ო დ ქ მ ე ნ დ ა ვ ე ც ხ ლ ი მ ო ი ნ ო ნ ე, დ ა ა ნ ი კ ა დ რ ე ბ დ ა ი ტ ყ ვ: „ნ უ უ კ უ ე
მ ე ვ ა რ ა?“ ა რ ა რ ა დ ე ს ე ვ ი თ ა რ ი ჰ რ ქ უ ა ტ კ ბ ი ლ მ ა ნ მ ა ნ მ ე უ ფ ე მ ა ნ, ა რ ა მ ე დ ე ს ე
ხ ო ლ ო, ვ ი თ ა რ მ ე დ: „შ ე ნ ს თ ქ უ“, რ ა დ თ ა ყ ო ვ ლ ი თ კ ე რ ძ ო მ ო გ უ ც ვ ს ჩ უ ე ნ ს ა ხ ე
დ ა ნ ე ს ი ძ ვ რ უ ჯ ს ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ა დ.

ი ტ ყ ვ ა ნ ვ ი ე თ ნ ი მ ე უ გ უ ნ უ რ ნ ი, ვ ი თ ა რ მ ე დ: უ კ უ ე თ უ ნ ე რ ი ლ ი ყ ო დ ა გ ა ნ გ ე-
ბ უ ლ, რ ა დ თ ა ქ რ ი ს ტ ე ჯ უ ა რ ს-ე ც უ ა ს, რ ა დ ს ა თ ვ ს ს ა ბ რ ა ლ ო ბ ე ლ ა რ ს ი უ დ ა, რ ა-
მ ე თ უ ს ი ტ ყ უ ა ნ ი ნ ე რ ი ლ თ ა ნ ი ა ლ ა ს რ უ ლ ნ ა? ა რ ა მ ე დ გ უ ლ ი ს ჯ მ ა-ყ ა ვ თ, კ ა ც ნ ო
უ გ უ ლ ი ს ჯ მ ო დ მ ე ტ ყ უ ე ლ ნ ო, ვ ი თ ა რ მ ე დ ი უ დ ა რ ა დ-ი გ ი ქ მ ნ ა, ა რ ა თ უ ა მ ი თ გ უ-
ლ ი ს ს ი ტ ყ ვ თ ა ქ მ ნ ა, რ ა დ თ ა ნ ე რ ი ლ ნ ი ა ლ ა ს რ უ ლ ნ ე ს. ნ უ ი ყ ო ფ ი ნ! ა რ ა მ ე დ თ ვ ს ი-
ს ა მ ი ს უ კ ე თ უ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა გ უ ლ ი ს თ ქ უ მ ი ს ა მ ი ს თ ვ ს ვ ე ც ხ ლ ი ს მ ო ყ უ ა რ ე ბ ი ს ა.

ხ ო ლ ო უ კ უ ე თ უ ვ ი ნ მ ე ა რ ა გ ო ნ ე ბ ა ს ა გ ა მ ო ე ძ ი ე ბ დ ე ს, ა რ ა მ ე დ ს ა ქ მ ე ს ა
ო დ ე ნ ხ ე დ ვ ი დ ე ს, ე შ მ ა კ ი ც ა ს ა დ მ ე უ ბ რ ა ლ ო-ყ ო ს, რ ო მ ე ლ მ ა ნ ა ღ ძ რ ნ ა ჰ უ რ ი ა ნ ი
ქ რ ი ს ტ ე ს ზ ე დ ა. ა რ ა მ ე დ ა რ ა ე ს რ ე თ ა რ ს. ნ უ ი ყ ო ფ ი ნ! რ ა მ ე თ უ ბ ე ვ რ ე უ ლ ი ს ა
ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ი ს ა ლ ი რ ს ა რ ს ე შ მ ა კ ი ც ა დ ა ი უ დ ა ც ა. რ ა მ ე თ უ ა რ ა თ უ ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ
ს ო ფ ლ ი ს ა დ მ ი ც ე მ ი თ ა ი უ დ ა დ ს ი თ ა ი ქ მ ნ ა, ა რ ა მ ე დ ს ა ხ ი ე რ ე ბ ი თ ა ქ რ ი ს ტ ე ს ი თ ა,
რ ო მ ე ლ მ ა ნ-ი გ ი თ ვ ს ი თ ა ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა უ კ ე თ უ რ ე ბ ა ნ ი ს ხ უ ა თ ა ნ ი ჩ უ ე ნ თ ვ ს უ მ ჯ ო-
ბ ე ს ა დ ი ჯ მ ა რ ნ ა. კ უ ა ლ ა დ ი ტ ყ ვ ა ნ ა მ ო დ ხ ა მ ე ძ ი ე ბ ე ლ ნ ი ი გ ი: ვ ი ნ ა დ თ გ ა ნ ჯ ე რ-ი ყ ო
ჯ უ ა რ-ც უ მ ა დ ქ რ ი ს ტ ე ს ი, კ ა ც ი ს ა მ ი ე რ ყ ო ფ ა დ ი ყ ო ს ა ქ მ ე ი გ ი. ა ნ უ კ უ ე თ უ მ ც ა
ყ ო ვ ე ლ ნ ი კ ე თ ი ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ს, დ ა ა რ ც ა მ ც ა ი უ დ ა ქ მ ნ ი ლ ი ყ ო უ კ ე თ უ რ, ა რ ც ა ჰ უ-
რ ი ა ნ ი, ა რ ა მ ც ა დ ა ი ხ რ ნ ი ა ჩ უ ე ნ თ ვ ს ა ლ ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ი გ ი გ ა ნ გ ე ბ ა დ? ნ უ ი ყ ო-
ფ ი ნ! რ ა მ ე თ უ ყ ო ვ ლ ა დ ბ რ ძ ე ნ მ ა ნ მ ა ნ ი ც ო დ ა მ რ ა ვ ა ლ ი ლ ო ნ ე ჩ უ ე ნ ი ს ა ც ხ ო ვ-
რ ე ბ ი ს ა დ. დ ა ლ ა ც ა თ უ მ ც ა ა რ ა ვ ი ნ ქ მ ნ ი ლ ი ყ ო უ კ ე თ უ რ დ ა ნ ი ნ ა ა ლ მ დ გ ო მ მ ი ს ა,
ა რ ა ვ ე დ ა ა კ ლ დ ე ბ ო დ ა მ ა ს ლ ო ნ ე ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა დ. ა მ ი ს თ ვ ს ც ა, რ ა დ თ ა
ა რ ა ვ ი ნ ჰ გ ო ნ ე ბ დ ე ს, თ უ ი უ დ ა თ ა ნ ა შ ე მ მ ნ ე დ ა მ ს ა ხ უ რ გ ა ნ გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ქ-
მ ნ ა, ვ ა ე ბ ა ს ა მ ი ს ც ე მ ს მ ა ს: „ვ ა დ ა რ ს ო კ ა ც ი ს ა მ ი ს, რ ო მ ლ ი ს ა მ ი ე რ ძ ე კ ა ც ი ს ა დ
მ ი ე ც ვ ს. უ მ ჯ ო ბ ე ს ი ყ ო მ ი ს ა, ა რ ა თ უ მ ც ა შ ო ბ ი ლ ი ყ ო კ ა ც ი ი გ ი“.

კ უ ა ლ ა დ ი ტ ყ ვ ა ნ უ გ უ ლ ი ს ჯ მ ო ნ ი, ვ ი თ ა რ მ ე დ: უ კ უ ე თ უ უ მ ჯ ო ბ ე ს ი ყ ო,
თ უ მ ც ა ა რ ა შ ო ბ ი ლ ი ყ ო, რ ა დ შ ე უ ნ დ ო შ ო ბ ა დ მ ი ს ა ა ნ უ ს ხ უ ა თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ე
უ კ ე თ უ რ თ ა? გ უ ლ ი ს ჯ მ ა-ყ ა ვ თ, კ ა ც ნ ო, რ ა მ ე თ უ ღ მ ე რ თ მ ა ნ ყ ო ვ ე ლ ნ ი ვ ე დ ა-
გ უ ბ ა დ ნ ა კ ე თ ი ლ თ ა ს ა ქ მ ე თ ა მ ო ქ მ ე დ ა დ, ვ ი თ ა რ ც ა ნ ე რ ი ლ ა რ ს, ვ ი თ ა რ მ ე დ:
„ყ ო ვ ე ლ ნ ი ვ ე შ ე ქ მ ნ ა მ ო ძ ი ე ბ ა დ ღ მ რ თ ი ს ა; დ ა მ ე ძ ი ე ბ ე ლ თ ა მ ი ს თ ა ე პ ო ე ბ ი ს,
რ ა მ ე თ უ ა რ ა შ ო რ ს ა რ ს კ ა ც ა დ-კ ა ც ა დ ი ს ა გ ა ნ ჩ უ ე ნ ი ს ა“.¹

¹ საქმე 17,26-27.

ან უკუე მათ აბრალებდით, რომელი დაიბადნეს მოქმედად კეთილისა და ნეფსით თვსით შეიყუარეს ბოროტი, რომელთა არავინ აიძულებდა ბოროტის-ყოფად, არამედ ნეფსით თვსით გამოირჩიეს ბოროტი.

მათ აბრალებდით და ნუ ღმრთისა საქმეთა ჰმიზებობთ და განკითხვათა მისთა გამოიკულებთ და იტყვით, თუ: კეთილნიცა ოდენ კაცნი დაბადებულ იყვნეს, და ბოროტნიცა ყოვლადვე არა იყვნეს. რამეთუ ღმერთმან არცა ერთი ქმნა ბოროტად, არამედ ყოველნივე კეთილად დაჰბადნა, და კაცად-კაცადი ნეფსით თვსით იქმნა ბოროტსა გინა კეთილსა.

ან უკუე გრქუა თქუენ სიტყუად პავლე მოციქულისაჲ, ვითარმედ: „შენ ვინ ხარ, კაცო, რომელი სიტყუას-უგებ ღმერთსა? ჰრქუას-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რაჲსა ესრეთ შემქმენ?“¹

რამეთუ ყოველნივე კეთილად ქმნა კეთილისმოქმედმან მან უფალმან. ხოლო ბოროტნი კაცნი და უკეთურნი ნეფსით თვსით იქმნნეს უკეთურ. ვინაჲთგან უკუე იგინი ნეფსით მიდრკეს ბოროტისა მიმართ, იქმნა საქმე ესე უმეტესად გამომაჩინებელ სიკეთისა მის კეთილთა კაცთაჲსა, რაჲთა უმეტესად საკვრველ იყვნენ, ოდეს შორის უკეთურთა გამოჩნდენ კეთილნი.

და კუალად, სიკეთე მათი უმეტესად მამხილებელ და დამსჯელ უკეთურთაჲსა იქმნების, რამეთუ ხედვიდეს სახესა კეთილისაჲსა და არა ჰბაძვიდეს. და ვითარცა-იგი კეთილისა მოქმედნი ორკერძო იდიდებიან (ერთად, რომელ ქმნეს კეთილი, და მეორედ, რომელ ბოროტთა კაცთაგან არაჲ ევნო, არცა მიემსგავსნეს მათ), ეგრეთვე ბოროტისმოქმედნი ორკერძო დაისჯებიან: ერთად, რომელ ქმნეს ბოროტი, და მეორედ, რომელ კეთილისა მოქმედთა არა ჰბაძვიდეს. ვითარცა-იგი სანყალობელსა მას იუდას შეემთხვა, რომელ-იგი შორის მოციქულთა იყო და მარადლე სწავლად უფლისაჲ ესმოდა და არარაჲ ინება სარგებელი, არამედ ნეფსით თვსით მისცა თავი თვსი ეშმაკსა წარსანყმედელად. და მერმელა ჰკითხვიდა: „მოძღუარ, ნუუკუე მე ვარო?“² ❖ სიბრმე იგი გონებისა მისისაჲ! რამეთუ ესრეთ არს მარადის ვეცხლისმოყუარებაჲ, დააბნელებს გონებასა კაცისაჲსა და ძალისა უღირბეს ჰყოფს, ვითარცა-იგი იუდას უყო, რომელმან-იგი ეშმაკი შეიყუარა და უფლისა თვსისა განცემად იზრახა.

ხოლო ვითარ არს ესე, რომელ მათე და ლუკა ესრეთ იტყუან, ვითარმედ: „შეუწდა ეშმაკი იუდას, და მივიდა, ეზრახა მღდელთმოძღუართა მიცემისათვს უფლისა“;³ ხოლო იოვანე ეგრეთ იტყუეს, ვითარმედ: „ოდეს-იგი მიილო პური, მაშინ შევიდა მისა ეშმაკი“.⁴ გარნა არარას წინააღმდეგების ამას ადგილსა იოვანე სხუათა მათ მახარებელთა, რამეთუ იგიცა ზემორე იტყუს: „და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაჲსსა, რაჲთა განსცეს იგი“.⁵ ვითარ უკუე ქუემო იტყუს, ვითარმედ: „შემდგომად პურისა მაშინ შევიდა მისა ეშმაკი“?⁵

¹ რომ. 9,20.

² ლუკ. 22,3-4.

³ იოან. 13,27.

⁴ იოან. 13,2.

⁵ იოან. 13,27.

ესე ამისთვის, რამეთუ არა ერთგზის შევიდა მისა ეშმაკი. არამედ პირველად მოუწდა და აზრახა ზრახვა იგი ბოროტი. იხილა რად, ვითარმედ მორჩილ არს მისა, ოდეს პური იგი იკადრა ზაკუვით წარმდებებით მიღებად, მაშინ ყოვლითურთ ძალითა უკეთურებისა თვისისათა შევიდა მისა და დაემკვდრა უბადრუკსა მას თანა.

და კუალად, ესე ვითარ წერილ არს, ვითარმედ: „ინაწით-ჯდა იესუ ათორმეტთა მათ თანა“,¹ რამეთუ არა იყო ძუელსა შინა წესი ქუედაჯდომით ჭამად პასექისა? ესრეთ უკუე ვიტყვ, ვითარმედ: ჭამეს პასექი იგი წესისაებრ შჯულისა; და აღასრულა იგი, და მერმე დასხდეს, და იწყო სიტყუად მათა უფალმან. ვითარცა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „ჰრქუა მათ: გულისსიტყვთ გული მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა“.²

რამეთუ მაშინ იქმოდა ცხოვრებასა სოფლისასა; მაშინ მისცემდა საიდუმლოთა; მაშინ დაჰწესნიდა სიკუდილსა ჯუარითა. ამისთვის იტყვს, ვითარმედ სანადელ იყო მისდა პასექი იგი მის წელიწადისა.

არამედ ესე ყოველი აღესრულებოდა წინაშე უბადრუკისა იუდაისა. და მან არა შეიგონა, არცა ვაებისა მისგან შეიკვიმა, არცა სახიერებისა მისგან უფლისა შეირცხვნა. ხოლო უფალი ყოველსავე ზედა სულგრძელ იყო და ძკრუწსენებელ. დიდებად სახიერებასა მისსა!

სწავლად პა ძკრუწსენებლობისათვის

და ან ჩუენცა, ძმანო, გულისწმა-ვყოთ გამოუთქუმელი იგი სახიერებად და ძკრუწსენებლობად უფლისად და ძალისაებრ ჩუენისა ვჰბაძვიდეთ სახესა მას მის მიერ მოცემულსა. დაღაცათუ ვერ უძლოთ მტერთათვის სიკუდილისა თავს-დებად, ვითარ-იგი მან ყო, არამედ ნუ ვემტერებით, ნუ ვეშურებით ურთიერთას, ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ. არა ცუდად წერილ არიან საქმენი უფლისა ჩუენისანი, არამედ რადთა გუესმოდის და ვჰბაძვიდეთ, რაოდენცა ძალ-გუედვას.

იხილეთ, რავდენი სახიერებად აჩუენა არა იუდას ოდენ, არამედ ჰურიათაცა. განვიდეს რად შეჰყრობად მისა, სიტკბოებით ეტყოდა, „მე ვარო“,³ და ყური მონისად მის განკურნა, და ქუედაცემულნი იგი აღადგინა, და მღდელთმოდლუარსა მას და პილატეს და სხუათა ყოველთა სიმშკდით ეტყოდა.

ხოლო ჯუარსა რად დამოჰკიდეს, საკვრველებანი დიდნი ქმნა, რადთამცა ჰრწმენა მათ: მზე დააბნელა, კლდენი განაპნა, კრეტსაბმელი იგი განკუეთა, მკუდარნი აღადგინა. და ოდეს-იგი წინაშე მღდელთმოდლუართა მათ

¹ მათ. 26,20.

² ლუკ. 22,15.

³ იოან. 18,5.

წარდგა და წინაშე პილატესა, გამოუთქუმელი აჩუენა სიმშკდე, რომელი-იგი კმა იყო უმეტეს სასწაულთასა მოდრეკად გულთა მათთა. და კუალად ჯუარსა ზედა იტყოდა: „მიუტევე მათ, მამაო, ცოდვად ესე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.¹

და აღდგა რად მკუდრეთით, კუალადცა მოუწოდა ჰურიათა მოქცევად და მოციქულთა უბრძანა ქადაგებად მათდა. და რომელნიცა მოიქცეს, სასუფეველი ცათად აღუთქუა; და რომელთა-იგი ჯუარს-აცუეს, მრავალნი მათგანნი ყენა შვილ ღმრთისა. რადმცა იყო ამისა უსაკრველეს, რადმცა იყო ამის სახიერებისა უმეტეს?

ან უკუე რომელთა ესე ყოველი გუესმის, შევიკდიმით და გულისწმავყოთ, თუ რადზომ შორს ვართ გზისა მისგან, რომელსა იგი ვიდოდა. მან თავადმან გკბრძანა: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა“;² ხოლო ჩუენ ესეზომ უცხო ვართ საქმეთაგან მისთა, ვითარმცა ყოვლადვე არა გუასმიოდა. არამედ ვემტერებით და ძკრსა ვიწსენებთ ძმათა მიმართ ჩუენთა, რომელთათკს ქრისტემან სიკუდილი თავს-იდვა. ნუ-უკუე ძკრუწსენებლობასაცა წარგებად საფასეთად უწმსა, ვითარ-იგი მონყალეებისათკს ვიტყვთ? ნუ იყოფინ! ესე სათნოებად სრულიად უშრომელ არს და ადვილ.

გულისწმა-ყავ, კაცო, რავდენისა ბრალისა თანამდებ ხარ შენ, და არა ხოლო თუ სიმძიმედ გიჩნდეს მიტევებად ბრალთა მათ მოყუსისათა, არამედ უფროესად მიისწრაფო შევრდომად მისდა, რადთა გექმნას ესე მიზეზ ცოდვათა შენთა შენდობისა.

არა გასმიესა, ვითარმედ წარმართთაცა, რომელთაცა არად აქუს სასოებად მერმისად, მრავალგზის ილუანეს წარმართებად ძკრუწსენებლობისა? და შენ, რომელი მოელი სასოებასა საუკუნესა, უდებ ხარ ამას ზედა და ჰკელობ; და რომელსა იქმს სიგრძე ჟამისად, არა მოსწრაფე ხარა ქმნად მცნებისათკს ღმრთისა, არამედ უმაღლოდ მოელი დაცხრომად გულისწყრომასა შენსა და არა ღმრთისათკს.

უკუეთუ გაგინა ანუ ძკრი გიზრახა ძმამან, მოიწსენე, უკუეთუ სადმე კეთილი ექმნას შენ თანა; მოიწსენე შენიცა, რავდენთადა ძკრი გიქმნიეს, რავდენთადა ძკრი გიზრახავს, და გულისწმა-ყავ, ვითარმედ უკუეთუ შენ არა შეუნდო ძმასა შენსა, არცა შენ შეგენდენენ ცთომანი იგი და ბრალნი შენნი.

გნებაგსა ცნობად, თუ რადზომ ბოროტ არს ძკრის-წსენებად, და რადზომ კეთილ არს ძკრუწსენებლობად?

ისმინე, რასა იტყვს: „უკუეთუ მიუტევენთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევენს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან. უკუეთუ არა მიუტევენთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევენს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“.³

¹ ლუკ. 23,34. ² მათ. 11,29. ³ მათ. 6,14-15.

ისმინე კუალად იგავიცა იგი, რომელსა თანაედვა ბევრი შანთი და მიუტევა მეუფემან, ხოლო მან თვისითა მით უგუნურებითა არა ინება მოყუსისადა სულგრძელ-ყოფად. ამისთვის განაახლა თავსა ზედა თვისსა რისხვად იგი მეუფისა.¹

რამეთუ ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ უკუეთუ ვისმე ჰრისხვიდეს ღმერთი და მოანიოს მის ზედა სატანჯველი რაიმე ამასვე სოფელსა, უკუეთუ ვინმე მოხარულ იყოს საქმესა მას ზედა, განურისხდების, დაღაცათუ სამართლად იტანჯების იგი ვინმე. არამედ შენ, კაცო, არა გიჯმს სიხარული ამას ზედა, ვითარცა იტყვს წინაფსნარმეტყუელი: „ვად მათდა, რამეთუ არა ელმოდა შემუსრვილებად იგი იოსებისი“;² ესე იგი არს, ტომთა მათ მისთაჲ, რამეთუ იგინი ღმრთისა განგებითა იტანჯებოდეს. არამედ ესევეითართაჲცა ჰნებავს, რაჲთა გუენწყალოდინ ჩუენ და მათ თანა გუელმოდის.

ან უკუეთუ მათი არა ჯერ-არს ზედადართვაჲ, რომელთა ღმერთი სტანჯვიდეს, არამედ უფროჲსად წყალობაჲ, რავდენ უფროჲსად მათი ჯერ-არს წყალობით შენდობაჲ, რომელთა ჩუენ შეგუცოდონ. რამეთუ ესე არს სასნაული სიყუარულისაჲ – მიტევებად ბრალთა მოყუსისათა.

რამეთუ ვითარცა ღებილი იგი არს ყოველთა უპატიოსნეს, რომლითა პორფირი მეფისაჲ შეიშადების და იქსოების, ეგრეთვე სათნოებანი იგინი არიან პატიოსანი, რომელნი სიყუარულსა განამტკიცებდენ.

ხოლო არარაჲ სხუაჲ შემძლებელ არს ესრეთ განმტკიცებად და დაცვად სიყუარულისა, ვითარ არაჯსენებაჲ შეცოდებისა მოყუსათაჲსა. არა თუ ორისავე კერძისაჲ არა იზრუნა ღმერთმან. ჰე, იზრუნა. რამეთუ შემანუხებელსაჲცა უბრძანა, ვითარმედ: „უკუეთუ შესწირვიდე შესწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგვესენოს შენ, ვითარმედ ძმად შენი გულძკრ რაიმე არს შენდა, დაუტევე შესწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესწირავი შენი“.³

ესე უბრძანა შემანუხებელსა. გარნა შენ, რომელი-ეგე შეწუხებულ ხარ, ნუ მოელი შემანუხებელისა მის მოსლვად შენდა, უკუეთუ არა წარგინყმედიეს სასყიდელი შენი, არამედ შენ უსწრვე დაგებად და მიუტევე შეცოდებაჲ იგი. ხოლო უკუეთუ იგი მოვიდეს და გვედრებოდის შენდობად, მან მიიტაცა გკრგნი, და შენ ცარიელი დაშთები უდებებითა შენითა.

რასა იტყვ, კაცო, მტერი გივისა? და არა გრცხუენის კაცისა მტერ წოდებად? არა კმა არსა მტერად ეშმაკი, რომელ ძმათა ჩუენთა მტერობასა დავირთავთ? ჰე თუმცა არცა მას მოეპოა ჩუენდა მომართ მტერობაჲ, ჰე თუმცა არცა იგი ეშმაკ ქმნილ იყო. ან უკუე მისი მტერობა კმა არს. მას ვემტერებოდით, მას ვჰბრძოდით და ნუ ურთიერთას დავიჭამებით, ვითარცა ნავლელცემულნი. არარაჲ არს უძკრეს და უმწარეს მტერობისა, არცა არს რაჲ უტკბილეს და უსანადელეს სიყუარულისა.

¹ მათ. 18,23-34.

² შდრ. ამოს 6,6.

³ მათ. 5,23-24.

ისმინე წერილისადაცა, რასა იტყვს: „გზანი ძკრისმოვსენეთანი სიკუ-
დილდ“;¹ „კაცი კაცისთვის იმარხავნ ძკრსა და ღმრთისა მიერ ეძიებნ წყა-
ლობასა. ვითარმცა ეგებოდა ესე?“² ესე სიტყუად ჭეშმარიტ არს.

რად ავსენებ, კაცო, ძკრსა ძმისათვს? უკუეთუ შიში და სიყუარული
ღმრთისადა გაქუნდეს, ძკრსა ვერვინ გაჩუენებს, რამეთუ კაცი ღმრთისმო-
ყუარე არა შეჰრაცხავს ყოვლადვე ძკრსა მოყუსისასა. უკუეთუ ვინმე უკე-
თურმან დააჭირვოს საფასე, ვითარმცა შენუხნა იგი, რომელსა არარად შე-
ურაცხიან საფასენი?

უკუეთუ მეუღლევა და შეილნი მოუკლნეს, ვითარმცა ივსენა ძკრი,
რომელსა უსწავიეს არაშენუხებად შესუენებულთათვს სასოებითა მით აღ-
დგომისაათა?

უკუეთუ აგინოს და შეურაცხ-ყოს, ოდესმცა ელმოდა, რომელსა უსწა-
ვიეს, ვითარმედ სანუთროდ ესე ვითარცა „ყუავილი თივისადა“³ შერაცხილ
არს? უკუეთუ ტანჯოსცა და დილეგად მისცეს, უსწავიეს მას, ვითარმედ:
„დალაცათუ გარეშე კაცი განირყუნების, არამედ შინაგანი განახლდების“;⁴
და ვითარმედ: „ჭირმან გამოცდილებად ქმნის“.⁵

ჰხედავა, ვითარსა საზომსა მიაწევს ღმრთისმოყუარესა მას მოთმინე-
ბად? განაახლებს და განანათლებს.

ამისთვის გევედრები, ნუ ვავნებთ და მოვაუძღურებთ სულთა ჩუენთა
ძკრის-ვსენებითა; რამეთუ ესე არა მედგრობისაგან მოყუსისა იქმნების,
არამედ უკეთურებისაგან ჩუენისა და უძღურებისა.

ან უკუე, ძმანო, გინა თუ გუაგინოს ვინ, გინა თუ გუცეს, გინა თუ წა-
რიტაცოს ჩუენი, გინა თუ სხუად რადმე ძკრი შეგუამთხვოს, ნუ განვრისხნე-
ბით, არამედ უფროდსად მისთვის ვცრემლოდით, რომელ სულსა თვსსა ავ-
ნებს იგი. მიუტევენთ შეცოდებანი მოყუსისანი, რადთა ჩუენცა ვპოოთ შენ-
დობად ცოდვათად ღმრთისაგან და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვნეთ
მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომ-
ლისადა არს დიდებადა და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ იგავ. 12,28.

² ზირ. 28,3.

³ შდრ. ესაია 40,6; ფსალმ. 102,15.

⁴ 2 კორ. 4,16.

⁵ შდრ. რომ. 5,3-4.

თავი 38

სიტყუად ესე: „და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვსთა და თქუა: მიიღეთ, ჭამეთ: ესე არს ჯორცი ჩემი. და მოილო სასუმელი და შმადლობდა, მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისად, მრავალთათვს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (26,26-28).

ჰ სიბრმე იგი უბადრუკისა მის განმცემელისაჲ! საიდუმლოთა მათ ეზი-არებოდა და თვსსავე უკეთურებასა ზედა ეგო; და შესაძრუნებელსა მას ტრაპეზსა პურისმტე იყო და არა მოიქცა ბოროტისაგან. ამისთვს იტყვს მახარებელი იოვანე, ვითარმედ: „შემდგომად პურისა მაშინ შევიდა მისა ეშმაკი“. ¹ არა თუ ჯორცისა მისგან და სისხლისა სამეუფოესამცა არა ძრნო-და, ჰე, ძრნოდა, გარნა ურცხვნობამან მან და უშჯულოებამან იუდაჲსმან მისცა მას კადნიერებაჲ მის ზედა.

რამეთუ ორკერძოვე აღორძნდებოდა ცოდვაჲ მისი: რომელ-იგი ესე-ვითარითა გონებითა მოუწდებოდა ზიარებასა მას საიდუმლოესასა და რომელ-იგი ეზიარა და არავე შეიკდიმა მოქცევაჲ. არცა შიშმან მოდრიკა იგი, არცა პატივმან მან და ქველისმოქმედებამან. ხოლო ქრისტემან ყოველივე იცოდა, არამედ არავე დააყენა იგი, რაჲთა სცნა, ვითარმედ არარაჲ დაუტე-ვა, რომელი ჯერ-იყო ქმნად მოქცევისა მისისათვს.

და პირველითგან ყოველი ღონე ქმნა მის ზედა სიტყუთ და საქმით, ში-შითა და პატივითა და სწავლითა და მხილებითა, არამედ არა ინება მან სენისა მის ბოროტისა თვსისა განკურნებაჲ.

ამისთვს დაუტევა იგი და მოწაფეთა ეტყვს საიდუმლოთა მათთვს და მოაწესენებს სიკუდილსა თვსსა და ჯუარ-ცუმასა, რაჲთა ზედაჲსზედა წი-ნაჲსწარმეტყუელებითა გულისგმა-უყოს საიდუმლოჲ ვნებისა თვსისაჲ. რამეთუ ესოდენტა მათ წინაჲსწარუნყებათა ზედა შეშფოთნესვე დიდად, უკუეთუმცა არა მრავალგზის ეუნყა, რაჲ-მე ყოფად იყო?

„და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოილო იესუ პური, აკურთხა და განტე-ხა და მისცა მოწაფეთა თვსთა და თქუა: მიიღეთ, ჭამეთ: ესე არს ჯორცი ჩემი“.

რაჲსათვს ჟამსა მას პასექისასა აღასრულებს ამას საიდუმლოსა? რაჲთა ყოველით კერძო ვიცნათ, ვითარმედ ძუელისაცა შჯულისა შჯულის-მდებელი იგი არს, და ვითარმედ საქმენი იგი მის შჯულისანი სახენი იყვნეს ახლისა ამის აღთქუმისანი და ამას მოასწავებდეს.

ამისთვს ჟამსა მას, რომელსა სახე იგი აღესრულებოდა, მაშინ აღასრუ-ლა ჭეშმარიტებაჲცა. ხოლო მწუხრი იგი სახე იყო აღსასრულისა ჟამთაჲსა;

¹ იოან. 13,27.

რამეთუ ოდეს მოინია აღსასრული ჟამთაჲ, მაშინ აღასრულა უფალმან განგებულებად თვისსა განკაცებისაჲ.

და ამასცა მოასწავებდა მწუხრისა იგი საიდუმლოთა მიცემად, ვითარმედ აღუსრულებიეს ყოველივე იგი საქმე ცხორებისა ჩუენისაჲ.

და ჰმადლობდა, რაჲთა გუასწაოს, თუ ვითარ ჯერ-არს ამის საიდუმლოდსა აღსრულებად; და რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ნეფსით მივალს ვნებად; და რაჲთა გუასწაოს მადლობით თავს-დებად, რომელიცა მოინიოს განსაცდელი; და სასოებაჲ მოგუცა კეთილი, რაჲთა ვცნათ, ვითარმედ უკუეთუ სახემან მან ამის საიდუმლოდსამან, რომელ-იგი არს დაკლვად კრავისაჲ მის, ესოდენისა მის მძლავრებისაგან მეგვპეტელთაჲსა განათავისუფლანათესავი ისრაჴლთაჲ, არა უფროდსად ჭემმარიტებამან განათავისუფლოსა სოფელი და აცხოვნოს ბუნებაჲ ჩუენი?

ამისთვის არცა ამისა პირველ მისცა საიდუმლოჲ იგი, არამედ ოდეს-იგი დაცხრომად ჯერ-იყო წესთა მათ შჯულისათა. რამეთუ მაშინ თავი იგი დღესასწაულთა მათთაჲ დაჰჴსნა და სხუასა ტრაპეზსა დაუგებს შესაძრწუნებელსა და ეტყვს:

„მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა, მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატყვევებლად ცოდვათა“.

ხოლო ვითარ არა შეშფოთნეს, ესმენს რაჲ ესე სიტყუანი? ამისთვის, რამეთუ მრავალი ეთქუა ამისა პირველ ამის ჯერისათვის, ვითარცა წერილ არს იოვანეს თავსა, ვითარმედ: „უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუს ცხორებაჲ თავისა თქუენისაჲ. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ. რამეთუ ჴორცი ჩემი ჭემმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭემმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“;¹ და სხუად ესევეთარი მრავალი ეთქუა.

ამისთვის ან არღარა მრავალსა ეტყვს ამის ჯერისათვის, რამეთუ პირველვე ეთქუა და განემზადნეს გონებანი მათნი. ხოლო ან აღასრულებს თქუმულსა მას და მისცემს ჴორცსა მისსა და სისხლსა პატიოსანსა და ეტყვს: ესე არს ჴორცი ჩემი და სისხლი, რომლისათვის გეტყოდე, ვითარმედ ჯერ-არს თქუენდა მიღებად. და მიზეზსა აუნყებს, თუ რაჲსათვის დაითხევის სისხლი მისი: „მისატყვევებლად ცოდვათაო“. და სისხლად ახლისა აღთქუმისაჲ სახელ-სდებს, ესე იგი არს, ახლისა შჯულისა. რამეთუ ესე აღთქუა და უქადაგა პირველითგან, და ესე არს განმამტკიცებელი ახლისა ამის შჯულისაჲ.

¹ იოან. 6, 53-56.

და ვითარცა ძუელსა მას შჯულსა აქუნდეს შესანირაფნი – ცხოვარნი და ზუარაკნი, ეგრეთვე ახალსა ამას აქუს – სისხლი იგი სამეუფო.

მოაწსენებს უკუე ძუელსა მასცა შჯულსა, ვითარმედ იგიცა სისხლი-თა განემტკიცებოდა. და კუალად იტყვს მიზეზსა სიკუდილისა თვისასა – „მრავალთათვს დათხეულიო მისატევებელად ცოდვათა. ამას ჰყოფდით მოსაწსენებელად ჩემდა“.¹

ჰხედავა, ვითარ განაშორებს მათ წესთაგან ჰურიათადასა? „ამას ჰყოფ-დითო მოსაწსენებელად ჩემდა“. ვითარცა-იგი დაკლვასა მას კრავისასა აღასრულებდით მოსაწსენებელად საკვრველებათა მათ, ეგვპტეს ქმნილ-თა, ეგრეთვე ამას ჰყოფდით მოსაწსენებელად ჩემდა. იგი სისხლი დაითხია სასწაულად პირმშოთა მათ, რაფთა თანანარჰვდებოდის მომსრველი იგი, ხო-ლო ესე დაითხევის მისატევებელად ცოდვათა ყოვლისა სოფლისათა; რაფთა სცნათ, ვითარმედ დიდ არს საიდუმლო ვნებისა და ჯუარ-ცუმისა ჩემისა და ნუგეშინისცემულ იყვნეთ. და ვითარცა მოსე თქუა, ვითარმედ: „ესე საწსე-ნებელად იყავნ საუკუნოდ თქუნდა“;² ეგრეთვე მე გეტყვ: „ამას ჰყოფდით მოსაწსენებელად ჩემდა, ვიდრემდის მოვიდე“.³

ამისთვსცა ეტყოდა: „გულისსიტყვთ გული მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუნ თანა“;⁴ ესე იგი არს, მოცემად თქუნდა წესი ახალთა ამათ საიდუმლოთა და პასექისა ამის სულიერისა.

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ სასუმელი იგი პირველად თავადმან მი-ილო, რაფთა არა შეშფოთნენ იგინი და თქუან, თუ: რაფ არს ესე, ჳორცსა ვჭამდეთა და სისხლსა ვსუმიდეთა? რამეთუ პირველცა ჰრქუეს, ვითარ-მედ: „ფიცხელ არს სიტყუად ესე“.⁵ ამისთვს პირველად თავადმან მიილო, რაფთა გულსმოდგინედ მიილონ ზიარებაფ საიდუმლოთაფ, და დასცხრეს ძუელი იგი წესი.

რამეთუ ამისთვს ჰრქუა: „ამას ჰყოფდით“, რაფთა იგი განაქარვოს; და მწვალებელთა პირი დაუყო. რამეთუ ოდეს გურქუან ჩუნ, ვითარმედ: ვი-ნაფ საცნაურ არს, თუ ჯუარს-ეცუა ქრისტე? სხუათა მათ ყოველთა სიტ-ყუათა თანა, რომელთა ვეტყოდით, ამასცა წინაუყოფთ, ვითარმედ: უკუ-ეთუ არა მოკუდა ქრისტე ცხორებისათვს ჩუნისა, რაფსა სახე არს ჟამის-წირვად ესე, რომელსა აღვასრულებთ? რამეთუ საწსენებელად მისისა მის ჩუნთვს სიკუდილისა ვიქმთ.

იცოდა უკუე უფალმან, ვითარმედ ეგულეების ბოროტთა მათ მწვალე-ბელთა გამოჩინებაფ – მარკიონს და ვალენტინეს და მანენს, უარისყო-ფელნი ამის განგებულებისანი. ამისთვს სამარადისოდ განანესა წსენებაფ ვნებისა თვისაფ, რაფთა ვერვის აცთუნებდენ, და რაფთა მარადლე ცხო-ელსყოფელთა მათ საიდუმლოთა აღსრულებითა ვცხოვდებოდით. რამე-

¹ მათ. 26,28; შდრ. ლუკ. 22,19-20. ² გამ. 12,14,24. ³ 1 კორ. 11,24,26. ⁴ ლუკ. 22,15.

⁵ იოან. 6,60.

თუ ესე არს თავი ყოველთა კეთილთაჲ, ვითარცა ნეტარი პავლე ღალადებს. ხოლო ვინაჲთგან აზიარნა საიდუმლოთა მათ მალალთა და ასწავა მარადის აღსრულებად ამის წესისაჲ, მერმე ჰრქუა:

სახარებაჲ: **„ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ვსუა მე ამიერიტგან ნაყოფისაგან ამის ვენაჯისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი სასუფეველსა მას მამისა ჩემისასა“** (26,29).

თარგმანი: ვინაჲთგან ვნებისა და ჯუარ-ცუმისათჳს მიუთხრა, ან კუალად შემოიღებს სიტყუასა აღდგომისათჳს. და კეთილად ავსენა სასუფეველი და აღდგომასა თჳსსა ესრეთ უწოდა, რამეთუ აღდგომითა მისითა გვწსნნა ჩუენ მონებისაგან ეშმაკისა და დაგუამორჩილნა სუფევისა მამისა თჳსისასა და მკვდრ სასუფეველისა ყო ბუნებაჲ ჩუენი. ამისთჳს ჟამსა მას აღდგომისა მისისასა უწესსა სასუფეველად მამისა. რამეთუ ვინაჲთგან აღდგა ქრისტჳ მკუდრეთით, სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა, რომელნი-იგი პირველ განდგომილნი იყვნეს და წარწყმედულნი, ვითარცა პავლე იტყვს: „უცხო ცხორებისაგან, სასობაჲ არა აქუნდა და უღმრთო იყვნეს სოფელსა შინა. ხოლო ან ეგერა ქრისტე იესუსს მიერო თქუენ ეგე, რომელნი იყვნით ოდესმე შორს, იქმნენით მახლობელ სისხლითა ქრისტესითა“.¹ ამას სახელ-სდებს ან სასუფეველად – აღდგომასა თჳსსა, ოდეს-იგი სუფევდა ღმერთი წარმართთა ზედა და იწსნნა იგინი მონებისაგან ეშმაკისა. და ეტყვს მოციქულთა, ვითარმედ: „არღარა ვსუა მე ამიერიტგან ნაყოფისაგან ამის ვენაჯისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი თქუენ თანა სასუფეველსა მამისა ჩემისასა“.

ხოლო რადესათჳს სუა უფალმან შემდგომად აღდგომისა? რადთა არა თქუან უგუნურთა, თუ: უცნებაჲ იყო აღდგომად იგი. რამეთუ სახედ აღდგომისა აღსრულებოდა და დასამტკიცებელად მიღებაჲ იგი ჭამადისა და სასუმლისაჲ. ამისთჳს მოციქულნი იტყოდეს: „რომელი-იგი ღმერთმან აღადგინაო მესამესა დღესა და მისცა მას განცხადებულებაჲ, არა ყოველსა ერსა, არამედ მონაფეთა მათ, რჩეულთა წინაჲთვე ღმრთისათა, რომელნი-ესე ვართ ჩუენ, რომელნი მის თანა ვჭამდით და ვსუემდით შემდგომად მკუდრეთით აღდგომისა მისისა“.²

ან უკუე ამას მოასწავებს და აუნყებს, ვითარმედ: იხილონ იგი ბრწყინვალედ აღდგომილი, და კუალად მათ თანა იქცეოდის. და იგინი იყვნენ მონამე საქმეთა მათ ხილვითაცა და საქმითა. ამისთჳს იტყვს: „ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი თქუენ თანა“. ესე იგი არს, წინაშე თუალთა თქუენთა, თქუენ მიხილოთ აღდგომილი.

ხოლო რად არს ესე, თუ: „რაჟამს-იგი ვსუა ახალი თქუენ თანა“? ესე იგი არს, უცხოოდ და საკვრველად, რამეთუ ყოველსა საქმესა უცხოსა ახალ ენო-

¹ ეფეს. 2,12-13. ² საქმე 10,40-41.

დების წერილთა შინა. ვინაფთჳან უკუე შემდგომად აღდგომისა არა ემოსნეს მას ჴორცინი მოკუდავნი და განხრწნადნი, არამედ უკუდავნი და უხრწნელნი, რომელთა არლარა უწმდა საზრდელი; და არა თუ საჴმარად ჴორცთა ჴამა და სუა შემდგომად აღდგომისა, არამედ დასამტკიცებულად აღდგომისა.

ამისთჳს უცხოთა მას საქმესა და საკრველსა ახალ ეწოდა, რამეთუ მუნ ჟამამდე არლა ხილულ იყო ამას სოფელსა უხრწნელ და უკუდავქმნილთა ჴორცთა ჴამად და სუამად. ამისთჳს სამართლად ახალ უწოდა საქმესა მას საკრველსა.

ხოლო რადსათჳს არა წყალი სუა შემდგომად აღდგომისა, არამედ ღვინო? სხუასა წვალებასა აღმოჴფხურის ამით საქმითა. რამეთუ არიან ვიეთნიმე მწვალებელნი, რომელნი საიდუმლოსა მას ჟამისწირვისასა წყალსა იჴმარებენ უღვინოდ. ამისთჳს, რადთა გუასნაოს, ვითარმედ ღვინითა ჯერ-არს წყლითა განზავებულთა წირვად, ჟამსა მასცა სერობისასა ღვინო მისცა, და ცხოელსმყოფელისა გუერდისაგან სისხლი და წყალი გარდამოჴდა, რომლისა საჴსენებულად აღვასრულებთ საიდუმლოთა.

და კუალად შემდგომად აღდგომისა არა საიდუმლოთა აღასრულებდა, არამედ ლიტონი ტაბლად დაუგო მონაფეთა გულსავსე-ყოფად აღდგომისა და ღვინო მიიღო, რომელსაცა უწოდა ნაყოფად ვენაჴისა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „და გალობად წართჴუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა“ (26,30).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ისმინეთ, კაცნო, რომელნი განსძღეთ რად, ვითარცა პირუტყუნი, აღსდგებით ტაბლით მთრვალნი. ისმინეთ, ვითარმედ მადლობად ჯერ-არს შემდგომად ჴამისა და გალობისა წართჴუმად.

ისმინეთ თჴუენცა, რომელნი წმიდასა ჟამისწირვასა არა მოელით ლოცვასა მას დასასრულისასა, არამედ პირველ მისა განხუალთ. იგი მაშინდელი გალობად, რომელ წართჴუეს, უკუანადსკნელისა ამის ლოცვისა სახე იყო. რამეთუ ჴმადლობდა პირველ მიცემისა საიდუმლოთადსა, რადთა ჩუენცა ეგრეთ ვიქმოდით. ჴმადლობდა შემდგომად მიცემისაცა და გალობდა, რადთა ჩუენცა ეგრეთ აღვასრულებდით. ამისთჳს უჯერო არს პირველ ლოცვისა მის „ერის განტევებისა“ განსლვად ეკლესიით.

ხოლო რადსათჳს განვიდა მთასა მას ზეთისხილთასა? რადთა არავინ თჴუას, თუ იმაღვოდა. ამისთჳს ისწრაფდა მისლვად ადგილსა ცხადსა, რომელი იუდაცა იცოდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „მაშინ ჴრჴუა მათ იესუ: თჴუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსსა, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჴსანი“ (26,31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე ჴრჴუა, რადთა წერილნიცა გულისჴმა-უყვნეს, ვითარმედ ყოველივე წინაღსწარმეტყუელთა წინაფთვე ჴადაგეს, რად-იგი

ყოფად იყო მის ზედა; და რაათა ცნან, ვითარმედ განგებითა და ნებითა ღმრთისადათა ჯუარს-ეცუმოდა და ვითარმედ იგივე იყო ძუელისაცა შჯულისა უფალი.

და ჩუენ გუასნავებს ცნობად, ვითარ იყვნეს მონაფენი პირველ ჯუარ-ცუმისა უძღურ და მოშიშ, და შემდგომად აღდგომისა ესრეთ მჴნე და ახო-ან იქმნეს, ვიდრელა ყოველი სოფელი მოიმორჩილეს მაღლითა და შენეენითა ქრისტცისითა, ვითარცა ან ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინაწარგიძღუე თქუენ გალილეად**“ (26,32).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა ზეცით ერუენა, არცა შორსა სადა სოფელსა წარიყვანნა, არამედ მასვე ერსა შორის, სადა-იგი ჯუარს-ეცუა, მასვე სოფელსა, რაათა ესრეთ გულსავე-ყვნეს, ვითარმედ რომელი-იგი ჯუარს-ეცუა, იგივე აღდგა, და განქარდეს მწუხარებად მათი. ამისთვს გალილესა ერუენა, რაათა განეშორნენ მცირედ მონაფენი შიშისა მისგან ჰურიათადასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მიუგო პეტრე და ჰრქუა: დაღათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე შენდა მიმართ. ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყვ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჳმობადმდე, სამგზის უარ-მყო მე. ჰრქუა მას პეტრე: დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრევე მსგავსად ყოველნი მონაფენი იტყოდეს**“ (26,33-35).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რასა იტყვ, პეტრე? წინაწარმეტყუელმან თქუა, ვითარმედ: „განიბნინენ ცხოვარნი“,¹ ქრისტემან დაამტკიცა სიტყუად ესე, და შენ იტყვ, ვითარმედ: არა იქმნას ესე. არა კმა-გეყო, რაჟამს-იგი სთქუ: „შენდობა იყავნ შენდა, უფალო“,² და შეგრისხნა?

ამისთვს უკუე მიუშუა შთავრდომად ბრალსა მას უარის-ყოფისასა, რაათა ცნას, ვითარმედ: არა ჯერ-არს მინდობად თავსა თვსსა, არამედ სიტყვსა მის უფლისა რწმუნებად, ვიდრელა თვსისა გონებისა; და სხუათა დიდად სარგებელ ეყო მისითა მით უარის-ყოფითა, რამეთუ ცნეს კაცობრივი უძღურებად და ჭეშმარიტებად ღმრთისა.

რამეთუ ოდეს რაიმე უფალმან თქუას, არღარა ჯერ-არს გამოძიებად. ამისთვსცა, ვინაფთგან პეტრეს ესმა, ვითარმედ: „თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა“, და არა ჰრქუა სიმდაბლით, ვითარმედ: გევედრები, უფალო, შემენიე, რაათა არა განგემორო; არამედ მიენდო თავსა თვსსა და ჰრქუა: „დაღაცათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე“; ესე სიტყუად ზუაობად მიინეოდა. ამისთვს შეუნდო უფალმან უარის-ყოფად, რაათა საქმით ისწაოს

¹ ზაქ. 13,7. ² მათ. 16,22.

სიმდაბლე და არამინდობაჲ ძალსა თვისსა. რამეთუ სამი ცთომად ქმნა: ერთად, რომელ სიტყუად უგო უფალსა, მეორედ, რომელ სხუათა უახოვნესად თქუა თავი თვისი, მესამედ, რომელ ძალსა თვისსა მიენდო.

ამის ყოვლისა განკურნებისათჳს მიუშუა უარის-ყოფად. ამისთვისცა ამხილებს და ეტყვის: „სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რადთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი“.¹

რად არს ესე, რომელ ყოველნი ითხოვნა, და უფალი იტყვის, ვითარმედ: შენთვის ოდენ ვევედრე? ამხილებს ამით სიტყვთა, ვითარმედ: რომელი-გეგ იქადი სხუათა უმეტეს სიმწნესა, ყოველთასა უუძღურეს იპოები. ამისთვის ვევედრე, რადთა არა მოგაკლდეს სრულიად სარწმუნოებაჲ შენი.

და რად არა თქუა, თუ: არა მიგიშვ სრულიად მოკლებად, არამედ „ვევედრეო“?

სიტყუათა სიმდაბლისათა იტყვის ვნებად მიმავალი, რადთა კაცებაჲ აჩუენოს. რამეთუ რომელმან აღაშენა ეკლესიაჲ აღსაარებასა მას პეტრესსა და ესრეთ განამტკიცა, რადთა „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ“;² რომელმან კლიტენი სასუფეველისანი არწმუნნა და ესოდენი ჴელმწიფებაჲ მისცა და არასადა ეჭმარა ლოცვად, არამედ ჴელმწიფებით ჰრქუა: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ... და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაღსანი“;³ ან ერთისა კაცისა სარწმუნოებისა დამტკიცებად ლოცვად ეჭმარებოდაა? ნუ იყოფინ! არამედ ზემოთქუმულისა მის მიზეზისათჳს ესრეთ თქუა და მათისა მის უძღურებისათჳს, რამეთუ არღა აქუნდა ჯეროანი იგი და სრული გულისწმის-ყოფად.

იტყვან ვიეთნიმე, თუ: ვინათგან ევედრა, რადთა არა მოაკლდეს სარწმუნოებაჲ მისი, რად უარ-ყო მან უფალი? გარნა არა თქუა უფალმან: რადთა არა უარ-მყო, არამედ: „რადთა არა მოაკლდეს სარწმუნოებაჲ შენიო“, რადთა არა სრულიად წარსწყმდე. რამეთუ ესეცა მისისა შეწვევისაგან იქმნა, რომელ მყის გულისწმა-ყო და მოიქცა. უკუეთუ არა, ვერმცა მოქცეულ იყო. რამეთუ აღილო რად მცირედ შეწვენად თვისი, შიში დიდი დაეცა მის ზედა და ყოვლადვე ვერ უძლო წინააღდგომად. უკუეთუმცა არა კუალად უფალსა ჴელი წყალობისაჲ აღეპყრა, ვერმცა უძლო მოქცევად და განბანად ცრემლითა ბრალსა მას უარის-ყოფისასა, რომელსა-იგი შთავარდა ზუაობისაგან და რომელ-იგი სიტყუად უგო უფალსა და ეტყოდა: „დალაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ“.

რად არს ესე, პეტრე? ოდეს-იგი თქუა: „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე“, გეშინოდა, ნუუკუე შენ ხარ მიმცემელი, და აიძულებდი საყუარელსა მას მოწაფესა კითხვად, თუ: „ვინ არს?“⁴ და ან განცხადებულად თქუა უფალმან, ვითარმედ: „თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ

¹ ლუკ. 22,31-32.

² მათ. 16,18.

³ მათ. 16,18-19.

⁴ იოან. 13,24.

ჩემდა მომართ ამას ღამესა“; სიტყუას-უგება, და არა ერთგზის, არამედ ორგზისცა?

ვინაჲ უკუე იქმნა ესე? ფრიადისა მის სიყუარულისაგან, რომელ აქუნდა მას უფლისა მიმართ. ვინაჲთგან ურვისა მისგან განერა განმცემლობისა და განმცემელი იგი იხილა, მინდობით იტყოდა ყოველთა უმჯნეს ყოფად და თქუა: „დალაცათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე შენდა მომართ“. დაერთო სიტყუასა ამას შინა ზუაობაჲცა. რამეთუ სერობასა მას იყო ცილობაჲ მათ შორის, ვითარცა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის?“¹

ამისთჳს არა თუ მიავლინა მან უარის-ყოფად. ნუ იყოფინ! არამედ განაშიშულა ოდენ თჳსისა შენევისაგან და მერმე ემხილა კაცობრივსა უძლურებასა.

იხილეთ უკუე, ამისა შემდგომად ვითარ განისწავლა. და შემდგომად აღდგომისა ჰკითხა რაჲ უფალმან: „სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა?“ მონინებით მიუგო: „უფალო, ყოველი შენ იცი, და შენ ყოველი უწყი, რამეთუ მიყუარ შენ“.²

კუალად, ოდეს ჰკითხა საყუარელისა მისთჳს მონფისა: „უფალო, ამისთჳს რაჲ სთქუ?“ და ჰრქუა უფალმან: „შენდა რაჲ არს?“³ დადუმნა მეყსეულად.

კუალად, ჟამსა მას ამაღლებისასა ჰრქუა რაჲ: „არა თქუენი არს ცნობაჲ ჟამთაჲ და წელთაჲ“,⁴ დადუმნა და არა სიტყუა-უგო.

კუალად, ერდოთა მათ ზედა ოდეს იხილა ტილოჲ იგი და ესმა: „რომელი-იგი ღმერთმან წმიდა-ყო, შენ ნუ შეგინებულად გიჩნ“,⁵ დუმნა და აღარა სიტყუა-უგო. ესე ყოველი მიშუებითა მით ისწავა.

კუალად, ოდეს მკელობელი იგი განკურნეს, იტყოდა: „რაჲსა გუხედავთ ჩუენ, ვითარმცა თჳსითა ძალითა გინა ღმრთისმსახურებითა გუექმნა სლვაჲ მაგისი?“⁶

ან უკუე ამის საქმისაგან ვისწავლით ჩუენ საქმესა დიდსა. ესე იგი არს, ვითარმედ: არა კმა არს გულსმოდგინებაჲ და მოსწრაფებაჲ კაცისაჲ წარმართებად კეთილსა რასმე, უკუეთუ ღმრთისამიერი შენევნაჲ არა იყოს.

და კუალად არა სარგებელ გუეყოფვის, არცა მოგუეცემის ზეგარდამო შენევნაჲ, უკუეთუ გულსმოდგინებაჲცა ჩუენი და მოსწრაფებაჲ არა იყოს. და ორივე ესე გამოაჩინეს იუდა და პეტრე. იუდას დიდად მიეცა შენევნაჲ უფლისაჲ და არას ერგო, რამეთუ არა ინება, არცა აჩუენა თავისაჲცა თჳსისაგან მოსწრაფებაჲ მცირედიცა.

ხოლო პეტრეს აქუნდა გულსმოდგინებაჲ, გარნა აღილო რაჲ უფალმან შენევნაჲ თჳსი, ვერ უძლო მან დადგომად, არამედ დაეცა. კუალად სახიერი

¹ ლუკ. 22,24.

² იოან. 21,17.

³ იოან. 21,21-22.

⁴ საქმე 1,7.

⁵ საქმე 10,15.

⁶ საქმე 3,12.

იგი ხედვიდა რად გულსმოდგინებასა მისსა, აღუპყრა ჴელი წყალობისაჲ, აღ-
ადგინა და განამტკიცა. რამეთუ ამის ორისაგან აღესრულებს სათნობად –
შენეწინთა ღმრთისაჲთა და გულსმოდგინებითა და მოსწრაფებითა ჩუენითა.

სწავლად კბ

ზიარებისათვის წმიდათა საიდუმლოთაჲსა

ამისთვის გვედრები, საყუარელნო, ნუცა ჩუენ უდებ ვიქმნებით და
ვიტყვო, თუ: ღმერთმან გუაცხოვნოს; ნუცა მოსწრაფებასა შინა რად ვიყ-
ვნეთ, ვჰგონებთ, თუ თვისითა შრომითა ძალ-გვც წარმართებად კეთილისა.
არამედ ჩუენცა ვილუნდეთ ძლიერად და ღმერთსა ვევედრებოდით, რადთა
მოგუცეს მისმიერი შენეწინად და შეგვწყალნეს.

რამეთუ არცა ესე ჰნებავს ღმერთსა, რადთა უდებ ვიყვნეთ ჩუენ და
მცონარ. ამისთვის არა იქმს ყოველსავე იგი, არამედ ჩუენგანცა ეძიებს
გულსმოდგინებასა და მოლუანებასა; არცა ესე სათნო-უჩნს, რადთა ლალ და
ამპარტავან ვიყვნეთ. ამისთვის არა მოგუცა ჩუენ თავით თვისით წარმართე-
ბად ყოვლისავე. ორკერძოვე სავნებელსა განაშორებს ჩუენგან და სარგე-
ბელსა მოგუცემს. ამისთვის პეტრეს მიუშუა უარის-ყოფასა შთავრდომად,
რადთა სიმდაბლე მოიგოს. კუალად ჴელი წყალობისაჲ აღუპყრა, რადთა
უმეტესად შეიყუაროს უფალი თვისი, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „რომელ-
სა ფრიად მიეტეოს, ფრიადცა შეიყუაროს“.¹

ვიქმნეთ უკუე ყოველსავე ზედა მორჩილ და მორწმუნე ღმრთისა და
ნურარას ზედა ვაცილობთ, დაღაცათუ იყოს საქმე იგი წინააღმდეგომ გო-
ნებათაცა და საცნობელთა ჩუენთა; არამედ იყავნ სიტყუად მისი უმტკიცეს
გონებათა და თუალთა ჩუენთა.

ეგრეთვე წმიდათა საიდუმლოთა ზედა ვიქმოდით. ნუ წინამდებარესა
მას შესაწირავსა ხოლო განვიცდით, არამედ სიტყუათა მისთა ვიწსენებ-
დეთ, რამეთუ სიტყუად მისი წარუვალ არს და განუქარვებელ.

ვინაფთვან უკუე თავადმან თქუა: „ესე არს ჴორცი და სისხლი ჩემი“,
გურწმენდინ სიტყუად მისი და თუალითა სულიერითა განვიცდიდეთ სა-
იდუმლოთა მათ. რამეთუ არარად ხილული მოგუცა ჩუენ ქრისტემან, არა-
მედ ხილულად იქმნებიან ბრძანებანი მისნი და უხილავად აღესრულები-
ან. ეგრეთვე ნათლის-ღებასა ხილულითა წყლითა იქმნების განბანად იგი,
ხოლო უხილავად მოგუეცემის მადლი იგი სულისა წმიდისაჲ და მეორედ
შობად ჩუენი.

რამეთუ უკუეთუმცა უწორცონი ვიყვენით, განცხადებულადცა მო-
გუცნა უწორცონი იგი ნიჭნი, ხოლო ვინაფთვან ჴორცთადა შეერთებულ

¹ შდრ. ლუკ. 7,47.

არიან სულნი ჩუენნი, ამისთვის ხილულითა სახითა უხილავთა მათ მადლთა მოგუანიჭებს.

რავდენნი იტყვან: მსუროდაო, რადთამცა ღირს ვიქმენ ხილვად ხატსა პირისა მისისასა, ანუ სამოსელსა მისსა, ანუ ჯამლთა.

ან ესერა, კაცო, მას თავადსა ჰხედავ, მას შეეხები, მას მიიღებ საჭმლად, და შინაგან შენსა დაემკვდრების, რამეთუ ესე ჯერ-იჩინა ჩუენთვის კაცთმოყუარემან.

ან უკუე ნუმცა ვინ ორგულებით მოუწდების, ნუმცა ვინ დაწსნილებით, არამედ მწურვალეობით და სარწმუნოებით და ჯეროვნითა კრძალულებითა.

უკუეთუ ჰურიანი პასექსა მას ძუელსა ჭამდეს ზემდგომარენი, და კუერთხები ჯელთა მათთა და ჯამლნი ფერჯთა, და ჭამდეს სწრაფით, არა ჩუენ უმეტესი კრძალულებად თანაგუაცა, მორწმუნენო?

იგინი პალესტინედ მივიდოდეს, ამისთვის მგზავრთა ნესი ეპყრა, ხოლო ჩუენ ზეცად გკლირს აღსლვად. ამისთვის ყოვლით კერძო კრძალვად თანაგუაც, რამეთუ არა მცირე სასჯელი განწესებულ არს მათთვის, რომელნი უღირსად ეზიარებოდინ.

ჰხედავთა, ვითარ მრისხანე ვართ იუდაისტს, რომელმან მისცა იგი, და ჰურიათათვს, რომელთა ჯუარს-აცუეს? ვეკრძალნეთ, ნუუკუე ჩუენცა თანამდებ ვიქმნეთ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა. მათ ჯუარს-აცუეს წმიდად იგი გუამი მისი, და აწ შენ, კაცო, ჯორცსა მისსა მიიღებ სულითა მწინკულევანითა; ძნელ არს ესე შენდა.

თავადმან არა კმა-იყო ჩუენთვის განკაცებად, ყურიმლის-ცემად და სიკუდილი, არამედ აწცა შეგუაერთებს თავსა თვსსა არა სარწმუნოებითა ხოლო, არამედ საქმითცა. საჭმლად ჩუენდა ჰყოფს ჯორცსა თვსსა პატიოსანსა და სასუმლად – სისხლსა მას წმიდასა.

ვითარი-მე ჯმდა სული იგი, შემწყნარებელი მისი? ჯერ-იყო უბრწყინვალეს მზისა ყოფად. და ჯელი იგი, რომელი განანანილებს მას, და პირი იგი, რომელი აღივსების ცეცხლითა მით სულიერითა, და ენად იგი, რომელი იხილავს გემოსა სისხლისა მის შესაძრწუნებელისასა, ჯერ-იყო ანგელოზთა მობაძავ-ყოფად.

გულისჯმა-ყავ, კაცო, რომელიდა პატივი მოგეცა, რომლისა ტრაპეზისა პურისმტი იქმენ, რომლისა მიხედვად ანგელოზნი ძრწიან და თუალთა შედგმად ვერ იკადრებენ ელვისა მისგან მიერ გამოკრთოლვანისა. ამის ესე-ვითარისა საშინელისა ტრაპეზისაგან ჩუენ ვეზიარებით და გამოვიზრდებით და ვიქმნებით ასოებ ქრისტესა და გუამ თავისა მის საღმრთოესა.

„ვინ-მე იტყოდის ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ-ყვენეს ყოველნი ქებულებანი მისნი?“¹ რომელმან მწყემსმან ჯორციითა თვსითა გამოზარდ-

¹ ფსალმ. 105,2.

ნის ცხოვარნი? რომელმან მეფემან ერსა თვსსა მისცის სისხლი თვისი? და ქრისტე იქმს ამას ჩუენ ზედა და მოგუცემს ჴორცსა და სისხლსა თვსსა და ყოვლით კერძო შეგუაერთებს თავსა თვსსა.

გარდამოვდა ზეცით და იშვა ქალწულისაგან, მიიღო ბუნებად ჩუენი და იქცეოდა ჩუენ შორის, თავს-იდვა ჯუარ-ცუმად და სიკუდილი და სხუანი იგი შეურაცხებანი და ივსნა ბუნებად ჩუენი წარწყმედისაგან. არა კმაეყო ესე სახიერებად, არამედ ან კაცად-კაცადსაცა მისცემს საჭმლად თავსა თვსსა ზიარებითა მით საიდუმლოთადათა.

ან უკუე ნუ უდებ ვიქმნებით, რომელნი-ესე ღირს ვიქმნენით ესევითარსა სიყუარულსა და პატივსა მის მიერ, მოუვდეთ სურვილით და სარწმუნოებით წმიდასა მას ბარძიშსა, მოვილოთ საზრდელი იგი სულიერი, ვითარცა ჩჩვლთა წადიერებით მიიღიან სძე, მოვილოთ მადლი იგი სულისა წმიდისა, და ესე იყავნ ჩუენდა მწუხარება, ოდეს დავაკლდეთ ამას კეთილსა. გარნა ვეკრძალნეთ, რაათა არა უღირსებით მოუვდეთ საიდუმლოთა მათ დიდებულთა და ყოვლადწმიდათა.

არა კაცობრივი საქმე არს ესე, არამედ რომელმან მაშინ ქმნა სერობად იგი საიდუმლოდსა, იგივე არს, რომელი ანცა სრულ-ჰყოფს ამას შესანიწრავსა. ჩუენ წესი გვპყრიეს მსახურთად, ხოლო წმიდამყოფელი და შემცვალებელი ჴორცად და სისხლად თვსად იგი თავადი არს. ან უკუე ნუმცა ვინ არს იუდა, ნუმცა ვინ არს უღირს და დამონებულ ვნებათა, ვითარცა იგი დამონებულ იყო ვეცხლისმოყუარებისადა.

რომელიცა მოწაფე არს ერთგული და სარწმუნო, იგი დადევინ. უკუეთუ არა ესრეთ ვინ იყოს, არა შეინყნარებს მას ტრაპეზი იგი. რამეთუ იტყვს უფალი: მოწაფეთა ჩემთა თანა ვყო პასექი. ანცა იგივე ტრაპეზი არს, და არარაათა ნაკლულევან.

არა თუ იგი ქრისტემან დააგო და ამას კაცი ვინმე დააგებს. ამისიცა აღმასრულებელი ქრისტე არს. ესე ეკლესია მსგავს არს ქორსა მას, სადა მაშინ იყვნეს.

იგინი განვიდეს მიერ მთად ზეთისხილთად. განვიდეთ ჩუენცა ველთა მიმართ გლახაკთადას; რამეთუ სიმრავლე ესე გლახაკთად ზეთისხილნი არიან დასხმულნი სახლსა ღმრთისასა, გამოცემელნი ზეთსა მას სულიერსა, რომელი აქუნდა ქალწულთა მათ ბრძენთა. ხოლო რომელთა არა აქუნდა ამისაგან, წარწყმდეს. ან ჩუენ ამით ზეთითა უნაკლულოდ ვიყვენეთ, რაათა მივეგებნეთ სიძესა მას ბრწყინვალითა ლამპრითა. ნუმცა ვინ უწყალოდ მოუვდების წმიდათა საიდუმლოთა, ნუმცა ვინ უსახური, ნუმცა ვინ ანგაჰრი, ნუმცა ვინ არანმიდა.

ამას მათ ვეტყვ, რომელნი ეზიარებიან. ხოლო ჯერ-არს თქუნდა მიმართცა თქუმად, რომელნი-ეგე პატივითა მღდელობისადათა დადგინებულ ხაროთ განმყოფელად ნიჭისა მის დიდისა, რაათა კრძალულებით განუყოფდეთ.

რამეთუ არა მცირედი სასჯელი მიგეჭადოს თქუენ, უკუეთუ იცოდით ვისიმე არაღირსებად და აზიაროთ საიდუმლოესა მისგან. იგი დაისაჯოს, და სისხლი მისი ჳელთაგან თქუენტა იძიოს. დაღაცათუ ერისთავი იყოს, ანუ მთავარი, ანუ თვთ მეფეცა, და უღირსებით მოუჭდებოდის, დააყენე, უმეტესი მისსა გაქუს შენ ჳელმნიფებად.

ხოლო შენდა უკუეთუმცა რწმუნებულ იყო წყაროდ წმიდად სასუმლად სამწყსოესა და იხილემცა ერთი ცხოვარი მწკრითა შებღალული, არამცა მიუშუ შესღვად წყაროსა მას. ხოლო ან რწმუნებულ არს შენდა არა წყაროდ წყლისად, არამედ ჳორცი და სისხლი სამეუფოდ, და ხედავ ვიეთმე ცოდვითა შებღალულთა და არა აყენებ; დიდ არს ბრალი ესე, დიდ არს სასჯელი ესე.

ამისთვის მოუცემიეს ღმერთსა თქუენდა პატივი ესე, რაათა ამას განარჩევდეთ, ესე არს საქმე თქუენი, ესე არს გკრგკნი თქუენი. არა თუ ესე არს, რაათა სპეტაკითა შემოსილნი შემოხვდეთ ცუდად, არამედ რაათა ამას საქმესა ეკრძალებოდით.

სთქუათ სადმე, ვითარმედ: ვინაჲ უწყით ჩუენ, ვინ არს უღირს? გარნა მე არა უმეტართათვს ვიტყვ, არამედ რომელთა მეცნიერ იყვნეთ და იცოდით, ვითარმედ არა ღირს არიან.

ვიტყვ ამასცა, ვითარმედ: არა ესრეთ ძნელ არს ეშმაკეულთა ყოფად ეკლესიასა შინა ჟამისწირვასა, ვითარ ესევითართად მათ, ვითარცა პავლე იტყვს: „რომელმან ძვ ღმრთისად შეურაცხ-ყოს და სისხლი იგი აღთქუმი-სად არაღირსად შეჭრაცხოს“,¹ და შემდგომი ამისი.

რამეთუ უძკრეს ეშმაკეულისა არს, რომელი ცოდვიდეს და ეზიარებოდის. რამეთუ იგინი ეშმაკეულობისათვს სატანჯველად არა მიეცემიან, ხოლო ესენი უღირსად ზიარებისათვს დაისაჯებიან.

ან უკუე ნუ ეშმაკეულთა ოდენ ვაყენებთ, არამედ ყოველთა უღირსებით მომავალთა, რაათა არავინ ეზიაროს იუდაჲსებრ, რაათა არა მისებრ დაისაჯოს.

ასოებ ქრისტესა არს ერი ესე. ამისთვის ეკრძაღენით, მღღელნო, ნუ-უკუე განარისხოთ უფალი, რომელ არანმიდა-ჳყოფთ ასოთა მათ მისთა; რაათა იყვნენ ჭემმარიტ ასო მისა.

ეკრძაღენით, რაათა არავის მახვლი მისცეთ საზრღელისა ნილ, რამეთუ ესრეთ არს უღირსთა ზიარებად. დაღაცათუ ვინმე უღირსი უმეტრებით მოვიდოდის ზიარებად, დააყენეთ, ნუ შეშინდებით, გეშინოდენ ღმრთისაგან და ნუ კაცთაგან.

უკუეთუ კაცთაგან გეშინოდის, თვთ მებრ იგინი გეცინოდინ; უკუეთუ ღმრთისა შიში ოდენ იპყრათ, კაცთა მიერცა პატიოსან იყვნეთ. ხოლო უკუეთუ თქუენ ვერ იკადრებთ, მე მაუწყეთ. არა შეუწდო უღირსებით ზიარებად. სულსა ჩემსა განვეშორო პირველ, ვიდრელა ჳორცი და სისხლი

¹ ებრ. 10,29.

ქრისტესი უღირსადმცა ვის მივეც და საიდუმლოსა ამას შესაძრწუნებელსა უნესოდ ვაზიარე.

ხოლო უკუეთუ ვინ უმეცარ იყოს ვისამე, დაღაცათუ უღირსად ეზიაროს, არა არს ბრალი მღდელისად მის, რამეთუ მე ცხადთათჳს ვიტყვ და მეცნიერთა. უკუეთუ ესენი განჰვმართნეთ, რომელნი ვიცნით, უცნაურნიცა ადრე გკრეუნენეს ღმერთმან.

ხოლო ამას ყოველსა არა თუ ამისთჳს ვიტყვ, რადთა დავაყენნეთ ოდენ და გარემივაქცინეთ, არამედ რადთა განჰვმართნეთ უნესოდ მავალნი და მერმე ვაზიაროთ; რადთა იგინიცა ღირსებით ეზიარებოდინ განათლებად სულთა მათთა, და ჩუენ მოვილოთ სასყიდელი თჳსისაცა შრომისად და სხუათაცა მოლუანებისად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სულით ნმიდითურთ, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი 38

[სიტყუაჲ ესე]: „მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა დაბასა, რომელსა ჰქვან გეთსამანიად, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო. და წარიყვანნა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შენუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე“ (26,36-38).

დიდი სიყუარული აქუნდა სანატრელთა მათ მონაფეთა ქრისტეს მიმართ და მარადის განუშორებელ იყვნეს მისგან და ყოვლადვე არა მოსწყებოდეს, უფროდსად მაშინ, ოდეს-იგი ესმოდა, ვითარმედ ეგულები მისლვად ვნებად. ამისთვის ეტყეს: „დასხედით მანდა“, რამეთუ ჩუეულება აქუნდა მარტოებით ლოცვად. ხოლო ამისთვის ესრეთ იქმოდა, რაჲთა ჩუენ გუასწაოს ჟამსა ლოცვისასა მყუდროებისა პოვნად და ფრიადისა უშფოთველობისა.

და წარიყვანნა სამნი იგი ნეტარნი და ჰრქუა მათ: „შენუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმდე“. რაჲსათვის არა ყოველნი წარიყვანნა, არამედ იგი ხოლო სამნი? რამეთუ ეგულებოდა ამისცა კაცობრივისა ბუნებისა ჩუენებად, რომელ არს მწუხარებად და ურვად ჟამსა სიკუდილისასა. ამისთვის ესენი წარიყვანნა, რომელთა ეხილვა თაბორს მისი იგი დიდებად, რაოდენ შემძლებელ იყვნეს ხილვად, რაჲთა არა შეორგულდენ. ხოლო ეგულებოდა რაჲ ლოცვად, იგინიცა კიდე დაუტეენა.

სახარებაჲ: „და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თვსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმწყედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავეს, არამედ ვითარცა შენ. და მოვიდა მონაფეთა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც ჟამ ერთ მღვდარებად ჩემ თანა? იღვძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჳორცი – უძღურ“ (26,39-41).

თარგმანი: არა ცუდად ყო სიტყუაჲ თვისი პეტრეს მიმართ, დაღაცათუ სხუათაცა დაეძინა, არამედ ამხილებს მას ზემოთქუმულისა მის მიზეზისათვის, რამეთუ იტყოდა: „დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უვარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მონაფენი იტყოდეს“.¹ ამისთვის პეტრეს მიმართ ყო სიტყუაჲ და ყოველთა პირი შემოილო, რაჲთა ამხილოს უძღურებაჲ მათი, ვითარ რომელნი-იგი მის თანა სიკუდილად განმზადებულ იყვნეს, ვერცა თუ მწუხარებასა მას მის თანა მღვდარებად შეუძლეს.

ხოლო თავადი ილოცავს მუჯლ-მოდრეკით და ჳელაპყრობით, რაჲთა გუასწაოს, თუ ვითარ გვჭმს შეწირვად ლოცვათაჲ, და რაჲთა მწვალებ-

¹ მათ. 26,35.

ბელთაგანმან ვერვინ თქუას, თუ: იჩემებდა საქმესა მას ურვისა და მწუხარებისასა. ამისთვის ოფლნი გარდამოდოდეს პირისა მისისაგან, ვითარცა ნანუეთნი სისხლისანი, და ანგელოზი გამოუჩნდა და განაძლიერებდა მას, და მრავალი სახე შიშისად აჩუენა, რადთა ვერვინ თქუას მწვალებელთაგანმან, თუ: სიტყუანი იგი მოპოვნებულნი იყვნეს. ამისთვის ილოცავს.

და რომელ-იგი თქუა: „უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმვედინ ჩემგან სასუმელი ესე“, გამოაჩინა ბუნებაჲ კაცობრივი.

ხოლო რომელ თქუა: „არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“, გუასწავა სათნოებაჲ და ახოვნებაჲ, რადთა დაღაცათუ ბუნებაჲ წინააღუდგებოდის, არამედ ნებაჲ სულისაჲ ნებასა ღმრთისასა შეუდგეს. და ვინაჲთგან არა კმა-ეყოფოდა უგუნურთა სახისა ოდენ ჩუენებაჲ ანუ სიტყუათა ხოლო თქუმაჲ, ამისთვის ორსავე აღასრულებს: სიტყუათაცა იტყვს გამომაჩინებელთა ბუნებასა მას კაცობრისა და საქმეთაცა აჩუენებს დამამტკიცებელთა სიტყვასათა, რადთა ჰრწმენეს სრულიად უგულისწმოთაცა, ვითარმედ კაც იქმნა ჭეშმარიტად და სიკუდილი დაითმინა ბუნებითა მით კაცობრივითა.

ჰხედავა, რავდენითა სახითა სარწმუნო-ჰყოფს ჭეშმარიტებასა მას განკაცებისა მისისასა? სიტყვით და საქმით.

„და მოვიდა მონაფეთა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ ძალ-გიც ჟამ ერთ მღვდარებად ჩემ თანა? იღვძებდით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა“.

ჰხედავა, ვითარ ასწავებს, არა ამპარტავნებად, არამედ სიმდაბლედ და შემუხრვილებად და ღმრთისა მიგდებად ყოვლისავე საქმისა და ლოცვად, რადთა არა შევიდენ განსაცდელსა? რამეთუ ესე მარადის განგვნესა. და კუალად იტყვს:

„სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჳორცნი – უძღურ“.

ესე იგი არს, ვითარმედ: დაღაცათუ გინდეს უგულებელს-ყოფად სიკუდილისაჲ, არამედ ვერ ჳელ-გეწიფების, უკეთუ არა ღმერთმან მოგცეს ძალი, რამეთუ უძღურებაჲ ჳორცთა ბუნებისაჲ მოიზიდავს გულსმოდგინებასა მას სულისასა. ამისთვის ილოცევდით, რადთა მარადის ღმერთი იყოს შემწედ თქუენდა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „**კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა იესუ და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსლვად ჩემდა, რადთამცა არა შევსუ იგი, იყავნ ნებაჲ შენი**“ (26,42).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად გამოაჩინებს, ვითარმედ ყოვლით კერძო თანაენამების ნებასა ღმრთისასა, რადთა გუასწავოს, ვითარმედ ყოველსავე ზედა ნებისა მისისა ჳერ-არს მიყოლად და ამისი ძიებაჲ, თუ რომელი არს სათნო ღმრთისა.

სახარება: „და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ. და დაუტევნა იგინი“ (26,43-44).

თარგმანი: ჟამიცა ღამისად ფრიად წარსრულ იყო, და მწუხარებითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს მონაფენი და ურვითა, ამისთვის დამძიმებულ იყვნეს თუალნი მათნი ძილითა, რეცა მითვლემულ იყვნეს და დაჯსნილ.

სახარება: „და მერმე წარვიდა მესამედ და ილოცა და მასვე სიტყუასა იტყოდა“ (26,44).

თარგმანი: რადთა ყოვლით კერძო დაამტკიცოს, ვითარმედ ჭეშმარიტებით კაც იქმნა. რამეთუ ორგზისი და სამგზისი ჭეშმარიტებისა გამომაჩინებელი არს წერილთა შინა, ამისთვის სამგზის იგივე სიტყუად თქულა ლოცვასა შინა, რადთა სარწმუნო-ყოს განგებულება თვისი.

რამეთუ უკუეთუ ამას ყოველსა ზედა არიან ვიეთნიმე ესოდენ უგულისგმო, რომელ ურწმუნო არიან განკაცებასა მისსა და ბუნებასა მას, რომელი ჩუენგან მიილო, უკუეთუმცა ესოდენნი საქმენი ცხადნი არა ერუენეს, ოდესმცა ჰრწმენა?

ხოლო მო-რად-ვიდა მეორედ და პოვნა იგინი მძინარედ, არღარა ამხილა, არამედ დაუტევნა და წარვიდა, რადთა არა მეორედითა მხილებითა უმეტესად მონყლნეს ნყლულნი იგი გულნი მათნი. არამედ წარვიდა მესამედ, ილოცა და მოვიდა და ჰრქუა მათ:

სახარება: „დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისად მიეცემის ჴელთა ცოდვილთა. აღდგით, წარვიდით ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი“ (26,45-46).

თარგმანი: აჩუენებს, ვითარმედ არა მათისა შეწვენისა და თანადგომისა მოქენე არს. ამისთვის ეტყვის: „დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი“. უკუეთუმცა უწმდა მათი შეწვენად, უფროსად მაშინ იყო ჟამი მღკძარებისად, ხოლო იგი ეტყვის: „დაიძინეთო და განისუენეთ“. და კუალად ამისთვისცა, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ეგულებოდა ყოველთა სივლტოლად და მისი დატეობად.

და კუალადცა გულისგმა-უყოფს, ვითარმედ განგებულება იყო მისი იგი ვნებად. ამისთვის თქუა: „ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისად მიეცეს ჴელთა ცოდვილთასა“; რადთა ცნან მონაფეთა, ვითარმედ არა თუ იგი თანამდებ ბრალისა რადსამე იყო, არამედ უკეთურებისაგან ჰურიათადასა იყო საქმე იგი.

„აღდგით, წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი“. ამათ სიტყუათა მიერ ასწავებს მათ, ვითარმედ არა იძულებით არს საქმე იგი, არცა უძღურებისაგან, არამედ განგებულება არს გამოუთქუმელი.

ამისთვისცა უწყობდა ზედამოსლვად მათი და უფროსლა მიეგებვოდა, არა თუ ივლტოდა.

სახარება: „და ვითარცა იგი ამას იტყოდალა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახვლითა და წათებითა მღდელთმოდღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა მცნება და ეთქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი. და მიესეულად მოუჭდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! და ამბორს-უყო მას. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათვისცა მოსრულ ხარ? მაშინ მოუჭდეს და დაასხნეს ჳელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი“ (26,47-50).

თარგმანი: ჰ რავდენილა უკეთურება დაიგია სულმან იუდადსმან! რომლითა-მე თუალითა უძლო მიხედვად პირსა სახიერისა მის მოძღური-სასა? რომლითა პირითა იკადრა ამბორის-ყოფად? ჰ გონება იგი ბილნი! რაღლა განიზრახა, რომელსალა საქმესა შეჰკადრა შესლვად? რომელილა სასწაული მისცა შეპყრობისა მისისად? „რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ“. მინდობილ იყო ფრიადსა მას სახიერებასა მისსა, ვითარ-მედ არა გარემიაქციოს. ჰ უბადრუკსა მას! უფროსლა ამის საქმისაგან თანადედა შეკდიმება, გარნა არა შეიკდიმა. ამისთვისცა უმეტესად დაისაჯა, რომელ ესრეთ სახიერი და ტკბილი იგი უფალი მისცა.

და საკვრველ არს, ვითარ კულადცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „ერთი იგი ათორმეტთაგანი“, და არა უძნავს მისი ათორმეტთაგან წოდებად. ხოლო რაღსათვს მიეცა მცნება იგი, თუ: „რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ“? რამეთუ მრავალგზის ჳელ-ყვეს შეპყრობად მისა და ვერ უძლეს, არამედ განვიდის ჳელთაგან მათთა, ვითარცა ღმრთისმეტყუელი იოვანე იტყვს; ამისთვის უბადრუკმან მან ესე მისცა სასწაულად, რაღთა რომელსა მან ამბორს-უყო, შეიპყრან, ვითარმცა ამით წესითა ვერ განერა. და არა იცოდა მედგარმან მან და უშჯულომან, ვითარმედ უკუეთუმცა მას არა ენება, ვერცამცა ან ჳელ-ენიფა შეპყრობად მისა. და რაღთა ცნან, ვითარმედ ესე ესრეთ არს, ამისთვის დაუბრმნა თუალნი მათნი. და ოდეს-იგი ჰრქუა მათ: „ვის ეძიებთ? და მათ ჰრქუეს: იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა, მიმცემელი მისი, მათ თანა. და ვითარცა ჰრქუა მათ, ვითარმედ: მე ვარ, უკუნიქცეს გარე და დაეცნეს ქუეყანასა“.¹ და ლამპრები აქუნდა, და იუდა მათ თანა იყო, არამედ ვერ ხედვიდეს მას, ვიდრემდის მან თავადმან გამოუცხადა თავი თვისი და ჰრქუა: „მე ვარ“. არა ერთგზის, არამედ ორგზისცა; რამეთუ ვინაფთგან უჩუენა ძალი თვისი და არა შეიგონეს, მერმე შეუნდო შეპყრობად თავისა თვისისა და ჰრქუა იუდას სახიერებით და სიმჰვდით: „მოყუასო, რომლისათვისცა მოსრულ ხარ?“

¹ იოან. 18,4-6.

ხოლო ლუკა იტყვის: „იუდა, ამბორის-ყოფით მისცემა ძესა კაცისასა?“¹ არცა თუ სახისა ამისგან გრცხუენისა? ამას ყოველსა ზედა არავე შეიგონა. ამისთვის მისცა უფალმან ნეფსით თავი თვისი. „და დაასხნეს ჴელნი მას ზედა და შეიპყრეს იგი“ მას მეზრ ღამესა, რომელსა პასექსა ჭამდეს, და დღესას-ნაულთა მათთა თავი იყო. ესრეთ დუღდეს და ბორგდეს შურიტა და მტერობიტა უღმრთონი იგი, გარნა უკუეთუმცა არა თავადსა ენება, ვერ ეძლო მათ შეპყრობად.

ხოლო არა თუ ესემცა უღბენდა რას იუდას ანუ ჰურიტათა სატანჯველთა მათგან საუკუნეთა, არამედ უფროსად დასჯის მათ, რამეთუ იხილეს ძალი მისი და თვისსავე უკეთურებასა ზედა ეგნეს, უფროსად – უკეთური იგი იუდა.

სწავლად პბ ანგაპრებისათვის

ამისთვის, ძმანო, ვივლტოდით ანგაპრებისაგან, რამეთუ ამან ვნებამან წარწყმიდა იგი, ამან მწეცთა უფიცხეს ყო საწყალობელი იგი და ბილნი. და ყოველთავე, რომელთა მძლე ექმნას, უკუანაფსკენელსა ბოროტსა შთას-თხევს და უფსკრულად ჯოჯოხეთისა შთააგდებს. და კუალადცა ვიტყვ: ვივლტოდით ანგაპრებისაგან. და ამისა თქუმად არაოდეს დავსცხრე.

კაცო, რასა შეპკრებ ოქროსა? რად მწეცსა მას უმძვნვარეს-ჰყოფ და სრულიად დაამონებ თავსა შენსა მძლავრსა მას უწყალოსა? თქუ, თუმცა შენი იყო ყოველი ოქროდ პალატისა და რომელიცა სიღრმეთა შინა ქუეყანისათა დამალულ არს, რად სარგებელმცა გეყო, მო-რად-ინიოს სიკუდილი და ცარიელი განხვდე და იგი ყოველი სხუათა დაუტეო? და ვიდრელა აქა იყო, სამზირებელ იყავმცა ავაზაკთა და მპარავთა, მტერთა და შემასმენელთა; რამეთუ მდიდრისა მრავალთა ძალ-უც ვნებად, ხოლო გლახაკსა რად ვინ ავნოს ანუ რად წარულოს?

ამისთვის თქუმულ არს, ვითარმედ: გლახაკსა და შიშუელსა ვერცა თუ ათასსა კაცსა ჴელ-ენიფების დატყუევნად, ვერცა თუ მეფესა ძალ-უც ვნებად, რამეთუ აქუს დიდი შემნე – სიგლახაკე იგი.

ხოლო ვეცხლისმოყუარესა ყოველთავე ძალ-უც ვნებად, არა კაცთა ოდენ, არამედ გრკილთაცა და მატლთა, და სიგრძეცა ჟამისა და დიდად ავნებს, ხოლო დღენი მისნი ზრუნვათა და შიშთა და ურვათა და იჭუთა შინა განილევინ, და განძლომად სიმდიდრითა მით ვერ ძალ-უც, დალაცათუ აქუს.

ამისთვის იტყვს ბრძენი ვინმე: „ვითარცა საჭურისი, მისრული დედაკაცისა ქალწულისა, სურვიელ არნ აღსრულებად გულისთქუმისა თვისისა, და

¹ ლუკ. 22,48.

ვერ ეძლის და სულთ-ითქუამნ“¹, ესრეთ არიან ყოველნი მდიდარნი, აქუს სიმდიდრე და განძლომად ვერ ძალ-უც, არამედ დღითი-დღე უმეტესისა სურინ. უძნავნ ცაჲ, რომელ არა წკმნ ოქროსა, უმძიმნ მზე, რომელ არა გამოსცემს ოქროსა, და არარად არს მის თანა განსუენებაჲ ანუ შუებაჲ, არამედ მონებაჲ ვნებათა ბოროტთაჲ.

ხოლო იგი ოდენ არს უფალ საფასეთა, რომელი წარაგებდეს ჯეროვნად; ხოლო სხუანი იგი ანგაჰრნი მონანი არიან და ტყუენი ვნებათა და ცოდვათანი, რამეთუ სიმდიდრემან პოვნეს თუ უგუნურნი, უუგუნურეს-ჰყოფს, პოვნეს თუ ბილწნი, უბილწესად გამოაჩინებს; ხოლო სიგლახაკე დასაბამი არს სიბრძნისაჲ; უკუეთუ ენებოს, ფრიად უადვილესად მოიგებს შიშსა ღმრთისასა და ყოველსავე კეთილსა.

არამედ ჰ უგულისწმოებაჲ ვიეთმე კაცთაჲ! სწყევენცა გლახაკთა და იტყვან, ვითარმედ: იგინი არიან საყუედრელნი სოფლისანი; რამეთუ ნანდკლვე არა უწყის ბრმამან სარგებელი ნათლისაჲ, არცა ბნელსა შინა მყოფსა ძალ-უც ცნობად ოქროსა ანუ მარგალიტისა, გინა პორფირისა სამეუფოჲსა.

ეგრეთვე ვეცხლისმოყუარემან არა უწყის, თუ რად არს კეთილ და შუენიერ. მოიძუარცე, კაცო, ნისლი ეგე ვნებათაჲ და მაშინ იხილო ბუნებაჲ საქმეთაჲ.

რად საყუედრელ არს გლახაკი? რომელ არა აქუს ოქროჲ და ვეცხლი და ცხედარნი პილოდსძუალისანი, ვეცხლითა შეჭედილნი, და სხუად იგი უცნებაჲ სოფლისაჲ? და რად კეთილი არს ამისგან? არცა ერთი. ნუ იყოფინ! რომელი სახლი მსგავს არს თეატრონსა და საროკველსა, მდიდართაჲ ანუ გლახაკთაჲ? ჰე, მდიდართაჲ.

რომელი მსგავს არს სახლსა პავლესსა გინა აბრაჰამისსა, მდიდართაჲ ანუ გლახაკთაჲ? ჭეშმარიტად გლახაკთაჲ. ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ იგი არს პატიოსან და ნმიდა.

შევედ, კაცო, სახლსა ზაქესსა, და იხილე, ოდეს შევიდოდა მუნ ქრისტე, ვითარ შეამკო მან. არა მოჰმზადნა საჯდომნი ძონეულნი და ბისონნი, არცა საყდარნი და ცხედარნი ოქროქანდაკებულნი, არცა გამოილო საუნჯეთაგან საბურავები სახითქმნული და ბიალონები იქცევისი, არამედ შეამკო სამკაულითა, რომელი სათნო იყო უფლისა, რამეთუ ჰრქუა უფალსა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევე, მივაგო ოთხი ნილი“.²

ან უკუე ჩუენცა ესრეთსახედ შევამკობდეთ სახლთა ჩუენტა, რადთა შემოვიდეს ჩუენდა ქრისტე. ესევეთარი ტაბლად დაუგოთ, ესევეთარნი საჯდომნი დაუსხნეთ, რადთა განისუენოს ჩუენ შორის, რადთა სავანე-ყოს ჩუენ თანა თანა მამით და სულით წმიდითურთ. ეგრეთვე მათე მეზუერემან

¹ შდრ. ზირ. 30,21.

² ლუკ. 19,8.

ქმნა, გულსმოდგინებითა შეამკო სახლი თვისი და დატევებითა ყოველისადათა და შედგომითა ქრისტესითა. კორნელიოს კუალად შეამკო ქველისსაქმითა და ლოცვითა.

რამეთუ სამკაულ სახლისა არს სათნოებაჲ. და უნდოებაჲ სახლისა არა ესე არს: ცხედარი საგლახაკოჲ და ჭურჭელი კეცისაჲ და კედელნი მტუერდადებულნი, არამედ ცოდვანი მას შინა მყოფთანი.

და ამას ქრისტე გამოაჩინებს, რამეთუ სათნოებისა მოქმედთა შორის განისუენებს, ხოლო ოქროლესულთა მათ და ცოდვითა სავსეთა არცა თუ მიეახლებს. ან უკუე სადა ყოველთა მეუფე მკკდრ არს, ჭეშმარიტად ყოველისავე სამეუფოჲსა პალატისა იგი სახლი უბრწყინვალეს არს; ხოლო სადა ჭურჭელნი ეშმაკისანი არიან, იგი დაღაცათუ ოქროთა მოლესულ იყოს და მარმარილოთა შეუენიერთა ბრწყინვიდეს, უხენეშეს არს სასკორეთა და სამწკრეთა ადგილთასა.

ამას არა მათთვის ვიტყვ, რომელნი სიმდიდრესა თვისსა გლახაკთა ზედა წარაგებენ, არამედ ვეცხლისმოყუართა და ანგაჰრთათვს, რათა ცნან, ვითარმედ სახლთა მათთა ქრისტე არა შევალს. და ნანდვლვე არა ვჰპოებთ, თუ შევიდა იგი ბრწყინვალეთა ტაძართა, არამედ მეზეუერისათა და მეთევზურთასა, არა სამეუფოთა და ფუფუნეულთა თანა.

და შენცა უკუეთუ გნებავს შეწყნარებაჲ ქრისტესი, შეამკვე სახლი შენი მონყალებითა, ლოცვითა, მღკძარებითა, მარხვითა, სიყუარულითა, სიმდაბლითა. უკუეთუ ესენი გაქუნდენ, რაოდენცა გლახაკი იყო და სახლი უნდოდ გაქუნდეს, ნუ სირცხვლ-გიჩნს.

და რომელი მდიდარ არს და დიდებულ, ნუ სიმდიდრისათვს ზუაობს, არამედ უფროჲსად ჰრცხუენოდენ და ისწრაფდენ ზემოთქუმულისა მის სიმდიდრისა სათნოებათაჲსა მოგებად, რათა ღირს იქმნას ქრისტეს შეწყნარებად და საუკუნეთა მათ კეთილთა მიემთხვოს მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა დაუსაბამოჲთ მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოელსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.